


K 15552

2



ეთიშვილ დამონიკა

გრეატი აჯანყება სამეგრელო

1856 – 1857

საქართველოს სსრ მიცნობისათვა აკადემია
2019-2381

1856-2

საქართველოს სსრ მიცნობისათვა აკადემია

მიცნობისათვა-კოკულარული სერია

დიმიტრი ლემონჯავა

გლეხთა აკანუება
სამეგრელოში
1856 — 1857

(მიძღვნილია აკანუების ასი წლისთავისადმი)



საქართველოს სსრ მიცნობისათვა აკადემიის გამომცემობა

08 03 06 0 — 1957



უტუ ბიქავას ძეგლი წალენჯიხაში.

წინასიტყვაობა

მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უძნიშვნელოვანესი ამოცანაა ფეოდალური საზოგადოების ძირითადი მშრომელი მასის—გლეხობის ისტორიის შესწავლა.

გლეხთა მოძრაობის ისტორია—ეს ბატონიყმური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხთა იმ საუკუნეობრივი ბრძოლის ისტორიაა, რომელმაც მოამზადა ნიადაგი ფეოდალურ-ბატონიყმური წყობილების ლიკვიდაციისათვის.

გლეხობა საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში ეწეოდა გააფთრებულ ანტიფეოდალურ ბრძოლას, რომელიც XIX საუკუნეში გადაიქცა ფეოდალურ-ბატონიყმური ექსპლოატაციისა და ცარიზმის კოლონიური რეჟიმის. წინააღმდეგ მიმართულ მასობრივ გლეხთა აჯანყებად.

ამ ანტიფეოდალური ბრძოლის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს 1856—1857 წლების სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც მიმდინარე წელს უსრულდება 100 წელი.

აღნიშნულ აჯანყების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, საქართველოში. რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევისათვის მით უფრო, რომ

ეს ისტორია ჭერ კიდევ არაა მარქსისტულ-ლენინური
მეთოდოლოგიის საფუძველზე საკმაო სიზუსტითა და
სისრულით გაშუქებული.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ვრცე-
ლი გამოკვლევის ექსცერპტს და მისი მიზანია მოკლედ
და პოპულარული ენით გააშუქოს აღნიშნული აჯანყე-
ბა საიუბილეო თარიღთან—100 წლისთავთან დაკავში-
რებით. ავტორს განხრახული აქვს, რომ ახლო მომა-
ვალში გამოაქვეყნოს თავისი გამოკვლევა, ამ საკითხ-
ზე მთლიანად.

ავტორი.

თავი პირველი

სოციალურ-ეკონომიკური ვითარება სამეგრელოში აჯანყების წინ

XIX საუკუნის შუა წლებში სამეგრელოს ეკავა 5500 კვადრატული ვერსი ტერიტორია¹. 1804 წლის მონაცემებით მისი მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 15000 კომლს, ანუ ორივე სქესის 75000-მდე სულს. 1859—1860 წლების კამერალური აღწერის მიხედვით სამეგრელოში მოსახლეობამ მიაღწია 25 479 კომლს, ანუ ორივე სქესის 127395 სულს. აქედან გაბატონებული ფენა (თავადაზნაურები და სასულიერო წოდება) შეადგენდა 14225 სულს, ხოლო გლეხობა — 113280 სულს. სამეგრელოს სამთავროს ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა დაბა ზუგდიდი, მისი მოსახლეობა 2000 სულს შეადგენდა. ზუგდიდის მოსახლეთა შორის იყვნენ წვრილი მოვაჭრეები და ხელოსანთა მცირე რაოდენობა. ოფიციალური მონაცემებით ზუგდიდში 1867 წელს იყო 300-მდე სავაჭრო დუქანი², პურის საცხობი და მაღაზია. მთავრის სასახლე ზუგდიდში, რომელიც რამდენიმე კორპუსისაგან შედგებოდა,

¹ В. Н. Иваненко, Гражд. упр. Закавк., 1901, გვ. 481.

² Р. Эристов Ж „Кавказская старина“ № 3. 1873.

განთქმული იყო თავისი მდიდრული მოჩთულობით არა
მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გა-
რეთაც.

კუთვნილების მიხედვით გლეხები იყოფოდნენ: სამ-
თავრო, საბატონო და საეკლესიოდ.

იყვნენ აგრეთვე გლეხები, რომლებსაც ყმები („ქო-
ჩიშ-ქოჩი“), ჰყავდათ. ასეთ მოვლენას, როგორც ცნობი-
ლია, ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა რაიონებშიც
და ასევე ევროპაში. უფრო მეტად შეძლებულ დამოკი-
დებულ გლეხებს თავის მხრივ ჰყავდათ ვასალები³.

სპეციალური ნიშნებით ყმა გლეხები იყოფოდნენ
მსახურებად, აზატებად, მებეგრეებად, მოჯალაბეებად
და მინდობილებად.

ყველაზე დაჩაგრული, უუფლებო და დაბეჩავებუ-
ლი იყვნენ მოჯალაბეები, რომელთაც, როგორც წესი,
არ ჰქონდათ თავიანთი საკუთარი მეურნეობა, ასრულებ-
დნენ ყველაზე დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ მო-
ვალეობას მებატონის წინაშე⁴.

ყმების მეორე კატეგორიას მებეგრე ეწოდებოდა.
მებეგრეები სამეგრელოს გლეხობის მნიშვნელოვან
ჯგუფს შეადგენდნენ, იბეგრებოდნენ სხვადასხვა სახის
აურაცხელი და მეტად მძიმე ფეოდალური ვალიერებულე-
ბებითა და საბატონო გადასახადებით.

გლეხთა მესამე კატეგორია მსახურის სახელშიოდებას
ატარებდა. მსახური იმდენს იხდიდა რამდენსაც მებეგ-

3 კ მარქსი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 702.

4 სამეგრელოში მოჯალაბეს დოლმახორე ეწოდებოდა.

რე, მხოლოდ მებეგრეზე შეღარებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა და არ იყო ვალდებული მებატონისათვის გაეწია შინაყმობა და მიეცა მოახლე⁵.

მეოთხე კატეგორიას აზატი ეწოდებოდა. აზატები ითვლებოდნენ თავისუფალ გლეხებად. მაგრამ მათი „თავისუფლება“ მეტად შეფარდებითი იყო. ისინი თავისუფალი იყვნენ მხოლოდ ზოგიერთი დამამცირებელი ფეოდალური ვალდებულებისა და ბეგრისაგან.

შემდეგ კატეგორიას ერქვა მინდობილი, რომელიც სამეგრელოში მიბარებულს ან სტუმრის სახელწოდებას ატარებდა⁶. მინდობილი მებატონის მიწით სარგებლობისათვის იხდიდა ერთ ან ორ მსხვილფეხა საქონელს, ერთ ჭილა ღომს და სამ კოკა ღვინოს. ხოლო პირადი ბეგარა-ვალდებულებით აზატს უახლოვდებოდა⁷.

სამეგრელოში გლეხთა ექსპლოატაციას, მემამულეთა უზომო თვითნებობის შედევრად, ხშირად თან სდევდა უხეში ძალადობა და დამცირება. აქ ბატონყმური ჩაგვრა ვლინდებოდა მთელი სისაძაგლით, და მან ერთნაირად დაიმორჩილა სამთავრო, საბატონო და საეკლესიო გლეხები. ყველა ისინი იმყოფებოდნენ უხეში თვითნებობის ქვეშ და წარმოადგენდნენ შიშველი ექსპლოატაციის ობიექტს.

გლეხობა იბეგრებოდა როგორც ნატურალური და

⁵ პ. ბოროზდინი, რ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა საქართველოში გვ. 46.

⁶ С. Эсадзе, Историческая записка, т. II стр. 392.

⁷ Р. Эристов ж., Кавказская старина № 6, 1873 г.

ფულადი გადასახადებით, ასევე საბატონო სამუშაოებით—ბეგრით.

მთვარ ნატურალურ გადასახადს ზემო სამეცნიელოში შეადგენდა ე. წ. „თავი ბეგარა“, რომლის მიხედვითაც გლეხს ბატონისათვის უნდა მიერთმია 2 ღორი, 2 ცხენი, 5-დან 10-მდე კოკა ღვინო, 10 ქილა ღომი და 1 ქათამი; ქვემო სამეცნიელოში — 1 ღორი, 10-მდე კოკა ღვინო, 15-მდე ქილა ღომი, 1 ქათამი. ამას გარდა, დამატებითს გადასახადს წარმოადგენდა გოჭკომური—გლეხის მოვალეობა: წელიწადში ერთხელ ან ორჯერ გამასპინძლებოდა თავის ბატონს; ცხენის ჩაბმა—მემამულის ერთი ცხენის (მეჯინიბესთან ერთად) გამოკვება ზამთრის ერთი თვის განმავლობაში; საბოჭი ქათამი — მემამულისათვის ყმა გლეხებიდან ქათმების ყოველთვიური შეგროვება; ოქირსე-პიჩური — შობის მარხვაში პურის ან სიმინდის ნამცხვარის, ლობიოს, მწვანილისა და სხვათა მიტანა; საყველიერო—ყველიერობაზე ყველის, კვერცხისა და თევზის მიტანა; ოდიდპიჩური—ღიღმარხვაში პურის, ლობიოს, მწვანილის, კიბოებისა და ა. შ. მიტანა: გლეხები ვალდებული იყვნენ მოემარავებიათ მებატონე: სამარხვო პროდუქტებით სხვა სამარხვო დღესასწაულებზე (სამარხვო); სააღდგომო—აღდგომისათვის სხვადასხვა პროდუქტების მიტანის ვალდებულება; ობატკური—გაზაფხულის თვეებში ბატკის მიყვანა; ძღვენი—მემამულისაღმი „ნებაყოფლობითი“ საჩუქარი სოფლის მეურნეობის პროდუქტებით⁸.

⁸ Р. Эристов Ж. „Кавказская старина“, № 4-5, 1873.

გლეხები ვალდებული ივნენ ყოველწლიურად გადაეხადათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები: სიმინდი, ღვინო და აბრეშუმი ახალი მოსავლით, ეკვებათ თავისი ბატონის ხაბაზები, ბაზიერთუხუცესი და მწყემსები; მიეტანათ მისთვის პროდუქტები დურგლების შესანახად. გარდა ამისა, მებატონები გლეხობისაგან იღებდნენ: ცვილს, თაფლს, სელს, ქერს, ბრინჯს, კანაფს, ბაწარს, თუთის ფოთოლს, ხილსა და მრავალ სხვა პროდუქტს.

ყმა გლეხების ვალდებულება ფეოდალების წინაშე ამით არ განისაზღვრებოდა. მათს მნიშვნელოვან ნაწილს ყოველი კომლიდან უნდა მიეცა ერთი მამაკაცი (შინაყმა) და ერთი ქალი (მოახლე) მებატონის სახლში მომსახურებისათვის.

სამეგრელოს გლეხები ასევე იხდიდნენ საბატონო ბეგარას, უმეტეს წილად, კვირაში სამი დღის ოდენობით. არსებობს მასალები იმის შესახებ, რომ გლეხები საბატონო სამუშაოებზე ერთი კვირით, ზოგჯერ მთელი თვეებითაც ჭი, თავიანთი ინვენტარითა და პროდუქტებით გადიოდნენ⁹. ყმა გლეხის ბეგარა-გადასახადების საშუალო ლირებულება კომლზე შეაღვენდა დაახლოებით 80 მანეთიდან 120 მანეთამდე¹⁰.

მასალები ლაპარაკობენ სამეგრელოში ფულადი გადასახადის არსებობაზეც, ნატურალური ვალდებულების ხშირად ფულადით შეცვლის შესახებ. ასე მაგალითად, მემამულის ოჯახის წევრის მიერ ცოლის შერთვის

⁹ ცსსა, თბილისი, ფონდი 4, აღწ. I, საქმე 35, ფ. 4.

¹⁰ იქვე, ფონდი 220, საქმე 1076, ფ. 290.

ან ქალის გათხოვების შემთხვევაში, ხშირად ერთი ძრო-
სის ან ერთი ხარის ნაცვლად გლეხისგან იღებდნენ
10-დან 15 მანეთამდე (საქორწილო). მემამულის ოჯახის
წევრის სიკვდილის შემთხვევაში დასაფლავების ხარჯე-
ბისათვის გლეხის კომლიდან იღებდნენ 5 მანეთს (სამარ-
ხი). ყმა გლეხის ქალიშვილის გათხოვების უფლების
მიღებისათვის ეს უკანასკნელი მემამულეს უხდიდა 10
მანეთამდე, ხოლო გლეხის მიერ ცოლის შერთვისას სა-
ქმროსაგან მემამულე იღებდა 1 მანეთსა და 20 კაპიკს.
მოახლეს, რომელიც გათხოვდებოდა მეორე მემამულის
გლეხზე, უნდა გადაეხადა თავისი მფლობელისათვის
2-დან 30 მანეთამდე.

პროდუქტების ფულად რენტად გადაქცევა, როგორც
მარქსი ამბობს, „გულისხმობს ვაჭრობის, საქალაქო მრე-
წველობის, საზოგადოდ საქონლის წარმოების, და ამას-
თან ერთად ფულადი მიმოქცევის მნიშვნელოვან განვი-
თარებას. შემდეგ, იგი გულისხმობის პროდუქტების გან-
საზღვრულ საბაზრო ფასს“¹¹.

ყმების ექსპლოატაცია სულ უფრო ძლიერდებოდა
სამეცნიელოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის უან-
გითარების შესაბამისად.

* * *

აზნაურთა და გლეხობის წრიდან ბევრმა ხელი მიჰ-
ყო სავაჭრო ოპერაციებს. გაჩნდნენ ვაჭრები. მათ შორის
ყველაზე მსხვილი ვაჭარი იყო დათა ჭედია, რომელიც
გლეხობიდან გამოვიდა, ხოლო შემდგომ აზნაურობა მი-

¹¹ გარლ მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. II გვ. 316.

იღო. მას კარგად იცნობდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც.

ფართოდ იყო ცნობილი მეორე ვაჭარი, სოფელ ეკის მცხოვრები ვატა პაჭკორია, რომელსაც მაღაზია ჰქონდა სენაკში. მისი მაღაზია ვაჭრობდა სხვადასხვა ასორტი-მენტის საქონლით (შემოტანილით და ადგილობრივით), მაგ. ხავერდით, შალეულით, ტრიკოტაჟით, ჩითით, ნარ-მით, ნოხებით; ქამრებით, რუსული საპნით, ქოლგებით, სანთლითა და სხვ¹².

ვაჭარ ნიკო პაჭკორიას მაღაზიაში იყიდებოდა ჭურჭლეული, ფეხსაცმელი, თევზი, ჩითი და სხვ. რო-გორც ადგილობრივი საქონელი; ასევე შემოტანილი.

ბეჭან ქავთარაძე, რომელმაც 500 მანეთი მი-იღო ხაზინიდან საკომერციოდ, ეწეოდა წვრილმან ვაჭ-რობას. 1854 წლისათვის მას ბრუნვაში ჰქონდა უკვე 6000 მანეთამდე კაპიტალი. ქავთარაძემ ზუგდიდში გან-სნა კარგად მოწყობილი მაღაზია.

სენაკშივე არსებობდა მიხეილ ქავთარაძის მაღაზია, რომელმაც საზღვარგარეთ მარტო ერთხელ წასვლით შეისყიდა 2500 მანეთის საქონელი.

გარდა ამისა, უხვად ვაჭრობდა ზუგდიდში გიორ-გი შუშანიას ორი მაღაზია. ამათ გარდა ცნობილი ვაჭრები იყვნენ როსტო ჭედია, ცხაკუნია მიხელაშვილი, როსტომ წულეისკირი, ივანე დარჯანია, ალექსი შენგე-ლია, გიგო თომეურია, ბასა გრიგოლია, ოტია დავითაია, ზაქსირ ჭოჭუა, აბრამ ისრაელაშვილი, ბეგოია ადამია, ხახუ თოფურია, იესე სალაყაია და სხვ.

¹² ხმა, ფონდი 3, 4654 ფურც. 5—6.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში (ზუგდიდსა და სენაკში) თავიანთი სავაჭრო მაღაზიები ჰქონდათ ქუთაისელ ვაჭრებს დავით იქობაშვილს, კაცო იაკობაშვილს, ფარნაოზ უგრეხელიძეს და სხვ¹³.

ფართო მევახშეობას ეწეოდა და ფულად ოპერაციებს აწარმოებდა სენაკელი ვაჭარი ვახტანგ სიმონის-ძე ქოჩაკიძე, რომელმაც დავით დადიანისაგან იჯარით აიღო 6000 მანეთის შემოსავალი. ამ შემოსავალს დავით დადიანი სენაკელი ვაჭრებისაგან იღებდა; ვაჭარმა ქოჩაკიძემ წინასწარ გადაუხადა დადიანს აღნიშნული თანხა. მევახშეობას ეწეოდნენ და ფულს ასესხებდნენ თუმანს ორ შაურად ღუტულა მხეიძე, სიმონ ქორქია, კვატატი ჯვარელია და სხვ.

50-იან წლებში დაფნის ფოთლისა და ხე-ტყის მასალის გატანას ეწეოდა მოიგარადრეთა ამხანაგობა. ბეჟან გვალიას მეთაურობით, რომელსაც შესყიდული დაფნის ფოთოლი გაჰქონდა საზღვარგარეთ.

მალე შეიქმნა მოიგარადრეთა მეორე ამხანაგობაც როსტომ ლეფონავას მეთაურობით. მასში შედიოდნენ პახვალა ლეფონავა, ტოტია ჯობავა, ბულათია კორტავა, ნიკოლოზ და თევდორე ბერაიები¹⁴.

1856 წლის საბუთებში მოიგარადრეებად მოხსენებული არიან ბასილ პაჭკორია, სტეფანე კორტავა და ნიკოლოზ ლეფონავა, რომლებმაც ხელშეკრულება დადეს ყულევის ბერძენ ვაჭარ მეტაჭასთან მისთვის 2000 ფუთი დაფნის ფოთლის მისაცემად (ფუთი 35 კაპიკად).

¹³ საქალაქო არქივი, ქუთაისი, ფონდი 16, საქმე 75, ფურც. 6.

¹⁴ ზმა, ფონდი 3, საქმე 4390, ფურც., 23.

სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი მხარს უჭერდა მოიგარადრეთა სავაჭრო საქმეს. იყო რა თვითონ მსხვილი მევანშე, დავითი აძლევდა სესხს ვაჭრებს, ხელოსნებსა და მოიგარადრეებს.

* * *

ქრეწველობა სამეგრელოში ძირითადად კუსტოული ხასიათისა იყო; ტილოს, აბრეშუმისა და შალის ქსოვილებს ხელით აწარმოებდნენ. მაგრამ, ამასთან ერთად, იყო შედარებით მსხვილი საწარმოების გახსნის შემთხვევებიც.

40-50-იან წლებში აღინიშნება საწარმოებში ხელის შრომის მანქანურ-მექანიკური შრომით შეცვლისადმი მისწრაფება. ამის მაგალითია ზუგდიდში აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმოს გახსნა, სადაც 10 მანქანა მუშაობდა და გათვალისწინებული იყო მათი რიცხვის გაზრდა 60-მდე. ძაფსახვევ ფაბრიკაში იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. მუშებს დღეში 20 კაპიკი ეძლეოდათ. ასეთი ტიპის საწარმოს აგება გათვალისწინებული იყო აგრეთვე სოფელ ლესიჭინეშიც.

ამავე წლებში სოფელ აბასთუმანში შეიქმნა ზეთისხილის გადამმუშავებელი საწარმო. სენაკში საფუძველი ჩაეყარა ენდროს პლანტაციას, ზუგდიდში ითვალისწინებდნენ სიგარეტის „ფაბრიკის“ შექმნას აბრეშუმსახვევი საზოგადოების ხელმძღვანელობით. დაახლოებით იმავე წლებში გაიხსნა არაყის „ქარხნები“ ზუგდიდსა და სალხინოში.

დოკუმენტების მონაცემებით, აღგილობრივი მოსახ-

ლეობიდან ზოგიერთი მიღიოდა საშოვარზე, სხვები ოსტატდებოდნენ ხელოსნობაში. გავრცელებული იყო სახელოსნოები: სამჭედლო, სახურო, საღურგლო, სამე-თუნეო, სახარაზო და სხვ. სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი ხაზინიდან იძლეოდა ფულს სახელოსნოების გასახსნელად.

ვაჭრობისა და საწარმოების განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს როგორც სამეგრელოს შიგნით (ცალკეულ რაიონებს შორის), ასევე საქართველოს სხვა ოლქებთან მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება (შარაგზების, რიონზე სამდინარო ნაოსნობის გაუმჯობესება¹⁵ და სხვ.).

სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის განვითარება და მრეწველობის ჩასახვა იწვევდა შიდა ბაზრის გაზრდას— მეტ-ნაკლებად დიდ სოფლებსა და დაბებში (ზუგდიდში, სენაკში, ფოთში, ანაკლიაში და სხვ.) პარასკეობითა და კვირაობით ეწყობა ბაზრობები.

ყოველწლიურად იმართებოდა ბაზრობები („იარმუკობა“) ნოუღალევში, ხობში, ლაილაშში, სუჭუნასა და სხვა პუნქტებში, სადაც საღდებოდა სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და სამრეწველო-სახელოსნო ნაკეთობანი. აღნიშნულ ბაზრობაზე ნახავ- დით უცხო ქვეყნებიდან და საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ ვაჭრებს.

სამეგრელო რუსეთსა და სხვა ქვეყნებს უკავშირდებოდა ძირითადად ზღვის ნავსადგურების—ყულევის, ფოთისა და ანაკლიას მეშვეობით. განსაკუთრებით გა-

¹⁵ აქტები, ტ., X, გვ. 890.

მოირჩეოდა ნავსაღგური ყულევი. ჭერ კიდევ 1830 წელს ქერჩიდან ყულევში ჩამოვიდა ავსტრიის სავაჭრო გემი „ელნოვო-ჩეზარანო“ ტვირთით, ისეთი საქონლი-საგან, როგორიცაა: მარილი (4090 ფუთი), პუ-რის ფქვილი (175 ჩარექი), საპონი (4 ყუთი — 24 ფუთი), თუჭის ქვაბები (123), ფეხსაცმელი (182), თიხის ჩიბუხები (1 ყუთი) და სხვ. იმავე წელს აქვე ჩამოვიდა მეორე გემი ტაგანროგიდან¹⁶. XIX საუ-კუნის 50-იან წლებში ყულევის ნავსაღგურთან საქონ-ლის შემოტანა და გატანა კიდევ უფრო გაძლიერდა. თბილისელმა მსხვილმა კომერსანტმა იაგორ თამამშევმა 1853 წელს ყულევის ნავსაღგურში გაღმოტვირთა საიმ-პორტო საქონელი (მათ შორის 2400 ტომარა შაქარი), შემოტანილი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან¹⁷. დასახე-ლებული საიმპორტო საქონლის მეტი ნაწილი იყიდებო-და ზუგდიდის, სენაკისა და სამეგრელოს სხვა მაღა-ზიებში.

სამეგრელოში ფეოდალური წყობის ეკონომიკის გან-ვითარების პროცესი მიმღინარეობდა ფეოდალური სა-ზოგადოებისათვის დამახასიათებელი გზით. ვაჭრობის განვითარების შედეგად ფეოდალური წყობილების ეკო-ნომიკა თანდათანობით ხრწნას იწყებს, ირლვევა დახმუ-ლი ნატურალური ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობა, ვითარდება სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი. სოფ-ლის მეურნეობის პროდუქტები და სახელოსნო-სამრეწ-ველო ნივთები გააქვთ ბაზარზე როგორც სამეგრელოს

¹⁶ „Тифлисские ведомости“, № 1, 1830.

¹⁷ ცსსა, თბილისი, ფონდი 4, საქმე. 655, ფურც. 1.

შიგნით, ასევე მის ფარგლებს. გარეთაც. ყოველივე ეს ძველი რეჟიმის დაშლისა და ბურჯუაზიულ ურთიერთობათა დანერგვის წინასწარმატებელია¹⁸.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება იწვევს მემამულეთა მხრივ გლეხობის ექსპლოატაციის გაძლიერებას.

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში მემამულეებმა კიდევ უფრო დაამძიმეს თავიანთი გლეხები ახალი გადასახადებითა და ბეგრივ. იზრდება ღალა, ბეგარა და სხვა ფეოდალური ვალდებულებანი.

მემამულეები აგირავებენ და ყიდიან გლეხებს. თავადმა ჯაიანმა, მაგალითად, თავისი ყმა ქომიხერდა ჩარგაზია მიჰყიდა სამთავრო გლეხს—ქაქუჩია მირცხულავას 230 მანეთად. გაყიდული ჩარგაზია განაგრძობდა გამყიდველ ჯაიანისათვის 1 ღორის, 1 კოკა ღვინის, 1 ჭილა ღომის, 5 ქათმის გადახდას; ასრულებდა „ნაღობას“ და „ტვირთობას“, ხოლო მირცხულავა, რომელმაც იგი იყიდა; მოითხოვდა მისგან 4 კოკა ღვინოსა და 1 „შინაყმას“. 23 წლის შემდეგ თავადი ჯაიანი ხელახლა იმავე გლეხს უგირავებს მღვდელ მიხეილ ანთელავას 64 მანეთად და 80 კაპიკად.

ჩარგაზიას მღვომარეობაში იყვნენ სხვა ყმა გლეხებიც¹⁹.

ამ პერიოდში ძალადობა ფეოდალური აღმინისტრაციისა, რომელიც გლეხობის შრომით საზრდოობდა,

¹⁸ ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, ტ. 3, გვ. 207.

¹⁹ ცისა, თბილისი, ფონდი 4, საქმე 1889, ფურც. 2.

აღწევს უკიდურეს საზღვარს. თავადები, აზნაურები, სა-
მღვდელოება ყმა გლეხების მიმართ იჩენენ გაუგონარ
თვითნებობას, ხმარობენ აშკარა ძალადობასა და ეწევიან
ძარცვას.

გლეხობის ასეთი აუტანელი მდგომარეობა იწვევს
კლასობრივი ბრძოლის უკიდურესობამდე გამწვავებას.

თავი მეორე

გლეხთა მოძრაობა სამეგრელოში. აჯანყების წინ

XIX საუკუნის 40-50-იან წლებში ფეოდალურ სამეგრელოში კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა იყო მემამულებისაგან გლეხობის გაქცევა. გლეხები გარდიან სამურჩაყანოში, იმერეთში, გურიაში, კახეთში, ქართლსა და საქართველოს სხვა რაიონებში, უმთავრესად გარდიან სამურჩაყანოში¹. გლეხების გაქცევა მარტო XIX საუკუნის მოვლენა როდია; მას ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნეშიც, მაგრამ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით გლეხების გაქცევამ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო გასული საუკუნის 40-50-იან წლებში.

ჩვენს განკარგულებაშია ბევრი მასალა, რომელიც ნათლად გვიჩვენებს სამეგრელოს გლეხთა ანტიფეოდალური ბრძოლის ამ ფორმის მასობრივ ხასიათს.

გლეხები გაურბიან თავიანთ ფეოდალებს არა მარტო ცალკეულად, არამედ მთელი კომლობით, მთელი გვარებითაც კი. ასე მაგალითად, ჯვარის მაზრის მარტო ოთხ სოფელში; XIX საუკუნის 40-50-იან წლებში, რე-

¹ ცსსა, თბილისი, ფონდი 19, საქმე 205, 206, ფურც. 7—11.

გისტრიჩებულია სამურზაყანოში გლეხთა გაქცევის 16 შემთხვევა, მასთან, უმეტეს შემთხვევაში, გაქცევა მოხდა მთელი ოჯახებით.

1843 წელს სოფელ ჭოლევიდან გაიქცა თავაღო. დაღიანის გლეხების 4 ოჯახი. დაახლოებით იმავე ხანებში მემამულე გიგო ფაღავას გაექცა 17 გლეხი.

1852 წელს აზნაურ ნაჭყების ერთდროულად გაექცა 4 კომლი. იმავე დროს სამურზაყანოში გაიქცნენ გლეხები გვარად ღურწკაიები, 4 ოჯახის შემაღენლობით, რომლებიც მემამულე. გ. დაღიანს ეკუთვნოდნენ.

სამურზაყანოში გლეხთა გაქცევის ზრდა წლების მიხედვით შემდეგი სახით წარმოგვიდგება: 1838—1839 წწ. ადგილი ჰქონდა 9 შემთხვევას, 1840—1842 წწ.—48 და მარტო 1843 წელს — 29 შემთხვევას².

გლეხთა მასობრივი გაქცევის გამო მრავალი მემამულე მუშახელმოკლებული დარჩა. თავის წერილში კავკაზიის სამოქალაქო ნაწილის სამმართველოსადმი სამეგრელოს მმართველი ეკატერინე დაღიანი ჩივის იმის შესახებ, რომ გაქცევის შედეგად „მრავალ აქაურ მემამულეს მოაკლდა თავისი მუშა ხელის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ზოგიერთ მცირემამულიან აზნაურს სრულიადაც არ შერჩა გლეხები, რამაც, რა თქმა უნდა, ისინი სიღატაკემდე მიიყვანა“³. და ეს სავსებით გასაგებია, რადგან საბეგრო-საღალო სისტემისას, — როგორც ლენინი ამბობს, — „გლეხთა „საკუთარი“ მეურნეობა თავიანთ ნადელზე მემამულური მეურნეობის პი-

² ცსსა, თბილისი, ფონტი 19, საქმე 684. ფურც. 9.

³ იქვე, ფონდი 4, საქმე 1798, ფურც. 7.

რობა იყო, მას მიზნად ჰქონდა არა გლეხის „უზრუნველყოფა“ საარსებო საშუალებებით, არამედ მემამულისა — მუშახელით“⁴.

კლასობრივი ბრძოლის მეორე ფორმა იყო ტერორისტული აქტები, რომლებსაც გლეხები აწყობდნენ თავიანთი ექსპლოატატორ-მემამულეების წინააღმდეგ.

ასე მაგალითად, 1844 წელს სოფელ ჭოლის მემამულე ტოტი რატია მოკლა ყმამ ივანე გრიგოლიამ, რომელიც მკვლელობის შემდეგ თავის ოჯახიანად მიიმალა სამურჩაყანოში: გლეხმა უჩაია ლეუავამ ხანჯლით აკუწა აზნაური დ. გაბუნია სოფელ ნაგურუდან. იგივე გააკეთა სოფელ საჩინოს გლეხმა დოკუმაშია მაღაზონიამაც და სხვ.

კლასობრივი ბრძოლის ორივე სახე დიდ საშიშროებას წარმოადგენდა სამეგრელოს მემამულეებისათვის.

დოკუმენტები, რომლებიც ეხებიან ჩვენთვის საინტერესო პერიოდს, ლაპარაკობენ მემამულეებისაღმი გლეხების ურჩობის სხვა სახეებზეც.

ურჩობის პასიური ფორმა იყო გლეხთა საჩივრები თავიანთი გამოუვალი მდგომარეობის შესახებ. ასე მაგალითად, სოფელ გეჭეთის გლეხებმა, 6 კომლის რაოდენობით, საჩივრით მიმართეს კავკასიის მეფისნაცვალს გრაფ ვორონცოვს თავად ნიკოლოზ დადიანის მიერ შევიწროების შესახებ. „ამიტომ, — წერდნენ გლეხები, — ვიმყოფებით რა ასეთ მოუთმენელ შევიწროებაში, ვტოვებთ რა ჩვენს ოჯახებს, მოგმართავთ თქვენს ბრწყინვა-

⁴ 3. ი. ლენინი, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ტ. 3, 1948, გვ. 207.

ლებას და უმორჩილესად გთხოვთ დაგვიცვათ ხსენებული ნიკოლოზ დადიანის მხრივ შევიწროებისაგან, ორმან, დადიანმა, არ მოითხოვოს ჩვენგან დაწესებულზე ტეტი გადასახადი¹⁵. ასეთი და მათი მსგავსი საჩივრების მიცემით გლეხები, გამოხატავდნენ რა ყრუ პროტესტს, ცდილობდნენ მთავრობის ყურადღება მიექციათ თავიანთი მძიმე მდგომარეობისათვის და მიეღწიათ მისი გაუმჯობესებისათვის.

გლეხობის ურჩობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა ბეგარის მოხდისა და სხვა ვალდებულებათა გადახდისაგან უარის თქმა.

ასეთი ურჩობის უმეტეს შემთხვევებს თან სდევდა გლეხთა არაჩვეულებრივი შეუპოვრობა, რაც ხშირად შეიარაღებულ შეტაკებამდე მიღიოდა. ეს კი იწვევდა აღგილობრივი ხელისუფლების ჩარევას და სამხედრო ეგზეკუციებსაც კი.

გლეხობის მიერ მემამულეთა ფეოდალური ღალისა და მოთხოვნილებათა ასეთი შეუსრულებლობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ამბავი, მომხდარი XIX საუკუნის 50-იან წლებში სოფელ ნოჭიხევში. ამ სოფლის გლეხებმა, ათი კომლის რაოდენობით, უარი თქვეს მემამულისაღმი „მოახლის“ მიცემაზე და „მოჯალაბის“ მოვალეობის შესრულებაზე. მემამულე ხიტუ ჭორჭიკიამ, ომელიც გლეხთა მლელვარების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა, მიმართა პოლიციურ ხელისუფლებას, ომლის დახმარებითაც მან შეძლო მორჩილებაში მოე-

¹⁵ ცსსა, თბილისი, ფონდი 4, საქმე 35, ფურც. 3—4.

ყვანა გლეხები, ხოლო შფოთის უფრო აქტიური მონაწილეები შეეპყრო და ლეჩხუმის ციხეში მოეთავსებია.

როგორც დოკუმენტიღან ირკვევა, ეს გლეხები, განსაზღვრული პოლიციური „დატუქსვა-ჩაგონებითი“ ზომების მიღების შემდეგ, განთავისუფლებულ იქნენ ხელწერილქვეშ. მათ დაავალეს აღარ გაემეორებინათ მსგავსი შფოთიანობა. მაგრამ მემამულე ჭორჭივიაც იძულებული შეიქნა უარი ეთქვა თავის უფლებაზე მოეთხოვა მოახლე და მოჯალაბე⁶.

1853 წელს შეუპოვარი ურჩობა გამოიჩინეს მარტვილის მაზრაში მემამულე პეტრე გეგეჭკორის გლეხებმა. პოლიციური ზომები, რომლებიც მიღებული იყო გლეხების დასამორჩილებლად, უშედეგო აღმოჩნდა. მემამულე გეგეჭკორის ცდა უჩჩი გლეხების მორჩილებაში გოსაყვანად დამთავრდა მებატონისა და ყმა გლეხების აშერა შეტაკებით, რის შედეგად გეგეჭკორმა მიიღო მძიმე ჭრილობა გლეხი დათა კუპრავასაგან. პოლიცია გაიქცა, ხოლო ჭანყის წამომწყები გლეხი დათა კუპრავა, რომელიც მემამულეს გაუსწორდა, მიიმალა⁷. იგი შემდეგშიც განაგრძობდა ბრძოლას და მოუწოდებდა თავის თანასოფლელებს ან დამორჩილებოდნენ მემამულეთა მოთხოვნებს.

ანტიფეოდალურ ბრძოლაში სამეგრელოს გლეხები მიმართავდნენ აგრეთვე ისეთ ფორმას, როგორიცაა მემამულეთა სახლ-კარის დაწვა.

როგორც სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის

⁶ ცსსა, თბილისი, ფონდი 44, საქმე 4, ფურც. 15—33.

⁷ იქვე, ფონდი 14, საქმე 142, ფურც. 9.

მიერ მოხელე ნიკო დგებუაძის სახელზე მიწერილი წერილიდან ჩანს, ასეთ შემთხვევებს აღგილი პქონდა 1850 წელსაც. აზნაურებმა გლეხების ბრძოლის ასეთი ფორმის შიშით საჩივრით მიმართეს დავით დადიანს. ამ უკანასკნელმა ბრძანა მასთან წარედგინათ გლეხები, რომლებიც ცეცხლს უკიდებდნენ მებატონის მამულს⁸.

ანტიფეოდალური ბრძოლის მეტად მწვავე და მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სუჭუნის მაზრის სოფელ საქაჩიზაიოს გლეხების გამოსვლა 1850 წელს. გლეხებმა, რომლებიც ეკუთვნოდნენ აზნაურ ხოფერიებს, ჯერ კიდევ მანამდე ღიღი ხნით აღრე უარი თქვეს ხსენებული მემამულებისადმი სამსახურზე. ამის შესახებ მებატონეუბმა შეატყობინეს სამეგრელოს მთავარს დავით დადიანს, რომელმაც „წესრიგის“ აღსაღენად მეამბოხე სოფელში გააგზავნა 40 კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული დამსჯელი რაზმი სუჭუნის მდივანბეგის ვამეყდადიანის მეთაურობით.

რაზმის მოახლოებისას გლეხები მიიმალნენ ტყეში იმ განზრახვით, რომ საერთო ძალებით გაეწიათ წინააღმდეგობა. მდივანბეგის განკარგულებით მეამბოხე გლეხებს ჩამოერთვათ ჯოგი, ღვინო და სხვა სასურსათო პროდუქტები. მაგრამ ამ ზომებით დამსჯელი რაზმის მეთაურმა ვერ მიაღწია ქაჩიბაიების მორჩილებას. ისინი ურყევად იყვნენ და, რჩებოდნენ რა ტყეში, ემზადებოდნენ გადამწყვეტი შეტაკებისათვის. მაშინ მღივანბეგმა გადაწყვიტა საეგზეკუციო რაზმით გამგზავრებულიყო მათთან გასასწორებლად. გაჩაღდა ცხარე ბრძო-

⁸ ზმა, ფონდი 3, საქმე 4390, ფურც. 24.

ლა. შეტაკების დროს მოკლულ იქნა მღივანბეგი ვამეყ
დადიანი; გლეხების მხრიდან დაიჭრა მხოლოდ ერთი-
რაზმმა შეიპყრო მღელვარების აქტიური მონაწილე 9
გლეხი, რომლებიც შემდეგ წარდგნენ სამხედრო სასამარ-
თლოს წინაშე⁹.

1851 წლის 28 თებერვალს სამხედრო სასამართლომ
განაჩენი გამოუტანა 8 გლეხს; განაჩენის მიხედვით თი-
თოეული მათგანი ისჯებოდა შპიცრუტენით და 2 წლით
საპატიმრო ასეულში გაგზავნით¹⁰.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მთავრობაშ პირვე-
ლად შეძლო შეეპყრო გლეხთა ერთი ნაწილი, რომელიც
მონაწილეობას იღებდა მღელვარებაში; მეორე ნაწილი
(მათ შორის მოთავეები), იმალებოდა და განაგრძობდა
წინააღმდეგობას. მხოლოდ 1851 წლის ბოლოს მთავრო-
ბაშ შეძლო დაჭირა კიდევ სამი მონაწილე, რომელთა-
გან ერთი (მიქელი ქაჩიბაია) კვლავ გაიქცა, ხოლო ორს,
ერთი წლის შემდეგ, 1852 წლის 29 მაისს იმავე სამხე-
დრო სასამართლომ მიუსაჯა უფრო მკაცრი სასჯელი:
შპიცრუტენით დასჯა და საპატიმრო ასეულში ერთს 2
წლით, ხოლო მეორეს 4 წლით გავზავნა¹¹.

დადი უკმაყოფილება მწიფდებოდა საეკლესიო გლე-

⁹ ცსა, თბილისი, ფონდი 4, საქმე 1343, ფურც. 1 — 7 ამ ცხრა
გლეხიდან ერთი საპატიმროში გარდაიცვალა საქმის გარჩევამდე.

¹⁰ ხოლო კოჩაია ქაჩიბაიას ღრმად მოხუცებულობის გამო მიესაჯა.
მხოლოდ 25 როზგი და სამი თვე თავის ხარჯით ქუთაისის ციხეში
კარიმრობა.

¹¹ ცსა, თბილისი, ფონდი 4, საქმე 1511, ფურც. 8—9. სამხედრო
გუბერნატორის განკარგულებით შპიცრუტენით დასჯა სისრულეში
უნდა მოეყვანათ საქაჩიბაიოს მეზობელი სოფლების გლეხების
თანდასწრებით.

ხებს შორისაც. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს 1855 წლის ამბავი, რაც სოფელ სუჭუნის საეკლესიო გლეხების მღელვარებაში გამოიხატა.

1855 წლის იანვარში სამეგრელოს მმართველმა ეკატერინე დადიანმა მოისურვა სოფელ სუჭუნის საეკლესიო აღგილ-მამულის სამოქალაქო მმართველობაში გადაცემა. სუჭუნის საეკლესიო გლეხებს შეაწერეს აუტანელი ბეგარა და სხვა ვალდებულებანი. „ეკატერინე დადიანმა, — ვკითხულობთ საქართველოს ეგზარხოსის წერილში კავკასიის მეფისნაცვლის ბარიატინსკისადმი, — მძიმედ დაბეგრა ისინი (საეკლესიო გლეხები — დ. ლ.) თავის სასარგებლოდ სამუშაოებით იმდენად, რომ დალის გადასახდელად მათ აღარ დარჩათ 2 დღის სახნავი მიწაც კი... ჩვეულებრივი ნატურალური ვალდებულების მაგივრად დატვირთა ისინი მათი შეძლებისათვის უთანაზომიერო ფულადი გადასახადით“¹².

სუჭუნის გლეხობის გამოსვლის უშუალო საბაბი ვახდა დედოფალი ეკატერინეს განკარგულება წმ. გიორგის ხატის გადატანის შესახებ სუჭუნის ეკლესიიდან მარტვილში. ამით მას აჩსებითად უნდოდა მიეღწია ხსენებული საეკლესიო გლეხების მიმართ თავისი უფლებების საბოლოოდ განმტკიცებისათვის. ამის საპასუხოდ გლეხებმა ხელი მოჰკიდეს იარაღს. ზარების საგანგებო რეკვითა და ბუკის გუგუნით სუჭუნის ეკლესიასთან შეკრებილმა ათასობით გლეხმა ერთმანეთს ფიცი მისცა: ერთსულოვნად ვიღეთ საერთო საქმისათვისო. ამ მომენტისათვის

¹² ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28 საქმე 4890, ფურც. 379. 380

სოფელ სუჯუნაში თითქოს მოსალაპარაკებლად ჩამო-
სულმა ბოქაულთუხუცესმა კონსტანტინე დადიანმა
აზნაურ ხოშტარიას სახლში შეიტყუა მღელვარების ხუ-
თი მეთაური და განაიარალა ისინი. მაგრამ საშიშროების
გამო, რაც მას გარს შემორტყმული აჯანყებული გლე-
ხებისაგან მოელოდა, იძულებული იქნა სუჯუნიდან გაქ-
ცეულიყო ყოველგვარი შედეგის გარეშე.

საეკლესიო გლეხთა აჯანყება ბოლოს და ბოლოს ჩა-
წმობილი იქნა. მაგრამ სამეგრელოს მმართველი ეკატე-
რინე დადიანი იძულებული იყო გაეუქმებინა თავისი
განკარგულება წმ. გიორგის ხატის გადატანის შესახებ
სუჯუნის ეკლესიიდან მარტვილში. ამრიგად, გლეხთა გა-
შოსვლამ ხელი შეუშალა სამეგრელოს მმართველს ეკა-
ტერინეს განეხორციელებინა საეკლესიო გლეხების თა-
ვის უფლებაში გადასვლის გეგმა.

1855 წლის ოქბერვალში სუჯუნის საეკლესიო გლე-
ხობის გამოსვლა ატარებდა აშკარად გამოხატულ ანტი-
ფეოდალურ ხასიათს.

არსებითად, სამეგრელოს მმართველი ეკატერინე და-
დიანი ცდილობდა ხატის ადგილ-სამყოფელის გადანაცვ-
ლებით მისი ძალაუფლება დაემკვიდრებინა სუჯუნის
საეკლესიო ადგილ-მამულსა და გლეხებზე. მაგრამ საე-
კლესიო გლეხები, ისედაც მრავალრიცხოვანი გადასახა-
დებით დაუძლურებულნი, აჯანყდნენ ეკატერინე დადია-
ნის განზრახვის წინააღმდეგ, რადგან მათ იცოდნენ, რომ
ეს ფეოდალური ექსპლოტაციის გაძლიერებას მოას-
წავებდა.

გენერალ ბრიმერის პატაკი კავკასიის მეფისნაცვალ მურავიოვისადმი ეჭვს არ ტოვებს იმის შესახებ, რომ სუჯუნის გლეხები, აჯანყდნენ რა სუჯუნის ეკლესიიდან მარტვილში წმ. გიორგის ხატის გადატანის წინააღმდეგ, არსებითად პროტესტს გამოთქვამდნენ სამთავრო გლეხების კატეგორიაში გადასვლის გამო და, მაშასადამე, მასთან დაკავშირებული ფეოდალური ჩაგვრის გაძლიერების წინააღმდეგ. გენერალი ბრიმერი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ სწორედ უზომო ვალდებულებებით გლეხების დატვირთვამ, სამთავრო გლეხებად მათ გადაყვანასთან დაკავშირებით, გამოიწვია მათ მიერ უარის თქმა გადასახადის გადახდაზე და, საერთოდ, ხელისუფლებისადმი დამორჩილებაზე¹³.

გლეხობის ბრძოლა ბატონიუმობის წინააღმდეგ, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა XIX საუკუნის 40-50-იან წლებში სასაქონლო ფულადი ურთიერთობის გაცვითარებასთან დაკავშირებით, სავსებით არ ამოიწურება ზემოთ აღწერილი ამბებით. შეუპოვარ ბრძოლას, დაწყებული ურჩობის პასიური ფორმიდან ტერორისტულ აქტებამდე და მასობრივ გამოსვლებამდე, გლეხები ეწეოდნენ ამა თუ იმ სახით არა მარტო სამეგრელოს სამთავროს რვა მაზრაში, არამედ მთელ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

ასე მაგალითად, 1841 წ. გლეხთა აჯანყებამ იფეთქა გურიაში. 1842 წ. ქუთაისის მაზრაში აჯანყდნენ მება-

¹³ აქტები, ტ., XI გვ. 35. Рапорт генерала Бримера – „Домогательство кн. Дадиани присвоить монастырских крестьян села Суджуна и неповиновение последних“. ამის შესახებ იხ. Д. Лемонджава из истории крестьянского движения в Мегрелии в 40 – 50-х годах XIX века, 1955, стр. 42 – 43.

ტონე აბაშიძის ყმა გლეხები, ამავე წელს აჯანყების ალი დაინთო ქ. თელავში. 1843—1846 წწ. მასობრივი მღელვარებით იყო მოცული თბილისის გუბერნია, 1848 წ. ქუთაისის მაზრის სოფელ ზემოხეთში გლეხები აჯანყდნენ მებატონე კორძაიას წინააღმდეგ. 1852 წ. გლეხების გამოსვლას ჰქონდა აღგილი რაჭის მაზრაში, სოფ. კვაცხუთში. 1854 წელს აჯანყდა ხერთვისის უბნის 27 სოფლის გლეხობა, ამავე წელს მღელვარება მოხდა ქუთაისსა და შორაპანში. 1854-1856 წწ. გლეხთა ამბოხების ალი დაინთო ახალგვიჩესა და გორის მაზრებში. 1855 წელ — კახეთში. ცნობილია აგრეთვე 1840 წლის გლეხთა აჯანყება აფხაზეთის: უცილესობა, დალისა და კოდორის რაიონში იზმაილ ჭოპუას მეთაურობით.

50-იანი წლების მეორე ნახევარში გლეხობის ეს ბრძოლა სამეგრელოში ვაღაიზარდა გრანდიოზულ გლეხთა ომად, რომელსაც ცნობილი უტუ მიქავა მეთაურობდა.

საქართველოს გლეხობის ბრძოლას ბატონიშვილის წინააღმდეგ 40-50-იან წლებში, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოებდა სტიქიურად და ხშირად სრულიად არაორგანიზებულად — ცალკეულად, ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობა. გლეხობამ ვაღადგა ვარკვეული ნაბიჯები თავიანთი ძალების მობილიზაციისათვის ბატონიშვირი წყობილების წინააღმდეგ და, ამრიგად, შეიტანა თავისი წვლილი გლეხთა იმ მოძრაობაში, რომელმაც მოამზადა ნიაღაგი საქართველოში ბატონიშვირი წყობილების საფუძვლების შერყევისათვის.

თავი მესამე

თურქების შემოსევა და გლეხობის მდგომარეობის გაუარესება სამეგრელოში

1853 წლიდან რუსეთსა და თურქეთს შორის დაიწყო ომი, რომელიც ცნობილია აღმოსავლეთის ანუ ყირიმის ომის სახელწოდებით. რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ ინგლისი და საფრანგეთი. მოკავშირეთა 62-ათასიანი ჯარი დაიძრა სევასტოპოლისკენ. ეს სამხედრო ნავსადგური მტერმა ალყაში მოაქცია. დაიწყო სევასტოპოლის გმირული დაცვა. კავკასიის ფრონტზე რუსეთის არმიამ ყარსის გარნიზონს ალყა შემოარტყა. ბლოკადისაგან ყარსის ხსნისა და მთელი საქართველოს ოკუპაციის მიზნით თურქთა ჯარების მთავარსარდალი ომერ-ფაშა დაუინებით აყენებდა გეგმას საქართველოში დივერსიის მოწყობის შესახებ. ეს გეგმა მოწონებული ქნა და მას გადაეცა 40.000-ზე მეტი კაცისაგან შემდგარი არმია. მან 1854 წელს ყულევი დაიკავა, 1855 წლის სექტემბერს ბათუმში შეიჭრა, იმავე წლის ოქტომბერში ჯარი გადმოსხა სოხუმში, რომელიც თურქთა ლაშქრობის სადესანტო პუნქტად იყო შერჩეული. აქე-

დან მას შეტევა უნდა ეწარმოებინა ჯერ სამეგრელოსა, ხოლო შემდეგ ქუთაისსა და თბილისისაკენ!

ეს წარმოადგენდა წერდა მარქსი „ერთადერთ სტრატეგიულ იდეას, რომელიც ამ ომმა წარმოშვა. იგი ნიშნავდა ექსცენტრული პოზიციის დაკავებას გარემომცველი არმიის მიმართ—მუქარას თბილისისათვის, აზიაში რუსების ძალაუფლების ამ ცენტრალური პუნქტისათვის, მუქარას, რომელიც მურავიოვს აიძულებდა უკან დაეხია ყარსიდან იმის შიშით, რომ იგი მოწყვეტილი იქნებოდა ოპერატიული ბაზისა და საკომუნიკაციო ხაზებისაგან“².

1855 წლის 5 ოქტომბერს თურქთა ჯარების პირველი ეშელონი შტაბის უფროს ფერჭალ-ფაშის მეთაურობით სოსუმიდან ენგურისაკენ დაიძრა. თურქ დამპყრობელთა ვთავარი ძალები 22 ოქტომბერს შეიჭრნენ მდენგურის მარჯვენა სანაპირო სოფლებში — ჭუბურჩინჯში, დიხაზურგში, ფახულანში და სოფ. ოცარცესთან მიაღვნენ მდ. ენგურის ფონს³.

კავკასიის სარდლობისათვის ნათელი გახდა, რომ საომარი მოქმედების ასპარეზი სამეგრელო იქნებოდა, ამიტომ მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე დაიწყო ჯარების განლაგება. თავდაცვის სანაპირო ხაზი გაიშალა სოფ. ჯვარიდან მდ. ჭუმის შესართავამდე⁴, დაახლოებით 65 ვერსის მანძილზე იქმნებოდა თავდაცვისათვის სათანადო პირობები.

¹ აქტები, ტ. XI, გვ. 159.

² ქ. მარქსი და ფ. ენგელსი, იხ. ტ. X, გვ. 555.

³ აქტები, ტ. XI, გვ. 134.

⁴ იქვე გვ. 136.

ოცარცეს პირდაპირ, რუხთან, დაბანაკლენენ რუ-
სეთის ჯარები და. სამეგრელოს რაზმი გენერალ-მაიორ
გრიგოლ დადიანის მეთაურობით. გარდა ამისა, სამეგ-
რელოს ლაშქრის ერთ ნაწილს, რეგულარული ჯარის
ნაწილებთან ერთად, დაევალა სოფ. ლიის, ზუგდიდის,
ხეთისა და ხობის პოზიციების დაცვა. კანათის ფონი
უნდა დაეცვათ ოთხ ბატალიონს და ლეჩხუმელთა ცხე-
ნოსან რაზმს.

მთავარი ე. წ. ნარმანიების ფონი მდებარეობდა კა-
ხათიდან 1,5 ვერსის დაშორებით მდინარის ქვემო წელ-
ში. მისი დაცვა დაევალათ ბატალიონის მეთაურებს პო-
ლკოვნიკ იოსელიანს და პოლკოლკოვნიკ ზვანბას.

ნარმანიების ფონიდან ორი ვერსით დაშორებულ
სოფ. ქოჭთან მდებარე ფონის დაცვა მიენდო თავად
ურისთავს, რომლის განკარგულებაში იყო მესამე ბატა-
ლიონის ორი ასეული, კაზაკები და ქვემეხების ბატარე-
ია. ამ ჯარების საერთო მეთაურობა დაეკისრა გვარდიის
პოლკოვნიკ თავად შარვაშიძეს.

ჩამოყალიბდა სამურზაყანოს შეიარაღებული შილი-
ცია. აფხაზეთიდან სამეგრელოსაკენ მტრის მოძრაობის
დაბრკოლების მიზნით მოშალეს შარაგზები. მოწინააღმ-
დეგის მიერ ენგურის გადალახვის ცდის შემთხვევაში
საბერიოს მთებიდან უნდა დაერტყათ პარტიზანულ
რაზმებს.

მდ. ჯუმის შესართავიდან სოფელ რუხამდე განლა-
გებულ იქნა რეგულარული ჯარის რამდენიმე ბატალიო-

ნი, კაზაკთა რამდენიმე ასეული და საქართველოს სა-
ხალხო მილიციის 5000-ზე მეტი მებრძოლი.

ხორგასთან განლაგებული იყო ჯარის ნაწილების 2
შატალიონი ორი ქვემეხით და აღგილობრივი მილიცია,
რაზმის ამ შემადგენლობის მეთაურად დაინიშნა პოლ-
კოვნიკი ბიბიკოვი. ხეთასთან დაბანაკებულ იქნა
რამდენიმე ასეული, რომელთაც ევალებოდათ ხორ-
გის პოზიციასა და მდ. ენგურის მარცხენა ნაპირზე
განლაგებულ სამხედრო ძალებს შორის მოქმედების
უორდინაცია. ჭალადიდის უბანში სანაპირო პოზიციას
იცავდა საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალა, რომელიც
შეიძირალებული იყო ზარბაზნებით.

რიონის შესართავთან მდინარის მარცხენა ნაპირზე
განლაგლა იმერეთის მილიცია და ჯარის რამდენიმე ბა-
ტალიონი, ხოლო მისი მარჯვენა ნაპირის დაცვა დაევა-
ლა სამეგრელოს მილიციასა და აზოვის კაზაკებისაგან
შემდგარ რაზმს.

25 ოქტომბერს თურქთა ჯარებმა მანევრირება დაიწ-
ყეს, რათა მოწინააღმდეგისათვის გაუგებარი გაეხადათ,
თუ მდინარის რომელ ფონზე მიიტანდნენ იქრიშს. ბო-
ლოს, მოულოდნელად, ისკანდერ-ფაშას მეთაურობის
თურქთა ერთ-ერთმა კოლონამ ზარბაზნები დაუშინა
რუხის ციხესთან ჩასაფრებულ გენერალ-მაიორ გრი-
გოლ დაღიანის ჯარის ნაწილს და აქ გასვლა მოიწადინა.
რუხის ამ პოზიციისაკენ სასწრაფოდ გამოეშურა გური-
ის რაზმის უფროსი ბაგრატიონ-მუხრანსკი. მტერი
უკუქცეულ იქნა.

ც. ქ. ბოროვილინი ომერ-ფაშა სამეცნიეროში გვ. 282.

ამის შემდეგ, დასტოვა რა ამ პოზიციაზე ერთი ბრა-
გადა, ომერ-ფაშა ჯარის მთავარი ძალებით გაპყვა მდი-
ნარის ქვემო წელს და კოკის პოზიციას მიაღვა, ხოლო
ნარმანიების ფონთან მაღლობზე ჩასანგრდა ინგლისელი
პოლკოვნიკი ბალადი. თურქებმა ბუჩქებიდან გააჩა-
ლეს ცეცხლი და იერიში მიიტანეს მდინარის ფონზე.
მაგრამ დამპყრობთა ჯარების სამი იერიში მოგერიებულ
იქნა.

რვასაათიანი სისხლისმღვრელი ბრძოლისა და დიდი
ზარალის შემდეგ მტერმა შეძლო ერთი ეშელონის (14
ბატალიონის) მდინარეზე გადაყვანა. მდინარის მარცხე-
ნა ნაპირზე ხელჩართული ბრძოლა გაჩალდა. თითო ჯა-
რისკაცზე 11 თურქი მოდიოდა⁷.

მტერს ყველაზე ძვირად დაუჭდა ნარმანიების ფონ-
თან გასვლა. ამ ბრძოლაში გმირულად დაეცნენ პოლ-
კოლკოვნიკი ზვანბა და პოლკოვნიკი იოსელიანი. ცო-
ტა ხნის შემდეგ ბრძოლის ველიდან გაიყვანეს მძიმედ
დაჭრილი ოფიცერი ივინი, რომელიც რაზმს იოსელიანის
შემდეგ მეთაურობდა. ასევე სასიკვდილო ჭრილობა მი-
იღო ივინის შემცვლელმა კაპიტანმა კობოლევმა. ბრძო-
ლის ველზე დაცა პორუჩიკი რუბცევი, რომელიც კო-
ბოლევის შემდეგ მეთაურობდა. მტერს მამაცურად ერ-
კინებოდნენ 80 წლის მოხუცი პოდპოლკოვნიკი სიმონ
წერეთელი და სხვები. ენგურთან ბრძოლაში დაღუპულ
საძმო სასაფლაოზე აღმართულ ძეგლზე წარწერა ნა-
თელყოფს, როგორ გმირულად იცავდნენ ჩვენი წინაპ-
რები სამშობლოს.

⁷ ცსსა, თბილისი, ფონდი 1087, საქმე 444, ფურც. 2.

26 ოქტომბერს დილით, იმის შემდეგ, რაც ომერ-ფაშამ მთელი კორპუსი გადაიყვანა მდინარეზე, თურქები დარჩელის შაհაგზით ზუგდიდისაკენ გაემართნენ და იმავე დღეს დაიკავეს იგი⁸.

სამეგრელოში მოქმედმა მცირერიცხოვანმა ჭარმა, რომელიც გააფთრებული თავდაცვითი ბრძოლით ჰქან-ცავდა და ასუსტებდა მტერს, ბაგრატიონ-მუხრანსკის მითითებით უკან დაიხია, რადგან ვერ გაუძლო მტრის ჭარბ ძალებს.

ბაგრატიონ-მუხრანსკიმ თავისი რაზმით ხეთისაკენ დაიხია და ოჯ დაბანაკდა, გრიგოლ დადიანი კი რუხიდან მოიხსნა და ზემო სამეგრელოს გზით ჭაქვინჯში განლაგდა. ერთმა ნაწილმა აბასთუმნისკენ დაიხია.

მაგრამ სტრატეგიული პუნქტების გამაგრებისა და თავდაცვითი ზღუდეებიდან შეტევაზე გადასვლის საშუალებას მუხრანსკის არ აძლევდა მტრის ძალების უპირატესობა. ამიტომ ზურგში პარტიზანული ომით მტრის ცოცხალი ძალების მოქანცვისა და განაღვურების მიზნით მან გამაგრებული პოზიციებიდან მოხსნა ჭარები და უკან დაიხია⁹.

ბაგრატიონ-მუხრანსკი 6 ნოემბერს ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე დაბანაკდა, ხოლო გრიგოლ დადიანი — ხონში.

უკანდახევის დროს გზადაგზა ბაგრატიონ-მუხრანსკის ბრძანებით დასწევეს ხეთის, სორტისა და ტეხურის სასურსათო საწყობები, რათა ისინი მტერს ხელში არ

⁸ კ. დ. მაჭაგარიანი, გვ. 284—285.

⁹ ზმა, ფონდი 6, საქმე 113, ფ. 43.

ჩავარდნოდა. მოსპეს რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან დაგრძვილი მარაგი — 9169 ჩარექი ფქვილი, 1295 ჩარექი ორცხობილი, 373 ჩარექი ბურღული, 18000 ჩარექი მარცვლეული, ჯარისკაცების თბილი ტანსაცმელი, საინჟინრო ხელსაწყოები და სხვ¹⁰. ააფეთქეს ცხენისწყლის ხიდი, 29 ოქტომბერს ცეცხლი წაუკიდეს ნიჩბიან ხომალდებს; რომელთა გაყვანა ვერ მოასწრეს წყალცოტაობის გამო. გააფუჭეს გზები, მნიშვნელოვანი ხიდები და სხვ.

ოსმალთა ჯარები კალიასავით მოედო სამევრელოს, დაიწყო მცხოვრებთა რბევა-აწიოკება, რასაც მოსახლეობამ პარტიზანული ბრძოლით უპასუხა. ეს ნათლად ჩანს ეკატერინესადმი ომერ-ფაშას. წერილიდან: „ჩვენმა ჯარმა, სამევრელოში. შემოსვლისას; დაინახა, რომ აქაურ მკვიდრთა ერთ ნაწილს ხელში იარაღი აუღია, სხვები კი გაქცეულან და თავი გაუნებებიათ თავიანთი სახლ-კარისა და ქონებისათვის, რომელიც, თანახმად საერთაშორისო კანონებისა, სამხედრო ნადავლად უნდა ჩაითვალოს“¹¹.

იმერლებისაგან შემდგარი რაზმი ჩამოვიდა ხონში და განაცხადა: აწ უკან დახევა არ იქნებაო. რაზმელებს შორის ერთ-ერთმა პატრიოტმა, 80 წლის სიმონ წერეთელმა ჩაარჭო მიწაში თავისი კვერტხი და თქვა: „აქვე მოვკვდები, მაგრამ უკან არც ერთი ნაბიჯი“¹².

თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად მოსულმა.

¹⁰ აქტები, ტ. XI, გვ. 145, 153.

¹¹ პ. ბორობდინი, ომერ-ფაშა სამევრელოში გვ. 35.

¹² აქტები, ტ. XI, გვ. 145.

სამურზაყანოელებმა და სვანებმა განაცხადეს, რომ
თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში მუდამ ერთგულება
გამოუჩენიათ და ახლაც მზად არიან იბრძოლონ მტაცე-
ბელი მტრის წინააღმდეგ. ყალიბდებოდა პარტიზანული
რაზმები, სახალხო მილიცია.

პირველი სახალხო პარტიზანული ლაშქარი ხორგაში
შეიქმნა. იგი თანდათან ძლიერდება სხვადასხვა სოფლის
პარტიზანული რაზმებისაგან. „სამეგრელოში ყველგან
თავი წამოჰყო სახალხო ლაშქრობამ“¹³ — ვკითხულობთ
ერთ-ერთ პატაკში.

ასე ემზადებოდა და ირაზმებოდა ქართველი ხალხი
მტრის წინააღმდეგ შეტევისათვის, თავისი მიწა-წყლის
დასაცავად.

ომერ-ფაშამ ცრადალ იგრძნო ხალხის განწყობილება,
მიხვდა, რომ ანგარიშში მოტყუვდა და გეგმაც ეშლებო-
და. ამიტომ ეკატერინესთან მიწერ-მოწერა გამართა ზა-
ვის შესახებ.

ეკატერინე რუსეთის მთავრობის რჩევით უარზე
იდგა. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ საინტერესო საპასუხო
წერილს, რომლის ტექსტი გენ. კოლუბაკინს შეუდგენია.

წერილში ნათქვამია:

„ზრდილობა მავალებს გიპასუხოთ იმ წერილზე,
რომლის გამოგზავნა ჩემთან საჭიროდ დაგინახავთ...

თქვენ, გენერალო, სამეგრელოში იმ განზრახვით ჩა-
მოსულხართ, რომ ეს მხარე გახადოთ დამოუკიდებელი
რუსეთისაგან და ეს კი სწორედ ეწინააღმდეგება ჩემს
სურვილებს და, ჩემის აზრით, ჩემს ქვეყანასაც სულ სხვა

¹³ აქტები, ტ. XI, გვ. 136.

სჭირია. რაკი დამოუკიდებელი ვიქნებოდი, აუცილებლად ჩემთვის საჭირო გახდებოდა მფარველობა მეთხოვა სამ სახელმწიფოთაგან ერთ-ერთისათვის. ახლა მოგახსენებთ, რატომ არ მსურს არცერთი მათგანისაგან მფარველობა.

ოსმალეთი ვერც კი იფიქრებს სხვა დაიფაროს, რადგან თვითონ მას სხვა პატჩონობს ლა უნდა გამოვიტყვეთ, რომ არც ისეთი სახარბული პატრონი გააჩნია.

ახირებულობა იქნებოდა საფრანგეთის მფარველობა. იმ შემთხვევითი სახელმწიფოსი, რომელსაც დღეს თუ არა ხვალ ბოლო მოეღება.

თქვენ თვითონ არ მირჩევდით, გენერალო, ინგლისისათვის მეთხოვა მფარველობა, რადგან თქვენ უკეთესად მოგეხსენებათ, რომ ყველა ხალხი, რომელსაც წილად ხვდა ინგლისის მფარველობა: ინდოელები, ჩინელები, იონელები ან დამონავთნენ, ან დამახინჯდნენ გონებით, ან გაჩენას იწყევლიან.

ბოლოს არც იმას მოგახსენებთ, რომ სამივე სახელმწიფოს მფარველობა ერთად მინდოდეს, რათა ამით დაცინვის საბაბი არ მოგეცეთ...¹⁴.

ნოემბრის მეორე ნახევარში თურქთა ჯარებმა უკვე ცხენისშეყლამდე მიაღწიეს და მარჯვენა ნაპირზე გაშლილი ფრონტით დაბანაკებულნი მდინარეზე გასასვლელად ცმზადებოდნენ. ამ ხნის განმავლობაში ომერ-ფაშა დაზვერვას აწარმოებდა და ებრძოდა პარტიზანულ რაზმებს.

¹⁴ Колюбакина А. А., Воспоминания, Ж. „Исторический Вестник“, ноябрь, 1894, გვ. 403 — 404.

ამ დროს ომერ-ფაშამ მოულოდნელად შეცვალა შეტევითი გეგმა და ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირიდან დაიწყო უკან დახევა ყულევის მიმართულებით¹⁵. ეს იმით იყო გამოწვეული; რომ 20 ნოემბერს მან ცნობა მიიღო ყარსის დაცვის შესახებ. ამგვარად, ყარსის დაცვემამ ჩაშალა მისი დივერსიული შეტევითი გეგმა. ამის შესახებ მარქსი წერდა, რომ „სამეგრელოს ექსპედიციას, არა მარტო უნდა გადაერჩინა ყარსი, არამედ შეექმნა პირობებიც საყოველთაო შეტევითი ტაქტიკისათვის და ამრიგად მიეღწია ომში შესაძლებელი ყველაზე დიდი უპირატესობისათვის¹⁶. როგორც ვხედავთ ომერ-ფაშამ შერც ყარსი იხსნა და ვერც დაპყრობითი გეგმა განატონიერდა.

ომერ-ფაშას ჯარების ყულევისაკენ დახევისთანავე ბაგრატიონ-მუხრანსკიმ სასწრაფოდ გაღმოლახა მღინარე ცხენისწყალი, რათა დახმარება გაეწია პარტიზანული რაზმებისათვის, რომლებიც გაქცეული მტრის დასუსტებულ არმიას დიდ ზარალს აყენებდნენ და არ აძლევდნენ საშუალებას სურსათით მომარაგებულიყო¹⁷, წერდა მარქსი თურქთა ჯარების წინააღმდეგ სამეგრელოში შექმნილი ვითარების შესახებ.

27 ნოემბერს სალამოს პოლკოვნიკმა შარვაშიძემ მილიციოთა და კაზაკებით ბრძოლა გაუმართა სოფელ სეფიეთში საალაფოდ ჩამოსულ თურქთა უკუქცეულ ცხენისან ჯარს; რომელსაც ბრძოლის პროცესში დაეხმარა

¹⁵ ცსსა, თბილისი, ფონ ზი 1087, საქმე, 444, ფურც 4, იხ. აქტები 83. 129.

¹⁶ ქ. მარქსი და ფ. ენგელსი, ტ. X; გ3. 555.

¹⁷ იქვე, გ3. 591.

თურქთა ქვეითი ჯარი. ბრძოლა ორ საათს გაგრძელდა. დიდი ზარალით უკუგდებული მტერი აბაშით მიმავალ თურქთა ძალებისაკენ გაემართა.

იმავე საღამოს შტაბს-როტმისტრმა მიქელაძემ ტყი-დან თოფები დაუშინა მდინარე აბაშის მარცხენა ნაპირ-ზე დაბანაკებულ თურქთა ჯარების არიერგარდს. პანიკით მოცული თურქთა ეს ნაწილები იძულებული იქნენ მარჯვენა ნაპირისათვის შეეფარებინათ თავი.

28 ნოემბერს გვარდიის პოლკოვნიკმა შარვაშიძემ ცნობა მიიღო, რომ ისკანდერ-ფაშა მოსახლეობისაგან სურსათ-სანოვაგის დატაცებისა და თურქი ჯარისკაცის შეკლების ძებნის მიზეზით სენაკში ჩავიდა. მან თურქთა წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გაგზავნა იმერეთის ცხენო-სანი მილიციისა და კაზაკების მეთაური მაიორი სიმონ წულუკიძე, რომელმაც ისკანდერ-ფაშა აიძულა სენაკი-დან გაქცეულიყო, ხოლო თურქთა ჯარისკაცებს ბაზარ-ში სურსათისა და ნივთების დატაცების საშუალება არ მისცა — ნაწილი ამოხოცა, ნაწილი გააქცია და ნაწილი კი ტყვედ წამოიყვანა¹⁸. გაქცეული თურქები ჩასაფრდნენ სენაკის გარეუბნის ერთ-ერთ სახლში და იქიდან ატეხეს ზარბაზნის სროლა. ამ ბრძოლაში მოწინააღმდეგ გემ 20 ჯარისკაცი დაკარგა. წულუკიძის რაზმიდან კი დაიღუპა მხოლოდ ერთი მილიციელი.

იმავე დღეს გათენებისას სამეგრელოს მხხალისეთა რაზმი შტაბს-კაპიტან ალექსი ჩიქოვანისა და ალექსანდ-რე ფალავას მეთაურობით თავს დაესხა მტრის ერთ-ერთ საგუშავოს. თურქებმა საგუშავო დატოვეს. 29 ნოემ-

ბერს სოფელ სახარბედიოს მოსახლეობაშ უკუქცეულ
თურქებს ხიდი აუფეთქა¹⁹.

1 დეკემბერს კაზაკები და მოხალისეთა რაზმი მოუ-
ლოდნელად თავს დაესხნენ მდ. ცივის მარცხენა ნაპირ-
ზე დაბანაკებულ თურქთა არიერგარდს. ხიდის აფეთ-
ქებისა და დიდი ზარალის შემდეგ თურქებმა დატოვეს
მდინარის მარცხენა ნაპირი. სენაკთან დაბანაკებულ
ომერ-ფაშას შტაბს ცხენოსანი მილიციით შეუტია გე-
ნერალ-მაიორმა გრიგოლ დადიანმა, რათა გზა გადაეღო-
ბა თურქებისათვის და ტყვედ. ჩაეგდო მათი მთავარ-
სარდალი. ეს ასეც მოხდებოდა, რომ ამის შესახებ ომერ-
ფაშა წინასწარ არ გაეფრთხილებინა ერთ-ერთ მოღა-
ლატეს.

2 დეკემბერს 260 კაცისაგან შემდგარი ცხენო-
სანი რაზმით გრიგოლ დადიანმა სწრაფად გაიარა 75
ცერსი და 3 დეკემბერს, დილის 5 საათსა და 30 წუთზე,
შეიჭრა ზუგდიდში ოთხი მიმართულებით. მოულოდნე-
ლი დარტყმით თავზარდაცემული თურქების ნაწილი
ამოხოცა, ნაწილი კი ტყვედ ჩაიგდო. 4 საათის ბრძოლის
შემდეგ ზუგდიდი გაწმენდილ იქნა²⁰. მტრისაგან. ბრძო-
ლის ველზე დარჩა 150 მოკლული თურქი, ხოლო
ტყვედ წამოყვანილთა შორის იყვნენ 3 ოფიცერი და
32 ჯარისკაცი. დაღიანს ნადავლად დარჩა დიდიალი ია-
რალი, ცხენები და სხვა ქონება. გრიგოლ დადიანის რაზ-
მიღან დაიღუპა გიორგი ხაბურჩანია და კიპა ფაუავა.

¹⁹ აქტები, ტ. XI, გვ. 190.

²⁰ იქვე.

ამის შემდეგ გენერალ-მაიორი გრიგოლ დადიანი ჭა-
ქვინჯისაკენ გაიჭრა.

6 დეკემბერს გენერალ-მაიორმა ბაგრატიონ-მუხრანს-
კიმ დაიკავა ქვალონსა და ხობს შორის, შარაგზის ჩრდი-
ლოეთით მდებარე ტყიანი მაღლობი, რათა თურქებისა-
თვის საშუალება არ მიეცა ახლომახლო სოფლებიდან
სურსათის დატაცებისა. ამასთან ერთად მისი მიზანი იყო
თურქებს იძულებით გადაეხვიათ შარაგზიდან და ჭა-
ბიანი ტყით წასულიყვნენ ყულევისაკენ. ეს კი კატა-
ტროფის წინაშე აყენებდა თურქების არმიას.

ამგვარად, ზურგში და ფლანგებზე სწრაფი დარტყ-
მით მიერკებოდნენ თურქების არმიას და არ აძლევდ-
ნენ შესვენების საშუალებას. მორალურად და რიცხვობ-
რივად ჯაუძლურებულმა ომერ-ფაშას არმიამ თავს
უშველა ყულევის ნავსაღგურიდან გაქცევით და სამეგ-
რელო 1856 წლის თებერვალში სავსებით განთავი-
სუფლდა მტაცებლური მტრის არმიის თარეშისაგან.

გმირული, თავდადებული ბრძოლების შედეგად თუ-
რქები განდევნილ იქნენ, მაგრამ ომმა გააჩანაგა სამეგ-
რელოს მოსახლეობა²¹.

ისკანდერ-ფაშამ ზუგდიდი გადასწვა. სასახლიდან,
დაწვის წინ, გაზიდა 20000 მანეთად ღირებული ავეჯე-
ულობა და ძვირფასი ნივთები. ძირფესვიანად აჩეხა
ზუგდიდის ბალი, ხოლო იშვიაჯა მცენარეები მებაღი-
თურთ ყულევიდან თურქეთში გადაგზავნა.

სხვა შენობათა შორის დაიწვა ზუგდიდის აბრეშუმის
ძალასახვევი ფაბრიკა. მართალია, ფრანგმა კომერსანტმა

²¹ პ. ბორობდინი, ომერ-ბაშა სამეგრელოში, გვ. 3

როგორდიუქმა ზარალი აინაზღაურა (15.000 მანეთი მიიღო), მაგრამ სამეგრელოს ეს შნიშვნელოვანი საწარმო განადგურდა.

ომიანობის მთელი სიმძიმე მშრომელ მოსახლეობას დააწვა კისერზე. ცხოვრება აუტანელი გახდა, დაქვეითდა ვაჭრობა, წარმოება, დაეცა მეურნეობა, შეწყდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარება, მოიშალა საბაზრო²² ურთიერთობა (როგორც საშინაო, ისე საგარეო) დაეცა ფულის კურსი. მაგალითად, ზუგდიდის კრომა წვრილმა ვაჭარმა ასმანეთიანა ქალალდის ფული იყიდა ხუთ მანეთიანი ლითონის ფულით.

ყულევის, ანაკლიის, ზუგდიდის, სენაკისა და სამეგრელოს სხვა მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრები ომერთაშია ჯარებმა ააოხრეს და გადასწვეს.

„ოსმალთა მხედრობა გამოვიდა მინგრელიაშიდ და სანუგეშო ჩვენი ზუგდიდის დუქნები დაწვეს, სენაკის მოსახლეობა ჩვენი ააოხრეს და ერთის სიტყვით უსაშველოდ დაგვარჩინეს“ — ამბობს ზუდრდისა და სენაკის მოვაჭრე ალექსი ქავთარაძე²³. ამ საბუთიდან ნათლად ჩანს, რომ ზუგდიდის დუქნები თურქებს მთლიანად გადაუწვავთ, ხოლო სენაკის მოსახლეობა აუწიო კებიათ. ასევე ჩივიან ზუგდიდის ვაჭრები — გიორგი შუშანია, ფეხსაცმლის სამკერვალო სახელოსნო დუქნის პატრონი გიორგი ბერიძე და სხვები იმ ზარალის გამო, რაც მათ განიცადეს თურქებისაგან.

²² Р. Эристов, ж. Кавказская старина, № 3, 1873.

²³ ზმა, ფონდი 3, საქმე 4373, ფურც. 18—21

თურქების მიერ ოჯახების აწიოკება და რბევა, ქალაქების აოხრება, სავაჭრო საქონლისა და ნივთების დატაცება ჩვეულებრივი მოვლენა იყო ოსმალთა სახლ-დღობისათვის. „გაიხსნა ჩხუბი ხელმწიფეთა შორის და მხედარი ოსმალთა შემოვიდა მინგრელიაშიდ იმ შემთხვევაში შემოსავალი ქალაქისა უმეტესი ნაწილი გაუქმდნენ, ხოლო სავაჭრო საქონელი ჩვენი დროსა სენაკის ქალაქში ოსმალთ შესვლისას რაოდენი ნაწილი დაიკარგა...“ როდესაც ცოლშვილი წავიყვანე სახიზნოთ გარეშე სოფელში მაშვინ შეესიენ ჩემს ოჯახს და ორას თუმნის საქონელი დაიტაცეს, ხოლო ხონის ქალაქში გარდატანილი საქონელი ჩემი ვიდრე ოთხას თუმნამდის... დავრჩი მე სრულიად ცალიერი“²⁴. ამ საბუთში აშკარად ჩანს, თუ როგორ ავაზაკურად იტაცებდნენ გახიზნულთა დოვლათს თურქი ჯარისკაცები.

1855 წლის ოქტომბრიდან ოსმალთა ჯარების თარეშის დროს სენაკში დარბეულ იქნა 300 სახლი, თეკლათში — 200. ზუგდიდის მაზრაში აოხრებულ იქნა 22 სოფელი. მარტო ანაკლიასა და ყულევში თურქებმა გადაწვეს 100.000 მანეთის ღირებული სავაჭრო ნაგებობანი, რომლებიც ყოველწლიურად 40000 მანეთის შემოსავალს იძლეოდა²⁵.

ოსმალთა ჯარების უკანდახევის დროს განსაკუთრებით დაუნდობელი რბევა განიცადა (დეკემბრიდან იანვრის ბოლომდე) ქვალონის მაღლობიდან ნაბადა-ყულევამდე მდებარე სოფლებმა.

²⁴ ზმა, ფონდი 3, საქმე 4373, ფურც. 3.

²⁵ აქტები, ტ. XI, გვ. 148 ეკატერინე დადიანის წერილი ბებუთოვისადმი. მ. დუმბაძე, დისერტ. სამეგრელოს სამთავრო 1803 — 1857 წ.

თურქების შემოსევა უდიდესი უბეღურება გახდა მოსახლეობისათვის. ამას გამოხატავს ერთი ხალხური ლექსიც: „რა ვქნა, შვილო, ნანა, თურქები არ გვაყენებენ, კაცს ყველაფერს წაართმევენ მერე კი ჩამოახრიობენ“²⁶.

ომერ-ფაშისა და მისი ჯარების სამეგრელოდან განდევნის შემდეგ გლეხების აწიოკებას ხელი მიჰყო თავადაზნაურობამ. თითოეული მებატონე ცდილობდა ომისაგან მიყენებული ზარალი აენაზლაურებინა მშრომელთა არააღამიანური ექსპლოატაციით.

1856 წლის 23 მარტს ეკატერინემ სახლთუხუცესი დავით ჩიქოვანს უბრაასა დაუყოვნებლივ შეემოწმებინა სამთავრო მამულები და განედევნა იქიდან ის გლეხები, რომლებსაც თვითნებურად დაემუშავებინათ სამთავრო მიწები²⁷. „გაძლევთ რა თქვენ უფლებასა ქმნათ ამა საგანზედ ყოველი საჭირო თქვენის მხრით განკარგულება ვითარეთ კუმახლობლესმან მოვალემან და მზრუნველმან მთავრის საკუთრების დაცვისამან; მე აღუსრულებლობისათვის ამა ჩემის ბრძანებისა შემდგომად ამისა მოვითხოვ თქვენგან ოდენ პასუხსაცა და აღვსებასაცა ზიანისასა“...²⁸.

ერთი თვის შემდეგ, 1856 წლის 23 აპრილს, სახლთუხუცეს დ. ჩიქოვანს მიეცა შემდეგი დავალება: „გაცნობებთ თქვენს ბრწყინვალებას, რომელ დასაცველად

²⁶ ი. ყიფშიძე, გვ. 138.

²⁷ ზმა, ფონდი 3, საქმე 4351, ფურც. 1.

²⁸ იქვე, ფურც. 1.

სამენგრელოს მთავრის სახლის საკუთვნელთა ტყეთა და აღგილმამულთა უფლებით თქვენდა მინიჭებულთა დაიცვათ შეუხებლად ვისმესაგან ესრეთ ვითარც ეგე-შებოლნენ ვიდრე აქომამდე და რათამცა ყოველი შემა-ხები მათი ანუ უწესოდ მათ შინა შემოსული განდევ-ნოთ და გააყენოთ უკანონოსაგან დაფლობისა საკუთ-რითაცა თქუენითა ღონითა და ძალითაცა, რომელისაც თქვენ საჭიროდ პპოებთ მხრისაგან აღგილობითა სა-ქვეყნოთა უფლებათა ამისათვის მე მოგანდობთ თქვენ-თან დასწრებითა თქვენის თანაშემწისათა და ადგილო-ბითის მაზრის მდივანბეგთა და იაროთ აწივე ყოველ თქვენ მიერ აღწერილი საკუთრება მთავრის სახლისა და მათგანითა“²⁹.

სახლთუსუცესი დ. ჩიქოვანი დაუყოვნებლივ შეუდ-გა ეკატერინე დადიანის დავალების შესრულებას და დარწყო სამთავრო მამულების მოწესრიგება, გლეხე-ბის მიერ დამუშავებული ყანების ჩამორთმევა და მა-თი აურა აღგილებიდან.

სახლთუსუცეს დ. ჩიქოვანისა და სამთავრო მოხე-ლების მიერ აწიოკებული ზუბის მაზრის ქვალონის სა-ბატონო ყმები თირქიები აი რას წერენ ეკატერინესადმი განცხადებაში: „უბედურ შემთხვევასა ვიმყოფებით ჩვენ ერთიან მდაბალნი ხალხნი წრეულს შემთხვევისა შინა ურჯულოსაგან და დახისნული ვიყავით ცოლშვი-ლით ტყეშიდ, სადაცა გუქონდა მამაპაპით საცხოვრე-ბელი ტყე პირუტყვის საძოურათ და ხესახმარათ და რადგან ურჯულომუ დაგვაოხრა სადაცა ჩვენ მდგომა-

²⁹ ზმა, ფონზი 3, საქმე 4351 ფურც. 2.

რეობა და მოსახლეობა და საყანები გუქონდათ გზის
მახლობლად თვით ლაგირი ქონდათ თათრებს და წრე-
ულს სულ არ მოველოდით მტრის გამოსვლას, საღაც
მდგომარეობა გუქონდათ იქ ყოფნას... საღაცა ღახიშ-
ნულ ვიყავით ტყეშიდ ხუთი კომლამდე ყანა დავამუ-
შავეთ საზრდო და სიმინდი გახლავს სამარგელი იმ
ადგილზედ მობრზანდა სახლთუხუცესი თავ. დავით
ჩიქოვანი... ვითომც სამთავრო ტყედ ინიშვნიდეს ის
ადგილი და დაგვიკავეს სამარგლი და ნაშენობაც აგვი-
ყარეს და გამოგვეცხადა სახლთუხუცესისა და ჩვენის
ნაჩალნიკისაგან არ უნდა შევეხოთ გასამარგლვად სი-
მინდს... რამ უნდა გვარჩინოს ხუთი კომლი კაცი ის
ნამუშევარი თუ ჩამოგვერთვა, მივიღტვით ცრემლითა
არ დაგვხოცოთ შიმშილით მომავალი წლისათვის წრე-
ულს არ შეგვრჩენია რა ურჯულოსაგან და რამ. უნდა
გვარჩინოს ის ნამუშევარი თუ ჩამოგვერთვა, დაგვა-
ნებეთ სამარგლად“³⁰.

გლეხებისათვის ანგარიშის გაწევის ნაცვლად გულ-
მოსული-დედოფალი აწესებს ახალ გადასახადებს ნა-
ტურით და ამის შესახებ იგი 21 მაისს ავალებს სახლთ-
უხუცეს დავით ჩიქოვანს შემდეგს: „თავის უფლებით
შესულან გლეხები სამთავრო ტყეშიდ და მოუგიათ
სრული მოსახლეობა თუმცალა დასასჭელ იყვნენ... და
მოგიწერთ წელს დამუშავებული ყანებნი დააწეროთ
კოდს ქვეშ... გაისათვის ვინც ამგვარს თვისის უფლე-

³⁰ ზმა, ფონდი 3, საქმე 4391, ფურც. 9.

ბით გამედავს მაზედ თქვენ იქნებით ჩემს წინაშე. პასუხის მგებელი“³¹.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ზუგდიდუში და სხვა მაზრებშიც. იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ რა აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა ეკატერინე დადიანმა გლეხობა ომის შემდეგ, გავეცნოთ ზუგდიდის მაზრის ალერტკარის შცხოვრები ყმების ჭურღულიების საჩივარს: „მამაპაპით ვცხოვრობდით უჩაშონის ადგილს და დღესაცა ზედ გვაქვს მდგომარეობა და მკვიდრეობა საყანვაჯ ადგილს ყანა გავაკეთეთ და რაოდენიმე დათესილია, და ამჟამად დაგვიკავდა დათესილი რომელიც არის, სამარგელია და ფუჭდება დათესილი დაუქმებული ვართ, და გარდა მაგისა სხვა არავითარი ღონე გვაქვს სამუშაო ადგილისა და სახუცის ბრძანებით ჭაქვინჯის მოხელენისაგან იქმნა დავალება რომლისათვის უმორჩილესად გთხოვთ ჩვენ ამჟამად დაუქმებული გლეხნი დამუშავებული ადგილი დაგვნებდეს თქვენი ბრძანებით წელს... მოწყალებას ნუ მოგვაქლებთ და ჩვენი ცოლშვილის სამწუხარო ტირილსა ნუ ჩაგვაგდებთ ისრენის სამარგელი ყანების წართმევისათვის“³².

ამ საჩივრის შესახებ 26 მაისს ეკატერინე დ. ჩიქოვანს სწერს: „ნება მიეცით ამ წელს მუშაობის წარმოე-

³¹ ზმა, ფონდი 3, საქმე 4391, ფურც. 14.

³² იქვე, საქმე 4351, ფურც. 2.

ბისათვის იმ ადგილებზედ ჯერონის კოდს ქვეშ და შემდეგისათვის ზოგად აღეკრძალოს ესე ვითარი”³³.

ასევე საჩივარს აცხადებდნენ მებატონე აფაქიძეებისაგან შევიწროებული სამთავრო ყმები — ფიფიძი³⁴ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ომის შედეგად გლეხებსა და მებატონეებს შორის დამოკიდებულება უფრო გამწვავდა. თურქების თარეშისაგან დარბეულ-გაჩანაგებული გლეხები, რომლებმაც თავი დააღწიეს ფიზიკურ განადგურებას; საარსებო წყაროს ეძებდნენ. ტყეებში გახიზნულნი საძოვარ მიწებს ფარულად ყანებად ამუშავებდნენ და ხშირ შემთხვევაში იქვე სახლდებოდნენ, რადგან წინანდელ სამოსახლო აღგილებში თურქთა ჭარები იყო დაბანაკებული. „სადაც დახიზნული იყვნენ ტყეშიდ იქ დაამუშავეს საზრდო ყანები“³⁵ — ვკითხულობთ ზუგდიდის არქივში დაცულ საბუთებში. მაგრამ გლეხობის ოფლით შექმნილ დოვლათს სამთავრო სახლის უსაქმური ხროვა და თავადაზნაურობა დაეპატრონა. ომერ-ფაშის ჭარების შემოსევისაგან დაზარალებული და ეკონომიურად წელში გაწყვეტილი თავადაზნაურობა უფრო მძიმე ტვირთად დაწვა მშრომელ გლეხობას.

33 ზმნა, ფონდი 3, საქმე 4391, ფურც. 15

34 იქვე, საქმე 4356, ფურც. 9.

35 იქვე, საქმე 4391, ფურც. 12.

თავი გეოთხე გლეხოა შეიარაღებული აჭანყება

1. აჭანყების პირველი პერიოდი

1855 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I, ტახტზე ავიდა მისი შვილი ალექსანდრე II, ამ დროს ყირიმის ომიც დამთავრდა და ომის მონაწილე სახელმწიფოებმა 1856 წლის 18 მარტს პარიზში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას.

1856 წლის 26 აგვისტოს მოსკოვში დაინიშნა ალექსანდრე II მეფედ კურთხევა, რომლის ცერემონიალზე მოწვეული იყო სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანიც. სამეგრელოში არყოფნის პერიოდში მან დაროებით მართვა-გამგეობა, განსაკუთრებული ინსტრუქციით, ჩააბარა თავის მაჟლს; სამეგრელოს საბჭოს წევრს გრ. დადიანს.

ინსტრუქციის შემუშავება ეკატერინემ დაავალა სამთავრო კანცელარიის მდივანს ირ. ლორთქიფანიძეს, რომელსაც სამეგრელოს ტალეირანს უწოდებდნენ. ამ უკანასკნელმა, გამოიყენა რა თავისი ღიპლომატიური უნარი, ეკატერინეს უშუალო დავალებით ინსტრუქცია

ისე შეადგინა, რომ გრიგოლს მართვა-გამგეობის საქ-
მეში დამოუკიდებლად მოქმედების ინიციატივა სრუ-
ლებით ერთმეოდა, ხოლო მთავრის ქონების მართვის
საქმეში ჩარევის უფლება კი მისი ფუნქციიდან სავსე-
ბით გამორჩიული იყო. გრიგოლის უმცროსი ძმა კონ-
სტანტინე დადიანი კი, რომელსაც ბოქაულთუხუცესის
თანამდებობა ეჭირა, მმართველობის საქმეში ინარჩუ-
ნებდა მოქმედების უფრო მეტ დამოუკიდებლობას,
ვიდრე გრიგოლი. ხოლო დამოუკიდებლად მოქმედების
ორივეზე მეტი უპირატესობა ენიჭებოდა სახლთუხუ-
ცეს დავით ჩიქოვანს, რომელსაც უფლება ჰქონდა არ-
სებითად არ დამორჩილებოდა არც ერთს და არც მეო-
რეს, თუ ამას ის საჭიროდ დაინახავდა.

მთავრის კარზე განდიდებულ და გრიგოლ დადიან-
თან შედარებით უფლებამოსილს თავად დავით ჩიქო-
ვანს, როგორც სახლთუხუცესს, დედოფალი ავალებდა
რაც შეიძლება უფრო ენერგიულად ეზრუნა მთავრის
მეურნეობის აღდგენისათვის, რომელიც მოშლილი იყო
თურქებთან ომის შედეგად.

გარდა ამისა, სახლთუხუცესის მოვალეობას შეად-
გენდა დაუყოვნებლივ, მთელი სიმკაცრით, მოსახლეო-
ბისაგან აეკრიფთა სამთავრო გადასახადებიდან დარჩე-
ნილი დავალიანებები დ 1856 წლის სხვა გადასახადები.

ვინაიდან ზუგდიდის სასახლე ისკანდერ-ფაშამ დასწ-
ვა და მისი აღდგენა არც თუ ისე ჩქარა შეიძლებოდა,
ეკატერინემ დავით ჩიქოვანს განსაკუთრებით დაავალა
სალხინოს სასახლის შეკეთება.

მაგრამ ეკატერინემ ვერ გაითვალისწინა ვერც ფეო-დალურ ზედაფენაში არსებული შუღლი და ვერც ომის შედეგად მშრომელი გლეხობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. ამ მხრივ იგი მებატონის სულისკვეთებას უფრო გამოხატავდა, ვიდრე მმართველისას¹. მმართველობის საკითხში ამჯერად ეს იყო მისი პოლიტიკური სიბეჭდი.

ეკატერინე, ალექსანდრე II მეფედ კურთხევაზე ზე-იმში მონაწილეობის მისაღებად 1856 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში ყულევიდან მოსკოვს გაემგზავრა. მას ახლდნენ შვილები ნიკო და სალომე, მისი და ნინო ჭავჭავაძე — ა. გრიბოედოვის ქვრივი. თანმხლებ ამა-ლაში შედიოდნენ: პეტრე ნიკოლოზის-ძე დადიანი, ნიკო მხეიძე, ირ. ლორთქითანიძე და სხვა რჩეული ახალ-გაზრდა თავადი შვილები.

საგანგებო ზეიმზე მოწვეულ სამეგრელოს დედოფალსა და მის შვილებს დიდი ყურადღებით შეხვდნენ რუსეთის იმპერატორი, დედოფალი და რუსეთის იმპე-რატორის კარის არისტოკრატია. ეკატერინე მაშინ 37 წლის იყო, მაგრამ მან თავისი სილამაზით განაცვითრა რუსეთის თავადაზნაურობა. მეფედ კურთხევაზე მას, როგორც სამეგრელოს დედოფალს, ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეჭირა.

იმპერატორმა ალექსანდრე II თურქების წინააღმდეგ ამში მონაწილეობისათვის ეკატერინე დააჯილდოვა საბრძოლო მედლით. მთავრის მემკვიდრემ, ათი

¹ ცსსა, თბილისი, ძევს საბუთთა განყოფილების ფონდი 1462, ყდა 2, ფურც. 58.

წლის ნიკო დადიანმა, იმპერატორისაგან მიიღო ფლი-
გელ-ადიუტანტობა, ხოლო სალომემ — სეფე ქალობა.

მეფეზ კურთხევის შემდეგ ალექსანდრე II ეკატე-
რინე დადიანი მიიპატიუა პეტერბურგს, სადაც მან გაა-
ტარა მთელი ზამთარი და 1857 წლის გაზაფხული. დე-
დოფალი აქ განცხრომაში ატარებდა დღეებს და ოდნა-
ვადაც არ ფიქრობდა სამთავრო საქმეებზე.

ამ დროს მთავრის სახლუხუცესი დავით ჩიქოვანი
და სამეგრელოს თავადაზნაურობა ყმა გლეხობის არა-
ადამიანური ექსპლოატაციით ცდილობდნენ ომისაგან
შერყეული საბატონო მეურნეობის აღდგენასა და მიყე-
ნებული ზარალის ანაზღაურებას. ეს ხდებოდა უფ-
რო მეტი თავაშვებულობით ვიდრე ოდესმე. ამ დროი-
სათვის დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ სამეგ-
რელოს მმართველ წრეებში არსებული შუღლითა და
კინკლაობით სარგებლობდნენ უფრო დაბალი მოხელე-
ები და თავადაზნაურები, რომლებიც უკანასკნელ ლუკ-
მა-პურს ართმევდნენ გლეხობას. ეს კი მშრომელი მა-
სებისათვის უკიდურესად მძიმე ეკონომიურ მდგომარე-
ობას ქმნიდა.

სამეგრელოს ტერიტორიაზე თურქთა ჯარების თა-
რეშის დროს თავადაზნაურებისაგან ისედაც შევიწროე-
ბული მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური მდგომა-
რეობა მეტად მძიმე გახდა, რაღაც ომისათვის საჭირო
ხარჯებს გლეხებისაგან იღებდნენ. ცხადია, ასეთ პირო-
ბებში გლეხობა ვერ იხდიდა მთლიანად საბატონო გა-
დასახადებსა და ომისაგან გამოწვეულ ხარჯებს; ამიტომ
იზრდებოდა დავალიანება. ამ მხრივ განსაკუთრებით

მძიმე მდგომარეობაში იყვნენ საბატონო და სამთავრო გლეხები.

ასე მაგალითად, 1856 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ჭაქვინჯის 202 კომლი სამთავრო ყმების (ფულზე გადაყვანით) დავალიანება უღრიდა 709 მანეთს, სოფელ კირცხის 29 კომლის — 172 მანეთს, სოფელ კოკის 44 კომლის — 172 მანეთსა და 60 კაპიკს, სოფელ ხეთის 64 კომლის — 227 მანეთს, სოფელ ხორგის 128 კომლის — 393 მანეთსა და 10 კაპიკს, სოფელ სალიპარტიანოს 175 კომლის — 270 მანეთსა და 80 კაპიკს². ასე რომ, თითოეულ კომლზე დავალიანების თანხა საშუალოდ უღრიდა სამიდან ოთხ მანეთს, რაც იმ დროისათვის დიდი თანხა იყო.

1857 წელს იმავე სოფლებიდან აუკრეფლად დარჩენილი იყო წინა წლის დავალიანება: ჭაქვინჯიდან — 674 მანეთი, კირცხიდან — 183 მანეთი, კოკიდან — 172 მანეთი და 60 კაპიკი, ხეთიდან — 314 მანეთი და 10 კაპიკი, ხორგიდან — 393 მანეთი, ზუგდიდიდან — 687 მანეთი, სალიპარტიანოდან — 380 მანეთი და 20 კაპიკი.

კაშახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ 1856 წელთან შედარებით 1857 წელს ასაკრეფი გადასახადებიდან დარჩენილი დავალიანება გაიზარდა. მაგალითად, 1856 წელს ლესიჭინის დავალიანება 101 მანეთისა და 27 კაპიკს უღრიდა, ხოლო 1857 წელს — 167 მან. 35 კაპიკს; საჭილაოს დავალიანება 1856 წელს — 70 მან. 10 კაპიკს, 1857 წელს — 346 მან. 60 კაპიკს; სალხინოს დავალიანება 1856 წელს — 270 მან. 80 კაპიკს, 1857

² ზმა, ფონდი 3, საქმე 4380, ფურც. 1—24.

წელს — 380 მან. 20 კაპიკს; აბასთუმნის დავალიანება 1856 წელს — 79 მან. 55 კაპიკს, 1857 წელს — 119 მან. 50 კაპიკს. ასეთივე ვითარება იყო ზუგდიდში, სენაკში, ლედგებიესა და სხვა სოფლებში³.

გადასახადების სიმძიმის მაჩვენებელია ისიც, რომ სამთავროს 25 სოფლიდან 1856—1857 წლისათვის მარტო სოფელ ფოცხოს არ ჰქონდა დავალიანება. დანარჩენი 24 სოფლის საერთო დავალიანება უდრიდა 3.584 მანეთს, ხოლო აჯანყების შემდეგი დროის ცნობით წინა წლების სრულიად სამთავრო ყმებზე დავალიანება ნაშთის სახით 22.989 მანეთსა და 89 კაპიკს უდრიდა⁴.

ზემომოყვანილი ცნობა მთელი სისრულით ნათელყოფს ყმების უმძიმეს მდგომარეობას აჯანყების წინ. ძველ ვალს ახალი გადასახადი ემატებოდა და ყველაფერი ეს ბევრად აღემატებოდა გლეხების შესაძლებლობას. მებატონები კი ამ დროს მკაცრად, შეუბრალებლად მოითხოვდნენ როგორც ძველს, ისე ახალ გადასახადებს. ასეთი იყო საერთო მდგომარეობა თურქთა შემოსევის შედეგად.

როგორც იჩვევევა, ყირიმის ომის შემდეგ მღლვარებამ თავდაპირველად სოფელ თამაკონში იფეთქა და იგი გადაიზარდა სალხინოს სამ თავრო გლეხების აჯანყებად. ამის შესახებ თვითმხილველი თ. ხოშტარია შემდეგ ცნობას იძლევა: „აჯანყება იწყეს ჯერ სოფელ თამაკოელ გლეხებმა თავადი ჩიქოვანებისამ, რომლებიც უსამართლო მოპყრო-

³ ზმა, ფონდი 3, საქმე 4380, ფურც. 43—44.

⁴ იქვე, 47—54.

შას მიზეზად იჩემებდნენ... იყო ამის დაწყნარებისათვის რომელიმე ზომა სუსტად მიღებული, მაგრამ ვინემის დაწყნარდებოდა, თავი იჩინა მეორე ახალმა ამბოჭებამ თვით მთავრინას... სადედოფლო მამულში სალპარტიანოს და იქვე სალხინოს მთელი ხალხი შეგროვდა ათასობით. მიზეზად ის იხელმძღვანელეს, რომ მათ ეუსამართლებიან მთავრინას მოხელეები, სხვა და სხვა რიგ სალხინოს სასახლეში აუტანელის მუშაობით სტანჯავენ და სხვა აურაცხელის შევიწროებით და განუსაზღვრელის გადასახადით აწუხებენ⁵.

სახლთუხუცესი თავადი ჩიქოვანი ეკატერინესაგან დავალების მიღებისთანავე, გადასახადების აკრეფასთან ერთად, გულმოღვინედ შეუდგა სალხინოს სასახლის შეკეთებას.

ჩიქოვანმა ფეხზე დააყენა სამთავრო უწყების მოხელეთა ის აპარატი, რომელიც სამეგრელოში მოქმედებდა დავით დადიანის დროიდან და რომელსაც ხალხში სიძულვილის და წყევლა-კრულვის მეტი არაფერი დაუმსახურებია. გლეხების ამაწიოკებელმა სასახლის მოხელეთა ზროვამ სახლთუხუცესის განკარგულებით დაიწყო ბეგარაზე გლეხების გამოყვანა, რათა დროულად დაემთავრებინა სალხინოს სასახლის მშენებლობა. სამეგრელოს სხვადასხვა სოფლიდან სალხინოში სამუშაოდ ჩამორეკილ თითოეულ გლეხს გაჩუვეულ ვადაში საკუთარი ხარჯით უნდა შეესრულებინა განსაზღვრული სამუშაო.

⁵ ც ცისა თბილისი, ძევლ საბუთთა განყოფილება, ფონდი 1462, ფრა 2, ფურც. 59.

აჯანყების მონაწილე გუჩურ უვანიას გადმოცემით სალხინოს სასახლის მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ დავით დადიანის დროს, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა. სასახლის მშენებლობისათვის საჭირო საშენი მასალა მოჰქონდათ სპეციალურ ურემში გამბულ ყმა გლეხებს. არსებობდა 60 კაცისათვის განკუთვნილი 20-მდე ასეთი ურემი. სამუშაო მეტად მძიმე იყო, ერთხელ კოჭის მაღლა ატანისას გაწყდა თოკი და კოჭმა 29 კაცი დაიტანა, ხოლო ბეკუია უვანია კოჭის ატანისას მეორე სართულიდან ჩამოვარდა და ამის შემდეგ დაყრუცდა-სამუშაოსაგან თავის არიდებისათვის გლეხებს მათრახებით სცემდნენ.

სალხინოს სასახლეში მომუშავე ყმების მდგომარეობას უფრო აუტანელს ხდიდა ის გარემოება, ორმ გლეხებს ბეგარაზე მუშაობა თავიანთი ხარჯით ევალებოდათ. წინათ კი გლეხი, სამთავრო იქნებოდა იგი თუ საბატონო, ბეგარაზე შებატონის ხარჯით გამოიდიოდა. დავით დადიანმა ეს წესი ხელსაყრელად არ მიიჩნია და შემოიღო ბეგარაზე ყმების გაყვანა საკუთარი ხარჯით. დავითის სიკვდილის შემდეგ ეკატერინე დადიანიც ამ წესს მისდევდა.

სახლთუხცესი დავით ჩიქოვანი სალხინოს სასახლის მშენებლობაზე ბეგარით მოყვანილი ყმა გლეხების მიმართაც მკაცრად ახორციელებდა ამ წესს, დაუინებით მოითხოვდა სასახლის მშენებლობისათვის დაწესებული ბეგრის საკუთარი სურსათით უყოყმანოდ შესრულებას. ამასთან დაკავშირებით თანდათან უფრო და უფრო ძლიერდებოდა გლეხების უკმაყოფილება.

გლეხები გულში ჩამარხული უკმაყოფილებით მი-
დიოდნენ ბეგარის მოსახლეობად და თან მიჰეონდათ სი-
მინდი იმ ანგარიშით, რომ მას უფასოდ დაფქვავდნენ
სამთავრო წისქვილში, მაგრამ დაფქვისათვის დავით ჩი-
ქოვანმა გადასახადი—მინდი მოითხოვა. ამან მოთმინე-
ბიდან გამოიყვანა ისედაც უკმაყოფილო გლეხები.

გლეხებმა პროტესტი განაცხადეს მარცვლის დაფქვი-
სათვის ხარჯის დაწესებაზე. სახლთუხუცესმა არ მიაქ-
ცია ყურადღება მათ სიტყვიერ განცხადებას და განაგრ-
ძობდა სიმინდის დაფქვისათვის დაწესებული გადასახა-
დის აკრეფას. გლეხები კი დაუინებით მოითხოვდნენ
ახალი გადასახადის გაუქმებას და დაფქვისათვის წინათ
დაკავებული მინდის უკან დაბრუნებას. ჩიქოვანმა გლე-
ხების მოთხოვნა არ დააჭმაყოფილა. მაშინ გლეხებმა
აირჩიეს სამი კაცისაგან შემდგარი დეპუტაცია, რათა
სახლთუხუცესის მიერ მათი შევიწროვება ეცნობები-
ნათ დროებით მმართველ გრიგოლ დადიანისათვის. დე-
პუტაციას მეთაურობდა გააზატებული სამთავრო ყმა
უტუ თოვდუა.

უტუ თოვდუა იყო სოფელ წაჩისურუს მცხოვრები,
ჯამ-ჭურჭელის ხელოსანი; მთელ სამეგრელოში დიდი
ნდობით და სიყვარულით სარგებლობდა. იგი უაღრე-
სად სამართლიანი ადამიანი იყო და ამიტომ ხალხში
უტუს მეტსახელად „მართალიას“ ეძახდნენ. ზოგიერთი
ცნობით თოვდუა შეღიოდა ფარულ წრე „სხუნუს“

(„სხუნუ“ — მეგრულად მოთათბირებას ნიშნავს) შე-
მაღვენლობაში⁶.

გლეხებისაგან არჩეული დეპუტაცია უტუ თოდუას
მეთაურობით საჩივრით წარდგა დროებით მმართველ
გრიგოლ ლევანის-ძე დადიანის წინაშე. დეპუტაციამ მას
გააცნო სალხინოს სასახლეში ბეგარაზე მყოფი გლეხე-
ბის მდგომარეობა და სთხოვა გრიგოლს საქმე გლეხე-
ბის სასარგებლოდ მოეგვარებინა. მაგრამ გრიგოლმა
მოიმიზება დედოფლის მიერ დატოვებული ინსტრუქ-
ცია, რომელიც მას უფლებას არ აძლევდა ჩარეულიყო.
სამთავრო ქონებისა და მამულების საკითხის გადაწყვე-
ტაში და ურჩია დეპუტაციას დავით ჩიქოვანის მოქმე-
დების შესახებ თვითონ დედოფალს მიმართეთო. გრი-
გოლი ფიქრობდა, რომ ჩიქოვანის მიმართ გლეხების
უკმაყოფილების შედეგად სახლთუხუცესი გაძევებული
იქნებოდა მთავრის კარიღან. მას ამოძრავებდა შურის-
ძიება და არა გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესება.

გრიგოლ დადიანთან, როგორც დროებით მმართველ-
თან, მშვიდობიანი გზით საქმის მოგვარების უშედეგოდ
დამთავრების შემდეგ დეპუტაცია ზუგდიდიდან სალ-
ხინოს დაბრუნდა და გლეხობას აცნობა, რომ გრიგოლ-
თან მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო.

რაკი მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გლეხებმა
ვერაფერს მიაღწიეს, მაშინ თვითონ მიიღეს გადაწ-
ყვეტილება სალხინოს სასახლის მშენებლობაზე მუშა-
ობის ერთხმად შეწყვეტის შესახებ. ამ გადაწყვეტილე-

⁶ მ. კოლხიდელი, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში: 1857 წ. და
სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, თბ. 1926, გვ. 67.

ბის განხორციელებას სათავეში ჩაუდგა ის ფარული სათათბირო ორგანო, რომელმაც ამ დროისათვის უკვე მიიღო „სხუნუს“ სახელწოდება. ამგვარად, გლეხებმა სახელმძღვანელო-სამოქმედოდ ფარული აპარატიც გაიჩინეს, რომელსაც გლეხთა დეპუტაციის არჩევიდან ჩაეყარა საფუძველი. „სხუნუს“ თავკაცებად ითვლებოდნენ: უტუ თოდუა, სქვამაია ნადარაია, შუკოჩია კილა-სონია და გვატია გადილია. „სხუნუს“ დანიშნულებას წარმოადგენდა აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „სხუნუს“ საფუძველი უტუ თოდუას სახლში ჩაეყარა და იქვე იკრიბებოდა მისი შემადგენლობა.

დავით ჩიქოვანის თვითნებობის წინააღმდეგ სალხინოს სასახლეში ბეგარაზე მომუშავე ყმებს შორის პირველად ხმა აღიმაღლეს სამთავრო გლეხებიდან დაახლოებით 22 კაცმა; გვარად კაკუტიებმა, ბაჩილავებმა და გვალიებმა. ისინი აშკარად ლაპარაკობდნენ სასახლეში შექმნილი უსამართლობის შესახებ. მათ მაგალითს მიბაძეს სხვა ყმებმა და ცოტა ხნის შემდეგ უკმაყოფილოთა რიცხვი 60 კომლამდე გაიზარდა⁷.

ზუგდიდიდან დეპუტაციის დაბრუნების შემდეგ ამ უკმაყოფილო სამთავრო გლეხებმა ერთმანეთს მტკიცე სიტყვა მისცეს და 1856 წლის მიწურულიდან შეწყვიტეს სასახლეში მუშაობა.

სახლთუხუცესმა დავით ჩიქოვანმა განიზრახა საკუთარი ძალით დაემორჩილებინა ურჩები და ამისათვის სასწრაფოდ გამოუძახა სასახლის მოხელეებს, მეთაუ-

⁷ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 35.

რად თავადი ივანე ჩიქოვანი დანიშნა და გაგზავნა მეამბოხე გლეხების წინააღმდეგ. ამბოხებულებთან შეტაკებისას მოხელეებმა გაქცევით უშველეს თავს. ამრიგად, სასახლის მოხელეებთან გლეხების პირველი შეტაკება გლეხების გამარჯვებით დამთავრდა.

საქუთარი ძალებით ამბოხების ჩაქრობის ცდის მარცხით დამთავრების შემდეგ დავით ჩიქოვანმა ზუგდიდს მიაშურა და გრიგოლ დადიანს დახმარებისათვის თავადაზნაურობისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმი სთხოვა. მაგრამ გრიგოლმა აქაც ინსტრუქტურია მოიშველია და დახმარებაზე უარი უთხრა. თანაც ურჩია, რომ დედოფლის დაბრუნებამდე ამ საქმის მოგვარებაზე ხელი აელოთ.

იმავე დღეს სალხინოში აჭანყებულთა რიცხვი 300-400-მდე გაიზარდა, რომელთაც სათავეში ჩაუდგა წვრილი ხელოსანი უტუ თოდუა და გლეხები მაქუია, შოშიკელა და ბასილა თოდუები. „ყველა უსამართლობაზე იძახოდა და თითეული მზად იყო მებატონისაგან თავი დაეხსნა ბრძოლით“, — ვკითხულობთ ერთ-ერთ საბუთში⁸.

უტუ თოდუას კარგად ესმოდა, რომ მებატონების წინააღმდეგ აჭანყებულთა ძალის წარმატება დამოკიდებული იყო სალიპარტიანოსა და სხვა დანარჩენი ახლო-მახლო სოფლების გლეხების დარაზმვაზე. ამიტომ იმავე დღის საღამოს ის შეუდგა ამ საქმეს. ამ მიზნით მან შიკრიკები გაგზავნა კიშიაში, კურზუში, ტალერში, ნაფიჩხოსა და სხვა სოფლებში.

⁸ ზმა, ფონდი 6, საქე 113, ფურც. 64.

მეორე დღეს სალხინოში თავი მოიყარა შვიდი სოფ-
ლის 1000-ზე მეტმა გლეხმა. აჯანყებულთა რიცხვი
დღითთად იზრდებოდა. სალხინოს სასახლის დაკავე-
ბისა და წაჩინურუს ეკლესიის გალავანში ურთიერთშო-
რის ფიცის მიღების შემდეგ აჯანყებულები უტუ თო-
დუას ხელმძღვანელობით, აფრიალებული დროშითა და
საყვირის ხმით, სალხინოდან კიწიისაკენ გაემართნენ და
დაბანაკდნენ ქირილხინჯთან. ამ დროს სალიპარტიანოს
16 სოფლის 2000 კომლი⁹ უკვე მღელვარების აღმი
რყო გახვეული და უტუ თოდუას მეთაურობით საყო-
ველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის ემზადებოდა.

„სალიპარტიანოს მცხოვრებნი ხალხი აღძრულნი
არიან მათის უფლებით ბუნტად, გასული წლის დეკემ-
ბრის თვიდან და მუნიდან დამკიდებული ითხოვდნენ
იგინი ჩემის ეკლესიის შემავალთა მრევლთა სამთავრო
და საბატონოთა გლეხებთა რომელ მათთან გარეოდნენ
მათ მიერ უჯერო განზრახულებაშიდ“, — ნათქვამია
სოფ. თამაკონის მღვდლის ოქროპირ ფარცვანის გან-
ცხადებაში¹⁰. ამ დროიდან, სალხინოს მშენებლობისას
სამთავრო გლეხების მიერ დაწყებული ბრძოლა, მთელი
თავადაზნაურების წინააღმდეგ ყველა ყმა გლეხის
ბრძოლაში გადაიზარდა, გაჩაღდა გლეხთა საერთო
ბრძოლა მებატონე ექსპლოატატორების წინააღმდეგ.
ამგვარად, სამთავრო გლეხების მიერ დაწყებულმა
ბრძოლამ ბიძგი მისცა სხვა საბატონო გლეხებს მსგავს
მოძრაობას და მთელი ჩაგრული წოდება ფიცით შეკავ-

⁹ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 35:

¹⁰ ზმა ფონდი, საქმე № 13-ა, ფურცელი უნომროა:

შირდა, რომ არ შეასრულებდა მებატონეების არავითარ მოთხოვნას და იბრძოლებდა სანამ თავს არ გაითავისუფლებდა მებატონეთა სამძიმო გადასახადებისაგან. სალიპარტიოს სოფლების გლეხობა მთლიანად აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა და მეამბოხეთა ლაშქარი 4.000 კაცამდე გაიზარდა. სალიპარტიანო, მღელიარების ეს პირებილი რაიონი, აგრეთვე აჯანყების პირკელი ბანაკად იქცა.

ამბავი სალხინოსა და სალიპარტიანოს სოფლების აჯანყების შესახებ ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა და დიდ გამოხმაურებას პოულობდა ყველა ყმა გლეხში. და არც გასაკვირია: სამეგრელოს თითოეული მებატონე, თავადი თუ აზნაური ცდილობდა თურქთა ჯარებისაგან აოხრებული თავისი მეურნეობა ისეთივე წესით აღედგინა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სალხინოში. მებატონეები ომით გაჩანაგებული შამულების აღვენას ეწეოდნენ ყმის შრომის შეუბრალებელი ექსპლოტაციით და უთვალავი გადასახადების დაწესებით; ამიტომ გასაგებია, რომ ბატონიყმობის მძიმე უღელქვეშ მყოფი გლეხობა უყოყმანოდ ჩაეგა სალხინო-სალიპარტიანოს მოძრაობაში.

მარტვილის მაზრის შემდეგ მღელვარება მოედო ჯვარის მაზრას¹¹. ჯვარის მაზრაში თავდაპირველად მღელვარებამ თავი იჩინა სოფლებში — ჯვარსა და ლიაში. ექვემდებარების საბაბი შემდეგი იყო: გრიგოლ დადიანმა ჯვარში მეფუტქრეობის მოშენება განიზრახა, ხოლო სოფელ ლიაში — ხეხილის ბალის გაშენება. მისი გან-

¹¹ ამ დროს სამეგრელო 8. მაზრად იყოფოდა.

კარგულებით ამ სოფლებში სამოსახლო ადგილებიდან მასობრივად აყარეს ყმა გლეხები, რათა გაეთავისუფლებინათ ბალებისა და მეფუტკრეობისათვის საჭირო ფართობი.

ამავე დროს გლეხებს არ აძლევდნენ სამაგიერო მიწას. ამის შესახებ დედოფლისადმი მირთმეულ ერთერთ საჩივარში სოფ. ლილიდან გლეხები ბერიშვილები აცხადებდნენ: „რადგან არ გვეძლეოდა სამოსახლო და არც სამუშაო ადგილი, ამისათვის გთხოვთ მოგვცეთ სამოსახლო ადგილი ხობელიების მახლობლად... თქვენმა უგანათლებულებამ კეთილ ინება მიწერა თავადის სახლთუხუცესისადმი, მაგრამ მისგან ვერ მივიღეთ ვითარმე ყურადღება, ამისათვის გთხოვთ უმორჩილესად, ვისდამცა ჯერ იყოს, ბრძანოთ დასახლება ჩვენი, რომ მოვაწყოთ მოსახლეობა“...¹²

გლეხობის საცხოვრებელი აღგილებიდან აყრისა და მათი უსახლკაროდ დატოვების ნიაღაზე ლიასა და ჯვარის გლეხობაში თავი იჩინა დიდმა უკმაყოფილებამ, რომელიც მალე მღელვარებად გადაიქცა. აქ მღელვარებას სათავეში ჩაუდგა ფარნაოზ დადიანის გლეხი, ნიჭიერი ორგანიზატორი, მჭედელი უტუ მიქავა, რომელსაც „სამეგრელოს რევოლუციის დაწონი“ უწოდეს.

უტუ ჯოტოს-ძე მიქავა დაიბადა დაახლოებით 1812 წელს¹³ სოფელ ფუქში. 15 წლისამ სოფელ საჩინოში დავით მელიასაგან შეისწავლა ზეინკლისა და მჭედლის

¹² ზმა, ფონდი 3, საქმე 4332, ფურც. 1.

¹³ ცისა, თბილისი, განსაკუთრებულ საქმეთა ფონდი. № 178, ფურც. 179—188.

ხელობა. საკუელ ფუქში გზაჯვარედინზე მან ააგო სამჭედლო. აქ იგი დიღხანს მუშაობდა. მაშინ სამჭედლო ხალხისათვის იყო ერთგვარი თავშესაყრელი პუნქტი. სამჭედლოში მუშაობამ უტუს ხელი შეუწყო გაცნობოდა სამეგრელოს ჩაგრული მოსახლეობის ჭირვარამს. აქ ხშირად მგზავრებიც ისვენებდნენ¹⁴. წერა-კითხვის მცოდნემ, მჭევრმეტყველმა, თავადაზნაურების მოძულემ, ტანალმა, სანდომიანი სახის მქონე უტუ მიქავამ ხალხში გამბედავი ვაუკაცის სახელი მოიხვეჭა.

მამის სიკვდილის შემდეგ, დაახლოებით 50-იან წლებში, უტუ გადასახლდა საჩიჩუოში. მან აქაც გაიჩინა სამჭედლო, საღაც ორი წელი იმუშავა. აქედან წასვლის მიზეზი იყო ის, რომ მებატონე ჩიჩუებმა მიწით სარგებლობისათვის მას გადასახადი მოთხოვეს.

სალხინოში დაწყებული გლეხთა მღელვარების შესახებ ცნობის მიღებისთანავე უტუ მიაქავა ჯვარში ჩავიდა. და თავი მოუყარა უკმაყოფილო ყმა გლეხებს. იგი მათ ელაპარაკა შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მოუწოდა გაელაშქრათ თავადების წინააღმდეგ. ამ უკმაყოფილო ჯგუფს იქვე მოთავედ დაუნიშნა გლეხი უტა ჭანტურია, რომელსაც დაავალა მეორე დღისათვის შეეგროვებინა იარაღის ხმარების შემძლე ამ სოფლის ყველა მამაკაცი. მეორე დღეს ლიისა და ჯვარის გლეხობისაგან შედგა მეამბოსეთა რაზმი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა თვით მი-

¹⁴ აღსანიშნავია, რომ სამჭედლო ერთგვარ დასასვენებელ ადგილადაც ითვლებოდა რა, აქ ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს ნაცნობ მეგობრები და უზიარებდნენ ერთმანეთს თავის ჭირვარამსა თუ სიხარულს.

ქავა. „იმ დიდი ავტორიტეტის შედეგად, რაც მან მოი-
პოვა, უტუ იმთავითვე სათავეში ჩაუდგა გლეხთა აჯან-
ყებას“ — ვკითხულობთ ერთ-ერთ საარქივო დოკუ-
მენტში¹⁵.

ლიისა და ჯვარის აჯანყებულმა ყმა გლეხებმა იერი-
ში მიიტანეს მემამულეების — დაღიანებისა და აფაქი-
ძეების წინააღმდეგ. უტუ მიქავამ წინადაღება მისცა.
ყველა ყმა გლეხს, რომ დღეიდან არ ემუშავათ თავა-
დებისათვის, არ გადაეხადათ გადასახადი, ხოლო შინა-
ყმები თავადაზნაურების ოჯახებიდან სახლებში გაუშვა
და აუკრძალა უკან დაბრუნება. ამრიგად, ჯვარსა და
ლიაში აჯანყების ხანძარი დაინთო.

უტუ მიქავა მეამბოხეთა შეიარაღებული რაზმით
ჯვარიდან სოფელ საჩინოსაკენ გაემართა. საჩინოს ყმა
გლეხობა უტუ მიქავას თანაგრძნობით შეხვდა, და მი-
ქავამ ისინიც შემოიერთა. საჩინოს გლეხების აჯანყებას
თავისი სურვილით სათავეში ჩაუდგა აღგილობრივი
გლეხი ხუსენია კვირკვია¹⁶.

ამის შემდეგ მიქავა წალენჯიხაში შეიჭრა, რისხვად
დაატყდა წალენჯიხის მებატონე დიმიტრი და პლატონ
დაღიანებს. მათი ჩაგვრისაგან გაათავისუფლა ყმა გლე-
ხები: მიქაიები, ეფსიები, ჩიქობავები, სახოკიები, კამ-
ჭიები და სხვ.

წალენჯიხაში აჯანყებულ გლეხთა სათავეში მან ლე-
ვანი და ბათაია კვარაცხელიები დაყენა. წალენჯიხის

¹⁵ ცსსა, თბილისი, განსაკურებული საქმეთა ფონდი 178,
ფურც. 175.

¹⁶ ამ დროს მისი შვილი ურჩობისათვის გადასახლებული იყო
5 წლით ციმბირში.

გარშემო მდებარე სოფლების ყმა გლეხობაში ელვის სისწრაფით გავრცელდა ცნობა მომხდარი ამბის შესასებ. გლეხები თავს იყრიდნენ მიქავას ირგვლივ ჭოხებით, ნაჯახებით, ხანჯლებით, დამბაჩებითა და თოფებით შეიარაღებულნი.

უტუ მიქავა აჯანყებულებს მოუწოდებდა: ხომ ხედავთ ცხოვრება არ შეგვიძლია: მიწა ჩვენ არა გვაქვს და წყალი, სხვისაოუის ვშრომობთ, ჩვენ კი მშივრები ვართ. კაცად არ გვაფასებენ, როზგები, ხუნდები, გაყიდვა, წართმევა, ძალებზე გადაცვლა — აი რას გვიშვებიან; მოდით მომყევით, ძმებო, და ძალით ჩავაძალოთ ეს ჭოფაკებიო¹⁷.

უტუ მიქავა ამგვარი მოწოდებით რაზმავდა სტიქიურად ამხედრებულ გლეხობას საყოველთაო შეიარაღებული აჯანყებისათვის.

ასე შეიქმნა აჯანყების მეორე რაონი ჭვარის მაზარი, ხოლო აჯანყებულთა ბანაკად იქცა ჭვარი — წალენჯიხა. აქ პირველად ჩამოყალიბდა 500 კაცისაგან შემდგარი მეამბოხეთა შეიარაღებული ლაშქარი, რომელიც დღითიდღუ იზრდებოდა უტუ მიქავას წინამძღვრობით. მან აჯანყებულთა ჭარს მიაღებინა ერთგულების ფიცი, რომ თავადაზნაურების წინააღმდეგ იბრძოლებდნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე: „იყო ერთმანეთისადმი ერთგული და გვერდში ედგე ყველა გარემოებაში“.

ტერიტორიულად იზრდებოდა აგრეთვე აჯანყების.

¹⁷ იხ. გაზ. „კომუნისტი“ 1937, № 134, ციტირებულია მ. ბარამიას წერილიდან.

რაიონიც: აჯანყებისათვის ნიაღაგი მზადდებოდა. საჭილაოსა და სუჭუნის მაზრებში. ამ მაზრების სოფლების გლეხობა წინათაც არა ერთხელ გამოსულა ფეოდალების წინააღმდეგ. გამძაფრებული კლასთა ბრძოლა უკიდურესობამდე გაამწვავა თურქების შემოსევამ. ამიტომ, დაიწყო თუ არა მღელვარება ზემო სამეგრელოში, აქაც იფეთქა ამბოხებამ. საჭილაოსა და სუჭუნის მაზრების გლეხობის ამბოხებას სათავეში ჩაუდგა მებატონე კორძაიას გლეხი, წვრილი ვაჭარი კოჩა თოდუა¹⁸. ასე გაჩნდა აჯანყების მესამე რაიონი, რომლის მთავარ ცენტრს საჭილაო-სუჭუნა წარმოადგენდა. აქ დაბანაკებული იყო მე-ამბოხეთა ძირითადი ლაშქარი კოჩა თოდუას მეთაურობით.

მღელვარების ხანძარი დაინთო აგრეთვე ზუგდიდის მაზრაშიც. ამ მაზრის გლეხობის აუტანელ მდგომარეობაზე უკვე ვილაპარაკეთ. აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ომერ-ფაშას შემოსევის შედეგად ყველაზე მეტად ეს მაზრა დაზარალდა — მაზრაში შემავალი 24 სოფლიდან — 22 დარბეულ იქნა თურქების მიერ. ამას უნდა დაემატოს ის, თუ რა სიმკაცრით დაიწყო ომის შემდეგ სახლთუხუცესმა სამთავრო მამულებისა და ქონების აღდგენა. ჯვარის მაზრაში აჯანყების დაწყებისთანავე აქაც იფეთქა მღელვარებამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გლეხი კეზუა.

ამგვარად აჯანყების პირველ ეტაპზე ოთხი ბანაკი შეიიქმნა, თითოეულ გათვანს სათავეში ედგა ცალკეული

¹⁸ И. Джавахов, политическое и соц. движение в Грузии в XIX в. гл. 33.

მეთაური¹⁹. ამ ბანაკებში თავს იყრიდნენ ახლომახლო სოფლების შეიარაღებული გლეხები და იქმნებოდა აჯანყებულთა მძლავრი ლაშქარი. აი რას წერს ამ ამბების მომსწრე და თვითმხილველი თ. ხოშტარია: „ამგვარი საშინელი აჯანყებული ხალხი ახლა აღდგა ყველგან და ყოველ მენგრელის კუთხეში. სალიპარტიანოს მხრის და მთიელების სიმრავლე ათიათასობით ოთხ ბუნად ანუ გუნდად იყვნენ შემდგარი. პირველი — სალიპარტიანო და იმ მხრის გროვა გლეხის თოდუას თაოსნობით, მეორე — წალენჯიხის, გლეხის კვარაცხელიას, თაოსნობით, მესამე — ზუგდიდის გლეხის კეზუას თაოსნობით და მეოთხე — საჭილაოს და უმეტესი სენაკის უეზდის ნაწილი, კიდევ თოდუას თაოსნობით. გაყარეს ყველა მთავრობის პირები და მოხელეები, შექმნეს სოფლად ზოგიერთი მებატონეების აოხრება, სარჩოს მოტაცება და მოსამსახურე კაცების და მუახლების გადაყვანა. ეს ამბავი რომ იქნა დაწყებული 1856. წლის შემოდგომიდან მოაწია გაზაფხულმა“...²⁰

ამგვარად, როგორც ზემომყვანილი ისე სხვა საბუთებიდან ირკვევა, აჯანყება დაიწყო 1856 წელს შემოდგომაზე და 1857 წლის დასაწყისისათვის შეიქნა აჯანყების ოთხი კერა.

სალიპარტიანოში დაბანაკებული აჯანყებულთა ლაშქარი, რომლის რაოდენობა უკვე 4000-ს აღწევდა, თოდუას მეთაურობით დაიძრა სალხინო-სალიპარტიანო-

¹⁹ В. Н. Иваненко, гражд. упр. закавк. გვ. 492.

²⁰ ცსსა, თბილისი, ძეველ საბუთთა განყოფილება, ფონდი 1462, ყდა 2, ფურც. 60.

დან, გაიარა მთის კალთის სოფლები — კურზუ, თაია, მუხური, გადავიდა მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირზე, გადაჭრა სოფელი ჭგალი და შეუერთდა წალენჯიხაში დაბანაკებულ მეამბოხეთა მეორე ლაშქარს, რომელსაც უტუ მიქავას განკარგულებით ლევან კვარაცხელია მე-თაურობდა. აჯანყებულთა ორი ნაკადის გაერთიანების შემდეგ საერთო მეთაურად აღიარებულ იქნა ლტუ ჭო-ტოს-ძე მიქავა.

აჯანყების საერთო მეთაურად აღიარების შემდეგ უტუ მიქავა შეუდგა საყოველთაო შეტევითი ლაშქრობისათვის მზადებას. ჩავვრისა და უსამართლობის წინა-აღმდეგ სტიქიურად აბობოქჩებულ მეამბოხეთა ლაშ-ქარში უტუ მიქავა ამყარებს დისციპლინას და თავისებურ სამხედრო წესებს: აჯანყებულთა ჯარი დაყო რაზ-მებად, ასეულებად და ასე შემდეგ. რაზმის სათავეში დაყენებული იყო ოცეულის უფროსი. ასეულსაც ჰყავ-და თავისი წინამდლოლი საკუთარი მედროშით. უტუ მიქავას, როგორც აჯანყების სერთო მეთაურს, კეისარი ეწოდებოდა.

აჯანყებულთა მოთხოვნით სამრევლო ხატის წინაშე ფიცის მისალებად გამოცხადება ევალებოდა კომლიდან ერთ გლეხს, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება. ფი-ცის მიღების შემდეგ წალდით, ნახახით, შუბით, დამბა-ჩით ან თოფით შეიარაღებული გლეხი ლაშქარში ჩაი-რიცხებოდა და იგი ვალდებული იყო მონაწილეობა მი-ელო ბრძოლაში.

ხატის წინაშე გლეხების მიერ ფიცის მიღების შემ-დეგ, თითოეული სამრევლოს ან საგვარეულოს ეკლე-

სიის საყვირი აჯანყებულთა ლაშქარში (ურდუში) რჩებოდა. გარდა ამისა, ლაშქარს ჰქონდა წითლად შე-ლებილი „შილის“ დროშები.

ფიცის მისალებად გამოუცხადებლობის შემთხვევაში აჯანყებულები ძალას მიმართავდნენ და... „რომელიც პირი ოჯახიდან აკლიან ან უნდა წაიყვანონ ესრეთის გადამეტებულის ძალადობითა“...²¹ — აღნიშნულია ერთ-ერთ საარქივო საბუთში.

ფიცის შინაარსი მდგომარეობდა იმაში, რომ თავად-აზნაურების წინააღმდეგ გასალაშქრებლად შეფიცულნი გვერდში ამოუდგებოდნენ ერთმანეთს და იბრძოლებ-დნენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. გლეხთა სტიქიუ-რი აჯანყებისათვის ეს ფიცი სამეგრელოს მთელ მშრო-მელ მოსახლეობას მტკიცედ რაზმავდა აქტიურ ბრძო-ლისათვის.

აჯანყებულებს ჰქონდათ თავიანთი დროებითი მმარ-თველობა, ეს მმართველობა აჯანყებულ სოფლებში ნი-შნავდა ნდობით აღჭურვილ პირებს, რომლებიც მთავ-რობის მოხელეთა საბუთებში ცნობილნი არიან მამასახ-ლისების სახელწოდებით²².

დროებით მმართველობის სათავეში იყვნენ თვითონ აჯანყების ბელადები: უტუ მიქავა, უტუ თოდუა, კოჩა თოდუა და ლევან კვარაცხელია, ხოლო მათ უშუალო თანაშემწებად ითვლებოდნენ აღებულ სოფლებში და-ნიშნული ნდობით აღჭურვილი პირები: ისინი ამავე

²¹ ზმა, ფონდი, საქმე, 13-ა.

²² ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 17.

ღროს აჯანყებულთა შეიარაღებულ რაზმებს წინამძღოლობრდნენ.

აჯანყებისათვის გამომუშავებული გეგმა, რომელიც მიქავას აზრით სავალდებულო უნდა ყოფილიყო თითო-ეული მონაწილისათვის, გულისხმობდა: გლეხი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა აჯანყებულთა განზრახვას და არ შეუერთდებოდა მათ ფიცით, უნდა დასჭილებულ ფიზიკურად და ქონებრივად.

თავადაზნაურთა შინაყმები, მოახლეები უნდა განთავისუფლებულიყვნენ მებატონეთა ოჯახებიდან და მათ უნდა მისცემოდათ დაქორწინების უფლება:

იმ თავადებსა და აზნაურებს, რომელნიც აჯანყებულთ გაუწევდნენ წინააღმდეგობას ანდა ცნობილი იყვნენ წინათ თავიანთი სასტიკი მოპყრობით ყმებისაღმი, ანადგურებდნენ — უმთავრესად ქონებრივად.

ასევე უნდა მოქცეოდნენ იმ სასულიერო პირთ, რომელნიც აჯანყების მიმართ რაიმე მხრივ წინააღმდეგობასა და ურჩობას გამოიჩენდნენ²³.

მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებისაღმი მოწოდების სახით აჯანყებულები შემდეგ ლოზუნგებს აყენებდნენ: „თავადთა და აზნაურთა წოდებები არ უნდა არსებობდნენ, ვინაიდან ყველა ადამიანი ძმები არიან“.

„ფუფუნება — ცოდვილებაა და ამიტომ უნდა იკრძალებოდეს საფაბრიკო მაუდისაგან შეკერილი ან სირმით შემკობილი ჩოხის ტარება“.

23. ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 17

„სავაჭრო მოგება უნდა იყოს შეზღუდული, ზომიერი, ამიტომ უნდა დაწესდეს ნიხრი არა მარტო ყველა ბუნებრივ ნაწარმოებზე, არამედ საერთოდ ყველა საქონელზე“²⁴.

აჯანყებულთა ძირითადი მოწოდება იყო შემდეგი: „გაუსწორდეთ მებატონებს, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ საძულველ დაბალ აღმინისტრაციულ ხელისუფლებას²⁵.

ამ ლოზუნგებით განცვითრებული სამხედრო გუბერნატორი კოლუბაკინი აჯანყების ამგვარ შეფასებას იძლეოდა:

„ზოგიერთი იდეა, სიტყვა, გადმოსროლილი ხალხში თითქოს და ლოზუნგის სახით ანიჭებს მას ხასიათს, რომლის დასახელებისათვის უნდა მივმართოთ დასავლეთის ჩევოლუციურ ნომენკლატურას“.

უტუ მიქავას წინამძლოლობით აჯანყების თანმიმდევრულმა ხასიათმა, მისმა ორგანიზებულობამ და დისციპლინამ თავზარი დასცა არა მარტო თავადაზნაურობას, ადგილობრივ ხელისუფლებას და მოხელეებს, არამედ მეფის მთავრობის გენერალებსაც და ცხადყო, რომ ჩაგრული წოდების აზროვნებაში აჯანყების იდეა დიდი ხანია მწითლებოდა და მზადდებოდა.

ზემოაღნიშნულს ნათელჰყოფს მოსკოვის საისტორიო არქივში დაცული და დღემდე გამოუქვეყნებელი საბუთი, რომელშიც წერია: „მზადდებოდა რა რამდენიმე თვე,—სხვების სიტყვით რამდე-

²⁴ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 17.

²⁵ ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 25

ნიმე წელი, — ვრცელდებოდა და მტკიცდებოდა რა, აჯანყებამ მოიცვა სამეგრელოს მთელი გლეხობა და ბოლოს წარმოგვიდგა ორგანიზებულად, რომელსაც გააჩნდა უფროსები, მიღიცა, სამმართველო და საერთო იდეა, რაც ყველასათვის არ იყო სავსებით ცნობილი, მაგრამ აღაფრთოვანებდა გამოუკლებლივ ყველას”²⁶.

როგორც ვხედავთ, აქ თითქმის ყველაფერია ნათქვამი, თუ როგორ მზადდებოდა, როგორი ორგანიზაციული სტრუქტურა ჰქონდა და რა იდეა ამოძრავებდა აჯანყებას.

აჯანყებულთა შეტევითი ლაშქრობა გაიშალა ორი პუნქტიდან: ერთი, მდ. ხობისწყლის მარცხენა ნაპირიდან მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირამდე — სალიპარტიანოს სოფლებიდან ქვემო სამეგრელოსაკენ. აქ მოლაშქრეთა წინამძღოლი იყო უტუ თოდუა. მეორე, მდინარე ხობისწყლის მარჯვენა ნაპირიდან მდ. ენგურის მარცხენა ნაპირამდე — ზემო სამეგრელოს სოფლებიდან ქვემო სამეგრელოსაკენ. ამ ჩაიონში საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა აჯანყების საერთო მეთაური უტუ მიქავა.

1857 წლის გაზაფხულზე მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირიდან მდ. ენგურამდე უტუ მიქავას წინამძღოლობით მოქმედმა ლაშქარმა; რომელშიც უკვე 7.000 კაცი ირიცხებოდა, დაიკავა რა მთელი რიგი სოფლები — წალენჯიხა, ობუჯი, ჭაქვინჯი, კირცხი, ხიბულა, ყულის-

26 ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2. ფურც. 25.

კარი, ჭყადუაში და ლედგებიერ, მაისის პირველ ნახევარში ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით გეზი აიღო მთავრის რეზიდენცია — ზუგდიდისაკენ.

იმავე დროს უტუ თოდუას წინამძლოლობით მღ. წობისწყლის მარცხენა ნაპირზე მოქმედმა აჯანყებულთა 4.000 კაცისაგან შემდგარმა ლაშქარმა დაიკავა ნამკოლუ; გადალახა მდინარე ტეხური და შეიჭრა მის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელ თამაკონში. აჯანყებულთა ლაშქრის სვლის მიზანი იყო ბანძა-მარტვილის დაკავების შემდეგ შეერთებოდა საჭილაოსა და სუჭუნის მაზრებში აჯანყებულ ფლეხობას.

ამ მიმართულებით შეტევაზე გადასული აჯანყებულთა ჯარები თამაკონის, მარტვილისა და ბანძის დაკავების შემდეგ, აპრილის ბოლოსა და მაისის პირველ რიცხვებში გაემართნენ ნოქალაქევსა და საჩიჩულოსაკენ.

გზადაგზა სოფლების დაკავებისა და ფიცის მიღების დროს აჯანყებულები იჭრებოდნენ თავადაზნაურების მამულებში, ყმებს ათავისუფლებდნენ ბატონის სამსახურისა და გადასახადებისაგან. აუქმებდნენ ყმათა დასჯის ბატონიყმურ სისტემას: მებატონეთა ოჯახებიდან მიჰქონდათ. ხაჯალურები, ქანჩები, ხუნდები იარაღები. „ერთა მცხოვრებთა სალიპარტიოსათა ურთიერთ შორის მოეხდინათ ფიცი და იგინი ზოგადის მოაზრებითა განდრეკილ იყვნენ სამსახურთაგან და ეგადასახადთა სამთავროსათა“ — ვკითხულობთ ჭყონდიდელისაგან ბლანოჩინ ბერიძისადმი 13 მარტს მიწერილ წერილში²⁷.

²⁷ ზმა, ფონდი, საქმე 13-ა, ფურცელი არ არის დანიმრილი.

გლეხთა ანტიფეოდალური მასობრივი გამოსვლებით შეშინებული და აშკარა კატასტროფის წინაშე მდგომი თავადაზნაურობის ნაწილი გარბოდა სვანეთში, აფხაზეთსა და სხვაგან. უმეტესობა კი მორჩილებას აცხადებდა, რაღვან წინააღმდეგობის გაწევის უნარი არც შებატონებს და არც ხელისუფალთ არ გააჩნდათ.

აღსანიშნავია, რომ წინააღმდეგობის გაუწევლად დამორჩილებული მებატონის მიმართ აჯანყებულები ძალადობას არ მიმართავდნენ. მაგრამ თუ მებატონეები არ აქმაყოფილებდნენ აჯანყებულთა მოთხოვნას, შეუბრალებლად არბევდნენ. ასეთ ოცხვში იყვნენ კიწიის მებატონე მურაზია ანჯაფარიძე, სოფელ მოხაშიდან — დიმიტრი ბატონიშვილი, ნოჭიხევის მდივანბეგები — ჯორჯიკიები, სოფელ ნაგვაზაუს მებატონე — ლევან ჩიქოვანი, წალენჯიხის მებატონეები — დიმიტრი და პლატონ დადიანები, კირცხის მებატონეები — ტაგუჯიშია და ლევან გოშუა, სოფ. ობუჯიდან — დავით შენგელაია, სოფ. კორცხელიდან — დიმიტრი თოლორაია, მარტვილიდან — ტარასი ელიავა და დეკანოზი ბორისოვი, სოფ. ნახუნუდან — ოქროპირ ფარცვანია, სოფ. ტალერიდან — აზნაური ბასილიკა რატია, სოფ. სუჭუნიდან — მეთოდე ხოშტარია და სხვ.

მათი აოხრების მიზეზი შემდეგი იყო: აზნაურ ბასილიკა რატიას აჯანყებულებმა სახლ-კარი დაუნგრიეს იმისათვის, რომ მან ორი მოახლიდან ერთი არ გაათავისუფლა. მსგავსი ქცევისათვის კვაუთის აზნაურს მარანი წაუქციეს. სოფ. კირცხის აღებისას აჯანყებულები შეიჭრენ მებატონე ტაგუჯიშიას სახლში. უტუ მიქავამ

ყმებს მებატონისაგან განთავისუფლება გამოუცხადა, მაგრამ ჭიჭიხიამ წინააღმდეგობა გაუწია; მაშინ აჯანყებულებმა ჭიჭიხიას სახლ-კარი დაუნგრიეს, სურსათი ყმებს დაურიგეს, თვითონ კი ხარები დაკლეს და ლაშ-ქარმა იქვე ისადილა. კორცხელის ეკლესიის მღვდელმა დიმიტრი თოლორაიამ აჯანყებულებს ეკლესია არ გაუღო და ხატი არ დაანება ფიცის მისაღებად. მაშინ მეამბოხეებმა ჩალეწეს ეკლესიის კარები და ხატი ძალით გამოიტანეს. თოლორაიამ გაქცევით უშველა თავს. ტარა-სი ელიავა და ბორისოვი ეკლესიიდან ძალით გამოიყვანეს და ფიზიკურად დასაჭეს იმისათვის, რომ აჯანყებულებს ეკლესიაში დაცული საბუთების დათვალიერების უფლება არ მისცეს. სოფელ ობუჯის ეკლესიის მღვდელს დავით შენგელაიას სახლ-კარი გაუნაღგურეს იმისათვის, რომ უარი განაცხადა მსახურთა განთავისუფლებაზე და სხვ.

აჯანყების პირველ ეტაპზე მებატონე თავადაზნაურების რბევის შესახებ ერთგვარი წარმოდგენის მისაღებად საინტერესოა ქუთაისის საქალაქო არქივში დაცულ საბუთებს შორის ერთი დოკუმენტი. საბუთში მოცემულია სუჭუნის მცხოვრებ აზნაურ მეთოდე ხოშტარიას მეუღლის მზეხა გეგეჭკორის ასულის ორი განცხადება: ერთი — დიუკრუსისადმი, მეორე — კოლუბაკინისადმი; როგორც ერთი, ისე მეორე განცხადება არის საჩივარი იმის შესახებ, რომ სოფელ საჭილაოდან მოსული აჯანყებულთა ლაშქარი შეესია სუჭუნის მცხოვრებ აზნ. ხოშტარიას ოჯახს და გაანაღგურა იგი²⁸.

23 საქალაქო არქივი, ქუთაისი, ფონდი 16, საქმე 38, ფურც. 1—2

განცხადებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ ხოშტარის მას დარბევა მოხდა აჯანყებულ გლეხთა წრილან გამოსული მეთაურების განკარგულებით იმისათვის, რომ დაესაჭათ საძულველი მებატონის მას.

აჯანყებულებმა ხოშტარიას სახლიდან წაიღეს ნაჯახი, წალდი, ყველა სახის რკინეულობა, ოქრო და ბრილიანტი, ე. ი. ის, რაც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ლაშქრის შეიარაღებისა და სხვა საჭიროებისათვის. აჯანყებულთა შორის იყვნენ მჭედლები, ზეინკლები და სხვა ხელოსნები; მეამბოხეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ რკინეულობისაგან იარაღი გაეკეთებინათ. ჩვენთვის ნათელი ხდება, რომ მეამბოხეთა ჯარების მებატონეებზე თავდასხმა ხდებოდა არა პირადი სარგებლობისათვის, ქონების დატაცების, უწესრიგო რბევის შიზნით, არამედ იგი ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადო ინტერესებს, აჯანყების ინტერესებს.

მაში რით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ გლეხები იქვე ამტვრევდნენ მაგიდებს, სკამებს, კასრებს, სურებს, კოკებსა და სხვა ავეჯს და არ მიჰქონდათ მებატონის სახლიდან²⁹.

ალსანიშნავია ისიც, რომ ხოშტარიას მათ წაიღეს სიმინდი, ფქვილი, ღვინო და სხვა სურსათ-სანოვაგე (ხორავი), რაც აჯანყებულთა ლაშქრისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ აჯანყებულების მიერ მებატონისაგან ჩამორთმეული სურსათი ხშირ შემთხვევაში ყმებს ურიგდებოდა.

²⁹ საქალაქო არქივი, ქუთაისი, ფონდი 16, საქმე 38, ფურც. 2.

ეს საბუთი საინტერესოა აგრეთვე მასში მოყვანილიც ცნობითაც, რომ საჭილაო-სუჭუნის მაზრაში, კოჩა თო-დუას გარდა, კიდევ ყოფილან აჯანყების მოთავე გლე-ხები — ხოსიკა დუნდუა, ათანასე დუნდუა, სოლომონა გოთოშია და პავლე ვატიაშვილი. „ამა ოთხთა ბრძანებითა წარტაცებულ არს ყოველნი ჩემნი საკუთ-რებანი“ — წერს აზნაური ხოშტარია³⁰.

ჩვენი აზრით, სინამდვილეს არ წარმოადგენს აქამ-დე არსებული აზრი იმის შესახებ, რომ სამეგრელოს გლეხთა მოძრაობა, აჯანყების ამ (პირველ) ეტაპზე, უსისხლოდ მიმდინარეობდა და მხოლოდ ფიცით განი-საზღვრებოდა. როგორც ირკვევა, ანტიფეოდალური შე-იარაღებული ბრძოლა მეტად მკაცრი იყო, მაგრამ სის-ხლისღვრის შემთხვევების მცირე რიცხვი აჯანყებულთა მშვიდობიანი ტაქტიკის შედეგი როდი იყო. საყველ-თაო-სახალხო მღელვარების ამ გრანდიოზულმა სოცი-ალურმა მოვლენამ თავზარი დასცა ფეოდალებს, აქტი-ური წინააღმდეგობის უნარი წააჩოვა. ინიციატივა თა-ვიდან გლეხების ხელში იყო.

ი. მეუნარვია გადმოვცემს: უძლიერეს თავადი-შვილებს გიორგი ბატონიშვილს (ნოღა) და დუტუ ბა-ტონიშვილს (ჩხოროწყუ) აზრადაც არ მოსვლიათ აჯან-ყებულებისათვის წინააღმდეგობის გაწევაო³¹. თავად-აზნაურობა იძულებული იყო ყველგან დაუყოვნებლივ შეესრულებინა გლეხების მოთხოვნები.

მეორე მაგალითი: აჯანყებულებმა დაინახეს გზად

³⁰ საქალაქო არქივი, ქუთაისი, ფონდი 16, საქმ 38, ფურც. 7.

³¹ ზმა, ფონდი 6, საქმე 113, ფურც. 69

მიმავალი ცარშელი აზნაურის ბეჭან უორდანიას ცოლი. რომელიღაც გლეხმა წამოიძახა „ეს აზნაურის ქალი არის“. შეშინებულმა ქალმა ძრწოლვით უარჲყო: „ოჲ, აზნაურები ღმერთმა ამოაგდოს, არა, ძმაო, მე გლეხკაცის ქალი ვარ“³².

აი რატომ იყო ამ ეტაპზე აჯანყება შედარებით უსისხლო. თავადაზნაურობის უმეტესობა ვერ ბედავდა გლეხების წინააღმდეგ გალაშქრებას, ამიტომ მეამბოხენი დაუბრუოლებლად მიიწევდნენ წინ. მათ მოიაჩეს სამეგრელო და იარაღქვეშ დააყენეს მთელი ჩაგრული წოდება.

1857 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში პეტერბურგიდან დაბრუნებული ეკატერინე დადიანი სამეგრელოში ჩავიდა. კულაშთან მას მიეგება გაქცეული თავადაზნაურობა.

28 აპრილს დედოფალი ბავშვებიანად უკვე გორდში იმყოფებოდა. ეს ის დრო იყო, როცა აჯანყებულთა ლაშქარი იარაღით ხელში გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა ბატონიყმობის წინააღმდეგ. - საყოველთაო-სახალხო მღელვარების. ხანდარი სამეგრელოს ყველა სოფელში გიზგიზებდა.

გორდში ჩასვლის მეორე დღესვე (30 აპრილს) ეკატერინემ მოწოდებით მიმართა სამეგრელოს მოსახლეობას, აცნობა თავისი ჩამოსვლა და მოითხოვა, რომ თითოეული სოფლიდან მასთან გამოცხადებულიყო ორი ან სამი წარმომადგენელი. იგი ხალხს პირდებოდა, რომ გაემგზავრებოდა სოფლებში, შემოივლიდა სამეგრე-

³² ზმა, ფონდი 6, საქმე 113, ფურც. 73.

ლოს და უკმაყოფილო გლეხებისაგან პირადად მიიღება და ახსნა-განმარტებას. საქმის გამოკვლევამდე კი აჯან-ყებულთაგან დაწყნარებას მოითხოვდა. ხალხში ამ მოწოდების ვასავრცელებლად მდივანბეგები გაგზავნა. მაგრამ ამ გზით მეამბოხეთა დაწყნარების ცდამ უშედეგოდ ჩაიარა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აჯანყების ხელმძღვანელის უტუ მიქავას მიერ გამოყენებული ტაქტიკა, რათა ეკატერინეს მოწოდებას სტიქიურად აჯანყებულ გლეხობაში მერყეობა არ შეეტანა.

უტუ მიქავამ გლეხობას მიმართა ეკატერინეს მოწოდების საწინააღმდეგო მოწოდებით, რომ ხალხი არ დაშორჩილებოდა აღვილობრივ ხელისუფლებას, რაღან სამეგრელოს მთავრისა და მემამულეების ძალაუფლება უკვე მოსპობილია და რუსეთი ჩვენს მხარეზეაო. ამის დასამტკიცებლად მიქავამ დაიხურა წითელ არშია-შემოკლებული რუსული ქუდი, ჩაიცვა რუსული შარვალი და ჩექმები³³. ამით მას უნდოდა გლეხები დაერწმუნებინა, რომ ყველაფერი ეს, ნიშნად დახმარებისა, თითქოს მას რუსებმა გამოუგზავნეს. სინამდვილეში ეს იყო მიქავას, ასე ვთქვათ, დიპლომატიური ხერხი, რაღან მას რუსეთი არავითარ დახმარებას არ დაპირებია. პმგვარად, როგორც ეკატერინე წერს, შეუძლებელი გახდა ხალხის დაწყნარება.— ისინი განაგრძობდნენ ფიცის მიღებას, რათა „იყონ ერთსულოვნად“ მებატონეთა წინააღმდეგ.

ეკატერინემ სხვა ღონისძიებას მიმართა: 1857: წლის

8 მაისს მმართველობის საბჭოს წევრებს — გრიგოლ დადიანსა და თეოფანე ჭყონდიდელს დაავალა ზომები მიეღოთ აჯანყების ჩასაქრობად. ეს უკანასკნელთ ავალებდა: „ჯერ კიდევ მშვიდობიანი გზით სცნოთ და მომახსენოთ მე მიზეზები ამ აღძრულებისა და დაამშვიდოთ იგი საშვალობითა კეთილგონიერებითათა“³⁴.

გრიგოლ დადიანი და თეოფანე ჭყონდიდელი საქმეს შეუდგნენ. გაემართნენ სოფ. ლესიჭინეში იმ ვარაუდით, რომ აქ გაემართათ აჯანყებულებთან მოლაპარაკება, მაგრამ ამ დროისათვის, როგორც ზემოთ ითქვა, აჯანყებულთა ლაშქარს უკვე დაკავებული ჰქონდა ლაკადის ყველა სოფელი, საქმაო მანძილით დაშორებული იყო ლესიჭინეს და ხობისწყლის მარჯვე მხარეზე ეპყრა ჭაქვინჯი, კირცხი, ხიბულა და აქედან ემზადებოდა ზუგდიდზე გასალაშქრებლად. ამიტომ ლესიჭინეში აჯანყებულებთან მოლაპარაკება არ მოხერხდა.

გრიგოლ დადიანი და თეოფანე ჭყონდიდელი მაინც შეეცადნენ მიეღწიათ აჯანყებულებთან მოლაპარაკებისათვის. 10 მაისს მათ ხიბულაში მეამბოხეებთან მიავლინეს არქიმანდრიტი ტარასი ელიავა და დეკანოზი ბორისოვი³⁵, რომლებსაც აჯანყებულებისაგან უნდა მიეღოთ თანხმობა გრიგოლისა და ჭყონდიდელის მიღებაზე მოსალაპარაკებლად, მაგრამ რაღაც ამ მოციქულებმა ვერ გაბედეს აჯანყებულთა ბანაკში მისვლა, ამიტომ

³⁴ ზმა. საქმე 13-ა, ფურც. 1.

³⁵ ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 22.

გლეხებს მიუგზავნეს აზნაური გიგო ქავთარაძე და მისი მეშვეობით ითხოვეს მიღება.

იმავე სალაშოს (10 მაისს — დ. ლ.), სანამ ქავთარაძე გლეხებთან მოლაპარაკებას გამართავდა, ხიბულაში აჯანყებულებთან მივიღა ლესიჭინიდან გამოგზავნილი ორი გლეხი, რომლებმაც აჯანყებულებს ურჩიეს არ მიეღოთ ჭყონდიდელის მოციქულები³⁶.

ხიბულაში დაბანაკებულმა აჯანყებულებმა დელეგაციის მიღებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს და გიგო ქავთარაძის პირით მთავრობას შემოუთვალეს, რომ არც გრიგოლსა და ჭყონდიდელს, არც მათ მიერ გამოგზავნილ დელეგაციას არ მიიღებენ და „აღასრულებენ წინამდებარეთა განზრახვათა თვისთა ყოვლადის განგრძობით... ვითარ დასაბამიდან არ მიიღებენ ცნობასა მშევიდობისათვის³⁷, ე. ი. განაგრძობენ აჯანყებას, სანამ დაწყნარების შესახებ მითითებას არ მიიღებენ თვიანთი წინამდლოლებისაგან. აჯანყებულებმა წალენჯიხის, ჭყალუაშის, კორცხელის, ლელებიეს, ყულის-კარის, ჭაქვინჯის, კირცხის, ხიბულასა და სხვა სოფლების დაკავების შემდეგ ჩრდილო-აღმოსავლეთიდან იერიში მიიტანეს ზუგდიდზე.

ამ დროს ზუგდიდს იცავდა მაზრის თავადაზნაურობა შდივანბეგი ნიკო დადიანის მეთაურობით. მდივანბეგის შეიარაღებული რაზმისა და აჯანყებულთა გააფთრებული შეტაკება პირველის დამარცხებით დამთავრდა. 1857

³⁶ ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 41, ზემო აღნიშნული ფაქტი გვათიქრებინებს, რომ აჯანყებულთა მთავარი შტაბი ლესიჭინეში უნდა ყოფილიყო.

³⁷ ზმა, საქმე 13, ფურც. 8—9.

წლის 12 მაისს აჯანყებულებმა დაიკავეს მთავრის რეზიდენცია — ზუგდიდი. მთავრობის რაზმი გაიქცა. მთავრის აღმინისტრაციული ცენტრის — ზუგდიდის დაცემით ფაქტიურად დაეცა თავადაზნაურული ხელისუფლება და ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში გადავიდა.

ზუგდიდის მშრომელი მოსახლეობა შეუერთდა აჯანყებულთ³⁸. აჯანყებულნი შეუდგნენ დარჩელისაკენ სალაშეროდ მზადებას: „დღეინდელსა (12 მაისი—დ. ლ.) რიცხვსა შეფიცეს მდაბიოთაგანი ყოველი მუნ. მცხოვრები და ხვალისათვის შეერთებითა ზუგდიდის მცხოვრებთა, ემზადებიან დარჩელად³⁹, — ვკითხულობთ ერთ-ერთ საბუთში.

ამ დროს ბრძოლა იმდენად მწვავე ხასიათს იღებდა, რომ აჯანყებულები არ ინდობდნენ. გლეხებსაც კი, რომლებიც აჯანყებულებს არ უერთდებოდნენ.

აი რა მოხდა სოფ. ობუჯში 8 მაისს: წალენჯიხაში დაბანაკებულმა აჯანყებულებმა სოფ. ობუჯში კაცი გაგზავნეს, რათა გაეგოთ მიიღებდნენ თუ არა მონაწილეობას აჯანყებაში ობუჯელები. შენგელაიების ყმებმა შეუთვალეს, რომ ისინი თანახმა არიან მიიღონ ფიცი და გაილაშერონ მებატონეთა წინააღმდეგ, მხოლოდ ჭერ ფიფიები უნდა დააფიცოთო. ფიფიებმა კი უარი განაცხადეს იმ მიზეზით, რომ მათ უკვე მიაღებინეს მემამულებმა მებატონეებისადმი ერთგულების ფიცი და ვერ უღალატებდნენ ხატს.

³⁸ ზმა, უონდი, საქმე 13-ა, ფურც. 14.

³⁹ იქვე.

8 მაისს 576 აჯანყებულისაგან შემდგარი რაზმი,
3 დროშით, ბუკებით და ვაშას ძახილით შეესია ბულა-
თია ფიფიას ოჯახს. მეამბოხებმა შემოაწერიეს ეზოს
შესერი, დაანგრიეს სამჭედლო, სახლის ერთი ნაწილი,
მარანი, ხოლო სურსათ-სანოვაგე ჯარისათვის გამოი-
ყენეს.

ამის შემდეგ აჯანყებულები შეიჭრნენ დათიკა ფი-
ფიას ოჯახში. მასაც შემოუნგრიეს მესერი, დაუნგრიეს
სახლის ერთი მხარე, მარანი კი მთლიანად დაშალეს.

აჯანყებულების ასეთმა ქცევამ შეაშინა სხვა ფიფი-
ები და მათ გაქცევით უშველეს თავს, მაგრამ გაქცეუ-
ლებიდან დაიჭირეს ისლამი, მაჭვა, პეპუ, კუჭურუა ფი-
ფიები; მათ შეუბრალებლად სცემეს, შემდეგ კი ეკლე-
სიაში აჯანყებისაღმი ერთგულების ფიცი მიაღებინეს.
ამ დროს სკოფელში დაბრუნდნენ ბულათია და ხუსუ
ფიფიები. აჯანყებულებმა ისინი ხელში ჩაიგდეს და
წინადადება მისცეს ფიცი ჭიელოთ. მაგრამ ორივემ
მტკიცე უარი განაცხადა. მათაც ცემით გაუმასპინძლ-
დნენ და იქვე დატოვეს ხატზე გადაცემული, ხოლო
შეპყრობილნი თან წაიყვანეს აჯანყებაში მონაწილეო-
ბის მისაღებად.

აჯანყებულთა წინააღმდეგ „გონიერი“ ზომების⁴⁰ „უშედეგოდ დამთავრების შემდეგ გრიგოლ დადიანი და
თეოფანე ჭყონდიდელი ერთხანს უცდიდნენ ეკატერინე
დადიანის განკარგულებას: „ჩვენ უკვე ვიმყოფებით
ხობისწყლის პირზედ მომლოდნელი ახლისა განკარგუ-
ლებისა თქვენის განათლებულესობისა,“ — წერდნენ

⁴⁰ ზმა, ფონდი, საქმე 13-ა ფ. 9, 14.

ისინი ეკატერინეს 1857 წლის 11 მაისს. ახალი განკარ-
გულების მოლოდინში ხობისწყალთან უმოქმედოდ
მდგომი გრიგოლი და სხვები ეკატერინეს აწვდიდნენ
აჯანყების გავრცელების შესახებ ცნობებს, რომლებიც
ნათელყოფს თუ როგორ ვითარდებოდა აჯანყება.

11 და 12 მაისს აჯანყების შესახებ მიღებულმა
ცნობებმა ეკატერინე მძიმე საგონებელში ჩააგდო, მაგ-
რამ იგი ჯერ კიდევ იმედს არ კარგავს. ახლა ის პირა-
დად შეეცადა გავლენა მოხედინა აჯანყებულებზე. ზოგი-
ერთი თავაღიც (მდივანბეგები პეტრე დადიანი და გი-
გო ფალავა) არწმუნებდა მას, რომ „თქვენი პირისპირ
ხილვა სრულიად დაამყუდრებს“ აჯანყებულებსო.

ამ მიზნით ჭყონდიდელის, დავით ჩიქოვანისა და
სხვა თავადების თანხლებით 13 მაისს ეკატერინე გაე-
მართა სალხინოსაკენ. აქედან კი მას უნდოდა გამგზავ-
რებულიყო სხვა სოფლებში და დაეწყნარებინა აჯანყე-
ბული გლეხები.

სალხინოში ხანგრძლივი მოლაპარაკებისას გლეხებ-
მა ეკატერინეს წაუყენეს თავიანთი მოთხოვნები. ეკა-
ტერინე განრისხდა და გლეხებისაგან უსიტყვო დამორ-
ჩილება მოითხოვა. იგი მხოლოდ ამის შემდეგ პირდე-
ბოდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები. მოლაპა-
რაკება კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. ხოლო, როცა
ჭყონდიდელმა გლეხებს დედოფლისადმი მორჩილები-
საკენ მოუწოდა, აბობოქრებული ხალხი თავს დაესხა
დედოფლის ამალას და მას ხელჩართული შეტაკება
გაუმართა.

ამის შემდეგ ეკატერინემ ნათლად წარმოიდგინა, თუ

რა დიდ სახალხო მღელვარებასთან ჰქონდა საქმე და დაკარგა ყოველგვარი იმედი მშვიდობიანი გზით მისი დაცულობისა.

14 მაისს ეკატერინემ წერილობით განკარგულება მისცა გრიგოლს უკან დაბრუნების შესახებ, რადგან „თქვენი მანდ მყოფობა ხდება უნაყოფოდ... დასტოვოთ აწ მინდობილება ესე და მობრძანდეთ თქვენსავე აღგილზე; ხოლო უკეთუ თქვენთან, ანუ ვინმე მაზრის მღივანბეგთან შეკრებილ არიან თავადნი, ანუ აზნაურნი, მიღებისთანავე ამისა მისქციეთ ისინი თავიანთ სახლსა შინა, ხოლო მაზრის მღივანბეგნი, აღგილთა თვისთა აწ მინდობილობათა“⁴¹.

გრიგოლ დადიანი, რომელიც მანამდეც კარგად ხელავდა მის მიერ მიღებული. ზომების უშედეგობას, 1857 წლის 15 მაისს გაბრუნდა გაურკვეველ მიმართულებით. ამგვარად, შეტევა აჯანყებულთა წინააღმდეგ უშედეგოდ დამთავრდა და ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია, ხოლო აჯანყება ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. აჯანყების ზრდამ საგონებელში ჩააგდო თავადაზნაურობა, რომელიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მას არ შეუძლია მისი ჩაქრობა საკუთარი ძალებით, რომ საჭიროა მეფის მთავრობის სამხედრო ნაწილების მოშველიება.

16. მაისის საიდუმლო წერილში გრიგოლ დადიანი ეკატერინეს სწერდა: „სამთავრო მოხელენი განდევნილ აჩინან აღგილთაგან მათთა და ვინაიდან მტკიცისა აზრი-

⁴¹ ზმა, ფონდი, საქმე 13-ა, ფურც 16. იხ. ზუგდიდის მუზეუმის შრომები, ტ. 1, გვ. 48.

სამებრ ჩემისა ლმობიერებით შედგომა საქმისა ამას მისცემს ხალხთა უმეტესსა მიზეზსა ძლიერებისასა — რომლითა არცა მოწევნილ არს უკიდურესობამდე მით, რომელ ეკლესიათა სტეხენ და ხატი მუნიღვან დაყავენ, თან მძიმეთა ტყუებთა ათავისუფლებენ საპურობილიდამ, ცოლშვილიან თავადთა და აზნაურთა შეზღუდულ არიან და არა აქვსთ საშვალობა გამოხსნისა— ესე ყოველნი წინაღუდგებიან განათლებულსა წესსა რუსეთის მართებლობისასა. ამის გამო მე ვპოვებ უსაჭიროესად, რათა ეცნობოს ესე ქუთაისის ღენერალ-ღუბერნატორს შემწე გვექნას იგი წარმოგზავნითა აქა რაოდენთამე მხედრობათათა, რომლისა მიმხედველნი, ანუ შეშინდებიან ხალხნი ეს უაღვირონი დაშლიან თავირასა და საიდუმლოსა ამას გაფიცულობასა, ანუ მათთანა შეგნეობითა აქაურ თავადთა და აზნაურთათა საჭურველით უნდა დამორჩილებულ იქმნენ“¹².

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, გრიგოლ დადიანს მდგომარეობა სწორად აქვს წარმოდგენილი: სამთავრო ხელისუფლება გადაყენებულია, აჯანყებულები კი იმდენ ძალას იჩენენ, რომ არა მარტო აწიოკებენ თავად-აზნაურობას, არამედ სატუსალოებიდან ათავისუფლებენ პატიმრებს. ხოლო ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ აჯანყებამ უკვე უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

გარდა ამისა, იმავე საიდუმლო წერილში გრიგოლი რჩევა-დარიგების სახით ეკატერინეს მიუთითებს, რომ საკუთარი ძალებით ისინი ვერ ჩააჭრობენ აჯანყებას.

¹² ზმა, ფონზი, საქმე 13-ა, ფურც. 17.

ამიტომ საჭიროდ მიაჩნია ეს მდგომარეობა ეცნობოს და დახმარება ეთხოვოს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, მით უმეტეს, რომ სამეგრელოს გლეხთა აჯანყება ამავე დროს ერთგვარად მეფის რუსეთში არსებული ბატონიური წესების წინააღმდეგაც იყო მიმართული.

ამ დროს მეფის მთავრობის ყურამდე უკვე აღწევდა ცნობები აჯანყების გაფართოების შესახებ; ამიტომ მან პირველ რიგში ფეხზე დააყენა ქუთაისის ოლქის უანდარმთა კორპუსი.

1857 წლის 13 მაისს სამეგრელოს სახალხო მღელვარების შესახებ ბარიატინსკის სახელზე შეღენილი პატაკი მე-6 ოლქის უანდარმთა კორპუსის კაპიტანმა ვუგეტიჩმა წარუდგინა კრუზენშტერნს⁴³. 15 მაისს ქუთაისის გუბერნიის უანდარმთა კორპუსის შტაბ-ოფიცერი ლაბენსკი ბარიატინსკისადმი წერილში წერდა; რომ ჯოხებით, ხმლებითა და ცეცხლმსროლელი იარაღით აღჭურვილ სამეგრელოს მოსახლეობას არ სურს დაემორჩილოს აღგილობრივ მთავრობას⁴⁴.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, გამოეთხოვათ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ თავად გაგარინისაგან დაწვრილებითი ცნობა აჯანყების შესახებ: მისგან მოითხოვდნენ, კერძოდ, ცნობას იმის შესახებ, თუ რა ზომების მიღება ჰქონდა მას განზრახული.

აჯანყებულთა მიერ მაისის პირველ ნახევარში ჩა-

⁴³ კავკასიის მეფისნაცვლის საერთო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი.

⁴⁴ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4.90. ფურც. 2, 7, 8.

ტარებულმა შეტევითმა ლაშქრობამ იმდენად დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს სხვა რაიონების გლუ-
ხობაზე, განსაკუთრებით კი იმერეთზე, რომ აჯანყები-
საკენ მოწოდებას აქაც შეიძლებოდა ოდგილი ჰქონოდა.
აი რას წერს დონის ყაზაკთა პოლკის მეთაური პოლ-
კოლკოვნიკი სამხედრო გუბერნატორისადმი 20 მაისს
გაგზავნილ საიდუმლო პატაკში: „16 მაისის მოწერილო-
ბის მიხედვით მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს აღმა-
ტებულებას, რომ ჩემდამი რწმუნებულ პოლკში მკაც-
რი საიდუმლო ზედამხედველობის დაწესების საგანზე,
აღმაშფოთებელ მოწოდებათა გამოჩევევაში
ჩემს მიერ გაცემულია სათანადო განკარგულება“⁴⁵.

ამ დროს აჯანყებულთა ლაშქარი ზემო სამეგრელო-
დან ქვემო სამეგრელოსაკენ სამი მიმართულებით
უტევდა.

12 მაისს ზუგდიდის დაკავებისა და 13 მაისს დარ-
ჩელისაკენ გალაშქრების შემდეგ, აჯანყებულების ერთ-
მა რაზმა, რომელიც 1000 შეიარაღებული გლეხისაგან
შედგებოდა, 15 მაისს დაიკავა სოფელი ხორგა. აქედან
ამ რაზმს უნდა გაელაშქრებინა შავი ზღვის აღმოსავ-
ლეთ ნაპირზე მდებარე ნაცსაღგურ ყულევისაკენ და
ხელთ ეგდო იგი. ამგვარად, აჯანყებულებიმა თითქმის
შავ ზღვამდე მიაღწიეს და ემუქრებოდნენ ყულევს,
ფოთს, აგრეთვე უახლოვდებოდნენ რიონის მარჯვენა
ნაპირზე მდებარე ქვემო სამეგრელოს სოფლებს. მაგ-
რამ ხორგას დაცემისა და აჯანყებულების მიერ ყულე-
ვის მიმართულებით გეზის აღების შესახებ ხორგელმა

45 ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 12.

თავადმა ლევან ჯაიანმა იმავე დღეს აცნობა ყულევის
სამხედრო უფროსს მაიორ ჩერნიავსკის⁴⁶.

ცნობის მიღებისთანავე ჩერნიავსკი სასწრაფოდ და-
უკავშირდა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს და
სთხოვა სათანადო ინსტრუქცია, თუ როგორ მოქმედ-
ლიყო. იგი გუბერნატორს აგრეთვე ატყობინებდა, რომ
მისი ბრძანების მიღებამდე თუ აჯანყებულთა ჯარი ყუ-
ლევს მიადგებოდა, თავს მოვალედ, ჩათვლიდა აჯანყე-
ბულთა ლაშქარს თავისი სამხედრო ძალებით ქალაქის
საზღვარზე დახვედროდა და ყოველგვარი ზომა ეხმარა
მისი უკუქცევისათვის. ჩერნიავსკი შეუდგა ყულევის
გამაგრებას, მიიღო ზომები, რათა ხორგაში სალაშქროდ
გამზადებულ აჯანყებულთა ლაშქარსა და ყულევის
შემრომელ მოსახლეობას არ დაემყარებინათ ურთიერთ-
კავშირი. მკაცრად აღიკვეთა ქალაქიდან გასვლა და შე-
მოსვლა. ირგვლივ განლაგებულ იქნა სამხედრო ნაწილები.
დახმარებისა და სათანადო ხელმძღვანელობისა-
თვის ჩერნიავსკიმ მიმართა ფოთში მყოფ პოლკოვნიკ
ივანოვს⁴⁷, რომელიც მაშინვე დაიძრა შავი ზღვის მე-4
სახაზო ბატალიონის სამხედრო ნაწილებით და იმავე
დღეს (15 მაისს) სალამოს 10 საათზე ჩავიდა ყულევში.
მთავრობის სამხედრო ძალებმა აჯანყებულებთან თავ-
დასხმის მოლოდინში მთელი ღამე იარაღით ხელში გა-
ატარეს.

მაგრამ ყულევის მიმართულებით მოქმედმა შეია-
რაღებულმა ლაშქარმა მოულოდნელად მიმართულება

⁴⁶ ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 18.

⁴⁷ იქვე.

შეიცვალა და 16 მაისს ნოჭიხევისკენ გაემართა. მიმართულების შეცვლა პირველ რიგში შემდეგით შეიძლება აიხსნას: აჯანყებულთა ლაშქარმა, მიიღო ცნობა მეფის მთავრობის სამხედრო ნაწილების მიერ ყულევის დაცვისა და გამაგრების შესახებ. მანევრირებისა და ჰალების გაძლიერების მიზნით მას სურდა ნოჭიხევთან შეერთებოდა მეორე მიმართულებით—ხობისწყლის მარჯვენა ნაპირიდან მდინარე ჭანისწყლამდე—მოქმედ აჯანყებულთა ძირითად — 10000 კაცისაგან შემდაგარ ლაშქარს⁴⁸.

შეიძლება ვივარაუდო, აგრეთვე მეორე მომენტი, სახელდობრ, აჯანყებულთა ცალკეული რაზმების საჩქაროდ გაერთიანების აუცილებლობა, რაც გამოწვეული იყო აჯანყების წინააღმდეგ ზომების მიღების საქმეში მომხდარი გარდატეხით. ამითაც იყო გამოწვეული ყულევისაკენ აღებული მიმართულების ნოჭიხევით შეცვლა.

როგორც უკვე აღნიშნულ იყო, 16 მაისს გრიგოლ დადიანისაგან მიღებულმა საიდუმლო ცნობებმა ეკატერინე უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო. დაბოლოს, მან გადაწყვიტა დახმარების შესახებ მიემართა მეფის გთავარობისათვის.

1857 წლის 16 მაისს ეკატერინემ ვიღაც მიქაძე წერილით გაგზავნა ქუთაისში სამხედრო გუბერნატორ კოლუბაკინთან. წერილში იგი წერდა, რომ სამეგრელოს

⁴⁸ არსებობს დოკუმენტი. რომელიც ადასტურებს, რომ 15 მაისს ყულევისკენ მიმავალი 1000 კაცისაგან შემდგარი აჯანყებულთა რაზმი კვლავ გამოჩნდა იქ 19 მაისს, დონის კაზაკთა მეთაურის პატაკი, ცსსა; მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 13.

სამთავროს მდაბილ ხალხში თავი იჩინა მღელვარებამ, არ ემორჩილება მებატონეებსა და აღვილობრივ ხელისუფლებას. გლეხები სდებენ საერთო ფიცს ერთმანეთი-საღმი ერთგულების შესახებ. მღელვარება დღითიდლე იზრდება. როგორც კეთილგონივრული შთავონება, ისე მკაცრი ზომები ამაო აღმოჩნდა მათი დაწყნარებისათვის. თუ ბრბო შემდგომაც ასევე ურჩი დარჩება, მაშინ მას აუცილებლად მიაჩნია აჯანყებულების აღაგმვა იარაღით. ეკატერინე ითხოვდა დონის კაზაკებს, რომელთაც აჯანყების ჩასაქრობად უნდა ემოქმედათ მისი მითითებით.

საგანგებო შიკრიკი იმავე საღამოს გამოცხადდა კოლუბაკინთან. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სასწრაფოდ გამოეხმაურა ამ წერილს, ასე რომ, არც კი დაუცდია⁴⁹ ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორ გაგარინისაგან სანქციის მიღებისათვის, რაღვან, როგორც თვითონ აღნიშნავდა, მას ამოძრავებდა „საკაცობრიო“ — (თავადაზნაურთა) ინტერესები, ე. ი. რომ პირველ ყოვლისა, საჭირო იყო სამეცნიელოს თავადაზნაურების დაცვა შეიარაღებული აჯანყებისაგან, რომელიც დღითიდლე იზრდებოდა. ამასთან მას მიაჩნდა, რომ მეფის მთავრობის სამხედრო ძალების გამოჩენით თავიდან იქნებოდა აცილებული საქართველოს სხვა რაიონების გლეხობაზე აჯანყებულთა გავლენა⁵⁰.

ამავე დროს, აჯანყებასთან დაკავშირებით, კოლუბაკინი ფიქრობდა სამეცნიელოს სამთავროს ავტო-

⁴⁹ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ამ დროს გაგრაში იმყოფებოდა.

⁵⁰ ცსსა, თბილისი, ფონდი, 8/98, საქმე 4890, ფურც. 16.

ნომიის საკითხის გადაჭრასაც. საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ჯერ კიდევ 1856 წელს კოლუბაკინმა წერილობით განუმარტა თავისი აზრი სამოქალაქო სამმართველოს უფროსს თავად ბებუთოვს იმის შესახებ, რომ სამეგრელოს ავტონომიის საქმეში მთავრობის კანონიერი ჩარევისათვის საჭიროა განსაკუთრებული ინსტრუქციის გამომუშავება⁵¹, რომელიც სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა სამეგრელოში ავტონომიის გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარებისათვის.

მაშასადამე, როგორც ირკვევა, სამეგრელოს ავტონომიის გაუქმების საკითხი აჯანყებამდეც მზადდებოდა. მართალია, ასეთი ინსტრუქცია კოლუბაკინს არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ მის შემცველად გენერალს გამოადგა ეკატერინე დადიანისაგან 16 მაისს მიღებული წერილი. სწორედ ამიტომ იყო, რომ სამხედრო გუბერნატორი ასე უტიფრად მიიჩქაროდა სამეგრელო-საკენ.

ამგვარად, სამი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება ამოძრავებდა მეფის სატრაპს, გენ. კოლუბაკინს, როცა სამხედრო ნაწილებით სამეგრელოში შეიჭრა: აჯანყების ჩაქრობა, დროულად ზომების მიღება, რომ მღელვარების ალი საქართველოს სხვა რაიონებს არ მოსდებოდა, აჯანყებასთან დაკავშირებით სამეგრელოს ავტონომიის გაუქმება და აქ რუსული მმართველობის დამყარება. როგორი თანმიმდევრობით მიმდინარეობდა ამ ამოცანების განხორციელება?

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, ეკატერინესაგან

51 Иваненко, Гражд. упр. закавк. გვ. 193—194.

წერილის მიღების მეორე დღესვე, 1857 წლის 17 მაისს ქუთაისიდან დაიძრა 30 კაზაკისა და ორი მოხელის — მიქელაძისა და ერისთავის თანხლებით და იმავე დღის 4 საათზე სოფელ ქვაშიხორს მიაღწია. აქ მას დახვდა გაგარინის მიერ ეკატერინესთან გამოგზავნილი კანცელარიის მმართველი იზიუმსკი. 17 მაისს საღამოს ეკატერინემ მიიღო ცნობა კოლუბაკინის ჩამოსვლის შესახებ და 18 მაისს ეკატერინე პირისპირ შეხვდა მას ქვაშიხორში. ამავე დღეს კოლუბაკინმა დონის კაზაკთა მეორე პოლკისა და სახაზო პირველი ბატალიონის მეთაურებს ლაშინსა და შტაბ-კაპიტან მიქელაძეს უბრძანა დაძრულიყვნენ აჯანყებულთა წინააღმდეგ⁵².

კოლუბაკინისათვის ქვაშიხორში ნათელი გახდა, რომ მღელვარებით მოცულია სამეგრელოს მთელი ყმა მოსახლეობა, მან უკვე კარგად იცოდა თუ რა განწყობილება სუფევდა სამეგრელოს თავადაზნაურობასა და მმართველ ფეოდალურ ზედაფენაში. ეკატერინე პლეხების აჯანყებას გრიგოლ დადიანსა და მოწინააღმდეგი ჯგუფს აბრალებდა, ხოლო ისინი — ეკატერინესა და მისი ერთგული სახლთუხუცესის დავით ჩიქოვანის არა-ადამიანურ რეაქტიმს. და აი, ეს მოკინკლავე, მოშუღლე, პატივმოყვარე, უკმაყოფილო თავადაზნაურობა უძლუ-ჭად იდგა მღელვარების ჩასაქრობად ჩამოსული სამხედრო გუბერნატორის წინაშე. კოლუბაკინი ახლა უკეთ გაერკვია ვითარებაში და მან კარგად იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა ამ ხელსაყრელი მომენტის შესაბამისად.

⁵² ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურ. 4.

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქუთაი-
სის სამხედრო გუბერნატორი მეტად მძიმე და საშიშ
მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაღაც ასეთი გრანდი-
ოზული აჯანყების ჩასახშობად მას არ ჰყავდა საკმაო
ძალები. „მხოლოდ იზიუმსკი, თავ. ერისთავი, ორი
თავადი მიქელაძე და 30 კაზაკი, აი, ვინ არიან ჩემი თა-
ნაშემწეები ასეთ მძიმე ატმოსფეროში“⁵³ — სწერდა
კოლუბაკინი გაგარინს. კოლუბაკინი უმწეო აღმოჩნდა
არათუ 30 კაზაკით, არამედ აჯანყებულებთან ვერა გა-
აწყო რა დამატებით მოსული 130 კაზაკითა და 200
ქვეითი ჯარისკაცის დახმარებითაც.

ამიტომ კოლუბაკინმა 17, 18 და 19 მაისის განმავ-
ლობაში თავი აარიდა აჯანყებულების წინააღმდეგ რა-
დიკალური ზომების მიღებას — პირისპირ შეტაკებას
და აწარმოებდა ვითარების ყოველმხრივ შესწავლას.
უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ეკატერინე დადიანის
მიერ მოჭორილი ცნობა, თითქოს კოლუბაკინს 18 და 19
მაისს აჯანყებულებთან ეწარმოებინოს მოლაპარაკება.
მართალია, კოლუბაკინმა მოლაპარაკება კი აწარმოვა,
მაგრამ არა გლეხებთან, არამედ მმართველობით უკმა-
ყოფილო ფეოდალურ ზედაფენასთან.

ამ დროს ხობისწყლის მარჯვენა მხარეზე აჯანყებულ-
თა ჯარი უკვე აღწევდა 10000-მდე კაცს. მას უშუალოდ
მეთაურობდა უტუ მიქავა. მარცხენა მხარეზე კი, სადაც
აჯანყებულებს წინამძღოლობდა უტუ თოდუა, მდგომა-
რეობა ამ პერიოდში უფრო რთული იყო. აქ აღგილი
ჰქონდა აჯანყების წინსვლის შეფერხებასაც. ამაზე ლა-

⁵³ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 16—32.

ჰარაკობს როგორც ეკატერინეს, ისე კოლუბავინის მოხსენებითი ბარათები.

როგორც აღვნიშნეთ, 13—14 მაისს აჯანყებულებთან სალხინოში მოლაპარაკებისას ეკატერინემ მარცხი განიცადა. მაგრამ იგი დაცემული ავტორიტეტის აღსაღვენად წერდა, თითქოს 15 მაისს აჯანყებულები, თოდუასთან ერთად, მასთან გამოცხადდნენ, დაემორჩილენ მის ბრძანებას და მისი დაპირებით დაკმაყოფილებულებმა 16 მაისს თავიანთ სოფლიდან მოიტანეს მთავარ ანგელოზის „სასწაულმოქმედი“ ხატი, დაარღვიეს მიღებული ფიცი და ერთგულება გამოუცხადეს. მას, ამასთან ერთად დაპირდნენ, რომ სხვებსაც დააწყინარებდნენ⁵⁴. ამასვე იმეორებს კოლუბავინი, ეყრდნობა რა ეკატერინეს ნამბობს. ყველაფერი ეს უდავოდ მოგონილი ამბავია, რაღაც ჩვენთვის ცნობილია, თუ რა მღვმარეობაში იყო ადგილობრივი ხელისუფლება დასახელებულ დღეებში.

გარდა ამისა, თავადები პეტრე დადიანი და გიგო ფალავა არასწორ ცნობას აწვდიდნენ ეკატერინეს, თითქოს მათ დამორჩილდნენ სერგეითის, ბობოთის, ნახუნუს, ნალეჭსოესა და აბედათის სოფლები. ეკატერინე დარწმუნებული იყო ამ ცნობის სისწორეში და თვითონაც ავრცელებდა.

საქმის ვითარება კი სულ სხვაგვარი იყო. არსებული საბუთების შესწავლით მტკიცდება, რომ 15 მაისს სალხინოში ეკატერინესთან უტუ თოდუა არ გამოცხადებულა. გლეხებმა დედოფალს მოახსენეს, რომ იგი ავად

არისონ. ძნელია იმის თქმა, რადგან ამის შესახებ პირ-დაპირი მითითება არ მოგვეპოვება, თოდუა ნამდვილად ავად იყო, თუ მან არ მოისურვა მასთან საუბარი და ავადმყოფობა მოიმიზება,

კოლუბაკინის ჩამოსკლისას ეკატერინემ მას განუ-ცხადა, რომ უკვე შეძლო თოდუას მეთაურობით ხობის-წყლის მარცხენა ნაპირზე მყოფ აჯანყებულთა დაწყნა-რება და რომ მღელვარება მძვინვარებს მხოლოდ ხო-ბისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სადაც აჯანყებულებს უტუ მიქავა უდგას სათავეში. მაშინ, კოლუბაკინმა გადაწყვიტა სტრატეგიული ხერხით გაეთიშა ისინი და დაქსაქსული ნაწილებისათვის ცალ-ცალკე მოეღო ბო-ლო. ამისათვის, პირველყოვლისა, საჭირო იყო სასწრა-ფოდ ზომების მიღება აჯანყებულთა ძალების გათიშ-ვისათვის.

ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე შექმნილი ასეთი ვითარება მხედველობიდან არ გამოპარვია უტუ მიქავას და მან საჩქაროდ წინასწარი გამაფრთხილებელი ზომე-ბი მიიღო.

ქვემო სამეგრელოს მიმართულებით მოქმედ 10000-ანი ლაშქრიდან უტუ მიქავამ გამოყო 2000 კაცისაგან შემდგარი რაზმი, სათავეში ჩაუდგა მას და 19 მაისს, გადალახა რა ხობისწყლის მარცხენა ნაპირი, მოევლინა აჯანყების იმ რაიონს, სადაც თოდუა იყო. მიქავამ სხვადასხვა მიმართულებით მოქმედ აჯანყებულთა რაზმებს უბრძანა სასწრაფოდ თავი მოეყარათ ნოჭი-ზევთან და გაერთიანებულიყვნენ. მდგომარეობა დაგვია-

ნებას კერ ითმენდა; ამიტომ დანიშნა რა თავშოურის ადგილი, თვითონ მიქავა სასწრაფოდ წავიდა და დაბანაკდა შეკრების საერთო პუნქტად დანიშნულ ნოჭიხევსა და თეკლათს შორის. ასე დაიწყო აჯანყებულთა ცალ-ცალკე მოქმედ რაზმების გაერთიანება.

კოლუბაკინმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ გა-
ვარინისაგან სოხუმიდან მიიღო 15 მაისით დათარიღე-
ბული, ოფიციალური მოწერილობა, რომელშიც იგი
კოლუბაკინს აჯანყების ჩატრობას ავალებდა⁵⁶.

კოლუბაკინი 18 მაისიდან შეუდგა სამხედრო ნაწი-
ლების გამოწვევას და მღელვარების ჩატრობისათვის
საჭირო ლონისძიებების ჩატარებას.

18 მაისს სახაზო პირველი ბატალიონის მეთაურს გავ-
რილოვს მან მოსთხოვა დაუყოვნებლივ ეცნობებინა, თუ
რამდენი კაცის გამოგზავნა შეეძლო. ამასთან ის ხაზს
უსვამდა, რომ სასურველი იქნებოდა, რაც შეიძლება
მეტი ჯარისკაცი გამოეყო და მათ მეტაურად დაენიშნა
შტაბს-კაპიტანი მიქელაძე⁵⁷.

ასეთივე განკარგულება კოლუბაკინმა მისცა დონის
კაზაკების მეორე პოლკის მეთაურს. მას უბრძანა რაზ-
მის უფროსად დაენიშნა ლაშინი და იგი ახლავე შესდ-
გომოდა მზადებას, რათა მოთხოვნისთანავე სასწრაფოდ
გამგზავრებულიყო წინასწარ დანიშნულ შეკრების პუნ-
ქტზე, პირველყოვლისა გამოეყენებინა დაშოშმინების
ზომები, ხოლო თუ კი ეს კერ გასჭრიდა აჯანყებულთა
წინააღმდეგ მიემართა იარაღისათვის.

⁵⁶ ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურ. 3.

⁵⁷ იქვე, ფურ. 4.

ქუთაისში არყოფნის პერიოდში მისი მოვალეობის შესრულება კოლუბაკინმა დაავალა გუბერნიის მმართველობის მრჩეველ გორჩენკოს⁵⁸.

19 მაისს გენ. კოლუბაკინმა ეკატერინე დადიანს მიმართა წერილობით იმის შესახებ, რომ სამეგრელოს სხვა-დასხვა პუნქტში განლაგებული კაზაკები შეეცვალა შეიარაღებული თავადაზნაურობით. იმავე დღეს ყველა საგუშაგოს უფროსებს უბრძანა თავადაზნაურობით შეცვლილი კაზაკები გამოეგზავნათ მის განკარგულებაში. ხოლო დონის კაზაკების მე-2 პოლკის მეთაურს დაავალა ქუთაისიდან სამეგრელოში სასწრაფოდ გამოეგზავნა 200 კაზაკი ათი დღის სურსათის მარაგით.

19 მაისის პატაკით სახაზო პირველი ბატალიონის უფროსმა გავრილოვმა კოლუბაკინს შეატყობინა, რომ უკიდურეს შემთხვევაში მოახერხებდა 200 რიგითი და სათანადო უნტერ-ოფიცერთა შემაღვენლობის შეგროვებას, ხოლო დონის კაზაკების მეორე პოლკის მეთაური პირდებოდა 120 კაზაკს⁵⁹.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, 18 და 19 მაისს კოლუბაკინი ენერგიულად ეწევა სამხედრო ძალების მობილიზაციას, ემზადება აჯანყების ჩასაქრობად.

19 მაისს კოლუბაკინმა მიიღო ცნობა უტუ მიქავას წინამძღვრობით ორი ათასი კაცისაგან შემღვარი აჯანყებულთა რაზმის ხობისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებში გამოჩენის შესახებ. ცნობის მიღების-

58 ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 8—9.

59 იქვე, ფურც. 10—11.

თანავე მოხელე როსტომ მიქელაძეს დაევალა დაეზვე-
რა, თუ სად იმყოფებოდა მიქავა და მისი რაზმი.

კოლუბაკინმა მხოლოდ 20 მაისს დილით მიიღო
ცნობა, რომ მიქავა და მისი რაზმი, რომელსაც იგი
უთვალთვალებდა, უკვე ნოჭიხევის საგუშავოსთან იმ-
ყოფებოდა და მის გარშემო თავს იყრიდნენ აჯანყე-
ბული გლეხების სხვა რაზმები.

ამ ცნობამ გენერალი საგონებელში ჩააგდო. საშიშ-
როების მოახლოების გამო საჭირო იყო საჩქარო ზო-
მების მიღება. კოლუბაკინის აზრით, აუცილებელი იყო
შესაერთებლად ერთმანეთისაკენ მიმავალ აჯანყებულთა
წორის თვითონ გამოჩენილიყო და გაეთიშა ისინი.

20 მაისს კოლუბაკინი საღილად მიიპატიუეს ელიზ-
ბარ დადიანის სახლში, საღაც მას უცდიდნენ თავადები.
მათგან მან მოისმინა ბევრი მოსაბეზრებელი, უსარგებ-
ლო, ხშირ შემთხვევაში არა გულლია ლაპარაკი და
რჩევები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ჩაეხშო აჯან-
ყება. აქედან იგი სამხედრო ძალებით ნოჭიხევისაკენ
გაემართა.

გზადაგზა მას ესმოდა საყვირთა საგანგაშო ხმა, ხე-
დავდა აჯანყებულთა ჯგუფების განუწყვეტელ მიმოსვ-
ლას. სოფელ შეეფთან კი აჯანყებულთა მთავარი ლაშქ-
რის ცხენოსან მზვერავებსაც წააწყდა.

კაზაკები დაედევნენ მზვერავებს, მაგრამ ისინი ვერ
დაატყვევეს. ესენი იყვნენ მიქავას მიერ გამოგზავნილი
მზვერავები, რომლებსაც აჯანყებულთა ბანაკისათვის
უნდა ეცნობებინათ მთავრობის რეგულარული ჯარე-
ბის მოძრაობა.

კოლუბაკინი ცხენოსანი რაზმით გზას უღობავდა თეკლათ-ნოჭიხევის მთავარ ბანაკისაკენ მიმავალ აჯანყებულებს, ცდილობდა მოესწრო მათი იზოლირება, საალყო წესით ბოლო მოეღო ბანაკისათვის, ხოლო დამხმარე რაზმები ცალ-ცალკე უკუეგდო და დაეშალა.

• შევთიდან, რვა ვერსის გავლის შემდეგ, კოლუბაკინი ავიდა მაღლობზე, სადაც ზუგდიდისაკენ მიმავალი შარაგზა გადიოდა. აქედან მან შეამჩნია დაახლოებით 2000 კაცისაგან შემდგარი აჯანყებულთა რაზმი, რამე მელსაც მოუძღვიდა ხმლით შეიარაღებული შუახნის კაცი, მოკლეწვერებიანი, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი. ეს, იყო აჯანყებულთა მთავარსარდალი უტუ მიქავა⁶⁰.

გარდა ამისა, გენერლის ყურადღება მიიპყრო დაბურული ტყის გვერდით გაშლილმა თვალუწვდენელმა ველმა, სადაც დაბანაკებული იყო გლეხთა მრავალ-რიცხოვანი ლაშქარი (დახლოებით 20000 კაცისაგან შემდგარი), რომელიც მტრის შესახვედრად ემზადებოდა..

ნახევარი ვერსიდა იყო კოლუბაკინსა და ბანაკს. შორის, როცა ადგილიდან დაიძრა აჯანყებულთა ლაშქარი, რომელსაც მიქავას მეთაურობით მიუძღვიდა ორ მწკრივად დაწყობილი კარგად შეიარაღებული მოწინავე რაზმი, 2000 კაცის რაოდენობით⁶¹. აჯანყებულები, მიუხედავად რეგულარულ ჯარებთან მოსალოდნელი შეტაკებისა, გაბედულად მიიწევდნენ წინ და თან მიყავდათ შებორკილი მებატონე თავადაზნაურები.

⁶⁰ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 16—33.

⁶¹ იქვე.

სამხედრო გუბერნატორი თავისი რაზმით მეამბონ-
ხებთან მიიჭრა და განკარგულება გასცა ალყა შემო-
ერტყათ აჯანყებულებისათვის, რაც შესრულებულ იქნა
კაზაკების მიერ. თვითონ კი კოლუბაკინი გაემართა იმ
აღვილისაკენ, სადაც მეთაური ეგულებოდა. კოლუბა-
კინმა ხიშტისა და ქვემეხების ნაცვლად აჯანყებულთა
მიმართ გამოიყენა დაშინების მეთოდი. მან გლეხებს
წინადადება მისცა უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ დე-
დოფალს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკი ზო-
მების მიღებას ჰპირდებოდა.

კოლუბაკინის მუქარას აჯანყებულები ჩოჩქოლითა
და უკმაყოფილების გამომხატველი შეძახილებით შეხვ-
დნენ. „კიდევ ერთი ხმა და ვუბრძანებ გესროლონო“—
შეჰყვირა გენერალმა. მიუხედავად ამისა, მეამბოხეთა
ბანაკიდან მოისმა უშიშრად წარმოთქმული სიტყვები:
„გვესროლეთ, გენერალო, ჩვენთვის, გაცილებით უკე-
თესია აქ დავიხოცოთ, ვიდრე იმ მრავომარეობაში დავ-
აჩჩით, რომელშიც ვართ... მაგრამ სანამ გვესროდეთ,
გენერალო, ერთი ჩვენც მოგვისმინეთ“.

კოლუბაკინმა ცხადად დაინახა, რომ მოთმინებიდან
გამოსულ მეამბოხე გლეხებზე არავითარი დაშინება არ
იმოქმედებდა; ამიტომ მათი საჩივრის მოსმენის სურვი-
ლი გამოთქვა. აჯანყებულებმა ერთხმად დაასახელეს
უტუ მიქავა, რომელმაც მათი სახელით წარმოთქვა და
ახლოებით შემდეგი შინაარსის სიტყვა:

თითქმის ერთ წელზე მეტია, რაც ჩვენს სამშობლო-
ში ნიაღვარივით შემოიჭრა თურქების ჯარი; მტერმა
გაწყვიტა, დაანგრია ყველაფერი, რასაც მისი ხელი

მისწვდა. შველას არსაიდან მოველოდით: ომის შემდეგ რუსის ჯარი ჩვენგან წავიდა, ხოლო ჩვენმა მებატონე-ებმა დახმარების ნაცვლად ხელი მიჰყვეს ჩვენი გოგო-ბიჭების დატაცებას და თურქებისათვის მიყიდვას. მრა-ვალი ახალგაზრდა წაასხეს თურქეთში.

წავიდნენ თურქებიც, მაგრამ მათზე მძიმე უღელი დაგვადვეს ჩვენმა მებატონეებმა. რასაკვირველია, ჩვენს ნაოფლარს ისინი ითვისებენ. მათ ჰერიტაჟი, რომ გლეხს არაფერი არ უნდა ჰქონდეს და ყველაფერს ძალით გვართმევენ. ჩვენ ამას შევეჩვით, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ ჩვენში აღამიანური სულიც არ სურთ დაინახონ. მათი რწმენით, ჩვენ პირუტყვზე უარესი ვართ: ყიდულობს რა მეზობლის ქორს, ბატონი მას გლეხის კომლს აძლევს, ხოლო მწევარსა და მეძებარ ძალლებში — რამდენიმე კომლს. პირუტყვი უფრო დაფასებულია, ვიდრე ჩვენ.

ბეგრის გადახდისას ვცდილობდით, რომ მებატონე-ებს პატივი ეცათ ჩვენი წინაპრების მიერ დაწესებული აღათისადმი, მაგრამ ის წმინდა აღათიც დიდიხანია, რაც მათ შებილწეს, ხოლო ომის შემდეგ მათი მძინვარება ენით აუწერელია. ვისთან გვეჩივლა? დედოფალი აქ არ ბყო. მისი მდივანბეგები კი მებატონეთა დამქაშები არიან და, გარდა ძალდატანებისა, მათგან სიკეთე არ გვინახავს; თვით დედოფლის მმართველნი ისე გაველურ-დნენ, რომ მათ საკუთარი გლეხებიც არ დაემორჩილ-ნენ და დედოფლის ჩამოსვლამდე ერთმანეთს შეჰვი-ცეს — არ გაეცათ ერთმანეთი. ჩვენც მათს მაგალითს მივყევით. ვფიქრობდით, რომ დედოფალი მალე დაბ-

რუნდებოდა, მაგრამ ამაოდ. თვეების მანძილზე ვემა-
ლებოდით მებატონეთა რისხვას. როცა მათ დევნა და-
გვიწყეს, შევერთდით და ძალას ძალითვე ვუპასუხეთ-
ამასობაში კიდეც გაზაფხულდა, ყანები არ ითესებოდა,
მებატონეები არ თმობდნენ; არც ჩვენ ვთმობდით. დე-
დოფლის ჩამობრძანებამაც არა უშველა რა ჩვენ საქ-
მეს: მან ჩვენი მოსმენაც არ მოისურვა — როგორ გა-
ბედეთ მებატონეებთან წინააღმდეგობა-ურჩობაო, —
ასეთი იყო მისი პასუხი. რაში გამოიხატებოდა ჩვენი
წინააღმდეგობა? მხოლოდ იმაში, რომ მებატონეებს
ჩამოვართვით ჯაჭვები და ზაჭალურები, რომლებითაც
ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში გვტანჯავდნენ;
მათი სახლებიდან წამოვიყვანეთ დები და ქალიშვილე-
ბი, რომლებსაც ისინი მოახლის სახელწოდებით ხასებად
იყენებდნენ, და ქრისტიანულად დავაქორწინეთ. თქვენ
რომ არ ჩამოსულიყვით, ჩვენ თვითონ მოვიდოდით
თქვენთან — რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ უკვე ცხე-
ნისწყლის გაღმა ვიქნებოდით. სამშობლო კი საძულვე-
ლი გახდა და გადავწვიტეთ მოვშორდეთ მას სამუდა-
მოდ, რაც არ უნდა ექნათ ჩვენთვის, თუნდაც ყველა
გავეულიტეთ, შეფიცული ვიყავით არასოდეს და არა-
ვითარ შემთხვევაში უკან არ დავბრუნებულიყავით.
ოხრადაც დარჩეს ისეთი სამშობლო, სადაც აღამიანუ-
რად ვერ იცხოვრებ, სადაც ვით ნაღირს დაგდევენ.

დედოფალმა ყველაფერი ეს მოისმინა ჩვენგან, მაგ-
რამ ყურად არ იღო იგი ჩვენ არ დაგვიშინებია, რად-
გან ავაზაკები არა ვართ. ჩვენ უბედური, მხოლოდ
მართლმსაჯულების მაძიებელი ხალხი ვართ. მოგვეცით

იგი, გენერალო და ჩვენ მაშინვე უსიტყვოდ დაგემორ-
ჩილებით. (აქ მიქავამ წუთით შეწყვიტა ლაპარაკი და
ერთ-ერთ გლეხს მოატანინა ჯაჭვები-ხაჯალურები). აი,
რით გვაძამდნენ და გვაწამებდნენ ჩვენი მებატონები.
მაშ რაღა გვექნა, თუ ძალისათვის ძალა არ დაგვეპირის-
პირებინა. მაგალითად, გუშინ იძულებული გავხდით
ასე მოვქცეოდით ერთ-ერთ აქაურ მებატონეს (გვარი
იქვე ახსენა), რომელიც თავის მოგვარეებთან ერთად
თავს დაესხა გლეხს და მოსტაცა მას ჩვენს მიერ განთა-
ვისუფლებული და დაქორწინებული ქალი, წინათ მისი
მსახური... არაა ცნობილი, თუ სად გადამალეს ქალი;
ამბობენ კი, რომ აფხაზეთში მიყავთ გასაყიდად. ამ
ძალადობას სათანადოთ ვუპასუხეთ — მებატონე შეკ-
რულდატყვევებულია ჩვენს მიერ დდ ასე იქნება, სანამ
არ დააბრუნებს მოტაცებულ ქალს⁶².

გლეხების აუტანელი მდგომარეობის დასურათების
შემდეგ, უტუ მიქავამ გენერალს წარუდგინა აჯანყე-
ბულთა მოთხოვნა, რომელიც 8 მუხლისგან შედგე-
ბოდა:

1. კაცის (ბატონის) კაცი არ უნდა არსებობდეს;
2. ნაცვლად ბატონთა უანგარიშო მმართველობისა უნ-
და იქნეს ერთი უფლებიანი კანონიერი მმართველი;
3. უნდა მოისპოს ყმების ყიდვა-გაყიდვა; 4. გადასახადს
უნდა დაედვას საზღვარი; 5. ყმა უნდა სარგებლობდეს
ადამიანური უფლებებით; 6. საკუთრება არ უნდა იყოს.

⁶². იხ. გაზ. „დოროება“ № 75, 1885-წ., 11 აპრილი. კ. ბორობ-
დინი, მოგონებანი გვ. 144—146 უტუ მიქავას ზემომოყვანილი
სიტყვის ტექსტის სხვა ვარიანტს ჩვენამდის არ მოულწევია, ამი-
ტომ ვეყრდნობით ბორობდინის ამ ჩანაწერს.



დამოიცდებული ბატონის თვითნებობაზე, არამედ უნდა
არსებობდეს, სავალდებულო ნორმა; 7. უხდა მოისპოს
წინანდელი სატანჯავი რარალები და უნდა დაწესდეს
სამართალი ბატონისა და ყმას შორის; 8. განმტკიცებუ-
ლი ადათისულმი უნდა არსებობდეს პატივისუმაზ.

ყმა გლეხების მიმართ მებატონეების არაადამიანუ-
რი შევეოთ თითქოს თავალებზე მრავმორეულმა გენე-
რალმა მაშინვე მოიყვანინა მოახლის მომტაცებელი თა-
ვალი. პ. მ., რომელიც ვალოფილი ჰყავდათ აჯანყებუ-
ლებს, და უბრძანა მას დაუყოვნებლივ დაებრუნებონა
გატაცებული ქალი.

ამ დროს გზაზე გამოჩნდნენ აღგილობრივი მდგვან-
ებები და მებატონე თავალაზნაურები. გენერალმა მიიხ-
მო ისინი და განუტადა, რომ ჩამოსულია აჯანყების
ჩასაქრობად და კიდევ გაკეთებს ამას, ხოლო ისინი
გლეხებს აჭ ისე არ უნდა მოქცეოდნენ, როგორც აქამ-
დე იძულებენ „მთავრობა არ გაპატიუბო ულმერო
საქციელს და გაიძულებო არ გადასცდეთ, იმ უარგლებს,
რაც დაწესებულია ადათით“. აჯანყებულ გლეხებს კი
ისე უთხრა: „იცოდეთ, რომ ყანონიერი ხელისუფლება
დაგიფარავთ უკამართლობისაგან... ვათავისუფლებთ
ერთმანეთთვისების მიცემულ ფიცისაგან და ახლა. თუმთ-
ეული თქვენთავანი თავისუფალი სინდისით შეუდგეს
თავისი მოვალეობის შესრულებას!“.

ამის შემდეგ კოლუბაკინმა აჯანყებულებს გა-
მოუტადა დაეცადათ მისი შემდგომი განკარგულე-

„ მოთხოვნილების ტექსტი მოგვავს კოლხისელის მიხედვით,
კოლხიდელი, გლეხთა აჯანყება, გვ. 47.

ბისათვის, ამასთანავე მან მიიხმო მიქავა და მისი სამი თანაშემწე ახლო მცხოვრები მღვდლის სახლში. აქ აჯანყებული გლეხების მეთაურებმა ერთი საათის განმავლობაში გენერალს დაწვრილებით გააცნეს ყმების აუტანელი მდგომარეობა: გადასახადები მეტად მძიმეა, ოჯახები ქუცმაცდება, საკუთრება თვითნებობაზეა დამოკიდებული, საჩივრები მხოლოდ იმ შედეგს იძლევა, რომ მომჩივანს ახალ შეურაცხყოფასა და ზრალს აყენებენ. ერთი სიტყვით, გლეხები სამეგრელოში ადამიანები არ არიან და მათ სიკვდილი ურჩევნიათ, ვიდრე განაგრძონ ასე ტანჯვით ცხოვრებაო.

ამ დროს ბანაკს მოაღდა 600 კაცისაგან შემდგარი აჯანყებულთა შეიარაღებული რაზმი, რომელიც მოიჩაროდა მიქავასთან შესაერთებლად; ლაშქარი ივსებოდა ახლომახლო სოფლებიდან მოსული ახალ-ახალი ძალებით. აჯანყებულთა ლაშქართან შეტაკების თავიდან აცილების მიზნით გენერალმა გლეხებს გამოუცხადა, რომ მათი საჩივარი მოხსენდებოდათ დედოფალსა და უმაღლეს მთავრობას და მებატონნეებსა და გლეხებს შორის დამოკიდებულების საქმე სასწრაფოდ გაირჩეოდა. ეს დაპირება რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, მან იქვე, აჯანყებულთა წინაშე, ამ საქმის მოსაგვარებლად დანიშნა მთავრობის ორი მოხელე—თავადები ერისთავი და მიქელაძე. ამასთან ერთად გლეხებს წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაშლილიყვნენ, დაბრუნებოდნენ სახლებს, შესდგომოდნენ ყანაში მუშაობას, ხოლო მორჩილების ნიშნად მისთვის ჩაებარებინათ საყირები, დროშები და იარაღი.

კოლუბაკინის დაპირება აკმაყოფილებდა აჯანყებულებს, მაგრამ სრულად მაინც არ ენდობოდნენ გენერალს; ამიტომ იყო, რომ ერისთავსა და მიქელაძეს 24 საათი დასჭირდათ, რათა დაერწმუნებინათ ისინი, რომ დაპირება ნამდვილად იქნებოდა შესრულებული.

გლეხები არ თანხმდებოდნენ მხოლოდ იარაღის ჩაბარებაზე იმ საბაბით, რომ ისინი ეწევიან მონადირეობას, თავს იცავენ მოულოდნელი თავდამსხმელებისაგან და სხვ. კოლუბაკინი ამაზეც დასთანხმდა იმიტომ, რომ „იმ მდგომარეობაში,—ამბობს ის,—რომელშიც მე ვიმუშოფებოდი, შეუძლებელი იყო მათ დასამორჩილებლად მიმემართა გადამეტებული ზომებისათვის“⁶⁴.

ამგვარად, შეშინებულმა გენერალმა თავი აარიდა აჯანყებულთა გალიზიანებას, ხოლო თვითონ აჯანყებულები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იარაღი იმ შემთხვევისათვის, თუ დაპირება არ იქნებოდა შესრულებული და დაწყებული საქმე იარაღით განეგრძოთ. სინამდვილეში ასეც მოხდა.

მიქავამ და აჯანყების სხვა წინამდლოლებშა გენერლისაგან მიიღეს მკაცრი განკარგულება, რომ ხალხი დაეწყნარებინათ და ამით თავი ეხსნათ სასჯელისაუან. მიქავა და დანარჩენი ხელმძღვანელები დატოვებულ იქნენ ზედამხედველობის ქვეშ. ამის შემდეგ, იმავე სალამოს, კოლუბაკინი ტეხურისაკენ გაბრუნდა, რაღგან გზის გაგრძელება ვერ გაბედა. იგი დამხმარე შეიარაღებულ ძალას ქუთაისიდან ელოდა. აქ მან დატოვა ერთი ოფიცერი და 50 კაზაკი. მეო-

რე დილას, 21 მაისს, მან ცნობა მიიღო, რომ წინა დღით
მიქავასთან შესაერთებულად მისული 600 კაცისაგან
შემდგარი აჯანყებულთა რაზმი ჭერ კიდევ არ იყო
დაშლილი. ცნობის მიღებისთანავე გენერალმა გავ-
ზავნა მიქელაძე, რათა მას აჯანყებულთათვის ებრ-
ძანებინა დაშლილიყვნენ და დაეცადათ საჩივრის გარ-
ჩევამდე. მიუხედავად ამისა, აჯანყებულები მაინც თავს
იყრიდნენ სოფელ ეკის მაღლობსა და მის მიღამოებში.
21-22 მაისს აჯანყებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი,
რომელიც დაბანაკებული იყო სოფელ ეკში, განაგრ-
ძობდა მღელვარებას, რაღან გლეხებს სწამდათ, რომ
კოლუბაკინის დაპირების შედეგად აჯანყებულთა ბანა-
კის დაშლა აჯანყების დამთავრებას არ ნიშნავდა. იგი
დამთავრდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა დაპირება
მთლიანად იქნებოდა შესრულებული.

სოფელ ეკის მაღლობზე მყოფ აჯანყებულთა წინა-
აღმდეგ ზომების მიღებას შეუდგა თავადი ნიუარაძე,
რომელიც სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით
თავისი რაზმით დაბანაკებული იყო ტეხურის მარჯვენა-
ნაპირზე სოფელ სორტაში, ეკის პირდაპირ⁶⁵.

თავადმა ნიუარაძემ სცადა აჯანყებულთათვის რჩევა-
დარიგება მიეცა, რათა ისინი დაშლილიყვნენ, მაგრამ
გლეხებმა მოსალაპარაკებლად არ მიიღეს და იგი სორ-
ტაში გამობრუნდა, საღაც კოლუბაკინის განკარგულებით
თავს იყრიდნენ მთავრობის ჭარები.

23 მაისს, დღის 4 საათზე, აჯანყებულები დაიძრნენ
სოფელ ეკიდან და დაიკავეს სოფელ ნოქალაქევის მაღ-

⁶⁵ ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 12.

ლობი, რათა აქედან ურიში მიეტანათ სოფ. სორტახე. ამის შესახებ ცნობის მიღებისასავე თავადი ნიუარაძე ისევ ნოქალაქევისაკენ გაემართა. აქ მან მოსალაპარაკებლად გამოიძახა აჯანყებულთა მეთაური. გლეხებმა მას მიუგზავნეს სამი კაცი, რომლებსაც მან გადასცა კოლუბაჟინის ბრძანება მათი დაშლის შესახებ. მაგრამ აჯანყებულებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს არც კოლუბაჟინის ბრძანებას და არც ნიუარაძის რჩევას. ამ უკანასკნელს მუქარით განუცხადეს, რომ ხვალ უსათუოდ დაიკავებენ სორტას, მიუხედავად მთავრობის ჭარების იქ ყოფნისა, და, თუ იგი აჯანყებულებს წინააღმდეგობას გაუწევდა, „მაშინ იძულებული იქნებიან გააჩალონ ომი“⁶⁶. ასეთი გადაჭრილი პასუხის შემდეგ ნიუარაძე თავისი რაზმით ისევ უკან დაბრუნდა.

ამის შემდეგ ნოქალაქევიდან დაიძრა აჯანყებულთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი და 24 მაისს, დილით, დაიკავა სოფ. სორტა. აქ შეიკრიბა 3000-ზე მეტი აჯანყებული. მათ სალაშქრო წესით სორტიდან მიმართულება აიღეს სენაკისაკენ. იმავე დღეს სამი მხრიდან აჯანყებულნი შეიჭრნენ სენაკში და დაიკავეს კიდეც.

აჯანყებულთა ნაწილი თავს დაესხა ბლაონჩინ ქავთარაძის სახლს, ძალით წაართვეს მას სენაკის ეკლესიის გასახლები და შეუდგნენ მოსახლეობისაგან ფიცის მიღებას.

აჯანყების ყველაზე უფრო საინტერესო ღონისძიება ⁶⁷ ის იყო, რომ მათ სცადეს სენაკის ბაზარში სურსათსა

⁶⁶ ცსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 12.

⁶⁷ იქვე, ფურც. 27.

და საქონელზე. ნიხრის დაწესება, ამით აჯანყებულები უკვე ახორციელებენ თავიანთ ერთ-ერთ მოთხოვნას საქონელზე ნიხრის დაწესების შესახებ.

ამ დროს მოქმედება დაიწყო აჯანყებულთა ახალმა ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა 2000 კაცისაგან. მან იმავე დღეს დაიკავა სოფ. კოტიანეთი. ამგვარად, რამდენიმე დღეში ჩამოყალიბდა 5000 კაცისაგან შემდგარი აჯანყებულთა ლაშქარი, რომელმაც ეკის, ნოქალაქევის, კოტიანეთის, სორტასა და სენაკის აღებით ქვემო სამეგრელოში შექმნა აჯანყების ახალი რაიონი, რაც არსებითად წარმოადგენდა საერთოდ აჯანყების უფრო გაფართოებას.

აჯანყებულთა წინააღმდეგ ტეხურის საგუშავოდან სენაკისაკენ დაიძრა მთავრობის სამხედრო ნაწილი — დონის კაზაკების მეორე პოლკის ნაკრები დივიზიონი, რომელიც შედგებოდა 4 ობერ-ოფიცრისა და 124 ჯარისკაცისაგან. ბრძოლაში აგრეთვე მონაწილეობა მიიღო სახაზო პირველი ბატალიონის ასეულმა 3 ობერ-ოფიცრის, 24 ურტერ-ოფიცრისა, და 202 ჯარისკაცის შემადგენლობით. ასეულს მეთაურობდა კაპიტანი როსტომ მიქელაძე. გარდა ამისა, აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა 200 კაცისაგან შემდგარი თავადაზნაურობის რაზმი ბათა და დიმიტრი დადიანების მეთაურობით⁶⁸. საერთო მეთაურობა დავალებული პქონდა პოდპორუჩიქ ზურაბ ნიურაძეს.

მთავრობის ჯარებისა და აჯანყებულთა ლაშქრის შე-

68 ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც. 36.

რარალებული შეტაკება სენაკში დამთავრდა სამხედრო ნაწილების გამარჯვებით. აჯანყებულებმა ბრძოლით უკან დაიხიეს ეკისაკენ. თავადაზნაურებიდან განსაკუთრებით გააფთრებით იბრძოდნენ აზნაურები იოსებ გრიგოლია, ალექსანდრე ლორთქიფანიძე და სხვ. მთავრობის სამხედრო ნაწილებს ნადავლად დარჩათ მხოლოდ დამბაჩა, სამი საყვირო და ხუთი დროშა. ამრიგად, მეფის ჯარმა ვერ შეძლო აჯანყებულთა გარემოცვაში მოქმედვა და მათი სრული განიარაღება.

კოლუბაკინის განკარგულებით კაპიტანი როსტომ მიქელაშე 25 მაისს დაბანაკდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პუნქტში — სენაკში, რათა დაეცვა იგი აჯანყებულთა განმეორებითი თავდასხმებისაგან, რომლის შესახებ ცნობა მოდიოდა მას, მაგრამ გლეხები კვლავ შეტევაზე. გადასვლამდე დაზვერვას აწარმოებდნენ და შიკრიკებს. აგზავნიდნენ სენაკში იმისათვის, რომ გაეგოთ თუ როგორ უყურებდნენ მთავრობის მოხელები მათ მიერ აჯანყების გაგრძელებისა და დაპირების შესრულების საჭმეს.

მთავრობის მოხელე მიქელაძე აჯანყებულთაგან გამოცხადებულებს არწმუნებდა; რომ თუ გლეხები არ შიმართავდნენ ძალადობას და ამით არ გააღიზიანებდნენ თავიანთ მებატონებს, სამეგრელოს მმართველსა და შეფის მთავრობას, მაშინ მათი თხოვნა მიღებული იქნებოდა, დამყარდებოდა წესიერება. როგორც ვხედავთ, მთავრობის მოხელეები იყენებდნენ რა დაპირებისა და მოტყუების არა ერთხელ ნაცად პოლიტიკას, ცდილობდნენ მიეღწიათ იმისათვის, რომ სისხლის ნაკლები დაღვრით ვერაგულად დაექსაქ-

სათ 20000 აჯანყებულისაგან შემდგარი ლაშქარი. ამ დღოს ისინი აგრეთვე მხედველობაში იღებდნენ საგარეო ვითარებასაც: „ზღვისპირა ქვეყანაში, რომელიც სავსეა თურქეთიდან ჩამოსულებით, ზარბაზნის ყოველი ზედმეტი გასროლა გამოხმაურებას პოვებს კონსტანტინოპოლში, ევროპასა და ლონდონში. რომელიმე მიტინგზე თემად გამოადგება მთვრალ ორატორს რუსეთის არა-ადამიანურობის წინააღმდეგ სალაქლაქოდ“⁶⁹, — ამბობდა კოლუბაკინი.

აჯანყების სასურველი შედეგით დამთავრების, ე. რ. უსისხლოდ და სასწავლოდ მისი ჩაქრობის ერთადერთ საშუალებად კოლუბაკინს მიაჩნდა სამეგრელოს აღმინისტრაციულ მმართველობაში მეფის მთავრობის ჩარევა. იგი სწერდა გაგარინს: „რუსების შუამდგომლობა ან ჩარევა მხარის აღმინისტრაციის საქმეში და მის სხვადასხვა წოდებათა ურთიერთობაში ერთადერთი ღონისძიებაა, რაც მოგვცემს სასურველ შედეგს“⁷⁰.

კოლუბაკინის აზრით, ეს არც უკანონო იყო და არც ეწინააღმდეგებოდა მთავრობისაღმი დაპირებას სამეგრელოსათვის მფარველობის აღმოჩენის შესახებ. კოლუბაკინი სამეგრელოს სამთავრო საქმეში ჩარევას პოლიტიკური თვალსაზრისითაც გამართლებულად თვლიდა, რადგან სამეგრელო გეოგრაფიული მდებარეობით, ახალი სამიმოსვლო გზებით მეტად ხელსაყრელ სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა რუსეთისათვის.

პირველ ხანებში სამეგრელოს სამთავრო საქმეში მე-

⁶⁹ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც.. 16—32.

⁷⁰ იქვე.

ფის მთავრობის ჩარევა უნდა ყოფილიყო რამდენადაც
შეიძლებოდა მოქნილი და ლმობიერი: ვიყოთ ფრთხი-
ლი, არ შევცოდოთ და არ შევრცხეთ ევროპის წინაშე,
რომელიც ჩვენ გვხედავს აქ — წერდა კოლუბაკინი.

20 მაისს, აჯანყებულების მდგომარეობის გამოსარ-
კვევად, ზემოთ დასახელებულ თავადებს — ერისთავსა
და მიქელაშეს, რომლებიც კოლუბაკინის დიდი ნდობით
იყვნენ აღჭურვილნი, გენერალი აძლევს. ოფიციალურ
დავალებას: გამოარკვიეთ, რამდენად მართებულია გლე-
ხთა საჩივრები მებატონების ბოროტმოქმედებაზე და
ადგილობრივ ხელისუფალთა ანგარებითი მოქმედებაზე.

მაგრამ მეფის მთავრობის ეს კოლონიზატორი თავი-
დან გრძნობდა, რომ მუხანათობისა და მოტყუების ფარ-
და დღეს თუ ხვალ აიხსნებოდა და ჩაგრული გლეხობა
კვლავ გააგრძელებდა გააფთრებულ ბრძოლას. აი რა
აშინებდა მას: „იმ შემთხვევაში, თუ სასოწარკვეთილე-
ბამდე მიყვანილი ხალხი არ დაკმაყოფილდება შუამდგო-
მლობით, მაშინ სად და რა მატერიალური ძალაა 20000
აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომლებიც აღფრთოვანებუ-
ლი არიან ერთი იდეითა და ერთი გრძნობით“⁷¹. გლე-
ხების დარაზმულობით შეშინებული გენერალი კოლუ-
ბაკინი დაპირების გზით ცდილობდა აჯანყებულებისათ-
ვის გზა-კვალი აებნია და მათთან შეტაკება თავიდან
აეცილებინა, სანამ ავტონომიის გაუქმების საჭიროებას,
მმართველობის უვარვისობის საბაბით, საშეარაოზე არ
გამოიტანდა, ხოლო დაპირებით, აჯანყებულთა მოტყუე-
ბით დროს იგებდა, რათა მომზადებულიყო აჯანყე-

71 ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890; ფურც. 16—32.

ბულთა წინააღმდეგ საბრძოლველად, აჯანყების ჩასაქ-
რობად.

21 მაისს ქუთაისიდან ჩამოვიდა დამხმარე სამხედრო
ძალა — 140 კაზაკისაგან შემღვარი რაზმი. ახლა გენე-
რალმა უფრო თამამად იგრძნო თავი და დაიწყო სათა-
ნადო ზომის მიღება.

22 მაისს მღელვარების წინააღმდეგ კოლუბაკინის-
მიერ გადადგმული ნაბიჭი იმაში გამოიხატა, რომ დაწე-
სებულ იქნა ცხენოსანთა პატრული, რომელიც შედგე-
ბოდა 100 შეიარაღებული თავადაზნაურებისა და 20
კაზაკისაგან. მას ევალებოდა გლეხების მიერ ხატზე და-
ფიცების წინააღმდეგ ზომების მიღება. ამასთან პატ-
რულს უნდა ემოქმედა იმ მეამბოხე გლეხების წინააღმ-
დეგ, რომლებიც კვლავ განაგრძობდნენ თავმოყრას, ხო-
ლო წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში გამოეყენე-
ბინა იარაღი. იმავე საღამოს (22 მაისს). კოლუბაკინმა
ქუთაისიდან დამატებით გამოიძახა ქვეითი ჯარისკაცების-
ერთი ასეული, ხოლო თვითონ კი კაზაკებით გაემართა
ხობის მიმართულებით⁷². ამავე დროს დედოფალმა ზუგ-
დიდს მიაშურა. ამჯერად სამხედრო გუბერნატორს სურ-
და ეკატერინესთან ერთად შეიარაღებული ძალების თან-
ხლებით შემოევლო ქვემო სამეგრელოს ძირითადი მეამ-
ბოხე სოფლები, რათა თვითონ ენახა, თუ როგორი შე-
დეგი გამოიღო მღელვარების წინააღმდეგ 20 მაისს მი-
ღებულმა ზომებმა. ინახულა ქვალონი, საჩიჩუო, აბას-
თუმანი და ჩავიდა ზუგდიდში.

ხობის მონასტურთან მას შეხვდნენ თავადები ერის-

⁷² ცსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 15—32.

თავი და მიქელაძე და შათი ზეღამხედველობის ქვეშ
მყოფი უტუ მიქავა თანაშემწეებით. აქ მიქავა არა ერ-
თი მწარე სიტყვით გაუმასპინძლდა ეკატერინე დადგიანს
მასთან გაბედული და უშიშარი საუბრის დროს. მიქავამ
და თოდღუამ იმავე დღეს (22 მაისს აბასთუმანში) გამო-
თქვეს არც თუ ისე უსაფუძვლო შიში დაბალი საპოლი-
ციო ძალაუფლების აღდგენის შესახებ, რომელიც 20
მაისამდე გაუქმებული იყო. მათვის ნათელი ხდებოდა,
რომ საპოლიციო ძალაუფლების აღდგენა მებატონე
თავადაზნაურობის უფლების აღდგენას ნიშნავდა.

მიქავასა და სხვა წინამძღოლების ეს შიში გამოიწვია
ზოგიერთ სოფელში ეკატერინესა და კოლუბაკინის ერ-
თად გამოჩენამ; ეკატერინე კოლუბაკინისაგან მოითხოვ-
და მთავრის ხელისუფლების დაცვას, ადგილობრივი მო-
ხელებისა და მებატონეთა ძალაუფლების აღდგენასა
და აჯანყებულთა წინააღმდეგ. რადიკალური ზომების
მიღებას. მაგრამ, ხედავდა რა, რომ მისი აზრი აჯანყე-
ბის წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ უმნიშვნელო
როლს ასრულებდა, გადაწყვიტა გაგარინისათვის დაე-
ცადა და მერე გორდში წასულიყო.

27 მაისს გაგარინი აფხაზეთიდან ყულევს ჩავიდა.
მან კოლუბაკინისაგან მიიღო დაწვრილებითი ცნობები
აჯანყების შესახებ, მოიწონა კოლუბაკინის მიერ მიღე-
ბული ზომები და იმავე საღამოს ზუგდიდს გაემგზავრა.

გაგარინმა აქ თავი მოუყარა მითავრის სასახლის თავდა-
დებს, მდივანბეგებსა და სხვა თავადაზნაურებს, იგი
მთელი დღის განმავლობაში ეკატერინეს თანდასწრებით
მათთან ერთად. არჩევდა აჯანყების ჩაქრობის საკითხებს.

ამის შემდეგ ექატერინე გორდში წავიდა, ხოლო გა-
გარინი ზუგდიდში დარჩა, რათა ეხელმძღვანელა აჯან-
ყების ჩაქრობისათვის.

ზუგდიდიდან გაგარინმა შტაბს-კაპიტან უკელინის
სელით მეფისნაცვალ ბარიატინსკის გაუგზავნა საიდუმ-
ლო ბარათი, რომელშიც წერდა, რომ საჭირო იყო მე-
ბატონეთა ძალაუფლების აღდგენა გლეხთა პრეტენზიე-
ბისა და საჩივრების გარჩევამდე. ამავე დროს ბარია-
ტინსკის მოახსენა, რომ, მისი აზრით, აჯანყების გამომ-
წვევი მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ სამეგრელოში
არსებული მმართველობის ფორმის უვარევისობა. მან
მეფისნაცვალს აგრეთვე სთხოვა მითითება იმის შესა-
ხებ, თუ როდის დაეწყო ვითარების გამოძიება. გაგარი-
ნი მოითხოვდა, რომ საქმის გარჩევა მინდობოდა რუსე-
თის მთავრობას. თანაც. დასძნდა, რომ საჭირო იყო
კონსტანტინე დადიანის სამეგრელოდან გაძევება⁷³.

* ბარიატინსკიმ განიხილა გაგარინისაგან მიღებული
მოხსენება, რომელსაც თან ერთვოდა კოლუბაკინის
მოხსენებაც სამეგრელოში არსებული ვითარების შესა-
ხებ და მოიწონა აჯანყების წინააღმდეგ მიღებული ზო-
შები. მისი აზრით, მთავრობა მოვალე იყო დაეწყნარე-
ბინა და დაემორჩილებინა მეამბოხე გლეხები. ამისათ-
ვის მან გასცა შემდეგი განკარგულება:

1. გუბერნატორისა და ეკატერინეს მიერ შერჩეული
პირების მეშვეობით მოსახლეობას გამოეცხადოს, რომ
შათო საჩივრები დეტალურად იქნება გარჩეული, ხოლო
ამისათვის კი, პირველ რიგში, საჭიროა გლეხები კვლავ

73 მყარერინე. კი გრიგოლ დაშვანის გაძევებას. მოითხოვდა.

დამორჩილონ ხელისუფლებას, შეასრულონ ვალდებულება მებატონეების წინაშე, დაუბრუნდნენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას. ასევე გლეხები ვალდებული არიან ახალი ფიცით უარყონ წინათ მიღებული ფიცი.

2. სამეგრელოს სახალხო მღელვარების მთავარი წინამძღვრები უტუ თოდუა და უტუ მიქავა დაუყოვნებლივ იქნენ დაპატიმრებული, მათ შესახებ განსაკუთრებული განკარგულების გაცემამდე.

3. გლეხების დამორჩილებასთან ერთად გამოიყოს მთავრობის მიერ ნდობით აღჭურვილი პირები, რათა შეკრიბონ ზუსტი ცნობა აჯანყების მიზეზის შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რატომ აცხადებენ გლეხები უარს მორჩილებაზე.

4. ნდობით აღჭურვილი პირების მიერ დავალების შესრულებისას შედეგი წარედგინოს სამეგრელოს დედოფალს. განხილვის შემდეგ მან თავის მხრივ საქმე გადასცეს გენერალ-გუბერნატორს, ხოლო ამ უკანასკნელმა — მეფისნაცვალს.

5. ძმების — გრიგოლ და კონსტანტინე დადიანების ურთიერთშორის დამოკიდებულების გამო, რამაც შეიძლება შეაფერხოს საქმის გამოძიება, განკარგულება გაიცეს, რათა კონსტანტინე დადიანი პირადი ახსნა-განმარტებისათვის ეახლოს მეფისნაცვალს?⁷⁴

ამ განკარგულების ხალხისათვის გამოცხადებამ მღელვარება არა თუ შეანელა, არამედ უფრო გააძლიერა, გააორკეცა⁷⁵, ვინაიდან გლეხებმა დაინახეს, რომ მეფის

⁷⁴ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 45—46.

⁷⁵ იქვე, ფურც. 50—51.

მთავრობა ერევა აჯანყებულთა წინააღმდეგ ჰომების
მიღებაში: ერთ ადგილზე ძალით გაფანტული აჯანყებუ-
ლები მეორე ადგილზე იყრიდნენ თავს და განაგრძობ-
დნენ მღელვარებას.

ამის გამო გენერალ-გუბერნატორმა გადაწყვიტა აჯან-
ყებულების გასაფანტავად და მათ დასამორჩილებლად
გამოეყენებინა სამხედრო ძალები. თითოეულ ოფიცერს
სამოქმედოდ მიანდო .გარკვეული ოლქი. სხვადასხვა
ღროს ოლქის უფროსის ან გამგის მოვალეობის აღმსრუ-
ლებლად გაიკავნენ: კაპიტანი სერედინი—ჭვარში, კაპი-
ტანი პიოდოვსკი—ზუგდიდში, კაპიტანი გრეკოვი—სუ-
ჭუნაში, კაპიტანი ლიანკორანსკი—თეკლათსა და კაპიტა-
ნი ტრუბაევსკი — ზუბში. მათ მიეცათ სამოქმედო ინს-
ტრუქცია და თარჯიშანი. ოფიცრების განკარგულებაში
იყო კაზაკების რაზმები. აჯანყებულთა წინააღმდეგ ოლ-
ქებში მოქმედ სამხედრო ძალების საერთო მეთაურობა
დაევალა პოლკოვნიკ პისარევსკის. მაგრამ ამ ღონისძიე-
ბას შედეგი არ მოჰყვა. გაგარინი სწერდა ბარატიასკის,
რომ აჯანყების დამარცხება ძნელდებოდა საკმაო რაო-
დენობით კაზაკების არყოლის გამო; ხოლო ქვეითებს,
მისი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ კა-
ზაკების შეცვლა. ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნდა სამეგ-
რულოში გაგზავნილიყო კაზაკების ასეული არანაკლებ
ორი თვით. მისი აზრით, ამ საჭიროათვის უფრო გამოსა-
დები იქნებოდნენ სახაზო კაზაკები, რომლებიც სამეგ-
რულოში უნდა გაღმოეყვანათ არდონის ხეობითა და

რაჭით⁷⁶. ბარიატინსკიმ მოიწონა ეს მოსაზრება და გასცა სათანადო განკარგულება.

მასთან ერთად აჯანყებულთა წინააღმდეგ დაიწყო შემდეგი ლონისძიების გატარება:

მთავრობის უნებართვოდ ყოველი კერძო ხასიათის ფარული ფიცის მიღება გამოცხადებულ იქნა შეთქმულებად და მკაცრად იკრძალებოდა; მეამბოხეთა ჯგუფებს დაუყოვნებლივ ფანტავონენ კაზაკების საშუალებით. მკაცრად აღევნებდნენ თვალყურს გაფანტულ მეამბოხეთა სხვა აღგილზე თავმოყრას და თუ ასეთს აღგილი ჰქონდა, მაშინ აჯანყებულთა წინააღმდეგ აგზავნიდნენ კაზაკებს, ხოლო მოთავე გლეხებს აღგილზე აპატიმრებდნენ და ამათრახებდნენ, შეკრების მონაწილეებს ართმევდნენ იარაღს, დროშებს, საყვირებსა და სხვ. ყველაფერ ამას იბარებდა კაზაკების ასეული. სასტიკად იკრძალებოდა ჯგუფურად საჩივრებისა და თხოვნის მიტანა. მთავრობა იხილავდა მხოლოდ ერთის მიერ მიტანილ თხოვნას ან საჩივარს. როგორც გლეხებისაგან, ისე თავადაზნაურებისაგან მთავრობა მოითხოვდა წესიერების დაცვას, ოფიცრის ბრძანების უსიტყვოდ შესრულებასა და მორჩილებას, მკაცრად იკრძალებოდა ყოველგვარი ხმის გავრცელება, რომელიც ხელს შეუწყობდა ხალხის მღელვარებას, სიმშვიდის ყოველი დამრღვევი იდევნებოდა და ისჯებოდა ყოველგვარი. მიზეზის გარკვევისა და გარჩევის გარეშე; ოლქის უფროსს, რუს აფიცერს, უფლება მიეცა ემოქმედა მდივანბეგისაგან

76 ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 53.

დამოუკიდებლად; თვალყურს აღევნებდნენ, რათა გლე-
ხებს შეესრულებინათ საბატონო ვალდებულება. შება-
ტონებს აჯანყებულების მიერ ჩამორთმეულ მოახლე-
მოსამსახურეებს უბრუნებდნენ და სხვ.

ამ ლონისძიებებმა გელეხებს აშკარად დაანაზვეს,
რომ მოტყუებული რჩებოდნენ; ამიტომ დათმობაზე არ
მიდიოდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ მოთავეთა უმე-
ტესი ნაწილი დაპატიმრებული იყო, კვლავ ბრძოლისათ-
ვის ემზადებოდნენ⁷⁷.

ივნისის 10-11 რიცხვებში აჯანყებულების დიდმა
ჯუფმა თავი მოიყარა სალხინო-სალიპარტიანოს მახ-
ლობლად. ჯვარი — სალიპარტიანოს ოლქი კვლავ ამბო-
ხების ცენტრი გახდა. შეიარაღებული გლეხები აგრეთ-
ვე თავს იყრიდნენ საჭილაოს ოლქშიც. მეამბოხეთა რა-
ზმები გამოჩნდნენ ხობის მონასტრის მიდამოებში, სუ-
ჯუნის მახლობლად, თეკლათთან და სხვ.

გაგარინის ცნობით, თითოეულ მათგანში თავმო-
ყრილთა რაოდენობა რამდენიმე ათას კაცს აღემატებო-
და. ამ დროს უტუ მიქავა და უტუ თოდუა ბარიატინს-
კის განკარგულებით დაპატიმრებული იყვნენ. გუბერნა-
ტორის თქმით, განსაცვიფრებელი იყო ის გულგრილო-
ბა, რომელსაც ორივე იჩენდა იმ მოსალოდნელი სასჯე-
ლის მიმართ, რომელიც მათ „დანაშაულისათვის“ მოე-
ლოდათ⁷⁸.

ასეთ რთულ ვითარებაში მთავრობას საჭიროდ მიაჩნ-
და აჯანყებულების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღე-

⁷⁷ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 70.

⁷⁸ იქვე. ფურც. 55—56.

ბა (ამის საშუალება მეფის მთავრობას ახლა უკვე ჰქონდა), რათა აჯანყების კვლავ აზვირთებული ტალღა დამცხრალიყო. ამიტომ მეამბოხეთა ოლქებში იგზავნებოდნენ. რუსი ოფიცირები რეგულარული ჯარებით.

სამეგრელოს შუაგულისაკენ დაიძრა სახაზო პირველი ბატალიონის ორი ასეული, ყულევის საარტილერიო გარნიზონი ორი საშთო ზარბაზნით, შავი ზღვის სახაზო მეოთხე ბატალიონის ორი ასეული. ამავე დროს გაგარინის მიერ სოხუმიდან გამოწვეულ იქნა შავი ზღვის სახაზო მეორე ბატალიონი, რომელიც განლაგდა სამეგრელოს სხვადასხვა კუთხეში.

გარდა ამისა, დონის კაზაკების მეორე პოლკის რეზერვის მხედრებისა და სამეგრელოს სავუშაგოებში მდგომი კაზაკებისაგან შედგენილ იქნა ნაკრები ასეული, რომელსაც განკარგულება მიეცა ნაწილ-ნაწილ ან ერთად წასულიყო ომ მიმართულებით, სადაც საჭიროება მოითხოვდა.

ყველაზე მეტი საშიშროება მოსალოდნელი იყო ჭვარისა და სალხინო-სალიპარტიანოს ოლქის სოფლებში თავმოყრილი გლეხებისაგან; ამიტომ 12 ივნისს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი შავი ზღვის სახაზო მეხუთე ბატალიონის კაპიტან სერედინს საჩქაროდ ავალებს ჭვარის მღელვარების დაწყნარებას. მის განკარგულებაში გადაცემულ იქნა სახაზო პირველი ბატალიონის ერთი ასეული და 20 კაზაკი. 13 ივნისს კი სუჭუნის ოლქშიც გაიგზავნა რუსი ოფიცირი სამხედრო ნაწილებით.

ასევე არჩევდნენ საიმედო ოფიცირებს სხვა. ოლქები-
სათვისაც⁷⁹.

ამგვარად, ამ პერიოდში მღელვარების წინააღმდეგ
მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიება მდგომარეობ-
და სამხედრო ძალების ერთი აღგილიდან უფრო საშიშ
მეორე აღგილზე გადაყვანაში.

მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ ამ ეტაპზე აჯანყებუ-
ლი გლეხები სამხედრო ნაწილის მოახლოებისას არ
ებმებოდნენ ბრძოლაში და ერთი აღგილიდან მეორე აღ-
გილზე გადადიოდნენ. მათ განზრახული ჰქონდათ შეენა-
რჩუნებინათ ცოცხალი ძალა, ბრძოლისუნარიანობა, რა-
თა შემდგომ წარმატებით დაერტყათ თავადაზნაურები-
სათვის და გაემარჯვათ. და ამას კი ისინი შეძლებდნენ
მხოლოდ მთავრობის ჯარის წასკლის შემდეგ. გლეხები
ამბობდნენ: „ხომ წავლენ როდესმე რუსის ჯარები“⁸⁰.

მთავრობის ჯარებმა მეამბოხეთა გაფანტვას ვერ მი-
აღწიეს ზუგდიდის, ჭვარის, მარტვილის, ზუბის, საჭილა-
ოსა და სუჭუნის მიდამოებში. ეს უფრო იმით აიხსნება,
რომ ისინი აჯანყების ცენტრები იყო, საიდანაც მთავ-
რობის სამხედრო ძალების ჩასვლამდე უკვე დიდი ხანია
განდევნილი იყვნენ მთავრობის მოხელეები, ე. ი. არ
არსებობდა ფეოდალური ძალაუფლება.

სწორედ ამ პუნქტებში გაიგზავნა საოლქო ოფიცირე-
ბი სამხედრო ძალებით. მათ მმართველობის ფუნქციაც
უნდა შეესრულებინათ. ამ ოლქებში „თუ არსებული
წესრყობილება მოიშალა, ეს მოხდა მიუხედავად ჩემი

⁷⁹ ცასა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 108, 67, 70.

⁸⁰ იქვე, ფურც. 59--65.

სურვილისა, შედეგად იმ მღელვარებისა, რომელიც
თითქმის მოედო მთელ სამეგრელოს⁸¹, — წერდა გა-
გარინი ეკატერინეს 16 ივნისს. სინამდვილეში ასეც იყო.
სამეგრელოს სამთავროს 8 მაზრიდან 6 მაზრაში ძალა-
უფლება აჯანყებულთა ხელში იყო.

აქამდე მეფის მოხელეებს იმედი ჰქონდათ, რომ შეი-
ძლებოდა აჯანყების უსისხლოდ დამთავრება, ახლა კი
შეშფოთებული გუბერნატორი მეფის ნაცვალს—ბარია-
ტინსკის ატყობინებდა, რომ მოსალოდნელია სისხლის
ღვრა.

სამეგრელოს მმართველობის საქმეში ცენტრალური
მთავრობის ჩარევამ გლეხებს იმედი მისცა, რომ საქმე
მათ სასარგებლოდ დამთავრდებოდა, მაგრამ, როცა აჯან-
ყებულებმა დაინახეს, რომ მეფის მთავრობა გვერდში
ამოუდგა თავადაზნაურობას, მათ განაგრძეს თავმოყრე
და ჭანყი, რამაც მღელვარების აღმავლობა გამოიწვია.

საკითხის ცხადად გარკვევისათვის საჭიროდ მიგვაჩ-
ნია განვიხილოთ, თუ როგორი იყო ძალთა შეფარდება
სამხედრო ხელისუფლებას, ადგილობრივ მთავრობასა
და ფეოდალურ ზედა ფენას შორის, მღელვარების აღ-
მოვლობის წინ.

ეკატერინე დადიანი გლეხების აჯანყების მიზეზად
შატონყმობას კი არ თვლიდა; არამედ ამას აბრალებდა
გრ. დადიანსა და მოწინააღმდეგე ჭგუფს — ელიზბარ-
დადიანს, პეტრე დადიანს, გიგო ფალავას და სხვ.

თავის დასაყრდენ ძალად მას მიაჩნდა კონსტანტინე

81 ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 96—98.

დადიანი და ჩიქოვანების გვარეულობა სახლთუხუცეს
დავით ჩიქოვანითურთ.

ეკატერინე უკმაყოფილო იყო მთავრობის სამხედრო
ძალების მოქმედებით. იგი მოითხოვდა მეამბოხე გლე-
ხების მიმართ გადამწყვეტი ზომები მიეღოთ, იარაღით
ჩაეხშოთ აჯანყება. მთავრობა ამაში ეკატერინეს. არ-
ეთანხმებოდა გარკვეული მოსაზრებით. ამით გალიზია-
ნებული ეკატერინე 14 ივნისს ბებუთოვს სწერდა: სა-
მეგრელოში კანონიერების საწინააღმდეგო დიდ მღელ-
ვარებას ორმ ადგილი ჰქონდა, კოლუბაკინმა უკვე იცო-
და იანვრის დასაწყისიდან, მაგრამ არ მიიღო ზომები
იმიტომ, ორმ საიჭროდ ცნობდა მმართველობის შეცვლას
და ახალ რეფორმებს. ეს მოსაზრება კოლუბაკინმა გა-
უზიარა აგრეთვე გაგარინსაც⁸².

აი, უკვე ერთი თვეა, რაც სამხედრო გუბერნატორმა
და გენერალ-გუბერნატორმა ითავეს სახალხო მღელვა-
რების ჩაქრობაში დახმარების აღმოჩენა: მაგრამ დაიწ-
ყეს და ამთავრებენ იმით, რომ არათერს არ მეკითხები-
ან, ხოლო ჩემს წინადადებას არავითარ ყურადღებას არ-
აქცევენ, და თუ რამეს ვგებულობ, მხოლოდ სხვის მე-
შვეობით. მერწმუნეთ იმაში, რომ ვერ ვგებულობ ვერც
ჩემს მდგომარეობას და ვერც მათ მოქმედებასო.

გაგარინმა ეკატერინე ორჯერ ინახულა მარტვილში,
იგი დაცინვით, გამაღიზიანებელი ტონით ესაუბრა დე-
დოფალს: „ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად დამთავრდე-
ბა“ და იქვე დაუმატა: დიდი ხანია, რაც მთავრობა საერ-

82. ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 67.

თოდ ფიქრობს გლეხების განთავისუფლებას და ამიტომ სულერთია ახლა მოხდება ეს თუ შემდეგ⁸³.

ამ სიტყვებით რეაქციონერმა გაგარინმა მხოლოდ ლიბერალის როლი გაითამაშა ეკატერინეს წინაშე. სინამდვილეში იგი სულ სხვას ფიქრობდა.

ეკატერინემ იქვე გასცა პასუხი: ასეთ განთავისუფლებას ნუ იწყებთ სამეგრელოდან, ხოლო თუ საერთო განკარგულება იქნება, იმას მეც დავემორჩილებიო.

ამ რიცხვებში (8-14 ივნისი) სოფელ გორდში დაახლოებით ასეთივე ტონით ესაუბრა ეკატერინეს ბარიატინსკის ფლიგელ-ადიუტანტი ჩერტკოვი. მან დედოფალს განუცხადა, რომ მას (დედოფალს) არ ძალუბს მმართველობის გაწევა და ამიტომ უკეთესია სთხოვოს იმპერატორს, რომ სამეგრელოს სამთავრო მიიღოს თავის მფლობელობაში. შემდგომ შეხვედრისას ჩერტკოვმა უფრო მკაფიოდ განაცხადა: მთავრობას განზრაბული აქვს ახალი რეფორმების ჩატარება და ამის საფუძველზე სამეგრელოში იქნება ერთ-ერთი გენერალი, ხოლო ოლქების გამგებლებად იქნებიან რუსი მოხელეები. მაშინ თქვენ რაღა როლი უნდა შეასრულოთ აქ? ვინაიდან ჩერტკოვი იმპერატორისა და ბარიატინსკის სახელით ელაპარაკებოდა, ეკატერინემ თქვა: თუ იმპერატორის სურვილია ეს, მაშინ შვილებიანად ქვეითად წავალ სამეგრელოდან. მან არ მიიღო ჩერტკოვის რჩევა. მაშინ ამ უკანასკნელმა ეკატერინეს დაშინებაც დაუწყო, რათა გაეტყუებია სამეგრელოდან: „მმართველობაში იმდენი უწესრიგობაა, რომ გამოძიება თქვენს საზიანოდ დამთავრდება — გა-

83 ცსა, თბილისი, ფონდი 8/28 საქმე 4890, ფურც. 68.

ნუცხადა ჩერტკოვმა. ამგვარად, როგორც ირკვევა, ეგრეთშოდებული „გამოძიება“ მთავრობას თავის მიზნებისათვის სჭირდებოდა და არა თავადაზნაურებსა. და გლეხებს შორის კონფლიქტის მოგვარებისათვის.

ეკატერინე განსაკუთრებით აღაშფოთა ოლქებში მისგან დამოუკიდებლად მოქმედების უფლებით რუსი ოფიცრების გაგზავნამ. „თავადებმა მითხრეს, რომ გაგარინმა სუჯუნისა და ჯვარის ოლქებში გუშინ (13 ივნისს) გააგზავნა რუსი ოფიცრები ბოქაულებით. მათ აინტერესებთ, იყო თუ არა ამაზე ჩემი თანხმობა. მევუპასუხე, რომ ამის შესახებ არა ვიცი რა. ხოლო რაც იქნება, ეს ღმერთმა უწყის“⁸⁴, — სწერდა 14 ივნისს ეკატერინე ბებუთოვს.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივი ხელისუფლება და მეფის მთავრობა ერთმანეთს დაუპირისპირდა. აჯანყების მიერ პარალიზებული სამთავრო ხელისუფლება მეფის მთავრობის სამხედრო ძალების მოქმედებითაც უძლურდებოდა. ამას კარგად ხედავდნენ როგორც აჯანყების მეთაურები, ისე თვით აჯანყებულები და ხელიდან არ უშვებდნენ ინიციატივას.

გლეხთა მოძრაობის მთელი ძალა მიმართული იყო თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ფეოდალური კლასის წარმომადგენლებს, განურჩევლად იშისა, თუ როგორი პოზიცია ეჭირათ მათ სამთავრო ძალაუფლების მიმართ, აჯანყებულები ახლოს არ იკარებდნენ. მაგალითად, გრ. დადიანთან, სამთავრო ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგ?

⁸⁴ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 68.

ჯგუფის ხელმძღვანელთან, აჯანყებულებმა ლაპარაკიც არ მოისურვეს. სწორედ ამაში მღვომარეობდა ამ აჯანყების თავისებურება. რომ იგი მკვეთრად გამოხატულ ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა.

ამის გამო მეფის სამხედრო ძალების ჩამოსვლამდე თავადაზნაურობა სოროებში იმალებოდა. ასევე თავზარდაცემული იყო ის ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფიც, რომელსაც დედოფლის ხელისუფლების მერყეობით გულში, ფარულად, სიამოვნებდა.

მეფის ჯარების დანახვაზე თავადაზნაურობა წელში გაიმართა — მათი სახით მან მფარველი პოვა. იგი აჯანყების ჩაქრობას მხოლოდ რუსეთის ჯარისგან მოელოდა. მთავრობა შეუდგა თავადაზნაურების დაცემული უფლებების აღდგენას, შექმნა თავადაზნაურობისა და მთავრობის ერთიანი ფრონტი—მიმართული როგორც აჯანყების, ისე სამთავრო ხელისუფლების წინააღმდეგ.

12 ივნისს სამეგრელოს თავადებმა შემდეგი განცხადებით მიმართეს გაგარინს: „განუცხადებთ რა თქვენს ბრწყინვალებას, ვთხოვთ უმორჩილესად მიიღოთ სახლთუსუცესი კნიაზი პეტრე დადიანი, მდივანბეგი კნ. ელიზბარ დადიანი, მდივანბეგი კნ. ივანე ჩიქოვანი და მდივანბეგი კნ. გიგო ფალავა, რამეთუ ამათ ყოველივე პასუხი და საჭიროება მოგახსენოთ ჩვენ, მაგის ამა ვითარსა შემთხვევას შინა ვითარცა მცოდნეთა პირთა ჩვუენის გარემოებასთან“ (12 ივნისი 1857 წ. მარტვილი)⁸⁵.

რამდენიმე ხნის შემდეგ ასეთივე განცხადებით გამოვიდნენ ჯვარის მაზრის აზნაურებიც. საჭიროდ შიგვა-

85 ცსსა, თბილისი, ფონდი, 8/28, საქმე 4890, ფურც. 125.

ჩნია მოვიყვანოთ ეს საბუთიც: „ჩვენს მდგომარეობისა და საჭიროებისა ახლანდელს სამეგრელოსა შინა მომწარის მდაბალთა ხალხთა მიერ აღრეულობისა და უწესოებისა, ვპოებთ რა კეთილ საიმედოდ ჩუენგანსა დავნიშნოთ დეპუტატებად: კოლეჯის სოვეტნიკი კონსტანტინე გაბუნია, გიგო კორძაია, პოდპორუჩიკი ალექსანდრე ჩარკვიანი, კოლეჯის რელისტრატორი დიმიტრი გეგელია, ასნ. შავდია, სიკო ჩიქოვანი, შამშე გიგიბერია, ივანე კობახიძე, არჩილ ჩაჩავა, ტოტი გამსახურდია, დავით ჩაჩიბაია და დავით ლოლუა, რომელნი ყოვლის ჩვენისა მდგომარეობას და საჭიროებასა თითოვლად, დაწვრილებით სიტყვიერად გინა წერილობით განგიცხადებენ, გთხოვთ ჩვენსა დეპუტატებთა ზედა არავითარი იჭვი ჩვენს მხრით პრ იქნებას“⁸⁶.

აღნიშნული დოკუმენტები ნათელყოფენ, რომ თავიდაზნაურობის უმეტესობა, აშკარად ხელავდა რა, რომ სამთავრო ხელისუფლება განწირული იყო, წინასწარ ნიადაგს ამზადებდა საჭირო ენა გამოენახა მეფის მთავრობასთან და შემდგომისათვის უზრუნველეყო თავისი პრივილეგიური მდგომარეობა.

ამგვარად, იმ დროს, როცა გლეხები მოუთმენლად ელოდნენ სამხედრო საეგზეკუციო ნაწილების სამეგრელოდან გასვლას, მთავრობის მფარველობის ქვეშ მოკალათებული თავადაზნაურობა მათ ეუბნებოდა „ახლა ჩვენ უკვე არ გამოგიშვებთ თქვენ“. გაგარინიც ამ აზრისა იყო. 15 ივლისს იგი ბარიატინსკის სწერდა: „თითქ-

⁸⁶ ზმა, ფონდი, საქმე 13-ა (საბუთი უნომროა.) ჯვარის მაზრის აზნაურების 1857 წლის ივლისის განცხადება.

მის მაშინათვე, როცა კი ჩვენი ჯარი გაყვანლი იქნება, კვლავ იფეთქებს აჯანყება, მაგრამ უკვე არა მშვიდობიანი, არამედ ისეთი, რომელიც გამოიწვევს თავადებისა და აზნაურების ამოწყვეტას“⁸⁷.

მეფის მთავრობა აჯანყების მიზეზად სამთავრო მმართველობის უვარებისობან თვლიდა, რაც, მისი აზრით, უარყოფითს გავლენას ახდენდა. როგორც გლეხობაზე, ისე თავადაზნაურობაზე. ამიტომ ის შეუდგა მისი ავტონომიის გაუქმების საბაბად აჯანყების გამოყენებას.

თავადაზნაურობის უკმაყოფილო ჯგუფი კი თავის შერივ ფიქრობდა, რომ სამეგრელოში შემოსული მეფის მთავრობა მმართველობას ჩამოაცილებდა მათთვის საშულველ ეკატერინესა და ჩიქოვანებს და მათ გადასცემდა ძალაუფლებას. ამის სურვილი კი ოდნავადაც არ ჰქონდა მთავრობას, რადგან, კოლუბაკინის აზრით, სამეგრელოს წარჩინებულ წოდებაში არ მოიპოვებოდა ისეთი კაცი, რომლისთვისაც შეიძლებოდა მმართველობის გადაცემა. მათ ვერ გამოიჩინეს ის ენერგია, რაც საჭირო იყო ასეთი სოციალური საშიშროების დროს — გაიძახოდნენ ერთხმად როგორც კოლუბაკინი, ისე გაგარინი.

ამგვარად, სამთავრო ხელისუფლება ცენტრალური მთავრობის მიერ თავიდანვე იზოლირებული აღმოჩნდა, ხოლო თავადაზნაურობა კი დასაყრდენი ბაზა იყო ამ იზოლირებისათვის. დაპირება, გამოძიება, მითითება იმაზე, რომ ცენტრისწყლის გაღმა სამართლიანობაა, სამეგ-

⁸⁷ ცსსა, თბილისი, ფონფი 8/28, საქმე 4890, ფურც. 60.

რელოში არსებულ მძიმე პირობებზე ლაპარაკი — ყველაფერი ეს მთავრობის მიერ წარმოებული შენიღბული ბრძოლა იყო კოლონიური მიზნებისათვის.

ცნობილია, რომ სამღვდელოების დაბალი ფენაც ჩაგრული იყო და უკმაყოფილებას გამოთქვამდა სამთავრო წყობილების მიმართ. საბუთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი თითქოს ინერტიულად იყო განწყობილი, მაგრამ მაინც შევამჩნევთ, რომ რაღაცას მოელოდა. აი რას გვეუბნება ზუგდიდის მუზეუმის არქივში დაცული ერთ-ერთი საბუთი: „პირველად ეკლესიიდან გამოასვენა ხატი საზოგადოს შესაფიცებლად სტაროსტამ იმავე ეკლესიისაგან შოშიკელა და ბასილა თოდუებმან და შეფიცეს ურთიერთს ორულუს ეწერზედ და ისევ მოასვენეს ხატი ეკლესიაშიც“⁸⁸. მეორე აღგილას ვკითხულობთ, რომ შესაფიცად „გამოუტყუებიათ ხატი მწირის, ბერისათვის“. ზემოაღნიშნული და მრავალი სხვა ასეთი, ნიშნებია იმისა, რომ სამღვდელოების დაბალ ფენაში მღვდლვარება თანაგრძნობას პოულობდა. სამღვდელოების დაბალი ფენის მღვდლვარებაში მონაწილეობას აგრეთვე აღასტურებს ისიც, რომ დაპატიმრებულთა სიაში იყო ჯგალელი მღვდელი ბესარიონ ბახუს-ძე ქვარაცხელია, რომელიც კოლუბაკინის გადაწყვეტილებით ექვსი წლით უნდა გადაესახლებინათ რუსეთის შორეულ გუბერნიაში იმ ბრალდებით, რომ მებატონეებსა და მთავრობის წინააღმდეგ იგი გლეხებს ამხედრებდა.

მაგრამ უმაღლესმა სამღვდელო ხელისუფლებამ, რო-

⁸⁸ ზმა, ფონდი, საქმე 13-ა.

გორც საბუთებიდან ჩანს, დროულად მიიღო გამაფრთხილებელი ზომები: ვინც ამა ვითარს ბუნტში წარმოსჩნდებიან შეხებულად განიკუეცებიან მღვდლობისაგან, — სწერდა 6 აპრილს სამეცნიეროს ეპისკოპოსი ბლაონინ ბერიძეს. „ჩამოართვით კლიტებთა, საღაც ჰქონდესთ“ და ვინ ურევია „სამღვდელო პირები ამასა შინა“ მაცნობეთო, დასძენდა ეპისკოპოსი.

მაღალ სასულიერო პირებს, რომლებიც მებატონეებსა და მჩაგვრელებს წარმოადგენდნენ, აჯანყებულები ისევე ეჭცეოდნენ, როგორც თავადაზნაურობას. ჩვენ ვიცით, თუ რა დღე და ადგა ეპისკოპოს ჭყონიდიდელს ხობისწყლის ნაპირზე და რა იგემა მან 14 მაისს სალხინოში, როცა შეეცადა გლეხებისათვის მიემართა შემარიგებელი სიტყვით. აჯანყებულებისაგან შეშინებული ეპისკოპოსი საეკლესიო ბუნაგში იმაღლებოდა, საიდანაც იგი გამოძვრა მხოლოდ მთავრობის ჯარების გამოჩენის შემდეგ და გვერდში ამოუღვა მათ მღელვარების ჩასაქრობად.

23 მაისს ეპისკოპოსმა თ. გაბუნიამ ბლაონინ ნიკო ბერიძეს მკაცრად მიმართა იმის შესახებ, რომ სამღვდელოების არაენერგიული მოქმედების შედეგად აჯანყებულებმა შეძლეს ხატების გამოყენებით ჩაეტარებინათ საერთო ფიცის მიღება. ახლა იგი ბერიძეს უბრძანებს დაუყოვნებლივ, დაწვრილებით გაიგოს, თუ რომელ სოფელში და ვინ მიიღო ფიცი და ამისათვის აძლევს ოთხი დღის ვადას. იგი წერდა: „რომელიც მღვდელი ესრეთისა სინამღვილით ცნობასა არ მოგცემსთ და თქუენ მე არ წარმომიღვენთ. ამა მიწერილობითსამებრ დანიშ-

ნულს ვადაზედ, მაშინ ისრეთისა განდრეკილებისა და ურჩობისათვის დაპკარგავენ იგინი ადგილსა და ღირსებასა თვისსა და შევარდებიან პასუხისგებას შინა უმაღლესისა მთავრობისადმი”⁸⁹.

როგორც ვხედავთ, აჯანყების საწინააღმდეგო ზომების მიღებაში სამეგრელოს ეკლესია მხარში ამოუდგა მეფის მთავრობას.

ასეთ ვითარებაში უხდებოდა გზის გაკაფვა აჯანყებას. ამ პერიოდში აჯანყებულები თავს არიდებენ აქტიურ მოქმედებას — უცდიან უფრო ხელსაყრელ მომენტს — მეფის ჯარის სამეგრელოდან წასვლას.

მთავრობა საკმაოდ გაერკვა აჯანყებულთა ამ ტაქტიკაში. ამიტომ იყო, რომ გაგარინი 14 ივნისს მარტვილიდან ბარიატინსკისათვის გაგზავნილ საიდუმლო ოფიციალურ პატაკში წერდა: „ყველაფერი შეიძლება დამთავრდეს წვეთი სისხლის დაღვრის გარეშე; სისხლისმღვრელ აჯანყებას უნდა მოყვეს სისხლისმღვრელი დამშვიდება, სხვანაირად შეუძლებელია“⁹⁰.

გაგარინი მოითხოვდა სამეგრელოს შინაგანი მმართველობის დაუყოვნებლივ რეორგანიზაციას, რათა მთავრობას დაემსახურებინა აჯანყებულების ნდობა. ამავე დროს ეს ღონისძიება ავტონომიის გაუქმების საქმეს ემსახურებოდა.

მაგრამ იგნისის შუა რიცხვებში მდგომარეობა აჯანყებულებსა და სამხედრო ნაწილებს შორის მეტად გამწვავდა, რამაც გამოიწვია ქუთაისის გენერალ-გუბერ-

⁸⁹ ზმა, ფონდი. საქმე 13-ა (საბუთი უნომროა)

⁹⁰ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 58.

ნატორის შეშფოთება და მან 15 ივნისს მეფისნაცვალს განშეორებით მიმართა ვრცელი, კერძო ხასიათის საიდუმლო წერილით, რომელშიც ფართოდ გააცნო არსებული ვითარება. გაგარინის აზრით სამეგრელოს ადგილობრივი მმართველობა დაუყოვნებლივ უნდა შეცვლილიყო რუსული მმართველობით. გაგარინისაგან ამ მეორე წერილის მიღებისთანავე ბარიატინსკიმ პრაქტიკული ნაბიჭი გადადგა.*

2. აჯანყების მეორე პერიოდი

სამეგრელოს ადგილობრივი მმართველობის გაუქმების განზრახვის მიჩქმალვისა და თითქოს აჯანყების გამომწვევი მისეზების ადგილზე გამორკვევის მიზნით სამეგრელოში. მივლინებულ იქნა კავკასიის მხარის მთავარი სამმართველოს წევრი იპოლიტე დიუკრუსი, რომელსაც სინამდვილეში ევალებოდა ახალი მმართველობის გეგმის შემუშავება. მას დამხმარედ გამოუყვეს ფლიგელ-ადიუტანტი ჩერტკოვი, რომელიც მარისიდან სამეგრელოში იმყოფებოდა.

20 ივნისს მეფისნაცვალმა წერილი გაუგზავნა იმპერატორ ალექსანდრე II. წერილში იგი ასაბუთებდა სამეგრელოს მმართველობის უვარვისობას და ამ ნიადაგზე მღელვარების გამოწვევას. ბარიატინსკი იმპერატორს სთხოვდა სამეგრელოს დროებითი მმართველობის გაუქმების შესახებ თანხმობას. ამასთან ერთად ის იმპერატორს ატყობინებდა მღელვარების წინააღმდეგ მიღებული ზომების, კონსტანტინე და გრიგოლ დადიანების სამეგრელოდან გაძევებისა და აჯანყების მთავა-

* მთავრობა ფიქრობდა, რომ სამთავრო მმართველობაში შეტანილი ცვლილებებით თვალს აუზვევდა მეამბოხე გლეხებს.

რი სელმძღვანელების—უტუ მიქავას და უტუ თოდუს
დაპატიმრების შესახებ და ასკვნიდა, რომ აჯანყება
უკვე ჩახშობილია⁹¹.

25 ივნისს იპოლიტე დიუკრუასი ქუთაისში ჩავიდა
და გუბერნატორს შეუთანხმა მომავალი მოქმედების
გეგმა.

გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში შედგენილ
იქნა განცხადება, რომელიც უნდა გამოქვეყნებულიყო
სამეგრელოში დიუკრუასის ჩასვლამდე. 28 ივნისს ეს
განცხადება გაიგზავნა სამეგრელოში გაცნობა-გავრცე-
ლებისათვის. იგი უნდა წაეკითხათ ეკლესიებში.

30 ივნისს დიუკრუასი გორდში ჩავიდა, წარუდგა
ეკატერინე დაღიანს და დაპირდა, რომ დაუყოვნებლივ
შეუდგებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას. მარტ-
ვილში იგი შეხვდა ჭყონდიდელს, რომელმაც აღუთქვა
მას, რომ სამღვდელოების მეშვეობით გლეხებს ხელს
აალებინებდა ფიცჲე.

იმავე დღეს დიუკრუასი ქვაშიხორში ჩავიდა და იქ
დარჩა დამხმარედ გამოგზავნილ მოხელეებთან ერთად.

ამ დროს საქმის „გამოსაძიებლად“ მასთან იმყოფე-
ბოდნენ მეფისნაცვლის განკარგულებით დანიშნული
მრჩეველი ბარანოვსკი, გაგარინის მიერ მასთან დროე-
ბით მივლინებული მრჩეველი იზიუმსკი, საქარანტინო-
საბაჟო საუწყებოდან მრჩეველი ნოვიცკი, გუბერნისკი
სეკრეტარი ბიკოვი და ორი მწერალი. გარდა ამისა,
თბილისიდან უნდა ჩამოსულიყო განსაკუთრებულ და-

⁹¹ ცსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, საქმე 302, ნაწ. 1,
ფურც. 3—5.

ვალებათა მოხელე მრჩეველი უულცინსკი, ხოლო ქუთაისიდან — თარჯიმანი.

ასეთი იყო დიუკრუასის ირგვლივ თავმოყრილი ბიუროკრატიული აპარატი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეემუშავებინა სამეგრელოს ავტონომიის გაუქმების გეგმა და გამოერკვია აჯანყების მიზეზები.

30 ივნისს დიუკრუასმა მეფისნაცვალს სთხოვა განკარგულება იმის შესახებ, რომ სამეგრელოში განლაგებული ჯარის ნაწილები ყოფილიყვნენ მის უშუალო განკარგულებაში. ამით მან თავისებური სამხედრო დიქტატორის უფლების მოპოვებაც მოიწადინა.

ამ დროს ქვაშიხორის მოსაზღვრე დაბა სენაკში იმყოფებოდა შავი წლვის სახაზო მეორე ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი პისარევსკი. მან თავისი რაზმით, გაგარინის განკარგულებით, მარტვილიდან აქ მოიყვანა აჯანყებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული 27 კაცი. ესენი იყვნენ მთავრობის მიერ ივნისის შუა რიცხვებში დაპატიმრებულ მეამბოხე გლეხთა მეთაურები.

დიუკრუასი პირველ რიგში შეუდგა ამ დაპატიმრებულთა დაკითხვას. 27 პატიმარს შორის უტუ თოდუაც იმყოფებოდა⁹².

დაკითხვით და საქმის გამოძიებით გამოირკვა, რომ სამთავრო გლეხი უტუ თოდუა იყო მღელვარების ერთერთი მთავარი მეთაური, 6 გლეხი კი — თოდუას უახლოესი თანაშემწე ფიცის მიღების საქმეში, ხოლო 13 კაცს ბრალი ედებოდა, რომ წინააღმდეგობა გაუწიეს

⁹² ცსსა, თბილისი, ფონდი 8 28, საქმე 4890, ფურც. 134—145.

აჯანყების ჩასაქრობად გაგაზავნილ რუს მოხელეებს. 7 კაცი დაპატიმრებული იყო იმისათვის, რომ არ ემორ-ჩილებოდნენ მებატონეებს და არ იხდიდნენ ბეგარას მათ სასარგებლოდ. როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, აჯანყებულები არ ემორჩილებოდნენ და ებრძოდნენ არა მარტო მებატონეებს, არამედ აჯანყების ჩასაქრო-ბად მოყვანილ მთავრობის პოლიციასაც.

დიუკრუასიმ აქვე გამოუტანა მათ განაჩენი: 7 კაცი გაათავისუფლა იმ მოტივით, რომ მემამულეთა მიმართ ურჩიბისათვის მათთვის საკმარისი იყო საპოლიციო წე-სით დასჭა (როგორი), ხოლო 13 კაცი, რომლებიც და-პატიმრებული იყვნენ მოხელეების მიმართ ურჩიბისა და ხალხის მასების სახელით. მოთხოვნების წაყენები-სათვის, განთავისუფლებულ იქნენ საიმედო თავდებ-ჭვეშ. „მე აჯანყებულებში ნდობა უნდა დავიმსახურო. მათი საპატიმროდან გამოშვება ხალხში კარგ შთაბეჭდი-ლებას დატოვებსო“ — სწერდა 3 ივლისს დიუკრუასი ბარიატინსკის.

უტუ თოდუა და მისი ექვსი თანაშემწე აჯანყების დამთავრებამდე კვლავ საპატიმროში მოათავსეს⁹³.

მაგრამ მეფის მთავრობის ცბიერი მოხელე დიუკრუ-ასი ამაռდ ცდილობდა დაპატიმრებულთა მიმართ ლმო-ბიერი ზომებით მასობრივი ანტიფეოდალური მოძრაო-ბის დაცხრომას.

დიუკრუასის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოსახ-ლეობისადმი გაგარინის განცხადების გამოქვეყნებამ და

93 ცს ა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც 134-145

თვით დიუკრუსის ოფიციალურმა განცხადებამ მღელ-
ვარების ხანძარს ნავთი დაასხა და უფრო ააგიზგიზა.

აჯანყების აღმავლობას აგრეთვე ხელი შეუწყო სა-
პოლიციო და სამხედრო ძალებით ახლა უკვე ზურგგა-
მაგრებული თავადაზნაურობის მოთხოვნამ, რათა გლე-
ხობა კვლავ მათი მორჩილი ყოფილიყო, შეესრულებინა
საბატონო ვალდებულებები, დაებრუნებინათ მათთვის
მოახლე-მოსამსახურეები.

ამ ნიაღაგზე პირველი შეიარაღებული შეტაკება
მეამბოხე გლეხებსა, შთავრობის სამხედრო ნაწილებსა
და მებატონეებს შორის მოხდა ივნისის ბოლო რიცხ-
ვებში ჯვარის ოლქში—სოფელ ლეწურწუმეში.

ჯვარის ოლქის სოფელ ნაჯაგოუს მცხოვრებმა, აზნა-
ურმა ნიკოლოზ ხვიტიამ ილქის ოფიცერს კაპიტან სე-
რედინს სთხოვა, რომ მას დაბრუნებოდა აჯანყებულების
მიერ გათავისუფლებული მოახლე გოგო სოფელ ლე-
წურწუმედან. კაპიტანმა სერედინმა დააკმაყოფილა აზნა-
ურის თხოვნა, ჩამოართვა ლეწურწუმელ გლეხს ქალი-
შვილი და გადასცა მას მოახლედ. მაშინ ლეწურწუმის
შეიარაღებულმა გლეხებმა გზა გადაუღობეს სერედინს
და არ მისცეს სოფლიდან გოგოს გაყვანის უფლება.
გლეხებმა შემართული თოფებით⁹⁴ შეაჩერეს სერედინი
და იარაღით დაემუქრნენ. აჯანყებულების ნაწილი თავს
დაესხა აზნ. ხვიტიას და გოგო წაართვა, დამბაჩებით
და თოფებით შეიარაღებულმა მეორე ნაწილმა ალყა
შემოარტყა კაპიტან სერედინსა და კაზაკებს. გლეხებმა

⁹⁴ იქტები, ტ. XII, გვ. 235.

სცადეს აზნაურ ხვიტიას შეპყრობა, და ოოცა მან წინა-
აღმდეგობის გაწევა მოინდომა, მაშინ ერთ-ერთმა აჯან-
ყებულმა დამბაჩა დაუმიზნა მოსაკლავად, მაგრამ დამ-
ბაჩა არ გავარდა და იგი სიკვდილს გადარჩა. ბოლოს
გლეხებმა შეიპყრეს როგორც ხვიტია, ისე ოფიცრის
თარჯიშანი. გარემოცვაში მყოფმა ოფიცერმა ვერაფერი-
გააწყო გლეხებთან, რადგან თან ახლდა მხოლოდ 7 კა-
ზაკი და გაქცევით უშველა თავს⁹⁵.

გლეხებმა გამოცდილებით იცოდნენ, რომ ამ გამარჯ-
ვებას თან მოჰყვებოდა გაძლიერებული სამხედრო ძა-
ლებით სოფლის აოხრება; ამიტომ ახლომახლო სოფ-
ლების აჯანყებულ გლეხებთან ერთად ისინი შეუდგენ
წინააღმდეგობის გაწევისათვის მზადებას: ოჯახები და
ჭოვი მთაში გადამალეს, ხოლო თვითონ იარაღით ხელ-
ში თავი მოიყარეს სოფელ ლეწურწუმეში. გლეხების
მოლოდინიც მალე გამართლდა.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გასცა,
რათა კაპიტან სერედინს 70 კაზაკით და ერთი ასეული
ქვეითი ჭარით დაუყოვნებლივ გაელაშქრა, ალყა შემო-
ერტყა სოფლისთვის და დაეპატიმრებინა მოთავეები,
ხოლო მეამბოხეთა მხრივ შეიარაღებული წინააღმდე-
გობის გაწევის შემთხვევაში უსათუოდ იარაღი გამოე-
ყენებინა, რათა მეამბოხეებს არ ეგრძნოთ ცენტრალუ-
რი მთავრობის სისუსტე. აჯანყებულების გაქცევის შემ-
თხვევაში უნდა დაეტუსაღებინათ მათი ოჯახის წევრები
და ბადრაგით ქუთაისში გადაეგზავნათ. პოლკოვნიკ პი-

საჩევსკის დაევალა, თუ ეს საჭირო იქნებოდა, კაპიტან სერედინის რაზმი გაეძლიერებინა შავი ზღვის სახაზო მეორე ბატალიონისა და კაზაკების სხვა ნაწილებით.

30 ივნისს შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა უსლარმა ბრძანება გასცა, რათა კაპიტანი სერედინი სასწრაფოდ წასულიყო სოფელ ლეწურწუმეში მეამბოხეთა დასაპატიმრებლად. ეს ბრძანება სერედინმა მიიღო 3 ივლისს და იმავე დღეს გაემართა ლეწურწუმესაკენ. 4 ივლისს მიადგა მდინარე ოჩეომურს, მაგრამ წყალდიდობის გამო მდინარე ვერ გადალახა. ცხენოსანმა კაზაკებმა დაძლიეს მდინარე ოჩეომური, მაგრამ ისინი შეაჩერა მდ. ხობისწყალმა. ამგვარად, ისინი იძულებული გახდნენ შეჩერებულიყვნენ ამ მდინარეებს შორის. სერედინი კი ქვეითებით ოჩეომურის მარცხენა წაპირზე დარჩა და ელოდა წყალდიდობის დავარიდნას. ამან ხელი შეუშალა ლეწურწუმეში აჯანყებულ გლეხებზე მთავრობის ჯარის მოულოდნელ თავდასხმას. გლეხებმა დროულად გაიგეს მთავრობის ჯარის მოახლოების შესახებ და სოფლიდან გაიყვანეს როგორც მოსახლეობა, ისე ჯოგი.

ბოლოს სერედინმა მაინც გადალახა მდინარეები და ალყა შემოაჩუა სოფელს. აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს რეგულარულ ჯარებს და შეტაცვის შემდეგ უკან დაიხიეს.

ლეწურწუმელ გლეხებს სასტიკად გაუსწორდნენ. მთავრობის ჯარების მიერ შეპყრობილ იქნა აჯანყებულთა ხუთი მეთაური. სოფლიდან მათი გაყვანის დროს აჯანყებულებმა სცადეს გაეთავისუთლებინათ ისინა, მაგრამ

ამაოდ. პატიმრები ჯერ ქვაშიხორში ჩაიყვანეს, იქიდან
კი 10 ივლისს ბადრაგით ქუთაისის საპყრობილები გა-
დაგზავნეს.

ლეწურწუმეში მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულებს
შორის შეიარაღებული შეტაკება მეტად არასასიამოვნო
ამბავი იყო ცენტრალური მთავრობისათვის, რადგან,
როგორც ბარიატინსკი წერდა, იგი უარყოფით გავლენას
მოახდენდა სამეგრელოს დაწყნარების საქმეზე, შეცვ-
ლიდა რა მოსახლეობასა და მთავრობას შორის დამო-
კიდებულებას. ლეწურწუმეში აჯანყების სისხლის
ღვრით ჩახშობა ჩაშლიდა ავტონომიის უმტკივნეულოდ
გაუქმებაზე მთავრობის გეგმას და აჯანყების უსისხლოდ
ჩაქრობის ცდას. ამიტომ იყო, რომ მეფისნაცვალი დიუ-
კრუასს მკაცრი ტონით სწერდა: წინადადებას გაძლევთ
მიიღოთ ზომები, რათა მკაცრად შთაუნერგოთ სიფრთ-
ხილე სამეგრელოს ოლქებში მყოფ ოფიცრებს თავიანთ
მოვალეობის აღსრულებისას⁹⁶.

მაგრამ აწ სიფრთხილეზე ლაპარაკი უკვე გვიანდა
იყო, რადგან ლეწურწუმეს ამბავი ყუმბარასავით გასკ-
და. გლეხებსა და მთავრობის პოლიციას შორის ანალო-
გიურ ნიადაგზე შეტაკებას სხვაგანაც ჰქონდა აღგილი.

ივლისის პირველ რიცხვებში მღელვარებამ ფართო
მასშტაბით იჩინა თავი თეკლათის ოლქში. მისი ჩაქრო-
ბისათვის რამდენიმე დღე დასჭირდა მთავრობის სამ-
ხედრო ნაწილებს.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ თეკლათის ოლქის

⁹⁶ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 162.

გლეხების მღელვარება გამოიწვია სუჯუნის მდივანბეგ ბათა დადიანის თეკლათში გამოჩენამ. იგი გლეხებში ცნობილი იყო, როგორც მკაცრი და ულმობელი მოხელე, რომელიც ანგარების მიზნით ერთსა და იმავე საქმეს ორჯერ არჩევდა, თვითნებურად ბრალდებას უყენებდა ამა თუ იმ უდანაშაულო გლეხს და ახლევინებდა 100 მანეთს. ასეთი გლეხების რიცხვში იყვნენ ტოტოშია მაჯარგალაძე, ზურაბ ჯაკობია და სხვ. მრავალჯერ იქნა იგი მხილებული ასეთ ბოროტმოქმედებაში, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა. ცხადია, ასეთი საძულველი მდივანბეგის უფლების აღდგენა გლეხებმა ვერ მოითმინეს.

ამავე ნიადაგზე, ე. ი. ადგილობრივი პოლიციური ძალაუფლების აღდგენის ნიადაგზე, ივნისის ბოლო რიცხვებში მღელვარებამ იჩინა თავი ჯვარის ოლქის სოფლებში. გლეხები ხმამალლა აცხადებდნენ, რომ „ამას კი ისინი არ მოელოდნენ⁹⁷. ჯვარის ოლქის შესახებ 8 ივლისს დიუკრუასი გუბერნატორს სწერდა: ამ ოლქში საქმე სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ჯვარის ოლქის გლეხების მღელვარებისა და მთავრობის ჯარის წინააღმდეგ მათი გამოსვლის შესახებ ცნობას გვაწვდის აგრეთვე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 9 ივლისს მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ პატაქში. იგი წერს: „მანამდე ოლქის ოფიცირის სერედინის განკარგულებით გამოძახებული გლეხები მასთან ცხადდებოდნენ, ახლა ისინი ამასაც არ ასრულებენ, თვითონ

⁹⁷ ცსსა, თბილისი, ფანდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 152. ე. ი. მდივანბეგებისა და მებატონეების უფლებების აღდგენას.

აწესებენ მსაჯულ-სამჯავროთა საკრებულოს და გამო-
აქვთ განაჩენი“.

ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში მღელვა-
რებას ადგილი ჰქონდა მარტვილის ოლქის სოფლებშიც.
დროშებითა და საყვირებით გამოჩნდნენ შეიარაღებუ-
ლი მეამბოხე გლეხები. ეს ნიშნავდა აჯანყების ახალ
აზვირთებას. მათ წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა კაპიტანი
გრეკოვი სამხედრო ნაწილებით. შეტაკების შედეგად
აჯანყებულნი იძულებულნი იყვნენ. უკან დაეხიათ.
ბრძოლის ველზე დარჩა აჯანყებულთა ვ საყვირი, რამ-
დენიმე თოფი და დამბახი. აჯამებდა რა ამ პერიოდში
მღელვარების მდგომარეობას, მისი აღმავლობით შე-
შფოთებული დიუკრუსი ქუთაისის გენერალ-გუბერნა-
ტორისადმი წერილში მიღიოდა იმ დასკვნამდე, რომ
აჯანყება ჩაქრობილად არ უნდა ჩაითვალოსო⁹⁸.

ასეთ ვითარებაში მას მართებულად არ მიაჩნდა
ბრძანება იმის შესახებ, რომ სოხუმს დაბრუნებულიყო
ორი ასეული, რომელთაგან ერთი მოქმედებდა მდინა-
რე ტეხურის გასწვრივ, მეორე — ჭვარის სოფლებში.
პოლკოვნიკი პისარევსკისთან შეთანხმების შემდეგ დიუკ-
რუსის განკარგულებით ერთი ასეული სენაკში იქნა
დატოვებული, მეორე — ჭვარსა და ზუგდიდს შორის.
ისინი იქ უნდა დარჩენილიყვნენ მდგომარეობის საბო-
ლოოდ გამორკვევამდე.

პოლკოვნიკი პისარევსკი მაინც მოითხოვდა ამ ორი
ასეულის უკან დაბრუნებას, რადგან სოხუმიდან წამოხა-

⁹⁸ აქტები ტ. XII გვ. 283.

ვლისას ჯარის ეს ნაწილები ისე აჩქარებით ჩასვეს გემში, რომ ვერ მოასწრეს საამუნიციო ნივთების სათანადო რაოდენობით წამოლება. აქ კი ყველაფერი შემოაცვდათ, განსაკუთრებით ფეხსაცმელები: პისარევსკი საჭიროდ თვლიდა სოხუმიდან მოეყვანათ საზამთროდ აღჭურვილი სხვა ბატალიონი, რადგან, მისი აზრით, აჯანყების ჩასაქრობად მათ აქ ზამთარშიც მოუწევდათ ყოფნა⁹⁹. ამ ცნობილანაც გარკვევით ჩანს, რომ მთავრობის მოხელეებსა და ჯარის ნაწილების მეთაურებს არც თუ ისე აღვილ საქმედ მიაჩნდათ აჯანყების ჩაქრობა.

მთავრობა სკანდალური ამბის წინაშე იმყოფებოდა. როგორც ვიცით, დიუქრუასი სამეგრელოში ჩამოვიდა მეფისნაცვლის დავალებით და აღვიღზე უნდა ეწარმოებინა „გამოკვლევა“. 27 პატიმრის დაკითხვის შემდეგ, გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით, მეტი ეფექტის მიზნით, დიუქრუასს პირადად უნდა ენახა აჯანყებული სოფლები, მაგრამ მის ჩამოსვლას თან დაემთხვა მასობრივი შეიარაღებული მღელვარების აღმავლობა. ამიტომ იზიუმსკის მეშვეობით გაგარინმა დიუქრუასს შეატყობინა თვისი მოსაზრება, რომ მღელვარების ასეთ მომენტში სოფლებში მის მოგზაურობას შეეძლო გამოეწვია მთავრობისათვის არასასურველი შედეგი¹⁰⁰.

ამას არც დიუქრუასი უარყოფდა, მით უმეტეს ლეწურწუმის, ჯვარის, მარტვილის, თეკლათისა და სხვა

⁹⁹ აქტები, ტ. XII გვ. 284.

¹⁰⁰ ცისა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 48.

სოფლების მეამბოხეებთან სამხედრო ნაწილების შეტაკების შემდეგ.

მიუხედავად ამისა, დიუქრუასს მაინც უნდა გაეწია რისკი და რაც შეიძლება ფრთხილად ემოგზავრა სოფლებში. საქმე იმაშია, რომ გლეხები უკვე წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი საქმის „გამოსარკვევად“ მისი ჩასვლის შესახებ, ხოლო ამის შეუსრულებლობას შესაძლებელია მღელვარებისათვის ახალი ბიძგი მიეცა.

აჯანყებამ ეს საკითხი უფრო მწვავედ დააყენა. მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ გამოძიებისას გლეხები ყველაფერს იტყოდნენ პოლიციისა და მებატონეების ზნობრივ გახრწნაზე, ბოროტებაზე, სიმკაცრეზე და სხვა; რაც მთავრობას დიდად გამოაღვებოდა კანონიერ ფორმებში. სამთავრო მმართველობის გაუქმებისათვის.

ამიტომ, მიუხედავად საშიშროებისა, დიუქრუასი ფრთხილად შეუდგა დავალების, შესრულებას. პირადად რომ შემოევლო სამეგრელოს ყველა სოფელი, დიდი დრო დასჭირდებოდა, ამასთან მისი პირველი ნაბიჯისთანავე გამოაშკარავდებოდა „მოგზაურობის“ მიზანი; რაც მღელვარებას უფრო გაამძაფრებდა და იგი ვერ მოასწრებდა მასალების შეგროვებას. ამიტომ სხვა გამოცდილი მოხელეებიც გამოიყენა.

აჯანყების რაიონების მიხედვით სამეგრელოს სოფლები დაყო სამ ზონად: ცხენისწყალსა და ტეხურს შეა მდებარე ზონაში ნოვიცკი დანიშნა, ტეხურსა და ხობისწყალს შორის არსებული სოფლები ბარანოვსკის მიანდო, ხოლო ხობისწყალსა და ენგურს შორის მდებარე სოფლები — იზიუმსკის. ჯვარის ოლქში თვითონ უნდა

გამგზავრებულიყო; რადგან აქ ყველაზე უფრო დაძაბული ვითარება იყო¹⁰¹.

ბარიატინსკიმ ეს გეგმა მოიწონა: „ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ თქვენ თვითონ გამგზავრებულხართ ჯვარის ოლქში, რომლის მოსახლეობამ პირველმა გაუწია წინააღმდეგობა კანონიერ ხელისუფლებას და დღემდე ურჩიობის მაგალითის მიმცემად ითვლება სხვებისათვის“¹⁰², — სწერდა იგი.

11 ივლისს დიუკრუასმა სხვა მოხელეებთან ერთ-დროულად გეზი აიღო აჯანყებული სოფლებისაკენ. იგი თავდაპირველად სოფელ წალენჯიხისკენ გაემართა, რადგან გლეხების მღელვარება ყველაზე უფრო აქ მდინარებიდა. წალენჯიხის გლეხობამ შეტად გულცივად და უნდობლად მოისმინა დიუკრუასის დაპირება.

დაღიანის გლეხებმა მას წარუდგინეს საჩივარი, რომ ისინი აუტანელ მდგომარეობაში არიან, ვერ უძლებენ სხვადასხვა ახალ გადასახადს. დიუკრუასმა მათ გამოუკრხადა, რომ მებატონების მიერ თვითნებურად დაწესებული გადასახადების საკითხი განსაკუთრებულ გარჩევას მოითხოვსო; ამიტომ ეს გადასახადები ჯერჯერობით უნდა გადაიხადოთ წინააღმდეგობის გარეშეო. გარდა ამისა, დიუკრუასმა წალენჯიხის მეამბოხე გლეხებს მიუთითა, რომ ისინი ვალდებული არიან უსიტყვოდ შეასრულონ მებატონებისათვის მოახლე-მოსამსახურეების

101. აქტები, ტ. XII, გვ. 286.

102. ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4E90, ფურც. 162.

მიცემა და სხვ. გლეხების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. მათთვის აშკარა გახდა „გამოძიების“ მიზანი.

წალენჯიხიდან დიუკრუასი ჭვარს წავიდა, სადაც აჯანყებულებმა მას აგრძნობინეს, რომ ისინი აღსავსე არიან წინააღმდეგობის გაწევის სურვილით და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი აჯანყების გაგრძელება. ეს გამოიხატა იმაში, რომ დიუკრუასის მისვლამდე ჭვარის გლეხებმა დატოვეს სოფელი, გადავიდნენ ენგურის მარჯვენა ნაპირზე და დაბანაკდნენ სოფელ ფახულანში. მათ მიჰყვნენ ლიისა და სხვა სოფლების გლეხები¹⁰³. ამგვარად, ენგურის მარჯვენა ნაპირიც აჯანყების სამოქმედო ასპარეზი გახდა.

გლეხების ასეთი მოქმედებით შეშინებულმა დიუკრუაშია მოიმიზება კოკისპირული წვიმები, ენგურზე ვაზისაგან გაკეთებულ ხიდზე ცხენებით გასვლის სიძნელე და ფეხი არ გაღდა დაბანაკებული გლეხებისაკენ. ხოლო მარჯვენა ნაპირზე გადასულ მეამბოხე გლეხებთან გაგზავნა უტუ მიქავა და მისი ორი თანაშემწე, რომლებიც დიუკრუასმა თან წამოიყვანა იმ ანგარიშით, რომ ამხედრებული გლეხების დაწყნარებაში მას დიდად გამოადგებოდა მათი ავტორიტეტი. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ავტორიტეტი მას არ გამოადგა, რადგან მიქავასა და მის ამხანაგებს არ სურდათ, რომ ჭვარელები გამოტყუებული ყოფილიყვნენ მარცხენა ნაპირზე. დიუკრუასმა ერთი დღე და ღამე ამაოდ უცადა გლეხების მასთან მისვლას. ამ ამბავთან დაკავშირებით საინტერესოა დიუკრუასის

¹⁰³ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890. ფურც. 165. სოფ. ფახულანი მაშინ 280 კომლი გლეხისაგან შესდგებოდა.

წერილი ბარიატინსკისადმი, რომელშიც ის სხვათაშორის შემდეგს სწერდა: მიქავასა და მის თანაშემწეთა მოქმედებაში არ შემეძლო არ შემპარვოდა ეჭვი. კერძოდ მათ საიდუმლო ზრახვაში — შეენარჩუნებინათ გლეხებში მღელვარების ჩანასახი იმ შემთხვევისათვის, უკეთუ ჩვენ არ გადავწყვეტდით საბოლოოდ გაგვენთავისუფლებინა ისინი ბატონყმური ჩაგვრისაგან¹⁰⁴.

განსჭვრიტა რა მოსალოდნელი ხიფათი, დიუკრუასმა გადაწყვიტა, რაც შეიძლება საჩქაროდ წასულიყო ჯვარიდან, სანამ მღელვარების ტალღა წალეკავდა. იგი გაემართა სალხინოს მიმართულებით, რომელიც ნოვიცკის სამოქმედო ზონაში შედიოდა და შვიდი დღის მოგზაურობის შემდეგ, 18 ივლისს სალამოს, ჩავიდა ქვაში-ხორში. დიუკრუასი დარწმუნდა, რომ სამეგრელოს გლეხების დაწყნარება იოლი საქმე არ იყო. იგი სწერდა ბარიატინსკის: არ შემიძლია არ გამოგიტყვეთ, რომ შეუძლებელია ხანგრძლივ სიმშვიდისა და გლეხთა სრული დამორჩილების იმედი გვქონდეს, ისინი ჩვენ უნდობლად გვიყურებენო¹⁰⁵.

აჯანყების მიზეზების „გამორკვევა“, რომელსაც მთავრობა აწარმოებდა, გამიზნული იყო იმისათვის, რომ გლეხები მოეტყუებინათ — თითქოს მთავრობა მათ ინტერესებს იცავდა მებატონეთა ძალმომრეობისაგან. სინამდვილეში ხელისუფლება სრულიადაც არ იყო ამაში დაინტერესებული, რასაც აშკარად ადასტურებს გუბერნატორ გაგარინის მიერ ბარიატინსკისადმი გაგზავ-

¹⁰⁴ აქტები, ტ. XII, გვ. 286.

¹⁰⁵ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 166.

ნილი წერილის ერთ-ერთი ადგილი, საღაც ნათქვამია: „მეტად დავრწმუნდი, რომ გლეხობაში მუდმივად ლვი-ვის და ხშირად პოულობს გამოვლინებას აზრი მება-ტონეთა ძალაუფლებისაგან სრული განთავისუფლების შესახებ, რაც ჩვენ არ შეგვიძლია შევასრულოთ“¹⁰⁶. ამიტომ მას უტუ თოდუასა და სხვა შეპყრობილთა პა-ტიმრობილან განთავისუფლება ნააღრევად მიაჩნდა, ხო-ლო აჯანყებულთა წინააღმდეგ ზომების მიღების და-გვიანებას საზიანად თვლიდა.

აგვისტოს მეორე ნახევარში მღელვარებას ადგილი ჰქონდა თვით ზუგდიდსა და მის ახლომახლო სოფლებ-ში. ზუგდიდში გლეხებმა აჯანყებისათვის საბაბად გამო-იყენეს ყურძნის ავაღმყოფობის შესახებ გავრცელებუ-ლი ხმა, თითქოს ყურძნის ავაღმყოფობა გამოწვეული იყოს როზმორდიუკის ძაფსართავი ფაბრიკის ორთქლის მანქანების კვამლისაგან. გლეხები ამას გამოეხმაურნენ და სურვილი გამოთქვეს გაენადგურებინათ ძაფსართავი საწარმო. მღელვარება სწრაფად მოედო ზუგდიდის ბა-ზარსა და მის მიღამოებს. გლეხებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ზუგდიდში შეიარაღებული გამოსვლა მოეწ-ყოთ ბაზრობისას, 25 აგვისტოს (კვირას) ¹⁰⁷. იმ მომენტ-ში ოლქის უფროსი კაპიტანი პიოდოვსკი ავაღმყოფო-ბის გამო აღგილზე არ აღმოჩნდა. ამიტომ მოსალოდნე-ლი საფრთხის შესახებ როზმორდიუკმა სასწრაფოდ აცნობა დიუკრუას. მღელვარება იმავე დღეს ჩაახშო ჭვეითთა რაზმა, რომელიც ზუგდიდს იცავდა.

¹⁰⁶ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 294.

¹⁰⁷ იქვე, ფურც. 107.

აჯანყებისათვის მზადების შესახებ წინასწარი მიღებული ცნობის საფუძველზე დიუკრუასმა დროულად მიიღო სათანადო ზომები. ოლქის უფროსი პიოლოვსკის ავადმყოფობის გამო ზუგდიდის ოლქის უფროსობა პან დაავალა ზუბის ოლქის უფროსს ტრუბაევსკის, რომელიც ასეთ საქმეში დიდად დახელოვნებული იყო. ტრუბაევსკის ბრძანება მიეცა კაზაკების თანხლებით დაუყოვნებლივ წასულიყო ზუგდიდს. და მიეღო ზომები ზუგდიდის ბაზარში გამოსვლის წინააღმდეგ, ხოლო პიოლოვსკის ებრძანა: გამოჯანმრთელების შემდეგ გამოცხადებულიყო ტრუბაევსკისთან და შეესრულებინა მისი თანაშემწის მოვალეობა.

ამასთან ერთად ტრუბაევსკისთან ზუგდიდში კაზაკების თანხლებით გაიგზავნა კოლ. ასესორი შერემეტევი. იგი უნდა დახმარებოდა მთავრობის ჯარებს და ზომები მიეღო აჯანყებულთა წინააღმდეგ ზუგდიდის ოლქის სიხვა სოფლებში. თვითონ ტრუბაევსკი ზუგდიდში ჩავიდა 23 აგვისტოს და ყოველგვარი ღონე იხმარა მღელვარების ჩასაქრობად.

ამავე დროს მღელვარება დაიწყო მარტვილის ახლომახლო სოფლებში. ამ სოფლის გლეხებმა აჯანყების საბაბად გამოიყენეს შემდეგი: მათ მრავალჯერ მიმართეს დიუკრუასს თხოვნით, რომელშიც ისინი ასაბუთებდნენ, რომ ეკუთვნოდნენ საეკლესიო უწყებას, საიდანაც გასხვისებული იყვნენ უკანასკნელი მთავრების დროს. გლეხების თხოვნა დიუკრუასის მიერ არ იქნა დაჭმა-ყოფილებული, თითქოს სათანადო საბუთების უქონლო-

ბის გამო. მაშინ მოთავეთა წაქეზებით გლეხებმა გადაწყვიტეს მარტვილის ეკლესიაზე თავდასხმა.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, მარტვილთან მდებარე სოფლების ამხედრებაში დიდი როლი შეასრულეს საერთო აჯანყების აქაურმა მონაწილე და მოთავე ალეხებმა — მიქელია თოფურიამ და ზაქარია ხაუომიამ. მათ მოამზადეს მარტვილის ეკლესიაზე თავდასხმა. ისინი დიდი ნდობით სარგებლობდნენ მარტვილის გლეხებში, როგორც მებატონეთა წინააღმდეგ თავდადებული მებრძოლები. ხოლო რამდენიმე სოფლის გაერთიანებული მეამბოხე გლეხების წინამძღოლობა იკისრა დათიკა გეგიამ, რომელიც აგრეთვე დიდი გავლენით სარგებლობდა ამავე სოფლების აჯანყებულ გლეხობაში; საბუთების დამოწმებით აჯანყების ამ რაიონში იგი თავიდანვე ითვლებოდა ერთ-ერთ მოთავე გლეხად და შეუპოვრად ებრძოდა თავადაზნაურებს¹⁰⁸.

24 აგვისტოს დათიკა გეგიას, ზაქარია ხაუომიასა და მიქელია თოფურიას ხელმძღვანელობით 300 შეიარაღებული მეამბოხე გლეხისაგან შემდგარი რაზმი დაიძრა მარტვილის მონასტრისკენ და დაიკავა იგი. მათ შეამტვრიეს მონასტრის კარები. და შეიჭრნენ შიგნით, რათა გასცნობოდნენ საბუთებს. აქვე შეიპყრეს არქიმანდრიტი ტარასი ელიავა და დეკანოზი ბორისოვი.

ისინი საკანში დაამწყვდიეს და ჩამოხრიბით დაემუქრნენ¹⁰⁹. ეპისკოპოსი ჭყონდიდელი იმ დღეს ქვაში-

¹⁰⁸ ცსსა, თბილისი, ფონდი 4, საქმე 495, ფურც. 2.

¹⁰⁹ ოქვე, ფურც. 315.

ხორში იყო და მან დიუკრუსს აცნობა მღელვარების შესახებ. სუჯუნის ოლქის გამგე კაპიტანი გრეკოვი 15 კაზაკის თანხლებით დაუყოვნებლივ გაემართა სოფელ ჭოლევიდან მარტვილისაკენ. მან ორი მეამბოხე შეიპყრო. სხვებმა მოასწრეს მარტვილიდან გასვლა.

26 აგვისტოს დიუკურასმა გრეკოვის დასახმარებლად გაგზავნა 40 კაზაკი ნოვიცის მეთაურობით. ეს უკანასკნელი მიხვდა, რომ საქმე ჰქონდა სერიოზულ მღელვარებასთან; ამიტომ მან დამატებით მოითხოვა შავი ზღვის მე-5 ბატალიონის ერთი ასეული, რომელიც ამ დროს მიღიოდა ლეჩხუმში, ოლქის უფროსად დროებით დანიშნულ კაპიტან ბერიძის მეთაურობით. ნოვიციმ იმავე დღეს განკარგულება გასცა, თუ აჯანყებულები ნებაყოფლობით არ გამოცხადდებოდნენ მასთან, მაშინ კაპიტანი გრეკოვი წასულიყო სოფლებში. და მათი ოჯახებიდან წამოეყვანა მეამბოხეთა ცოლშვილი. ასე დაიწყო აჯანყებულთა სოფლების შეიარაღებული აწიოდება. ნოვიცის დავალებული ჰქონდა ჩაეჭრო მღელვარება, დაეპატიმრებინა მოთავეები, ხოლო მღელვარების დანარჩენი მონაწილე გლეხები მკაცრად დაესაჭა ადგილზევე. აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლა ათ დღეს გაგრძელდა. მეამბოხე სოფლებში დაპატიმრებულ იქნა 303 კაცი, აქედან 290 გლეხი კაზაკებმა. გაამათახა მარტვილის მონასტერთან. თითოეულმა მიიღო რვიდან თექვსმეტამდე დარტყმა. უფრო გვიან შეპყრობილნი მეტ დამნაშავედ ითვლებოდნენ და ამის მიხედვით დარტყმის რაოდენობაც იზრდებოდა. დანარჩენი 13 კაცი,

რომლებიც თავკაცებად იყვნენ ცნობილი, დააპატიმ-
რეს და სენაკის საპყრობილეში ჩასვეს.

მარტვილის აჭანყებაში მონაწილე სოფელ საელიაოს
გლეხობამ დატოვა სახლ-კარი და ერთიანად გავიდა
სოფლიდან. პოლიციამ მათ კვალსაც კი ვერ მიაგნო. ბე-
რიძის მეთაურობით ლეჩეუმისაკენ მიმავალი ასეული-
დან ერთი ოცეული დატოვებულ იქნა მარტვილის და-
საცავად და სოფელ საელიაოში საეგზეკუციო ზომების
მისაღებად. ეს საქმე ისევ კაპიტან გრეკოვს დაევალა.
4 სექტემბერს დიუკრუასმა შეატყობინა ქუთაისის გე-
ნერალ-გუბერნატორს: „ნოვიცი გუშინ დაბრუნდა მარ-
ტვილიდან. მან პირნათლად შეასრულა დაკისრებული
დავალება... მარტვილიდან გამოგზავრებისას აზნაურებმა
და ხელოსნებმა¹¹⁰ მოახსენეს მას, რომ გლეხები უკვე
იხდიან საბატონო გადასახადებს“¹¹¹.

ასე გაუსწორდნენ აჭანყებულებს მთავრობის სამ-
ხედრო ნაწილები. მაგრამ მიქელია თოფურიას, ზაქარია
ხაურიშვილისა და დათიკია გეგიას შეპყრობა მაშინ ვერ მო-
ახერხეს. ისინი დააპატიმრა კოლუბაკინმა მხოლოდ დე-
კემბერში¹¹².

მარტვილის რაიონის გლეხების ამბოხებისა და მარ-
ტვილის მონასტრის დაჩბევის მესამე დღეს დიუკრუას-
მა მიიღო თეკლათის ოლქის გამგე შტაბს-კაპიტან ლი-
ანცკორანსკის პატაკი იმის შესახებ, რომ სოფელ საჯი-
ჯაოს გლეხებმა, რომლებსაც შეუერთდნენ ნოვიხევის

¹¹⁰ მოხელეებმა.

¹¹¹ აქტები, ტ. XII გვ. 316.

¹¹² ცისა, თბილისი, ფონდი 4, საქმე 495, უურც. 3.

გლეხებიც, თავი მოიყარეს იმ საბაბით, რომ უნდა მოეძებნათ სოფელ ხორშის მცხოვრები 13 წლის ბავშვი, რომელიც დაიკარგა ქვალონიდან დაბრუნებისას. მათ გამოეხმაურა ზუბის, ხორშის, ქვალონისა და ბიას გლეხობა და ერთდროულად აჯანყდა ექვსი სოფელი.

ბავშვის დაკარგვა შემდეგ ვითარებაში მოხდა: 13 წლის ბავშვს, ხორშელ ივანე სერგიას ქვალონში გაუცილებია თავისი რძალი. დაბრუნებისას ბავშვი გაუტაცებია ქვალონელ აზნაურ ვატა ლოლუს. მშობლები ბევრს ეცადნენ, მაგრამ შვილის დაბრუნება ვერ შეძლეს.

აი სწორედ ამ არადამიანურ ქცევას გამოეხმაურნენ ასე თავგამოღებით აღნიშნული სოფლის გლეხები. მეამბოხეებმა ქვალონის თავადაზნაურობას მტკიცედ მოსთხოვეს დაუყოვნებლივ ეპოვათ ივანე სერგია და დაებრუნებინათ მშობლებისათვის. თავადაზნაურებმა მიმართეს ოლქის უფროსს კაპიტან ლიანცკორანსკის, რომელიც თავის მხრივ გლეხებს დაპირდა, რომ ყველა ზომას იხმარდა ბავშვის საპოვნელად. მაგრამ გლეხებმა კარგად იცოდნენ, თუ რა ფასი ჰქონდა მთავრობის დაპირებას, არ დაუცალეს შედეგს და ხელი მიჰყვეს ქვალონის. თავადაზნაურობის აწიოკებას. არბევდნენ მათს სახლკარს, მიჰყავდათ პირუტყვი, ძროხებისა და ხარების ნაწილს იქვე კლავდინენ და აჯანყებულთა ლაშქრისათვის იყენებდნენ. ისინი ქვალონის თავადაზნაურობას ძირფესვიანად მოთხრით ემუქრებოდნენ. სამხედრო ძალების გარეშე აჯანყებულთა დამორჩილება შეუძლებელი გახდა.

ლიანცუორანსკი დიუკრუასს სთხოვდა, რომ მის დასა-
ხმარებლად გამოეგზავნათ არანაკლებ 50 კაზაკისა.

27 აგვისტოს, პატაკის მიღებისთანავე, დიუკრუასმა
ლიანცუორანსკის გაუგზავნა 40 კაზაკისაგან შემდგარი
შეიარაღებული რაზმი ხორუნეი შიდლოვსკის მეთაუ-
რობით. იმავე დღეს ზემო ქვალონში „ბეჟანას ნოხო-
რუსთან“ მოხდა შეტაკება აჯანყებულ გლეხებსა და საჭ-
ხედრო ნაწილებს შორის. იგი დამთავრდა 28 აგვისტოს
აჯანყებულთა დამარცხებით. სამხედრო ნაწილებმა შეი-
პყრეს მეამბოხე გლეხები. მათ ჩამოერთვათ სხვადასხვა
იარაღი, მათ შორის 29 თოფი და 33 ხმალი. შეპყრობი-
ლი მეამბოხე გლეხები სენაჟში ჩაიყვანეს. მათ შორის
15 თავკაცებად იცნეს და დიუკრუასმა ისინი საპყრობი-
ლები ჩასვა, ხოლო დანარჩენი 209 კაცი მისივე განკარ-
გულებით იქვე გაამათრახეს—თითოეული 25 დარტყმით.

27 აგვისტოს მომხდარ ქვალონის ამბის შესახებ
ლიანცუორანსკისაგან ცნობის მიღების ცოტა ხნის შემ-
დეგ, დიუკრუასიმ პატაკი მიიღო კოლ. ასეს. შერემეტიე-
ვისაგან ხეთაში მომხდარი აჯანყების შესახებ. ამ დროს
მთელი სამეგრელოს მშრომელი მოსახლეობა კვლავ
მძლავრად იყო ამხედრებული¹¹³.

სოფელ ხეთაში ამბოხების ჩასაქრობად შერემეტიე-
ვი ჩავიდა 26 აგვისტოს. მან განკარგულება გასცა, რომ
გლეხები 27 აგვისტოს გამოცხადებულიყვნენ მასთან
„ბახუა-ლალის“ ველზე. შერემეტიევს მათვის უნდოდა

¹¹³ ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, საქმე 433, ფურც 14.

გამოეცხადებინა, რომ ისინი ვალდებული არიან უსიტყვოდ დაემორჩილონ მებატონეებსა და მთავრობას.

მართლაც, დანიშნულ დღეს, დილის 11 საათზე თავი მოიყარეს თოფებით, დამბაჩებითა და ხელკეტებით შეიარაღებულმა გლეხებმა. ისინი მოღიოდნენ სიმღერითა და ურიამულით. შეიარაღებული და მომღერალი გლეხების გამოჩენამ ძალზე შეაშინა შერემეტიევი. მან გლეხებს მიუგზავნა მოურავი ივანე კობახიძე, რათა შეეწყვიტათ სიმღერა. ბოლოს მცირერიცხოვანი რაზმით პირადად მივიდა მათთან და ჰკითხა, თუ რატომ არ ემორჩილებიან ისინი მებატონეებს და თავს იყრიან გუნდგუნდად. გლეხებმა უპასუხეს: ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ფიცი გვაქვს მიცემული უტუ მიქავასათვის და მხოლოდ მას შეუძლია ფიცის მოხსნა ჯვარისა და ჯვალის წმინდანის ხატებითო¹¹⁴.

შერემეტიევმა გლეხებს გამოუცხადა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია ფიცისაგან გაანეთავისუფლებინა გლეხობა და გამოაცხადოს მთავრობის ბრძანება მებატონეებისადმი მათი დამორჩილების შესახებ. მაშინ მეამბოხე გლეხების წრიდან დამბაჩით ხელში გამოვიდა ბიტუბუკია, რომელმაც აჯანყებულების სახელით განაცხადა, რომ ხეთის გლეხები უფრო აღრე ყელს გამოიჭრიან, ვიდრე დაემორჩილებიან მებატონეებს.

შერემეტიევმა კაზაკებს უბრძანა დაეპატიმრებინათ ბუკია. ამ დროს ერთ-ერთი მეამბოხე, სახელდობრ, ბათაია ფილიპია ხმალალმართული გაემართა შერემე-

¹¹⁴ ცსსა, თბილისი, ფონდი 4, საქმე 2099, ფურც. 13.

ტიევის მოსაკლავად, მეორე გლეხმა — ბიჭგვაია კვიკვინიამ კი საფრიდან თოფი დაუმიზნა შერემეტიევსა და ქაზაკებს¹¹⁵.

კვიკვინიამ შეიარაღებულ გლეხებს მიმართა მოწოდებით, თუ კაზაკები და თავადაზნაურები შეტევაზე გაღმოვიდოდნენ, სროლა აეტეხათ მათთვის. იარაღმომარჯვებულმა აჯანყებულებმა მიაშურეს შერემეტიევის რაზმს, რომ არა ვასილ ვართაგავა, გიორგი კობახიძე, ივანე ქობახიძე და სხვა თავადაზნაურები, შერემეტიევი უთუოდ აჯანყებულების მსხვერპლი გახდებოდა.

„ბახუა-ლალის“ ველზე 27 აგვისტოს შეიარაღებული შეტაკება გლეხების გამარჯვებით დამთავრდა. შერემეტიევმა გაქცევით უშველა თავს და ზუგდიდს გაეშურა დამხმარე ძალებისათვის, ხოლო აჯანყებულები აღგილზევე დარჩნენ.

ამგვარად, ხეთაში აჯანყებულმა გლეხებმა დიდი სიმტკიცე და დარაზმულობა გამოიჩინეს ბიტუ ბუკიას, ბათაია ფილიპიას და ბიჭგვაია კვიკვინიას ხელმძღვანელობით — შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს მთავრობის სამხედრო ნაწილებსა და თავადაზნაურებს. გლეხები აჯანყებას განაგრძობდნენ მიღებული ფიცის საფუძველზე და ურყევად იბრძოდნენ მიქავას მიერ დაწყებული საქმისათვის.

ხეთაში აჯანყებულებთან შეტაკების შემდეგ მთავრობისათვის ცხადი ვახდა, რომ მღელვარების გაგრძელების იდეა მჭიდროდ იყო დაკავშირებული უტუ მიქა-

115 ცსსა, თბილისი, ფონდი 4, საქმე. 2099, ფურც. 21—22.

ვას სახელთან და გლეხები მას დიდი ნდობით უყურებდნენ. ამიერიდან მთავრობა ცხადად ხელავდა რომ აჯანყების დასაწყნარებლად მიქავას ავტორიტეტის გამოყენება ამაო იყო.

აი რას წერს დიუკრუასი უტუ მიქავას შესახებ: ცნობილი მიქავა დაახლოებით ერთი თვეა, რაც კაპიტან სერედინთან იმყოფება. ამჟამად ხეთის გლეხების განცხადების გამო, რომ ისინი მიქავასა და მისი ფიცის მიმღევრები არიან, კვლავ უნდა გავწიო მისი მოქმედების მიმართ განსაკუთრებული მეთვალყურეობა¹¹⁶.

ხეთის: გლეხების წინააღმდეგ გალაშქრება მეორე დღეს (28 აგვისტოს) დაევალა შავი ზღვის სახაზო მეორე ბატალიონის პრაპორჩიკს შჩეკეს¹¹⁷, რომელიც მეთაურობდა ამ დროს ზუგდიდში მყოფ ქვეითთა ოცეულს. შჩეკე ზუგდიდიდან ხეთას გაემართა ქვეითთა გაძლიერებული ნაწილებით, რათა ჩაეჭრო მღელვარება და შეეპყრო „ბახუა-ღალის“ ველზე შეიარაღებული გლეხების თავმოყრის მთავარი ინიციატორები და მოთავეები.

სამხედრო ნაწილებს ხეთაში მღელვარების ჩაჭრობისათვის 12 დღე დასჭირდათ, მაგრამ ეს აჯანყების ჩაჭრობას არ ნიშნავდა. გლეხები „ბახუა-ღალის“ ველიდან მარტოოდენ გავიდნენ, რათა ძალები შეენარჩუნებინათ შემდგომი ბრძოლისათვის. კოლუბაკინმა ბუკიას, ფილიპიასა, და კვიკვინიას შეპყრობა მხოლოდ ოქტომბერში შეძლო.

ზუგდიდში, მარტვილში, ქვალონსა და ხეთაში გლე-

¹¹⁶ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 480, ფურც. 21.

¹¹⁷ იქვე, ფონდი 4, საქმე. 2099, ფურც. 14

ხების ამბოხების ჩაქრობამდე უფრო ძლიერმა შეიარაღებულმა გამოსვლამ ითვეთქა ჯვარის ოლქში. აქ თავი მოიყარეს მოსაზღვრე ოლქის ყველა სოფლების—ყულისკარის, ჭაქვინჯის, კირცხის, აბასთუმნის, ხეთის, ზუგდიდისა და ხობისწყლის მარჯვენა ნაპირის სხვა სოფლების გლეხებმა და 7 სექტემბერს დაიძრნენ ზუგდიდის მიმართულებით. მეამბოხეთა ლაშქარი დაახლოებით 1500 კაცისაგან შედგებოდა. მას გზადაგზა უერთდებოდნენ აჯანყებულთა სხვა რაზმებიც.

ამჟამად ჯვარის ოლქის გლეხების აჯანყების საბაბს წარმოადგენდა ქვალონის შეიარაღებული გამოსვლებში მონაწილეობისათვის გლეხების დასჭა. ამ საბაბით გლეხებს განზრახული ჰქონდათ მოეწყოთ საყოველთაო აჯანყება.

შეიარაღებული ლაშქარი, რომლის რაოდენობა უკვე 3000 კაცს აღწევდა, 8 სექტემბერს დაბანაკლა ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირზე სოფ. ჭაქვინჯში.

აჯანყებულების თავდაპირველი მიზანი იყო შური ეძიათ ქვალონის თავადაზნაურებზე. სალაშქროდ მათ ორი მიმართულება აირჩიეს: პირველი—ჭაქვინჯი—ზუგდიდი—ხეთა—ქვალონი, მეორე—ჭაქვინჯი—ხიბულა—აბასთუმანი—ქვალონი. ორივე ნაკადი უნდა შეერთებულიყო ქვალონში. აქ თავადაზნაურების დარბევის შემდეგ, ლაშქარს იერიში უნდა მიეტანა სენაკზე, ხელთ ეგდოიგი, საპყრობილიდან გაეთავისუფლებინა დაპატიმრებული გლეხები და უკან დაებრუნებინა მათთვის ჩამორთმეული იარაღი. ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება, რაც იქნებოდა

ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ ომის გაგრძელება და მეფის მთავრობის სამხედრო რეუიმის წინააღმდეგ ბრძოლა.

დასახული მიზნის განხორციელებას აჯანყებულთა ლაშქარი შეუდგა 8 სექტემბერს. ლაშქრობის მიმართულებით მდებარე სოფლებისაკენ გაიგზავნა შიკრიკები, რათა საყოველთაო აჯანყებისათვის მათ წინასწარ დარაწმათ ამ სოფლების გლეხები. ასეთივე შიკრიკები მივლინებულ იქნა ზუგდიდს. მათ უნდა გაეგოთ, მიემხრობოდნენ თუ არა ზუგდიდის მშრომელები საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას.

იმისათვის, რომ ზუგდიდში თავადაზნაურობას წინააღმდეგობა არ გაეწია საყოველთაო აჯანყებისათვის, მეამბოხეთა შიკრიკები მათ დასაშინებლად აცხადებდნენ, რომ მეამბოხენი ზუგდიდის თავადაზნაურების სახლ-კარს გადაწვავენ და ერთიანად ამოხოცავენ მათ ოჯახებსო. მართლაც, გლეხთა ომით შეშინებული თავადაზნაურობა გაიქცა ზუგდიდიდან.

ჯვარის ოლქში შეიარაღებული აჯანყების შესახებ ცნობა დიუკრუასიმ მიიღო 8 საქტემბერს დილით. იგი იმავე დღეს გენერალ-გუბერნატორს სწერდა ჯვარის ოლქიდან რამოდენიმე სოფლის გლეხობის ზუგდიდის ოლქისაკენ გალაშქრების შესახებ.

ზუგდიდის ოლქის გამგე ტრუბაევსკის ეს ცნობა უკვე მიღებული პქონდა 8 სექტემბერს. აღშფოთებისაგან წონასწორობა დაკარგულმა ტრუბაევსკიმ კატეგორიულად განაცხადა: ისინი გადააბიჯებენ მხოლოდ ჩემს,

ჩემი ჭარისკაცებისა და კაზაკების გვამებს, მე მათ არ დავუთმობ არცერთ ნაბიჯ მიწას¹¹⁸.

დიუკრუასმა ზუგდიდში მყოფ ტრუბაევსკის უბრძანა, რათა დაუყოვნებლივ გაელაშქრა ჭაქვინჯისაკენ, თან წაეყვანა ყველა თავისუფალი სამხედრო ნაწილი, გზა გადაეღობა და არ მიეცა წინსვლის საშუალება აჯანყებულებისათვის.

ამასთან ერთად დიუკრუასმა 8 სექტემბერს ჭაქვინჯისაკენ აჯანყებულთა წინააღმდეგ სამოქმედოდ სასაწრაფოდ გაგზავნა ხორუნები ტიმოფეევი 36 კაზაკით.

გალაშქრების შესახებ ბრძანება მიიღეს აგრეთვე შერემეტევმა და სალხინოში მყოფმა ხორუნები შიდლოვისკიმ, რომელსაც 75 კაზაკი ჰყავდა. ისინი უნდა შეერთებოდნენ ტიმოფეევის რაზმს და ემოქმედათ მისი მითითებით.

• გაერთიანებულ სამხედრო ძალებს ალყა უნდა შემოერტყათ მეამბოხეთა ლაშქრისათვის და გაენადგურებინათ, ხოლო ქვალონსა და ზუგდიდში დატოვებულ ჭარის ნაწილებს უნდა ემოქმედათ ადგილზე და საჭიროების შემთხვევაში დახმარებოდნენ მთავარ ძალებს.

როგორც ვხედავთ, დიუკრუასმა ყველაფერი გააკეთა რაც მასზე იყო დამოკიდებული და აჯანყებულთა ლაშქარს დაუპირისპირა მთავრობის საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალა.

საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების საშიშროების სერიოზული ნიშნები იმდენად აშკარა იყო, რომ

118 ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28 საქმე 4890, ფურც. 330—331.

დიუკრუასმა 8 სექტემბერს ქუთაისის გენერალ-გუბერ-
ნატორს სთხოვა, რაც შეიძლებოდა სასწრაფოდ გაეგზა-
ვნა მისთვის არანაკლებ ერთი ასეული ქვეითი ჯარისა
ერთი ზარბაზნით, რომლის გამოყენება მას აუცილებელ
საჭიროებად მიაჩნდა¹¹⁹.

8 სექტემბერს აჯანყებულთა ლაშქარს პირველად
პირისპირ შეხვდა ტრუბაევსკი, მაგრამ უკვე სიბნელე
ახლოვდებოდა, ხოლო ჯარების სხვა ნაწილები ჯერ კი-
დევ არ იყვნენ მოსული; ამიტომ მეფის ოფიცერმა ვერ
გაბედა იარაღის გამოყენება, მხოლოდ ურჩია გლეხებს
დაშლილიყვნენ. ამისათვის ვადად მისცა მეორე დღის.
დილა. ლამე აჯანყებულთა ლაშქარმა ადგილი შეიცვალა
და წინ წაიწია სამი ვერსით მდ. ჭანისწყლის ქვემო გა-
ყოლებაზე. 9 სექტემბერს დილით მათ გზა გადაუღობა
ტრუბაევსკიმ. აჯანყებულები მტკიცე წინააღმდეგობას
უწევდნენ და მოითხოვდნენ ბატონის სამსახურისა და
საბატონო გადასახადებისაგან გათავისუფლებას. გარდა
ამისა, ისინი ტრუბაევსკისაგან პასუხს მოითხოვდნენ,
თუ რატომ დასაჯეს მათი ძმები ქვალონში, ჩამოართვეს
იარაღი და საპყრობილები ჰყავთ დამწყვდეული. გლე-
ხები დაუინებით აცხადებდნენ: დაე, სადაც მათი სისხ-
ლი დაიღვარა, იქ ჩვენი სისხლიც დაიღვაროსო¹²⁰. გლე-
ხები არ მალავდნენ და პირდაპირ ეუბნებოდნენ ტრუ-
ბაევსკის, რომ განზრახული აქვთ ააჯანყონ ყველა ჩაგ-
რული და იარაღით აიძულონ მთავრობა გაათავისუფ-

¹¹⁹ ზარბაზნით შეიარაღებული ქვეითი ასეული ქუთაისიდან ზამოვი-
და 9 სექტემბერს.

¹²⁰ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 331—332

ლოს სენაკის საყპრობილებან გლეხები. ამგვარად, სა-
მეგრელოს გლეხთა შეიარაღებული მოძრაობა კვლავ
საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების ხასიათს იღებს.
დაიწყო მასობრივი შეიარაღებული გამოსვლები. ო-
გორც სხვადასხვა წყაროდან ჩანს, ამ დროს აჯანყებუ-
ლი იყო ყმების უდიდესი ნაწილი და იგი ბრძოლას
ეწეოდა როგორც მებატონე თავადაზნაურობის, ისე
მთავრობის სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ.

მმართველობიდან გადაყენებული ეკატერინე დადია-
ნი წინათ მოითხოვდა იარაღით ჩაექროთ აჯანყება, ახლა
კი ძალაუფლების აღდგენის მიზნით, ცდილობდა გა-
მოეყენებინა აჯანყებულები მეფის მთავრობის წინა-
აღმდგ და ამით დაებრუნებინა დაკარგული უფლებები.
ამ მიზნით ეკატერინე გლეხებს ჰპირდებოდა გადასახა-
დების განახევრებას. ეკატერინეს ერთგული თავადა
ივანე ჩიქოვანი ცდილობდა აჯანყებისათვის მარტო
მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი მიეცა.

მაგრამ ეკატერინე დადიანისა და მისი მომხრეების
ამ მზაკვრულ პოლიტიკას წინ აღუდგა დედოფლისადმი-
ოპოზიციურად განწყობილი უკმაყოფილო თავადების
ჭგუფი, რომელსაც ეშინოდა ეკატერინეს ძალაუფლების
აღდგენისა. მათაც მოისურვეს აჯანყებულთა ძალის გა-
მოყენება, მხოლოდ თვით ეკატერინეს წინააღმდეგ.

ამასობაში მეფის მთავრობამ, გამოიყენა რა საბაბად
ის გარემოება, რომ გლეხთა აჯანყება არ ცხრება, ეკა-
ტერინე დადიანი ფაქტიურად ჩამოაშორა სამეგრელოს
მმართველობას: სამეგრელოს სათავეში დაყენებულ იქ-

ნა რუსული მმართველობა — კოლუბაკინის მეთაურობით (1857 წლის სექტემბერში)¹²¹.

ამ დროს მთავრობა მღელვარების შესახებ ასეთ დასკვნას აკეთებს: მღელვარებამ, რომელმაც იფეთქა სამი თვის წინ¹²² უკვე მიიღო ორგანიზებული, მოწყობილი აჯანყების ხასიათი¹²³.

სამეგრელოს გლეხთა ამ შედარებით ორგანიზებული აჯანყების ძირფესვიანად აღმოფხვრისა და დამარცხებისათვის ერთადერთ საშუალებად გენ. კოლუბაკინი „აღმინისტრაციულ ლაშქრობას“ თვლიდა, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ სამხედრო ნაწილების მიერ უნდა დაწყებულიყო: დამსჯელი ჯარის თანმიმდევრული მოძრაობა სამეგრელოს ყველა კუთხეში, რაც შეიძლება ფეხოსანთა სამხედრო ნაწილების მიერ მეტი რაოდენობით დათრგუნვითი ღონისძიების გატარება. ამ ოპერაციის ხელმძღვანელობა ისევ კოლუბაკინს დაევალა.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა გაგარინმა მიიღო თუ არა დიუკრუასისაგან ცნობა ჯვარისა და სხვა მოსაზღვრე ოლქების შეიარაღებული აჯანყების. შესახებ, წინადაღება მისცა კოლუბაკინს სასწრაფოდ გამგზავრებულიყო სამეგრელოში აჯანყების ჩასაქრობად. და იგი გაეშურა იქითკენ არა მარტო როგორც მმართველი,

¹²¹ აქტები, ტ. XII, გვ. 314—315 იხ. ს. ავალიანი გლეხ. საკითხი, გვ. 307—308.

¹²² ნაგულისხმევია მეფის მთავრობის ჯარების აჯანყების ჩასაქრობად სამეგრელოში ჩამოსვლის შემდეგ დაწყებული ივნისის მღელვარება.

¹²³ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28; საქმე 4890, ფურც. 333.

არამედ როგორც აღმინისტრაციული ლაშქრობის ინიციატორი და ხელმძღვანელი.

აჯანყების ჩაქრობის ჯალათური წყურვილით აღსავსე კოლუბაკინი 15 სექტემბერს გაგარინს სწერდა, რომ „გარეგნული სიმშვიდე განისაზღვრება მხოლოდ იმით, რომ ჯვარელთა ჯგუფი დაიშალა, მაგრამ მემამულეთა მიმართ დაუმორჩილებლობის სულისკვეთება არ არის მოთვინიერებული“¹²⁴.

სწორედ ამიტომ იყო, რომ კოლუბაკინი მოითხოვდა თანმიმდევრობით „აღმინისტრაციული ლაშქრობის“ ჩატარებას, რათა გლეხთა ომს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოღებოდა.

მღელვარების მთავარი კერა ჯვარის ოლქი იყო, ამიტომ გაგარინმა კოლუბაკინს განკარგულება მისცა, რომ ჯვარის ოლქში თავი მოეყარა რაც შეიძლება მეტი სამხედრო ძალებისათვის და ემოქმედა იქ, სანამ მღელვარება ძირის გვიანად არ იქნებოდა აღმოფხვრილი. სამეგრელოში მოქმედი ოთხი ასეულის გასაძლიერებლად 17 სექტემბერს ქუთაისიდან დამატებით გაიგზავნა სახაზო პირველი ბატალიონის ერთი ასეული.

აჯანყების წინააღმდეგ „აღმინისტრაციული ლაშქრობის“ ხელმძღვანელი კოლუბაკინი რეგულარული ჯარის ნაწილებით და როზგებით დატვირთული ცხენებით 22 სექტემბერს დაიძრა ქვაშიხორიდან და გააფთრებული იერიში მიიტანა მეამბოხე სოფლებზე¹²⁵. ქვა-

¹²⁴ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 334.

¹²⁵ იქვე.

შიხორიდან გზადაგზა მეამბოხე სოფლების დალაშქვრი-
სა და მოსახლეობის აწიოკების დამთავრებისთანავე იგი
შეიჭრა სოფელ ლესიჭინეში. მისი დარბევისა და მეამ-
ბოხე გლეხებთან სასტიკად გასწორების შემდეგ გადა-
ვიდა სოფ. ჭავინჯში და აჯანყებულებს ცეცხლითა და
მახვილით გაუსწორდა. ჭავინჯიდან სოფელ ობუჯისა-
კენ დაიძრა, იქიდან კი წალენჯიხას მიაღვა. 25 სექტემ-
ბერს, დილის 7 საათზე, კოლუბაკინმა აჯანყების ერთ-
ერთ ხელმძღვანელს ლევან უჩარდიას-ძე კვარაცხელიას
უბრძანა, რომ მას, როგორც მეამბოხე სოფლის „სტარ-
შინას“ დილის 9 საათისათვის უზრუნველეყო სოფლის
ცენტრში წალენჯიხის ყველა გლეხის გამოცხადება. მა-
გრამ მეამბოხე გლეხებმა არ შეასრულეს გენერლის ეს
სურვილი. კოლუბაკინის ბრძანებით სამხედრო ნაწილე-
ბი ორი დღის განმავლობაში უსწორდებოდნენ წალენ-
ჯიხის გლეხობას. მაგრამ ისინი მაინც მტკიცე წინააღმ-
დეგობას უწევდნენ მომხდურთ — მეფის ჯარს. შეუ-
პოვარი წინააღმდეგობისათვის აქ შეპყრობილ იქნა
ლევან კვარაცხელია¹²⁶. კოლუბაკინის სისხლიანი ანგა-
რიშსწორება იმდენად ველური იყო, რომ მოხუცებუ-
ლებში დღემდის შემონახულია მოგონება იმის შესახებ,
თუ როგორ როზგავდა თავხედი გენერალი გლეხობას.

წალენჯიხიდან „აღმინისტრაციული“ ლაშქრობა შე-
იარაღებული აჯანყების „ბუდისაკენ“ — სოფ. ჯვარისა-
კენ წარიმართა. სამხედრო ნაწილები 27 სექტემბერს
ჯვარში დაბანაკდნენ და აქედან დაიწყეს გადამწყვეტი

¹²⁶ ცსსა, თბილისი, განსაკუთრებულ საქმეთა ფონდი, საქმე 178,
ფურც. 132—133.

საეგზეკუციო-საოკუპაციო ღონისძიებები ჯვარის გარშემო მდებარე სოფლების მიმართ. უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობას დაკისრეს კონტრიბუცია პირუტყვისა და სურსათის სხვა სახით. ყველაფერი ეს ჯარის ნაწილებისათვის იყო საჭირო. მღელვარების ჩაქრობა კი იმით დაიწყო, რომ მდ. ენგურის გაღმა და გამოღმა მდებარე სოფლების მეამბოხე გლეხებს მოსთხოვეს ხელი აეღოთ ძველ ფიცზე და მიეღოთ მთავრობისადმი ერთგულების ახალი ფიცი. ჯვარის საზოგადოებაში მღელვარების ჩაქრობისა და გლეხების დამორჩილებით კოლუბაკინი ცდილობდა გაეადვილებინა სხვა სოფლის აჯანყებული გლეხების დამორჩილება.

საეგზეკუციო სამხედრო ნაწილები მოსახლეობას ბარახით მიერეკებოდა იმ ადგილისაკენ, სადაც გენერალი იყო დაბანაკებული. ამასობაში წალენჯიხის, ჯალის, ნაგურუსა და სხვა სოფლების აჯანყებული გლეხების ლაშქარი 27 სექტემბერს მოულოდნელად მიადგა. სოფელ ჯვარს, რათა დახმარებოდა იქაურ გლეხობას.

სახალხო ლაშქრის მოახლოების შესახებ ცნობის მიღებისთანავე კოლუბაკინთან ძალით მორეკილმა გლეხობამ გაქცევით უშველა თავს და შეუერთდა მათ დასახმარებლად მოსულთ. კოლუბაკინმა სასწრასფოდ მისცა განკარგულება სახაზო კაზაკების რაზმს, ადგილობრივი თავადებისა და აზნაურების უშუალო დახმარებით გზა გადაეღობათ აჯანყებულთა ლაშქრისათვის და ფრონტიდან ძლიერი დატყვემით უკუეგდოთ იგი. პირველი ბატალიონის ასეული შემოვლითი მანევრით

ზურგში უნდა მოქცეოდა გლეხებს და იქიდან შეტევით უზრუნველეყო მეამბოხეთა სრული დამარცხება.

კაზაკებისა და თავადაზნაურებისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი, რომელიც აჯანყებულთა წინააღმდეგ მიეშურებოდა, ექლესის მახლობლად, ტყის პირას, მოულოდნელად წააწყდა წინასწარ ჩასაფრებულ აჯანყებულთა ლაშქარს, რომელმაც პირველმა აუტეხა სროლა სამხედრო რაზმს. სროლის დროს დაიჭრნენ ერთი კაზაკი და აზნაურები: დგებუაძე, ჩაგუნავა და სხვ.

შთავრობის ჯარი იერიშზე გადავიდა და დაიწყო ხელჩართული სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომლის დროს ცეცხლმსროლელ იარაღთან ერთად იყენებდნენ შუბებსა და ხმლებს. აჯანყებულებმა ბრძოლის ველი დატოვეს სალამოს. მეამბოხეთა შორის მძიმედ დაიჭრა შვიდი კაცი და მოკლულ იქნა რამდენიმე. შვიდი დაჭრილი გლეხი, რომელთა გაყვანა ვერ მოასწრეს აჯანყებულებმა, ხელში ჩაუვარდათ სამხედრო ნაწილებს და ისინი გენერალს მიჰვარეს. დანარჩენმა აჯანყებულებმა თავი შეაფარეს ცხენოსანი რაზმისათვის მიუვალ ადგილებს, ხოლო ასეულმა, რომელსაც ევალებოდა ალყის შემორტყმა, ადგილმდებარეობის გამო ვერ შეძლო ზურგში მოქცეოდა მეამბოხეებს¹²⁷.

ალსანიშნავია, რომ არ მოიპოვება სრული ცნობა ჯვარში მომხდარ შეტაკებაში თუ რამდენი აჯანყებული მონაწილეობდა და რაოდენ დიდი იყო მათ მიერ გაღებული მსხვერპლი. ჩვენ ვეყრდნობით

¹²⁷ ცსსა, ობილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 337.

ერთ საბუთს, რომლის მიხედვით სრული სურათის წარ-
მოდგენა შეუძლებელია, რადგან მასში კოლუბაკინი
არაკონკრეტულად ლაპრაკობს. ეს საბუთი — კოლუბა-
კინის მოხსენება — დაწერილია ნაჩქარევად, შეტაკე-
ბის დამთავრებისთანვე და იქ ეს ცნობები დაზუსტე-
ბული არ არის, მაგრამ საკითხის შესწავლა გვაფიქრე-
ბინებს, რომ შეტაკებაში დაახლოებით 16 სოფელი მო-
ნაწილეობდა. ამიტომ იყო იგი ასე მასობრივი და სის-
ტელისმღვრელი.

ჯვარის ოლქის აჯანყებულთა ლაშქართან შეიარაღე-
ბული შეტაკება თავისი შემდგომი შედეგით იმდენად
საშიშად მიაჩნდა კოლუბაკინს, რომ იგი აუცილებელ
საჭიროდ თვლიდა ზოგიერთი სოფლის მოთავე მეამბო-
ხის სასტიკად დასჯას. მაგრამ ჯვარის ამბებით შეშინე-
ბული კოლუბაკინი შეიარაღებულ შეტაკებაში მონაწი-
ლე სოფლების წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გალაშქრე-
ბას ვერ ბედავდა, თუ მას არ ეყოლებოდა უფრო დი-
დი ძალა. ამისათვის მან ქუთაისის გენერალ-გუბერნა-
ტორს სთხოვა დაუყოვნებლივ გაეგზავნა მისთვის ტუ-
ლის ქვეითი პოლკის ერთი ბატალიონი სურსათითა და
ორი ზარბაზნით. მე მგონია, — სწერდა კოლუბაკინი,
— რომ საჭიროა მათთან ერთად ყველა მთიან სოფელ-
ზე გავლა და ზოგიერთში შეჩერება.

გენერალ კოლუბაკინი ითვალისწინებდა ზუგდიდი—
ხეთა—ხორგა—ქვალონის მიმართულებით და მერე სა-
ჯიჯაოს შემოვლით ზემო სამეგრელოს სოფლებში საეგ-
ზეკუციო ჯარებით გალაშქრებას.

გაგარინმა გადაწყვიტა პირადად გამგზავრებულიყო
სოფელ ჯვარში, მანამ კი კოლუბაკინს განკარგულება მის-
ცა დაუყოვნებლივ გაეგზავნა იქ ორი ასეული. თვითონ
მან ქუთაისიდან ჯვარის ოლქში დამატებით გაგზავნა
დონის კაზაკების მესამე პოლკის ორი ასეული. ამგვარად
მთავრობამ სოფ. ჯვარსა და ჯვარის ოლქის სოფლებში
შეიძარალებულ აჯანყებაში მონაწილეთა დასასჯელად და
მღელვარების ჩასაჭრობად თავი მოუყარა 500-მდე კარ-
გად შეიძარალებულ ჯარისკაცს. ჯვარის სისხლისლვრის
შესახებ ცნობამ მეფისნაცვალი ბარიატინსკიც დიდად
შეაშფოთა და უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. მან
ვანაცხადა: „დღეს მიღებულმა ცნობამ ფრიად შემაშ-
ფოთა, რადგან იმედი მქონდა, რომ სამეგრელოს დაწყ-
ნარებია სისხლისლვრის გარეშე დამთავრდებოდა“¹²⁸.

28 სექტემბერს კოლუბაკინმა გაგზავნა სამხედრო
რაზმი იმ სოფლებში, რომლებმაც მონაწილეობა მიი-
ღეს 27 სექტემბერს მთავრობის სამხედრო ნაწილებთან
შეტაკებაში. ჯარი სასტიკად გაუსწორდა მეამბოხე სო-
ფლებს. კოლუბაკინის განკარგულებით ამ ოლქში შე-
პყრობილ იქნა ყველა მოთავე. მათ შორის დაპატიმრეს
სამეგრელოს სახალხო აჯანყების მთავარი ხელმძღვანე-
ლი უტუ მიქავა, რომელიც თავადაზნაურებმა შეიპყრეს
და წარუდგინეს კოლუბაკინსა და ქუთაისის გენერალ-
გუბერნატორს¹²⁹.

ამის შემდეგ გენერალ კოლუბაკინს განზრახსული
ჰქონდა უახლოეს დროში დარტყმის მთელი ძალა წარე-

¹²⁸ ცსსა, თბილისი, ფონდი 8/28, საქმე 4890, ფურც. 339. იხ.
აქტები, ტ. XI, გვ. 322.

¹²⁹ იქვე, ფურც. 342.

შართა სალიპარტიანოს წინააღმდეგ, რადგან იქ კვლა-
ვინდებურად სუფევდა მღელვარების სულისკვეთება.

მეფისნაცვალი ახლა უყოყმანოდ მოითხოვდა ცეც-
ლითა და მახვილით მეამბოხეთა დამორჩილებას და
აჯანყების ჩაქრობას. იგი სწერდა ქუთაისის გუბერნა-
ტორს, რომ უნდა იქნას გამოყენებული მთავრობის
ძალა, აღელვებული ხალხის შეიარაღებული წინააღმდე-
გობის მიმართო.

მეფის მთავრობა მოუთმენლად ელოდა სამეგრელოს
სახალხო ანტითეოდალური მოძრაობისათვის ბოლოს.
მოღებას და ამას იმუამად ყველაზე პნიშვნელოვან საქ-
მედ თვლიდა. ბარიატინსკი იმედს გამოთქვამდა, რომ
ამის შესახებ უახლოეს ხანში მიიღებდა ცნობას სპეცი-
ალურად ამისათვის გაგზავნილი თავად გორჩაჭოის
მეშვეობით.

ამ მხრივ მეფისნაცვალი ნაწილობრივ დააქმაყოფილა
8 ოქტომბერს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისაგან.
მიღებულმა პატაკმა, რომ ჯვარის ოლქში აჯანყების ჩა-
ქრობა წარმატებით მიმდინარეობს და გლეხები მორ-
ჩილდებიან თავიანთ მებატონებსო.

ჯვარის შემდეგ მთავრობის სამხედრო ნაწილებთან
გლეხების შეიარაღებული შეტაკება მოხდა ოქტომბრის
შუა რიცხვებში სოფელ კინჩხაში.

სოფელი კინჩხა გორდიდან 14 ვერსითაა დაშორე-
ბული. ეს მაღალმთიანი სოფელი დაახლოებით 500 კომ-
ლისაგან შედგებოდა. აღგილობრივი გლეხობა არ ასრუ-
ლებდა მებატონებისა და მთავრობის განკარგულებებს
და, როგორც ირკვევა, მოუთმენლად ელოდა მიქავას,

რომელიც გორდის ალების შემდეგ კინჩხაში უნდა შე-
სულიყო, მთავრობა ამ სოფელს თავისებურ „ვანდეას“
უწოდებდა.

ეკატერინე გლეხებისაგან მოითხოვდა, რომ მათ
სალხინოდან ავეჯი და სხვა ნივთები გორდში გაღმოე-
ტანათ და ბეგარის სახით ზამთრისათვის მოეზიდათ
შეშა. ოლქის უფროსის ბრძანებით გლეხებს ზურგით
უნდა გადაეზიდათ დედოფლის ნივთები 40 ვერსის მან-
ძილზე. გლეხებმა არ შეასრულეს ეს. ამის შესახებ ეკა-
ტერინემ საჩივრით მიმართა გაგარინს.

გაგარინმა ოლქის უფროს კ. ბოროზდინს დაავალა
წასულიყო გორდში და დაეკმაყოფილებინა ეკატერინეს
მოთხოვნები. ბოროზდინი სამხედრო რაზმითა და მოხე-
ლეებით გორდში გაემგზავრა.

იმავე საღამოს ოლქის უფროსმა სოფლის პოლი-
ციელისაგან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ შებინდე-
ბის უამს გლეხებს ეცადათ კაზაკების საძოვრად გაშვე-
ბული ცხენების წაყვანა, მაგრამ კაზაკებმა დროულად
გაიგეს ეს და გლეხებმა ვერ მიაღწიეს მიზანსო. ოლქის
უფროსმა ვერ გატედა გლეხების წინააღმდეგ იარაღის
ხმარება, და ამიტომ იმავე საღამოს იასაული ნორაკია
გაგზავნა ხორუნჯ ტუპიცასთან, რომელიც გორდიდან
15 ვერსის მოშორებით იღგა კაზაკების ერთი ასეულით.
ტუპიცას ებრძანა სასწრაფოდ ჩასულიყო კინჩხაში და
მეგზურად ნორაკია გამოეყენებინა.

სენაკის ოლქის უფროსი კინჩხას გაემგზავრა სახლთ-
უხუცესის, თავად ჩიქოვანის, ერთი თარჯიმნისა და კა-

ზაკების მცირერიცხოვანი რაზმის თანხლებით. იგი გაჩერდა ეკლესიის მახლობლად, ერთ-ერთი ბლალოჩინის სახლთან.

კინჩხის მთაგორიანი ადგილმდებარეობისა და მოსახლეობის სიმეჩხრის გამო ეფექტური საეგზეკუციო ზომების მიღება მეტად ძნელი საჭმე იყო. ამიტომ მეფის მოხელემ გლეხების ერთ ადგილზე თავმოყრისა და მათი დამორჩილებისათვის შემდეგ ხერხს მიმართა: განკარგულება გასცა ეკლესიებიდან გამოეტანათ ბუკები და აეხმიანებინათ ისინი.

ორი საათის განმავლობაში ბუკის ხმაზე თავი მოიყარა 400 შეიარაღებულმა გლეხმა. ისინი აღჭურვილი იყვნენ თოფებითა და თვითნაკეთი შუბებით.

შიშნაკრავი ბოროზდინი საფრთხისაგან იხსნა დროულად მოსულმა ხორუნჯ ტუპიცას ასეულმა. ამიტ გულგამაგრებულმა ოლქის უფროსმა ტუპიცას უბრძანა ასეული გაეყო ორ ნაწილად და აჯანყებულთათვის ერთდროულად დაერტყა წინიდან და ზურგიდან. ბრძანება ელვის სისწრაფით იქნა შესრულებული. მხოლოდ ამის შემდეგ გაბედა აჯანყებულებთან მისვლა ოლქის უფროსმა. წინააღმდეგობის გაწევისათვის ექვსი მოთავე გლეხი კაზაკებმა იქვე შეიძყრეს და გათოკეს. ამის შემდეგ კი მთავრობის ჯარმა ყველა გლეხი განაიარა. მეამბოხეთა მიმართ გამოიყენეს დასჯის ნაცადი ზომები: ხორუნჯ ტუპიცას დაევალა აჯანყებულთა რიცხვიდან, ყოველი ცხრა კაციდან ერთისათვის დაერტყათ ოცდახუთი როზგი, ხუთი მოთავე შეუპოვარი წინააღმდეგობისათვის ჯერ მათრახით დასაჯეს, ხოლო შემდეგ

გათოკოლი, ჩამორთმეული იარაღითურთ სენაკს წაიყვანეს. მხოლოდ ამგვარი ველური საეგზეკუციო ზომებით ჩაქრო კინჩხის აჯანყება მეფის მთავრობამ.

კინჩხის შემდეგ უფრო სისხლისმღვრელ შეტაკებას ჰქონდა ადგილი ოქტომბერში, სოფელ ზანაში.

ზანაში 300-მდე აჯანყებულმა თავი მოიყარა იმ მიზნით, რათა თავს დასხმოდა ზუგდიდს. ამის შესახებ ცნობის მიღებისთანავე კოლუბაკინი ამ სოფლისაკენ გაეშურა სახაზო ბატალიონის ასეულითა და კაზაკების ერთი ასეულით. ჯარის მოახლოებისას აჯანყებულები ჩასაფრდნენ ერთ-ერთ ძველ ციხე-სიმაგრეში და სროლა აუტეხეს სამხედრო ნაწილებს. მთავრობის ჯარის ნაწილები იქრიშზე გადავიდნენ, შეიჭრნენ ციხე-სიმაგრეში და სისხლისმღვრელი შეტაკება დამთავრდა იმით, რომ ბრძოლის ველზე დარჩა 15 მოკლული, ამდენივე დაიჭრა, ხოლო 50 კაცი შეპყრობილ იქნა.

კინჩხასა და ზანაში მეფის მთავრობის ჯარებთან აჯანყებულების შეიარაღებულ შეტაკებას მთავრობის მოხელეები ეკატერინე დადიანსა და მის მომხრე თავად ჩიქოვანებს აბრალებდნენ. მოთავედ კი ცნობილი იქნა თავადი ივანე ჩიქოვანი, რომელიც ამ საბაზით შემდგომ კიდეც დაპატიმრეს და გადაასახლეს ტამბოვში. აღსანიშნავია, რომ ივანე ჩიქოვანის მიმართ ბრალდება არ იყო დასაბუთებული.

როგორც ვთქვით, აგვისტოში ეკატერინე დადიანი გლეხობას დაპირდა ღალის, ბეგრისა და სხვა გადასახადების განახევრებას, თუ ისინი მეფის ჯარების წინააღმდეგ იმოქმედებდნენ. ეკატერინეს ამ დაპირებამ ვერ

ჰპოვა მხარდაჭერა თავადაზნაურობაში, რაღაც მას არ სურდა არც გადასახადების განახევრება და არც გლე-ხობის მიმართ დათმობაზე წასვლა; მით უმეტეს, როცა მთავრობის სამხედრო ნაწილები მტკიცედ იცავდნენ სამეგრელოს მებატონეების ინტერესებს. თავადაზნაურული კლასი ახლა არა ეკატერინესა და ჩიქოვანებში, ხედავდა ძალას, არამედ მხოლოდ მეფის მთავრობაში. აი, რატომ აღმოჩნდა უნიალიგო ეკატერინესა და მისი მომხრე ჩიქოვანების მოძრაობა. აი, რატომ არ მისცა ეკატერინესა და მის მომხრეებს სასურველი შედეგი მათმა ფანდმა.

მაგარმ მეფის მთავრობამ յი ეს ფანდი თავის სასარ-გებლოდ გამოიყენა: აჯანყება და შეიარაღებული შეტა-კებები ეკატერინესა და ჩიქოვანებს დააბრალა და ამ მოტივით ეკატერინე აიძულეს დაეტოვებინა სამეგრელო.

მიუხედავად ამისა, კარიერის მაძიებელმა მთავრო-ბის მოხელეებმა მაინც ვერ შესძლეს მიეჩქმალათ აჯან-ყების სოციალური ხასიათი და იგი აეხსნათ მხოლოდ როგორც ეკატერინესა და მისი მომხრეების მიერ გლე-ხობის წაქეზებისა და შეგულიანების შედეგი.

ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში მთავრობის სამხედ-რო ნაწილებმა გადამწყვეტი ზომები მიიღეს სამეგრე-ლოს შეიარაღებული აჯანყების ჩასაქრობად, მაგრამ კოლუბაკინის „ადმინისტრაციული გალაშქრება“ ჯერ კიდევ მიზანს ვერ აღწევდა; გლეხებსა და მებატონეებს შორის ბრძოლა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა. ამის შესახებ ცნობებს გვაწვდის ქუთაისის არქივში დაცუ-ლი დოკუმენტი, სოფელ ახუთში მცხოვრები გლეხის

მოჯალაბის სისონიკა საჭაიას საქმის შესახებ. ზოკუ-
მენტში ცხადყოფილია, თუ აჭანყების ხანგრძლივობამ
რამდენად ღრმად დანერგა გლეხობაში მებატონეებისა-
დამი დაუმორჩილებლობის სულისკვეთება და როგორ
უსწორდებოდნენ ყმა გლეხები თავიანთ მებატონეებს.

მებატონეები თავიანთ ყმებს მთავრობის დახმარე-
ბით იმორჩილებდნენ, რაც საბოლოო ანგარიშში
იწვევდა შეტაკებას მებატონეებსა და გლეხებს შორის.
სოფელ ახუთის თავად ვახტა ლევანის-ძე ჯაიანის მო-
ჯალაბე სისონია მორდვის-ძე საჭაიამ აჭანყების დღი-
დან თავი დააღწია ბატონის სამსახურს, მაგრამ ჯაიანი
თავისას არ იშლიდა და მისგან სამსახურს მოითხოვდა.
24 აგვისტოს საჭაიამ გადაწყვიტა მოეკლა ჯაიანი. სა-
ლამოს, როცა ჯაიანი დასაძინებლად დაწვა. ოთახში,
საჭაია თოფით ხელში მიადგა მის სახლს და სარკმლი-
დან ესროლა მძინარეს. ჯაიანი მარჯვენა მკლავში დაიჭ-
რა. მოჯალაბე კი გაიქცა. თავადებმა მთელი სოფელი
გაჩხიკეს და მიაგნეს საჭაიას იმით, რომ ახალგასრო-
ლილი თოფი აღმოაჩნდა სახლში. საჭაია დაიჭირეს. ჯერ
სენაკის საპატიმროში ჩასვეს, 1857 წ. 12 ნოემბერს კი
გადაგზავნეს ქუა:ასის. ციხეში.

მისი საქმე გაარჩია ქუთაისის საგუბერნიო სასამარ-
თლომ და ბრალდებულს 15 წლის სისონია საჭაიას მიუ-
საჭა 80 როზგი პოლიციური წესით, მთელი ქონების
კონფისკაცია და 20 წლის კატორლა¹³⁰.

¹³⁰ საქალაქო არქივი, ქუთაისი, ფონდი 16, საქმე 1, ფურც. 11.

აღსანიშნავის, რომ სასამართლოს განაჩენი განიხილა
მთავრობის სენატმა და კიდევ მიუმატა 20 როზგი.

მაგრამ სისონია- საჭაია განაჩენის სისრულეში მო-
ყვანამდე გაიქცა ქუთაისის ციხიდან შვიდ პატიმართან
ერთად. იგი 1864 წლამდე იმალებოდა. 1864 წელს კი
უკვე 22 წლის ვაჟკაცი, თვითონ გამოცხადდა ზუგდი-
დის სამმართველოში, რათა 1864 წელს კავკასიის ომის
დამთავრებასთან დაკავშირებით მეფის ამნისტიის სა-
ფუძველზე განთავისუფლებული ყოფილიყო სასჯელი-
საგან. იგი იმავე დღეს დაპატიმრეს, მაგრამ დეპარტა-
მენტმა ნება დართო ამნისტიის საფუძველზე დაებრუნე-
ბინათ თავის სოფელში პოლიციის ზედამხედველობის
ქვეშ.

24 აქტომბერს სოფელ ზანაში გლეხის განიარაღე-
ბის დროს მოკლულ იქნა აზნაური დათიკა გაბუნია.
როგორც საქმიდან ჩანს, აზ. გაბუნიამ გლეხ ნანეი-
შვილს უბრძანა ჩაებარებინა მისთვის დამბაჩა. ამას
მოჰყვა დამბაჩის გასროლა. გაბუნია იქვე დაეცა ტყვი-
ით განგმირული. საქმე გადაეცა ქუთაისის საგუბერნიო
სასამართლოს; გლეხი დაისაჭა.

წინააღმდეგობის მსგავს ფაქტს ჰქონდა აღგილი
7 ნოემბერს. როცა გლეხები არ დაემორჩილნენ მება-
ტონე ნიკო ხაინდრავას. ამ საქმეში მონაწილეობდნენ
სოფ. ლეხაინდრაოს მცხოვრებლები ხუხუ ბერიკას-ძე
ბართაია, ივანე ხოდაგია, ხუტუ ლანელია, ხუტუ სანაია
და სხვ.

ბართაია არ დაემორჩილა მებატონის განკარგულე-
ბას გადასახდების გადახდის შესახებ. როცა ხაინდრა-

ვამ ხელი მოჰკიდა ბართაიას პოლიციაში წასაყვანად, ბართაია მებატონის წვერებს სწვდა და სხვა გლეხების დახმარებით სცემა. „აღნიშნული ბართაია ყოველთვის არც მე და არცა ვისმეს ნაჩალნიკთაგან არ ემორჩილების“¹³¹, — განაცხადა მებატონებმ მთავრობასთან.

ბართაია შეიძყრეს და ჩასვეს სენაკის საპატიმროში. მებატონე ხაინდრავას წინადადებით გლეხი ბართაია დასჭილ იქნა როზგის 50-ჯერ დარტყმით. ამის მერე ჩაბარეს მებატონეს და უბრძანეს გადახადა გადასახადები და შეესრულებინა ყველა ვალდებულება.

ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბერში ასევე ეწინააღმდეგებოდნენ თავად ელიზბარ დადიანს სამთავრო გლეხები — პაჭორიები, გუნიები, წულესქირიები და ჩიქოვანები. ისინი არ იხდიდნენ ღალას, ბეგარასა და სხვა საბატონო გადასახადებს.

აჯანყებულ გლეხთა ბრძოლის ამგვარ ეპოზიდებს, როგორც საქმეებიდან ჩანს, ოქტომბერ-ნოემბერში მასობრივი ხასიათი ჰქონდა¹³². ისინი ზოგჯერ ფართო შეტაკების ხასიათს იღებდნენ, როგორც ამას აღვილი ჰქონდა სოფელ ნახუნუსა და ზუმში.

აჯანყების ჩაქრობის პერიოდში ოქტომბერ-ნოემ-

131 საქალაქო არქივი, ქუთაისი, ფონდი 16, საქმე 1, ფურც. 9

132 მიუხედავად მთავრობის დროულად მიღებულ ღონისძიებისა, სამეგრელოს გლეხთა აჯანყებამ გამოძახილი ჰპოვა მოსაზღვრე იმერეთის გლეხებაში და ამავე პერიოდში, 1857 წლის ნოემბერში, საბატონო გლეხების მღელვარება დაიწყო ქუთაისის მაზრის ამაღლების რაიონში, მას ჰქონდა სამეგრელოს გლეხთა მებატონეების წინააღმდეგ ბრძოლის ანალოგიური ხასიათი. ერთდროულად მღელვარებამ იფეთქა ბალდათის რაიონშიც. მთავრობამ მიიღო მკაცრი ზომები აღნიშნულ აჯანყებათა ჩასაქრობად.

ბერი) მეფის მთავრობის ძალაუფლების სამეგრელოში განმტკიცებასთან ერთად ნახუნუს მებატონეებიც შეუდგნენ თავიანთი საბატონო უფლებების აღდგენას. მებატონე ფალავებმა კვლავ შემოიღეს „გოჭკომური“. ახალი ღვინის მოსავლისას თავადები იწყებდნენ სოფელში თარეში და გლეხების ხარჯზე იკვებებოდნენ მთელი ამალით. გლეხებმა წინადადება მისცეს მებატონეებს ხელი აეღოთ ამ გამაჩანაგებელ თარეშზე, ე. ი. ნებაყოფლობით შეეწყვიტათ ბეგარა — „გოჭკომური“ და წასულიყვნენ მათი ოჯახებიდან, სანამ ეს მათ შორის შეტაკებას არ გამოიწვევდა. ფალავებმა, რასაკვირველია, ეს არ შეასრულეს და აცნობეს მთავრობას.

გარდა ამისა, ფალავები გლეხებისაგან მოითხოვდნენ მოახლეობის აღდგენას და სხვა საბატონო ვალდებულების შესრულებას.

ერთხელ მებატონე გიორგი ფალავამ, რომელიც „გოჭკომურის“ წესით გლეხი ცანავას ოჯახში იმყოფებოდა, შეუმჩნევლად 9 წლისა და 10 წლის გოგოებს წითელი ძაფი შეაბა კისერზე, რაც საბატონო ადათის მიხედვით ნიშნავდა, რომ ყელზე წითელძაფშებმული გოგოები მისი „მოახლენი“ ხდებოდნენ და მათი სახლში წაყვანის ან გაყიდვის უფლება ეძლეოდა. როცა ამ საზარელ ამბავს თვალი მოჰკრა ბავშვების მამამ, ატეხა ყვირილი: „ძმებო! მიშველეთ, მებატონები ისევ ძველებური წესის აღდგენას ეწევიანო“. ძახილზე თავმოყრილი გლეხები მიესიენ მებატონე ფალავებს და რითაც შეძლოთ შუბრალებლად სცემეს. ამ ღროს მცირერიც-

ხოვანი რაზმით გამოჩენდა ოლქის უფროსის თანაშემწე
კულვანოვსკი, რომელიც აქ მოწვეული იყო ფალვე-
ბის მიერ.

საქმის გამოსარკვევად მოხელე კულვანოვსკიმ მოი-
თხოვა დასაკითხავად მასთან გამოცხადებულიყვნენ ცა-
ნავები. ამ მოთხოვნას არ დაემორჩილნენ გლეხები და
მთას შეაფარეს თავი. კულვანოვსკიმ სოფლიდან გასულ
მეამბოხე გლეხებს სამჯერ გაუგზავნა მოციქულები, მა-
გრამ ისინი კატეგორიულ უარს აცხადებდნენ მასთან
მისვლაზე და მოციქულებს ამოხოცვით დაემუქრნენ
იმ შემთხვევაში, თუ არ შეწყვეტდნენ მოციქულობას.

ოლქის უფროსის თანაშემწე ხედავდა, რომ მშვიდო-
ბიანი გზით საქმის მოგვარება არ ხერხდებოდა, ამიტომ
განკარგულება გასცა მეამბოხე გლეხთა ოჯახების წევრ-
თა შეპყრობისა და განსაკუთრებულ სახლში მათი მო-
თავსების შესახებ¹³³. ფიქრობდა ამ ზომით აჯანყებულე-
ბი აეძულებინა მასთან გამოცხადებულიყვნენ.

მართლაც, მთიდან ჩამოსულ მეამბოხეთა მოთავეები
ოლქის უფროსის თანაშემწესთან გამოცხადდნენ. მან
გლეხებისაგან მოითხოვა, რომ მათ ფალვებისათვის
შეესრულებინათ მის მიერ უწყებით განსაზღვრული
ვალდებულებანი, რომელთა შორის იყო მებატონეთა
ცხენების მოვლის ვალდებულებაც. გლეხებმა ყოველი-
ვე ეს სამძიმოდ ჩათვალეს და უარი განაცხადეს შეს-
რულებაზე და კვლავ გავიდნენ სოფლიდან; მოუწოდეს
დანარჩენ გლეხებსაც, რათა შეერთებოდნენ მათ, არ

¹³³ ცსსა, ლენინგრადი, ფონდი. 1268, საქმე 433, ფურც. 6.

დამორჩილებოდნენ ოლქის უფროსის განკარგულებას და ყოველივე ღონე ეხმარათ ხალხის ამხედრებისათვის.

აჯანყებისათვის საბაბად მათ გამოიყენეს კულვანოვსკის მიერ მეამბოხეთა ოჯახის წევრების დატყვევება. ამის გარდა, განუმარტეს გლეხობას, რომ ოლქის უფროსის ხელშეწყობით მებატონეებმა უკვე მიაღწიეს თავიანთ მიზანს და დაიწყეს მოახლე ქალების შეგროვება.

მეამბოხე გლეხებმა, პირველ რიგში, განიზრახეს თავს დასხმოდნენ იმ სახლს, სადაც მთავრობას დამწყვდეული ჰყავდა მათი ოჯახების წევრები, გაენთავისუფლებინათ ტყვეები და შემდეგ დაეწვათ შენობა: ხანძარი უნდა გაეჩინათ აგრეთვე იმ სახლისათვის, სადაც დაბინავებული იყო ოლქის უფროსის თანაშემწე კულვანოვსკი და განედევნათ იგი სოფლიდან თავის რაზმიანად.

ამ ამოცანის შესრულებისათვის შეიიარაღებულ გამოსვლას სათავეში ჩაუდგნენ ბასაია, თებოია, სტეფანე და ბათაია, ცანავები. აჯანყების საერთო წინამძღოლად აჩჩეულ იქნა ბასაია ცანავა:

დაახლოებით, დეკემბრის ბოლო რიცხვებში 50 კაცისაგან შემდგარი მეამბოხეთა რაზმი თავს დაესხა საპურობილედ გამოყენებულ სახლს, გაათავისუფლა ტყვეები და შემდეგ ცეცხლის ალში გახვია სახლი-საპურობილე. ასეთივე ბეჭი ეწია ოლქის უფროსის თანაშემწის სადგომს. ხანძრის ჩასაქრობად მოსულ, თავადაზნაურობას აჯანყებულთა რაზმმა შეიიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. ხელჩართული შეტაკების შედეგად გლეხებმა გაიმარჯვეს. ოლქის უფროსის თანაშემწე

კულვანოვსკი თავისი რაზმითა და თავადაზნაურებით
სოფლიდან გარეკეს. გაქცეულთა დევნაში მონაწილეო-
ბა მიიღო ამ სოფლის ყველა გლეხმა. ისინი მთავრო-
ბის რაზმს ზურგში ჭოხების ცემითა და ქვების ტყორც-
ნით მიერეკებოდნენ¹³⁴.

ამ დროს ოლქის უფროსი ორპირში იმყოფებოდა.
კულვანოვსკიმ მას შიკრიკის ხელით გაგზავნილი წერი-
ლით აცნობა შექმნილი ვითარება.

ოლქის უფროსმა გენერალ კოლუბაკინს შეატყო-
ბინა არსებული მდგომარეობა და სთხოვა ნახუნუში
აჯანყების ჩასაქრობად სასწრაფოდ გაეგზავნა კაზაკე-
ბის ასეული და სახაზო ბატალიონის ასეული. თვითონ
კი, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, გათენებამდე
ნახუნუსაკენ გასწია. მას ახლდნენ თარჯიმანი, იასაუ-
ლები სიკო და თეიმურაზ თოფურიები და კაზაკები.
მასთან ერთად ნახუნუში მივიდა კაზაკების ასეული.
თავად ნაკაშიძის მეთაურობით. ამასობაში კულვანოვს-
კის რაზმიც გამოჩნდა. მათ შეემატა სახაზო ბატალიო-
ნის ერთი ასეული პორუჩიკ კრიტსკის მეთაურობით.

ამგვარად, მთავრობამ ნახუნუში თავი მოუყარა საქ-
მაოდ ძლიერ სამხედრო ძალას.

მებატონე ფალავებმა ოლქის უფროსისაგან მოით-
ხოვეს მკაცრად გასწორებოდნენ აჯანყებულებს. ოლქის
უფროსს ფალავებმა შემდეგი სიტყვით მიმართეს:
„გლეხები ღმერთმა ფალავებისათვის გააჩინა ისე, რო-

¹³⁴ ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, საქმე 433, ფურც. 7.

გორც ძროხა, ცხენი და სხვა ცხოველი აღამიანისათვის. ცხოველი ხანდისხან ნებიერებას და ურჩობას იჩენს, მაგრამ მას ჯოხით ამშვიდებენ, ასევე საჭიროებს გლეხის დამშვიდებაც. როგორც ცხოველისაგან აღამიანი არ გამოიჭრება, ისე გლეხებისაგან აღამიანი“¹³⁵.

სამხედრო ნაწილების მოახლოებისთანავე აჯანყებულებმა თავი შეაფარეს უღრან ტყესა და მიუვალ მთებს. საჭირო იყო მათი იქიდან გამოტყუება, ამისათვის ოლქის უფროსმა, რომელსაც გენერალმა კოლუბაკინმა აჯანყების ჩაქრობის ხელმძღვანელობა დაავალა, ორი ხერხი იხმარა: ერთი — დიპლომატიური, მეორე — საეგზეკუციო-პოლიციური.

აჯანყებულთა ოჯახებში ჩაყენებული იქნა ეგზეკუცია. ჯარისკაცები რბევა-აწილკებით აჩანაგებდნენ მშრომელ მოსახლეობას. ძმების იასაულ თოფურიების მეშვეობით მთავრობის მიერ აჯანყებულებთან დიპლომატიური მოლაპარაკება გაიმართა.

აჯანყებულებმა მთავრობას განუცხადეს, რომ ისინი თავიანთ ოჯახებში მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდებოდნენ, თუ მათ გარანტიას მისცემდნენ, რომ საქმის გარჩევამდე არ დაისჯებოდნენ. თეიმურაზ თოფურიამ ნახა აჯანყების მეთაური ბასარა ცანავა და პირადად, მასთან აწარმოა მოლაპარაკება. მთავრობასთან გამოცხადებაზე ცანავა თანხმდებოდა იმ შემთხვევაში, თუ არ დარჩებოდა მოტყუებული და შესრულებული იქნებოდა აჯანყებულთა მოთხოვნა, საქმის გარჩევამდე

135 პ. ბოროზდინი, გვ. 358.

მათი არდასჯის შესახებ. ამისათვის მან თოფურიას მო-
თხოვა „ძმაღნაფიცობის“ აღთქმა სპეციალური ფიცის
მიღებით (ძმობილობა). ასეთი გზით ბასაია ცანავას
შეპყრობის შესახებ ოლქის უფროსისაგან სანქციის
მიღების შემდეგ, თეამურაზ თოფურია მღვდლის თან-
ხლებით აჯანყებულთა ბანაჟში მივიღა და მისცა ცანა-
ვას „ძმობილობის“ ფიცი, რის შედეგად თოფურიამ
ცანავა ოლქის უფროსს წარუდგინა. „ძმაღნაფიცობის“
იმედით სხვებიც დაბრუნდნენ. ასეთი მუხანათური
ოინით მთავრობამ შეიპყრო ბასაია და კიდევ ორი მო-
თავე — თებოია და სტეფანე ცანავები. ბათაია ცანავა
კი გაიქცა და მთავრობამ ვერ შეძლო მისი დაპატიმრება.

აჯანყების დანაჩენი მონაწილეების მიმართ გამო-
ყენებული იქნა როზგი და საპყრობილე. ამის შესახებ
1858 წლის 24 თებერვალს მეფისნაცვალი ატყობინებ-
და კავკასიის კომიტეტის თავმჯდომარეს: მიღებული ზო-
მებით „წესრიგი“ სოფ. ნახუნუში აღდგენილია. ნახუ-
ნუს აჯანყების ჩაქრობას მთავრობა ორ კვირას მოუნ-
და. იგი დამთავრდა 1858 წლის იანვრის პირველ ნახე-
ვარში. ამ აჯანყებით შეშინებული მთავრობა იძულე-
ბული გახდა დათმობაზე წასულიყო და საგადასახადო
დებულებიდან გამორიცხული იქნა „გოჭკომურისა“ და
„მოახლის“ ვალდებულება. ოფორტუ ვხედავთ, გლეხო-
ბამ ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს მიზანს.

კოლუბაკინმა ფალავები მასთან მოიწვია და გააფრ-
თხილა არ დაერღვიათ ახალი დებულება და თუ ისინი
ამას არ შეასრულებდნენ, ეს კვლავ მღელვარების მი-
ზეზი გახდებოდა და მაშინ ეს გამოიწვევდა მათთვის მა-

მულების ჩამორთმევას და მეურვეობისათვის გადაცემას.

ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის შუამდგომლობის საფუძველზე მეფისნაცვალმა კავკასიის კომიტეტს სთხოვა ბასაია, თეობია და სტეფანე ცანავები 5 წლით გადაეგზავნა რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში საპატიმრო ასეულში, ხოლო 5 წლის შემდეგ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დაეტოვებინათ, სანამ სამეგრელოში არ შეიქმნებოდა ამისათვის შესაფერისი ვითარება..

რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა განაჩენი და ეცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სათანალო განკარგულებისათვის. განაჩენი სისრულეში იქნამოყვანილი.

აღსანიშნავია, რომ ბატონიყმობისაგან განთავისუფლების იდეა ამ დროს დიდ გამოძახილს პოულობრა გლეხობაში. უეჭველია, რომ მეფის მთავრობის შეირჩუსეთში ბატონიყმობის გაუქმებისათვის 1857 წელს გადადგმული ნაბიჯი არ გამოპარვია ბატონიყმობის ულელქვეშ მემინავ ქართველ გლეხობას. ამასთან ამ ამბავმა უთუოდ თავისი გავლენა მოახდინა სამეგრელოში გლეხთა აჯანყების შემდგომ მსვლელობაზე.

ლენინგრადის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტი საშუალებას იძლევა რამდენადმე გავარკვიოთ ეს საკითხი. ამ საბუთიდან ჩანს, რომ სოფელ ზუმის მეამბოხე გლეხებში ლევან ლემონჯავა ეწეოდა აგიტაციას იმის შესახებ, რომ არ დამორჩილებოდნენ მებატონეებს, არ გადაეხა-

დათ ღალა, ბეგარა და სხვა გადასახადები და ამით
ისინი მალე თავისუფლებას მოიპოვებდნენ¹³⁶.

მასალებში მოცემულია, რომ დეკემბრის ბოლო რიცხ-
ვებში მღელვარებამ ისევ თავი იჩინა აგრეთვე სოფელ
ზუმში თავად ჩიქოვანების ყმა გლეხობაში. ამ სოფლის
40 კომლი აჯანყების დღიდან, როგორც საერთოდ სამეგ-
რელოს უპელა გლეხი, უარს აუხადებდა ადათით განსაზ-
ღვრულ საბატონო გადასახადებზე. როგორც საბუთე-
ბიდან ირკვევა, 1857 წლის მიწურულში და 1858 წლის
დასაწყისში ამ გლეხებმა, იცავდნენ რა თავიანთ გადაწ-
ყვეტილებას, „შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს
მთავრობასა და მებატონეების საპოლიციო ორგა-
ნოებს“¹³⁷.

როგორც ჩანს, ნახუნუს გლეხობის მიერ მებატონე-
ების მიმართ გაწეული წინააღმდეგობის ანალოგიას
წარმოადგენს სოფელ ზუმის გლეხობის მოქმედება. საბუთი
იმაზეც მიგვითითებს რომ აქ შეიარაღებულ
შეტაკებასაც ჰქონია აღგილი. ზუმელთა მღელვარება
იმდენად სერიოზული ყოფილა, რომ აღგილზე სამხედ-
რო ნაწილების თანხლებით პირადად გამგზავრებულა
ოლქის უფროსი და მღელვარების ჩასაქრობად იარაღი
გამოუყენებია.

მღელვარების ჩაქრობის შემდეგ ოლქის უფროსი
თვითონ შეუდგა საქმის კვლევა-ძიებას დამნაშავეთა შეპ-

¹³⁶ ლევან ლემონჯავა თავადების მიერ დაპატიმრებული ყოფი-
ლა ჯერ კიდევ 1857 წლის აჯანყებამდე, იხ. ცსსა, თბილისი, ფო-
ნდი 416, საქმე 41, ფურც. 26.

¹³⁷ ცსსა, ლენინგრადი, ფ. ფონდი 1268, საქმე 433, ფურც. 9.

ყრობისა და სოფლიდან მათი გასახლების მიზნით. გამოძიებიდან გამოირკვა, რომ მღელვარების მთავარი წინამდლოლი იყო ამავე სოფლის მცხოვრები ზემოხსენებული ლევან ლემონჯავა, რომელიც თანასოფლელთა შორის სისტემატურად ეწეოდა აგიტაციას თავადი ჩიქოვანების წინააღმდეგ, მოუწოდებდა გლეხებს არ დამორჩილებოდნენ მებატონეებს, არ შეესრულებინათ ვალდებულებანი და თუ ისინი ამას გააკეთებდნენ, პირდებოდა, თავისუფლებას მოიპოვებთო. მან ამგვარი წაქეზებით აამბოხა ზუმელები და მღელვარებას თვითონ ჩაუდგა სათავეში¹³⁸.

ეს საინტერესო ფაქტი ჩვენ მიერ აღგილზე იქნა შემოწმებული. ერთერთმა ზუმელმა გლეხმა, 96 წლის მერაბ ლემონჯავამ განაცხადა, რომ მან ლევან ლემონჯავას შესახებ გადმოცემით შემდეგი იცის.

„ლევანა თავისუფლების მოყვარული ადამიანი იყო. მონაწილეობდა უტუია მიქავას მიერ დაწყებულ აჭანყებაში. ცოლშვილი არ ჰყავდა. ლალა-ბეგარას არ იხდიდა. ხშირად მიღიოდა საბეგრო სამუშაოზე გაყვანილ გლეხებთან და ეუბნებოდა მათ, რომ მებატონე ჩიქოვანებს ნუ დაემორჩილებითო და ნურც ლალა-ბეგარას შეუსრულებთო და მალე თავისუფლების ქაღალდს მე ჩამოვიტანთო. მართლაც, თავისუფლების ქაღალდი კი ჩამოეტანა, მაგრამ ჩიქოვანებს წაერთმიათ. ლევანა რუსის მთავრობას დაუპატიმრებია და ციმბირში გადაუსახლებია. იქიდან იგი არ დაბრუნებულა“¹³⁹.

¹³⁸ ცსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, საქმე, 433 ფურც 10—11.

¹³⁹ ჩხოროწყუს რაიონის ს. ზუმის კიროვის სახ კოლმეურნე მერაბ ლემონჯავას 1948 წლის 25 აგვისტოს ნაამბობი

როგორც საბუთებიდან ირკვევა მეფისნაცვალს ქუ-
თაისის გენერალ-გუბერნატორისაგან ზუმის მღელვარე-
ბის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ ბრძანება გაუცია,
რათა ლევანი ლემონჯავა ორი წლით გადაესახლებინათ
რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიაში საპატიმრო ასე-
ულში და ვადის დამთავრების შემდეგ იქვე დაეტოვე-
ბინათ პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ, სანამ მისი
სამშობლოში დაბრუნებისათვის არ შეიქმნებოდა შესა-
ფერისი ადგილობრივი ვითარება, ე. ი. ბატონიშვილის
გაუქმებამდე კავკასიის კომიტეტის წარდგენით აღეჭ-
სანდრე II დაამტკიცა ბარიატინსკის განკარგულება ლე-
ვან ლემონჯავას გადასახლების შესახებ. გადასახლები-
დან ლევან ლემონჯავა არ დაბრუნებულა.

ამგვარად, ნახუნუსა და ზუმის მღელვარების ჩაქრო-
ბით დამთავრდა სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული
აჯანყება. მაგრამ ფეოდალურ-ბატონიშვირ სისტემის
წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში ერთი წუთითაც
არ შენელებულა. 1858—1859 წწ. მღელვარების ალი
მოედო გორის მაზრის გლეხობას. განუწყვეტელი ბრძო-
ლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა
1862 წ. აჯანყება გურიაში. 1863 წ. კვლავ აჯანყდნენ
სენაკის ოლქის სოფ. თამაჯონის გლეხები¹⁴⁰. 1858—1863
წწ. გლეხთა ანტიფეოდალურ გამოსვლებს ადგილი
ჰქონდა თბილისის, თელავის, სიღნაღისა და საქართვე-
ლოს სხვა მაზრებში.

¹⁴⁰ შ. ჩხეტია, გლეხების აჯანყება 1863 წ. სამეგრელოში მასა-
ლები საქ. და კავკ. ისტ. ნაკ. I 1937.

ვ. აჯანყების მონაწილეებისა და მათი შეთაურების ბედი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1857 წლის დასას-
რულს მთავრობის სამხედრო ნაწილებმა გადამწყვეტი
ზომები მიიღეს აჯანყებულთა წინააღმდეგ — ცეცხლითა
და მახვილით გაუსწორდნენ მათ. ბრძოლის მანძილზე
მთავრობამ შეიპყრო 650-ზე მეტი გლეხი — აჯანყების
ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე. მათ მიმართ გა-
მოიყენეს მკაცრი საპოლიციო ზომები. აქედან, როგორც
საბუთებიდან ჩანს, 41 კაცს მიესაჭა რუსეთის შორეულ
მხარეებში გადასახლება.

კოლუბაკინის შუამდგომლობით აჯანყების მთავარი
ხელმძღვანელები: უტუ მიქავა, ლევან კვარაცხელია. და
კოჩა თოდუა მთავრობას უნდა გადაესახლებინა ციმ-
ბირში 15 წლის ვადით. მაგრამ ბარიატინსკის განკარ-
გულებით მათ მიესაჭათ ათი წლით რუსეთის შორეულ
მხარეში გადასახლება, ხუთი წელი საპატიმრო ასეულ-
ში მუშაობა და ხუთი წლით იქვე დატოვება პოლიციის
ზედამხედველობის ქვეშ.

უტუ თოდუა უფრო გვიან შეიპყრეს. იგი საქმის
გაურჩევლად შეცდომით კოჩა თოდუას მაგივრად გა-
დაასახლეს. უკან დაბრუნების შესახებ განკარგულებამ
გზაზე მოუსწრო და უტუ დატოვებულ იქნა კოსტრო-
მაში ორი წლით პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

მთავრობის განკარგულებით არა ნაკლებ ათი წლით
იქნენ გადასახლებული მიქელა თოფურია — ვოლოგდის,
ზაქარია ხაურებია — ოლონეცისა და დათიკა გეგია — პერ-
მის გუბერნიებში.

ცხრა გლეხს — გოგია ზარანდიას, ბიტუ ღვინჯი-ლიას, მათე ჭოლოხავას, ივანე ჭოლოხავას, ბაზუ ჩან-გელიას, პეხუ კვარაცხელიას, გურუტია ქარაიას, ტო-ტია გოგუასა და ტატუ გოგუას შეიარაღებული წინა-ალმდეგობისათვის მიესაჭათ რვა წლით გადასახლება..

ოცი გლეხი — ბახუ კვარაცხელია, ჭოტო კვარაცხე-ლია, მაქუია კვარაცხელია, ხუტუ კვარაცხელია, ქუჩუია ხუბულია, თიყვა თორდია, ბულათია თორდია, ბუცა ბერაძე, ფაშუტია ხაზალია, ჭუტუ ქობალია, ბებელია რაფავა, თიყვა ლაგვილავა, ივანე ლაგვილავა, დათუ ნაჭყებია, ივანე ნაჭყებია, ბეჩუნა როგავა, ბუჭა ქაცა-რია, კიკო როგავა, ბიტუ ბუკია და ტოჩი მორგოშია გადასახლებულ იქნა სამი წლით. მეფისნაცვლის გან-კარგულება დამტკიცებულ იქნა იმპერატორ ალექსანდ-რე II მიერ.

30 ნოემბერს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა განკარგულება გასცა მათი ტამბოვში გადაგზავნის შე-სახებ. (ტამბოვი იყო გამანაწილებელი პუნქტი).

1858 წლის 16 იანვარს მეფისნაცვალმა შეატყობინა ქუთაისის გუბერნატორს, რომ შინაგან საქმეთა სამი-ნისტროს განკარგულებით უტუ მიქავა, ლევან კვარაც-ხელია და კოჩა თოდუა გადასახლებულ არიან არხან-გელსკის გუბერნიაში, ცხრა პატიმარი კოსტრომის გუ-ბერნიაში, დანარჩენი ოცი პატიმარი კი კიევის გუ-ბერნიაში¹⁴¹.

ხუთი წლით გადასახლება მიესაჭათ აგრეთვე ბიჯგვა-

¹⁴¹ ცსსა, ლენინგრადი, ფონდი 1268, საქმე 433 ფურც. 24—30 ლევან კვარაცხელია არხანგელსკის გუბერნიაში არ გადაუგზავნიათ რადგან მას გხაში ჭრილობა გაეხსნა და იგი ვოლოგდაში დასტო-ვეს ათი წლით

ია კვიკვინიას, ბათაია ფილიპიას, ბასარა და სტეფანე ცანავებს. განაჩენის მიხედვით, გადასახლების ვადის დამთავრებისას ისინი იქვე დარჩებოდნენ, სანამ არ შეიქმნებოდა სათანადო პირობები მათი დაბრუნებისათვის. ციმბირში იქნა გადასახლებული ლევან ლემონჭავაც.

ქუთაისის საპატიმროდან გაიქცა სისონა საჭაია, რომელსაც მისჯილი ჰქონდა 20 წლის კატორლა. ასევე სასჯელს გაქცევით თავი დააღწიეს ბათაია ცანავამ, ბათაია ფილიპიამ, ნიკოია მებონიამ, გოგია ზარანდიამ და ტოტი გოგუამ. ფაშუტია ხაზალია კი გარდაიცვალა ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში.

გადასახლებულთაგან კოჩა თოდუა, ბიტუ ღვინჯილია, ივანე ჯოლოხავა, ბესუ მაგულიას-ძე კვარაცხელია, გურუტი ქარაია, ტატუ გოგუა და ბებელია როგავა გადასახლებაში გარდაიცვალნენ. სხვები დაბრუნდნენ სასჯელის მოხდის შემდეგ.

აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი უტუ მიქავა, მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობის მხრივ მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო, მთავრობამ ვადის მოხდის. შემდეგ ეტაპით თბილისში ჩამოიყვანა მხოლოდ 1867 წლის 14 იანვარს. იმავე დღეს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა იგი მოათავსა მეტესის ციხეში. 11 თებერვალს მიქავას შესახებ მთავრობის მიერ ასეთი განკარგულება იქნა გაცემული: „სამეგრელოს მცხოვრები უტუ ჯოტოს-ძე მიქავა არ იქნას დაბრუნებული სამშობლოში, იგი თბილისში უნდა დარჩეს მხოლოდ ამა წლის 19 თებერვლამდე, ე. ი. სამეგრელოში საბა-

ტონო გლეხების განთავისუფლებამდე ბატონყმური და-
მოკიდებულებისაგან, და შემდეგ ციხეში მისი ყოფნის-
თვის მიზეზის უქონლობის გამო... მიქავას უნდა დაერ-
თოს ნება დაბრუნდეს სამშობლოში“¹⁴².

როგორც ვხედავთ, დაახლოებით ათი წლის შემდე-
გაც მთავრობას ეშინოდა სამეგრელოში მიქავას დაბრუ-
ნებისა. და ეს მან გაბედა მხოლოდ ბატონყმობის გაუქ-
მების შემდეგ. სამშობლოში დაბრუნებული მიქავა ხალ-
ხმა დიდი სიყვარულით მიიღო და მამასახლისადაც აირ-
ჩია. ამ თანამდებობას იგი ხალხის სასარგებლო საქმია-
ნობისათვის იყენებდა.

¹⁴² ცსსა. განსაკუთრებულ საქმეთა ფონდი, საქმე 178, ფურც. 197.

თავი მესუთი

აჯანყების დამარცხების მიზეზები და მისი ისტორიული მნიშვნელობა

საქართვლოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევრის მანძილზე მომხდარ გლეხთა აჯანყებებს შორის 1856-57 წლების სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყება ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ აჯანყებას წარმოადგენს, რა-საც თავის: ძროზე გერცენის „კოლოკოლიც“ აღნიშნავ-და. მან საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოშა სა-გრძნობლად შეარყია ასოლუტურ-ფეოდალური წყობი-ლება და მისი სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები.

თუ გავიხსენებთ აჯანყებაში მონაწილეთა რაოდე-ნობას (20000 კაცი), აჯანყებით მოცული ტერიტორიის სიდიდეს და ბოლოს, იმ ფაქტს, რომ აჯანყების ჩაქრო-ბისათვის მთავრობის სამხედრო ნაწილებს თითქმის ნახევარი წელიწადი დასჭირდათ, ნათელი გახდება, თუ რაოდენ ძლიერი იყო ჩაგრული გლეხობის ეს მასობრი-ვი ამბოხება.

აჯანყების სიძლიერეს აგრეთვე მოწმობს ის გარე-მოებაც, რომ ამ ამბით დიდად იყვნენ შეშტოთებული, მეფის ხელისუფალნი.

აი რას სწერს ბებუთოვი კოლუბაკინს ჯერ კიდევ აჯანყების ჩაქრობამდე: „...თბილისის „რაამბავია“ სა-

მეგრელის ამბებზე ავრცელებს სხვადასხვა ხმებს; ამავე დროს ხმები დაღის, რომ ეს აჯანყება სამეგრელოში. ღებულობს ფართო ხასიათს და რომ აღელვებულმა ხალხმა, შეგროვდა რა ოთხ ათას კაცამდე და უფრო მეტი რაოდენობითაც, სადღაც მოაწყო ბანაკი; ხმებია მომხდარ სროლაზე, დახოცილებზე და დაჭრილებზე... გთხოვთ მთელის გულწრფელობით მაცნობოთ ყველა-ფერი... რათა მთავრობამ იცოდეს, თუ როგორ მოიქცეს”¹.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყების განსაცვიფრებელი გაქანებისა და მასობრიობის თავისებურება უნდა ვეძიოთ იმდროინდელ ისტორიულ კონკრეტულ ვითარებაში.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, კონკრეტული ისტორიული ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს აჯანყების გაშლა-გაფართოებას. პირველი ფაქტორი იყო ის, რომ ამ დროს გახჩწნის გზაზე მდგომი სამეგრელოს ფეოდალური არისტოკრატია და მმართველი წრეები. ურთიერთშორის კინკლაობითა და შუღლით იყო გართული, რამაც საგრძნობლად დაასუსტა მთავრის ძალაუფლება.

მეორე ფაქტორი მდგომარეობდა იმაში, რომ ყირიმის ომთან დაკავშირებით თურქების შემოსევამ უფრო გაამძაფრა კლასობრივი წინააღმდეგობა, ეკონომიური კრიზისი და ცხადჰყო ფეოდალური წყობილების სიდამპლე სამეგრელოში, ისევე როგორც მთელ საქართველოში.

¹ ცსსა, მოსკოვი, ფონდი 1110, საქმე 2, ფურც 22

მესამე ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა ის, რომ ამ დროს მეფის მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა სამთავროს ავტონომიის გაუქმება და ამ მიზნის მისაღწევად იგი აჯანყებულებს შენიღბულად უპირისპირებდა სამთავრო ხელისუფლებას, რათა აჯანყების საბაბით მას შემდგომ საშუალება ჰქონდა ჩარეულიყო სამთავროს საშინაო საქმეებში.

მაგრამ სამეგრელოს შეიარაღებული აჯანყების გამომწვევი მთავარი მიზეზები, მისი მასშტაბისა და ხასიათის განმსაზღვრელი პირობები ძირითადად უნდა ვეძიოთ ეპოქის თავისებურებაში, მებატონე თავადაზნაურობასა და მშრომელ გლეხობას შორის გამწვავებულ კლასობრივ წინააღმდეგობასა და დამოკიდებულებაში, რომელიც ამ დროს არსებობდა.

სამეგრელოს გლეხთა მასობრივი ოევოლუციური მოძრაობა გაიშალა იმ დროს, როდესაც ბატონიშვილმა ურთიერთობამ უკვე ამოწურა თავისი განვითარების შესაძლებლობა და გახრწნას, კრიზისს განიცდიდა. მთელ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოში ამ დროს სასაქონლო-სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასთან დაუკავშირებით, ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღგილი ჰქონდა საგრძნობ ცვლილებებს, რაც თავის მხრივ აძლიერებდა გლეხობის ექსპლოატაციას.

სოციალურად და პოლიტიკურად უფლებააყრილი გლეხობა გამოსავალს მხოლოდ ბატონიშვილი ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლაში ხედავდა, რაც 40-50-იან

წლებში კლასთა ბრძოლის სხვადასხვა ფორმით ვლინ-
დებოდა.

საბატონო გადასახადების გაზრდის შედეგად გამ-
წვავებული კლასთა ბრძოლის უმაღლესი საფეხური
იყო გლეხთა შეიარაღებული გამოსვლა, რომელშიც მო-
ნაწილეობდა სამეგრელოს თითქმის მთელი მშრომელი
მოსახლეობა.

ეხებოდა რა გლეხების გაძლიერებულ ექსპლოატა-
ციას გერმანიაში, ენგელსი წერდა: „მთავრების, თავად-
აზნაურების და ხუცების ასეთი მძარცველობის წინააღ-
მდეგ გლეხებმა მრავალი განცალკევებული აჯანყება
მოახდინეს, ბოლოს 1525 წელს დიდმა გლეხთა ომია
ნიაღვარივით გადაუარა შვაბიას, ბავარიასა, ფრანკო-
ნიას“². მებატონეებსა და ჩაგრულ გლეხობას შორის
გამწვანებული ბრძოლით გამოწვეულ ასეთსავე ნია-
ღვარს წარმოადგენდა სამეგრელოს გლეხთა შეიარაღე-
ბული აჯანყება.

აჯანყება ატარებდა აშკარად გამოხატულ ანტიფეო-
დალურ ხასიათს, მასში ძირითადად მონაწილეობდნენ
ყველა კატეგორიის გლეხები — აზატი, მსახური, მებე-
გრე და მოჯალაბე ე. ი. აჯანყების ძირითადი მამოძრა-
ვებელი ძალა საბატონო, სამთავრო და საეკლესიო ყმა
გლეხებისაგან შესღვებოდა. ამას გარდა, აჯანყებაში
მონაწილეობდნენ სასულიერო წოდების დაბალი ფენის
წარმომადგენლებიც.

ეკატერინე დადიანისა და ჩიქოვანების რეუიმით
უკმაყოფილო თავადაზნაურების ერთი ნაწილი აჯანყე-
ბას თანაგრძნობით შეჰყურებდა იმ ვარაუდით, რომ

² ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ. 1932, წ. გვ. 175 - 176.

საბოლოო ჯამში აჯანყების მონაპოვარი მეფის მთავრობის დახმარებით მათ დარჩებოდათ.

მაგრამ აჯანყებულმა გლეხობამ თავადაზნაურობის ეს ნაწილი ახლოს არ გაიკარა, რადგან მათთვის ნათელი იყო თავადაზნაურობის ინტერესები. ეხებოდა რა გლეხთა ომს გერმანიაში, ენგელსი აღნიშნავდა: „მხოლოდ ბატონიქმობისა მებეგრეობის სრულს მოსპობას, ყველა თავადაზნაურული პრივილეგიის მოსპობას შეეძლო სოფლის ხალხის დაკავშირება თავადაზნაურობასთან; მაგრამ თავადაზნაურობას, როგორც ყოველ პრივილეგიურ წოდებას, არავითარი სურვილი არ ჰქონდა ნებაყოფლობით დაეთმო თავისი პრეროგატივები; მთელი თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა და თავის შემოსავლის წყაროების უდიდესი ნაწილი“³.

აჯანყებულთა პროგრამა ცენტრალურ მოთხოვნილებად აყენებდა ბატონიქმური ჩაგვრის ლიკვიდაციას და არა ფეოდალურ სახელმწიფოებრივი წყობილების დანგრევას.

გლეხთა აჯანყების შესახებ ლენინის მიერ ნათქვამი შემდეგი სიტყვები შეიძლება სამეგრელოს აჯანყებაზეც გავრცელდეს: „გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, რადგან ეს იყო ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება, რომელსაც არ ჰქონდა გარკვეული, ნათელი პოლიტიკური მოთხოვნანი, ე. ი. არ ჰქონდა მოთხოვნა სახელმწიფო წესწყობილების შეცვლისა... გლეხები აჯანყდნენ შეუგნებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ მოთმინებიდან გამო-

³ ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში თბ. 1932 წ. გვ. 99.

ვიდნენ, რომ მათ არ უნდოდათ დახოცილიყვნენ უხმოდ და წინააღმდეგობის გაუწევლად”⁴.

წყაროები და საბუთები არ იძლევიან სრულ სურათს იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდებოდა აჯანყებულთა პროგრამული მოთხოვნები დაკავებულ სოფლებში. ამის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ საბუთებში მოცემული ცალკეული ცნობებით. სახელ-დობრ: აჯანყებულები სოფლებში ყმებს ათავისუფლებლნენ ბატონის სამსახურისაგან, აუქმებდნენ მებატონეებსა და მათი მოხელეების ძალაუფლებას და სოფლის მმართველობას აკისრებდნენ გლეხების წრიდან შერჩეულ წარმომადგენლებს, რომელთაც ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, მამასახლისები ეწოდებოდათ.

აჯანყების სტიქიურობა, გარკვეული პროგრამის უქონლობა უნდა აიხსნას ყმა გლეხების იმ მდგომარეობით, რომელიც მათ ეჭირათ ბატონყმურ საზოგადოებრივ წყობილებაში. ლენინი მიუთითებს, რომ „გლეხებს არ შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ, მაშინ გლეხები სრულიად დაბეჩავებული იყვნენ სიბნელით, გლეხებს არ ჰყავდათ თანაშემწენი და ძმები ქალაქის მუშებში, მაგრამ გლეხები მაინც იბრძოდნენ, როგორც ახერხებლნენ და როგორც შეეძლოთ“⁵.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყების დამარცხების მიზეზი ამ სტიქიურობაში მდგომარეობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აჯანყების მთა-

⁴ 3. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, 1949, გვ. 529.

⁵ იქვე, გვ. 526.

ვარმა ხელმძღვანელმა უტუ მიქავამ, ლევან კვარაცხელიამ, უტუ და კოჩა თოლუებმა სრულიად გამოავლინეს გლეხთა მღელვარების ხელმძღვანელთა და ბელადების საუკეთესო თვისებები. მიუხედავად აჯანყებულთა სიმამაცისა და ხელმძღვანელთა დიდი ორგანიზაციული ნიჭისა, თავიდან არ იქნა აცილებული მრავალი სუსტი მხარე. მათ შორის მთავარი იყო აჯანყებულთა შორის მტკიცე კავშირის უქონლობა; არ ხდებოდა ერთდროულად ყველა სოფლის გლეხების აჯანყება, იქმნებოდა აჯანყების ლოკალური კერები; რაც პოლიციასა და მთავრობის სამსედრო ნაწილებს უადვილებდა აჯანყების ცალკეული კერების განადგურებას; აჯანყებულთა ჯარების ცალკეულ რაზმებად დაქუცმაცების შედეგად გადამწყვეტ მომენტში ვერ ხერხდებოდა ერთმანეთისადმი დახმარების გაწევა. როგორც ლენინი წერს: „ასწლობით მემამულეთა მონობაში მყოფ ხალხს არ შეეძლო ამდგარიყო და დაეწყო ფართო, აშკარა, შეგნებული ბრძოლა თავისუფლებისათვის. იმდროინდელ გლეხთა აჯანყებებს განმარტოებული, დაქუცმაცებული, სტიქიური „ჯანყის“ ხასიათი ქონდათ, და მათ ადვილად ახშობდნენ“⁶.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყებულები თავიდან ადვილად უმკლავდებოდნენ თავადაზნაურობის წინააღმდეგობას, გადამწყვეტ მომენტში უპირატესობა მაინც მებატონეთა მხარეზე აღმოჩნდა. ეს იმიტომ, რომ აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლაში მებატონეები ეყრდნო-

⁶ 3. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 87.

ბოლნერ ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ აპარატს — მოქელეებს, პოლიციას, ჯარს და ეკლესიას.

სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებული აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი იყო საქართველოს გლეხთა ანტიფეოდალური გამოსვლების ერთ-ერთი რგოლი, რომელმაც, მართალია, სოციალური გადატრიალება ვერ მოახდინა, მაგრამ მან სხვა გლეხთა აჯანყებებთან ერთად შეარყია ფეოდალურ-ბატონიური საფუძვლები და ხელი შეუწყო საქართველოში ბატონიუმობის გაუქმების დაჩქარებას. „გლეხთა „ამბოხებებმა“, რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოვდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ელიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ჰევიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვამხობდნენ“⁷.

სამეგრელოს გლეხთა შეიარაღებულმა აჯანყებამ აგრეთვე მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა საერთო გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ეს აჯანყება მიმდინარეობდა, რუსეთში გლეხთა მოძრაობის საერთო აღმავლობის ვითარებაში, ამ ამბების თანამედროვე ენგელსი წერდა: „რუსეთის ისტორია მიიმართება ძალიან კარგად. ამჟამად სამხრეთშიაც მღელვარებაა“⁸.

სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას მაშინ მაღალი შეფასება მისცა უურნალმა „კოლოკოლმა“ რომელსაც გერცენი რედაქტორობდა.

⁷ ვ. ი. ლენინი, „საგლეხო რეფორმა“ და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია, თხზულებანი, ტ. 17, 1951, გვ. 127.

⁸ Маркс и Энгельс соч. т. XXII. стр. 364. 1858 წლის 21 ოქტომბრის ენგელსის წერილი. მარქსისადმი.

შუალოები და ლიტერატურა

კ. მარქსი — კაპიტალი, ტომი III, ნაწ. I და II.

К. Маркс и Ф. Энгельс—Соч. том VIII.

К. Маркс и Ф. Энгельс—Соч. том IX.

К. Маркс и Ф. Энгельс—Соч. том X.

К. Маркс и Ф. Энгельс—Соч. том XXII.

ფრ. ენგელსი — გლეხთა ომი გერმანიაში.

3. ი. ლენინი — თხზულებანი, ტომი 3.

3. ი. ლენინი — თხზულებანი, ტომი 6.

3. ი. ლენინი — თხზულებანი ტომი 17.

ი. ჯავახიშვილი — ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, 1927.

ი. ჯავახიშვილი — საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი I, 1930.

И. Джавахишвили—Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке, СПБ, 1906.

ი. ჯავახიშვილი — სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში, თბ. 1934.

ს. ჯანაშია — გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, 1946.

ბ. ბერძენიშვილი — ღოკუმენტები საქართველოს სოციალურ ისტორიიდან, თბ. 1940.

Н. Бердзенишвили—Очерк из истории феодальных отношений в Грузии, Тб. 1933.

ლ. მუსხელიშვილი — დასავლეთ საქართველოს გლე-

- სობის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიები. „ენ-მიკის“ მოამბე, ტ. V-VI. 1940.
- შ. ჩხეტია — საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბილისი, 1950.
- შ. ჩხეტია — გლეხთა აჯანყება სამეგრელოში, 1863 წ., მასალები საქართველოსა და კავკასიის, ნეკ. I, 1937.
- შ. ჩხეტია — რუსული მმართ. სისტემა საქართველოში, საქ. სახ. მუზ. შრომები XII, თბ. 1944.
- შ. ჩხეტია — საქართველოში ბურეუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის, პუშკინის სახ. თბ. სახელმწ. სამასტ. ინსტ. შრომები, III, 1943.
- შ. ჩხეტია — გლეხთა მოძრაობა გურიაში 1842 წელს, „სარსტორიო მოამბე“ № 7, 1953.
- შ. ჩხეტია — ნატურალური ბეგარის საკითხისათვის რეფორმამდელ საქართველოში. პუშკინის სახ. თბ. სახ. პედინსტიტუტის შრომები, VI, 1949.
- გ. ხაჭაპურიძე — გურიის აჯანყება 1841 წ., თბ. 1931.
- გ. ხაჭაპურიძე — გლეხთა გამოსვლა სამეგრელოში 1857 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები VI, 1938.
- გ. ხაჭაპურიძე — გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკ., თბ. 1933.
- ი. ცინცაძე — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის წარსულიდან. ისტ. ინსტ. შრომები, ტ. I, 1955.
- მ. კოლხიდელი — გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. და სახალხო ტრიბუნი უტუ მიქავა, თბ. 1926.
- ი. ჭეიშვილი — მასალები სამეგრელოს 1857 წლის აჯანყებაში მონაწილეთა შესახებ, საისტ. მოამბე, წიგნი II, თბ. 1925.
- ა. ლამბერტი — სამეგრელოს აღწერა, თბ. 1938.
- ნ. ნიკოლაძე — „რჩ. ნაწ.“. პუბლიცისტური წერილები, ტომი I, 1930.
- ს. ხუნდაძე — ნარცვევები, თბ., 1941.

- ი. მეუნარგია — სამეგრელო დავით დადიანის დარბას, თბ., 1939.
- კ. ბოროზდინი, რ. ერისთავი და მურიე — ბატონიშვილის სამეგრელოში, თბ. 1927. (თ. სახოკიას თარგმანი).
- ს. მაკალათია — სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.
- შ. მესხია — ზოგიერთი ცნობები სამეგრელოს გლეხთა 1857 წ. აჯანყების მონაწილეთა შესახებ. გაზ. „მეგრძოლი“ № 184, ზუგდიდი, 1940.
- მ. ბარამია — „სამეგრელოს გლეხთა აჯანყება“, გაზ. „კომუნისტი“ № 134, 1937.
- მ. დუმბაძე — სამეგრელოს სამთავრო 1803-1857 წ. წ., საკანდიდატო დოსტერტაცია 1942. ივ. ჭავახიშვილის სახ. ისტ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.
- ა. ქაროსანიძე — ჭანყი კინჩხაში 1856-1857 წ. წ., თბ. 1930.
- ი. ჭეიშვილი — სამეგრელოს პოლიტიკური ვითარება მე-19 საუკუნის 50-იან წლებში, ბათუმის სახ. პედ-ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1950.
- ე. ბურჭულაძე — საქართველოს დაყოფისა და დამონიტინის ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა, 1953.
- კ. წუთისოფლელი — გაზ. „სახალხო ფურცელი“, ისტორიული მოთხრობა. 1914-1915.
- მ. გაბრიჩიძე — საბატონო ყმების მღელვარება იმერეთში, 1857 წ. დოკუმენტები, „საისტორიო მოაზე“ I, თბ., 1945.
- პ. გუგუშვილი — კაბატალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941.
- ი. გოგა — გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1857 წ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, თბ., 1947.
- ნ. დადიანი — დასტურლამა, თბ., 1897.

- в. ხუბუ — „ხაჯალური“ და „დაღიანური“, მასალები,
ნაკ. II, თბ., 1933.
- გ. ჭიჭინაძე — ბატონყმობის ფაქტიური მასალები,
ტომი II-III, თბ., 1924.
- ლ. ასათიანი — ცხოვრება აკაკი წერეთლისა, „მნათო-
ბი“ № 3, თბ., 1940.
- ა. ხაჯაია — უტუ მიქავა, უურნ: „ჩვენი თაობა“ № 12,
თბ., 1938.
- ღ. ლემონხავა — 1850 წლის გლეხთა აჯანყება სუჭუ-
ნის მაზრაში. სოხუმის პედინსტიტუტი, XV სამეც-
ნიერო სესია, 1954.
- თ. სოხუმია — მასალები აგრ. ურთიერთობის ისტ. გვი-
ანფეოდ. დას. საქართველოში (მასალები საქ. და კავ.
ისტ-სათვის ნაკ. 31, 1954).

В. Н. Иваненко—Гражданское Управление Закавк.
Тифлис, 1901.

С. Авалиани—Крестьянский вопрос Закавк. том I,
1912 и том II.

К. А. Бороздин—Закавказские воспоминания,
СПБ, 1885 г.

К. А. Бороздин—Крепостное состояние в Мингре-
лии. Записки Кавказского отд. Рус. геогр. обще-
ства, том VII, 1886 г.

К. А. Бороздин—Омер-паша в Мигрелии, СПБ,
1873 г.

С. Эсадзе—Историческая записка об управ. Кавка-
зом, том I и II, Тиф. 1907 г.

И. Л. Бахтадзе—Свод. материалов, податное обло-
жение Госуд. крестьян Закавк. края 1887 г.

К. Д. Мачавариани—Путеводитель по Сухумского
и Сухумскому округу, Сухум, 1913 г.

И. Кипшиძэ—Грамматика Мингрельского (Ивер-
ского) языка, СПБ, 1914 г.

А. А. Колубакина, Воспоминания, О. Н. П. Колу-
бакине, жур. Исторический Вестник, 1894.

- Н. П. Колубакин**—По случаю крестьянского вопроса в Имеретии, Гурии и Мингрелии (чтение в имп. о-ве Ист. и древн. России при Моск. университете).
- А. И. Лаврентьев**—Военно-статистическое описание Кут. ген. губ. Мингрелии, Абхазии и Сванетии, СПБ, 1858 г.
- Н. Дубровин**—История войны и владычества русских на Кавказе, том. I СПБ, 1871 г.
- История народов СССР**—Россия в XIX веке, том II, Москва, 1940 г. (под редакцией проф. Нечкина).
- А. Фадеев**—Краткий очерк истории Абхазии, Сухуми 1934 г.
- Н. Б. Махарадзе**—Восстание в Имеретии 1919—20 гг. (материалы по истории Грузии и Кавказа, вып. 3, 1942 г.)
- И. Г. Антелава**—Очерки по истории Абхазии XVII—XVIII веков, Сухуми, 1949 г.
- И. Г. Антелава**—Государств. крестьяне Грузии в первой половине XIX века.
- В. В. Гугушвили**—Сельское хозяйство и аграрные отношения, т. I, Тб. 1937 г.
- Д. М. Лемонджава**—Из истории крестьянского движения в Мегрелии в 40—50-х годах XIX века, Труды сух. пединст. им. А. Горького т. VII, 1954.
- Д. М. Лемонджава**—Вооруженное восстание крестьян в Мегрелии в 1856—1857 гг. Автореферат диссертационной работы, 1950.
- Р. Эристов**—«О крестьянском сословии в Мингрелии» «Кавказская старина»—4—5. Тиф. 1873 г. февраль-март.

Р. Эристов—Путевые записки по Мингрелии, «Кавказская старина» № 3, 1873 г.

Р. Эристов—О привилегированных сословиях в Мингрелии, «Кавказская старина» № 6, 1873 г. март.

«Кавказ»—№ 13, 1875 г., январь.

Кавказский сборник—3, 1873 г.

Рионели—Освобождение крестьян в Грузии, «Колокол»—198, 1865 г.

«Тифлисские ведомости»—№ 24—26, 1831 г.

Д. Бакрадзе—Очерки Мингрелии. Самурзакана и Абхазии, «Кавказ» № 48, 49, 1860 г.

б. დადიანი — ქართველთ ცხოვრება, „ივერია“ № 5, 7, 9, 12, 14, 18, 1877.

გამ. „დროება“ — „სამეცნიელო გუმინ“ № 102, 104, 105, 1885.

Д. Кипиани, Мингрельский княжеский дом.

Акты Кавказской Археографической комиссии—тома II, III, IV, V, VI, VII, X, XI, XII.

II. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი:

ფონდი 415, საქმე 94.

” ” 220, ” ” 1076

” ” 4, ” ” 35.

” ” 4, ” ” 1553.

” ” 4, ” ” 655.

” ” 4, ” ” 1798.

” ” 4, ” ” 684.

” ” 4, ” ” 654.

” ” 4, ” ” 1473

- უონდი 4. საქმე 440.
 „ „ 4, „ „ 35.
 „ „ 4, „ „ 1511.
 „ „ 4, „ „ 1343.
 „ „ 4, „ „ 1721.
 „ „ 4, „ „ 2099.
 „ „ 4, „ „ 2106.
 „ „ 3, „ „ 4763.
 „ „ 44. „ „ 25.
 „ „ 44, „ „ 132.
 „ „ 44, „ „ 48.
 „ „ 44, „ „ 26.
 „ „ 44, „ „ 150.
 „ „ 44, „ „ 42.
 „ „ 44, „ „ 23.
 „ „ 44, „ „ 53.
 „ „ 44, „ „ 16.
 „ „ 44, „ „ 4.
 „ „ 44, „ „ 142.
 „ „ 42, „ „ 118.
 „ „ 42, „ „ 187.
 „ „ 1118, „ „ 8.
 „ „ 19, „ „ 205.
 „ „ 19, „ „ 206.
 „ „ 48, „ „ 26.
 „ „ 220, „ „ 1069.
 „ „ 235, „ „ 1.
 „ „ 1087, „ „ 444.
 „ „ 8/28. „ „ 4890.
 „ „ 226, „ „ 1247.
 „ „ 226. „ „ 696.
 „ „ ОВД, „ „ 178.
 „ „ 1462, ყვა 2.

2. ქუთაისის საქალაქო არქივი:

ფონდი	16, საქმე	15.
" "	16, "	49.
" "	16, "	93.
" "	16, "	75.
" "	16, "	38.
" "	16, "	1.
" "	16, "	66.
" "	16, "	15.
" "	16, "	358.
" "	8, "	49.

ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო
საისტორიო არქივი:

ფონდი	1263, საქმე	302, ნოწ. 1.
" "	1268, "	443.
" "	1268, "	99.

მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო
საისტორიო არქივი:

ფონდი	1110, საქმე	2.
" "	1110, "	3.
" "	1110, "	4.

5. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული
მუზეუმის არქივი:

ფონდი	3, საქმე	4380.
" "	3, "	4651.
" "	3, "	4675.
" "	3, "	4362.

- ფონდი 3, საქმე 4373.
 " " 3, " " 4659.
 " " 3, " " 4378.
 " " 3, " " 4390.
 " " 3, " " 3454.
 " " 4, " " 4330.
 " " 3, " " 4254.
 " " 3, " " 4351.
 " " 3, " " 4391.
 " " 3, " " 4366.
 " " 3, " " 4669.
 " " 6, " " 112.
 " " 6, " " 109.
 " " 6, " " 113.
 " " 6, " " 92.
 " " 6, " " 93.
 " " — " " 13-5.

სამთავრო გლეხთა აღწერის საგადასახადო დავთარი.

1859-60 წ. წ. კამერალური აღწერა.

მოგონებანი გლეხთა აჯანყებაზე: ფონდი 6, აღწ. 1,
საქმე 222.

‘შენიშვნები დასახლებულ ჯემოქლებათა განშარტვება

1. ცსა — ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი.
2. ზმა — ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივი.
3. აქტები — კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შინასიტყვაობა	5
თავი პირველი—სოციალურ-ეკონომიკური ვითარება სამეგრელოში აჯანყების წინ.	7
თავი მეორე—გლეხთა მოძრაობაზი სამეგრელოში აჯანყების წინ. 20	20
თავი მესამე—თურქების შემოსევა და გლეხების მდგომარეობის გაუარესება სამეგრელოში	31
თავი მეოთხე—გლეხთა შეიარაღებული აჯანყება.	
1. აჯანყების პირველი პერიოდი	51
2. აჯანყების მეორე პერიოდი	137
3. აჯანყების მონაწილეებისა და მათი მეთაურების ბედი. 192.	192.
თავი მეხუთე—აჯანყების დამარცხების მიზეზები და მისი ისტო- რიული მნიშვნელობა.	196

Академия наук Грузинской ССР
Институт истории им. И. Джавахишвили
Научно-популярная серия

Димитрий Михайлович Лемонджава

ВОССТАНИЕ
КРЕСТЬЯН В МЕГРЕЛИИ
1856—1857 гг.

Сухуми—1957

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სარედ.-
საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ჭროფ. ის. ანთელავა.

გამომცემლობის რედაქტორი შ. თოლურია
ტექრედაქტორი მ. ხ ა ხ მ ი გ უ რ ი.
კორექტორი პ. ჭ ი თ ა ნ ა ვ ა.

ფი 00412. ხელმოწ. დასაბეჭდად 23.IX.57 წ. ნაბეჭდი
ფორმათა რაოდენობა 13,5. № 3345. ტირაჟი 2000

საქმთავარგამომცემლობის სტამბა, ქ. სოხუმი.

შემჩერული შეცდობები

ც.	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემოდან	ქვემოდან		
10	3	—	მთვარ	მთვარ
10	5	—	ცხენი	ცხვარი
141	—	სქოდიობი	იქტები	აქტები
161	—	სქოდიობი	480	4890

რედაქტორი პოლ. ი. ანთელავა.

გამომცემლობის რედაქტორი შ. თოფურია

ტექრედაქტორი მ. ხახმიგური.

კორექტორი პ. ჭითანავა.

ენ 00412. ხელმოწ. დასაბეჭდად 23.IX.57 წ. ნაბეჭდი
ფორმათა რაოდენობა 13,5. № 3345. ტირაჟი 2000

საქმთავარგამომცემლობის სტამბა, ქ. სოხუმი.

ფასი 3 მან. 85 კა3.